

კვირის პალიც



„ვხ სოფ დეა  
შენი!“

ანუ სეკვისას  
გამჟღავნებული  
საიდუმლო

N7 (297) 16/11-22/11.2006.

ფასი

ინტერვიუ შიო  
გვებაძის შვილთან  
როგორ იქმნებოდა

1168  
2006



# ეროპიკა ჩვენებურად

ანუ სნობილი ქართველები  
ახალ აგვლუაში

„ამ ფილმში გაყურებელს  
სიურპრიზს ვპირდებით...“




## „მონანიება“

კანონიერ ქურდავზე დაწერილი  
საბჭოთა დროის ბესტსელერი

## თემა დეარესია —

როგორ დაავადნოთ თავი

მკიშე აზრებს...



## სუპერ-სიმა 2005

ანუ რა სარგებლობა  
მოაქვს სიღვიძრს...

„სალამურას თავგადასავალი“ მოსკოვში კა-გე-ბემ აპრძალა...



№4 (116)

16.II-1.III.2006

ოჯახის

# მეურნაობა

სამაღიზიანო

93ანი 70 თვეანი

საუვილოსნოს ყალბი  
ოქოლოგიური  
პრობლემა

ყბაყურა

როდის  
სჭირდება  
პატარას  
მასაჟი

ასალუგობილა  
საფსინი

მთავარი თემა:  
ნევრიტები

რა ელით  
პენსიონერებს?

თქვენი და

თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის





<b>მინიატურები</b>	
პრესის დაანგარიშება თავისუფლება ანუ „მათი სიტყვა კანონია – აღარ უნდა ლაი-ლაი!..“	3
<b>ერთი კითხვა</b>	4
<b>საზოგადოება</b>	
„ქუჩის ფილოსოფოსის“ უცნაური მეთოდი...	6
<b>გენსტეაქარი</b>	
ინტერვიუ შიო გვებაძის შვილთან – როგორ იქმნებოდა „მონანიება“	8
<b>ეკრანს მიღმა</b>	
ეროტიკა ჩვენებურად ანუ ცნობილი ქართველები ახალ აპკლუშში	11
<b>ადამიანი</b>	
მარჩენალი მტკვარი და მალღიერი მეთევზეები	12
<b>კრიმინალი</b>	
• კრიმინალური ქრონიკა	14
• დანაშაული ცოლის შერთვის მიხედვით	15
• თავდასხმა ფოტოგრაფის ოჯახზე	16
<b>გზავნილები</b>	
ოცნებას კაცი არ მოუკლავს ანუ რატომ არ დაქორწინდნენ ბრუსლი და მანრო	18
<b>აპკლუშა</b>	
2005 წლის ყველაზე მაგარი სიძე...	22
<b>ანტიდეპრესანტი</b>	
ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი გორა დვალის უბის წიგნაკიდან	24
<b>პირველი ნაბიჯი</b>	
შეყვარებულისგან ჯარში ბაქცევა, ჩიჩენი „გემლიაკი“ და საწოლიდან აივანზე ჩაგორებული გურა	24
<b>ოჯახი</b>	
უცნაური პაემანი ლისის ტბაზე...	27
<b>ნამდვილი ამაზი</b>	
ბანქორწინება ქუთაისურად...	29
<b>შთაქოვალობა</b>	
ნინო ჭავჭავაძის შვილობილის შვილიშვილი ეკატერინე იაკოვლევა	30
<b>რეპორაჟი</b>	
ყველაზე მაღლები, ყველაზე ნორჩები, ყველაზე იღბლიანები...	32

## საჭოთა დროის გესტოლერი როგორ იწვევდა „მონანიება“




„პროტოტიპი არსებობდა, მაშინდელი კრიმინალები ძალზე გონებაშიმდუღელები, გაუნათლებლები და პიროვნულ ღირსებებს მოკლებული ადამიანები იყვნენ, ხოლო ის კაცი ყველასგან გამორჩეული გახლდათ. თამაზ გელოვანს მამამ მხოლოდ მისი ეს თვისებები მიანიჭა“.

8

## ეროტიკა ჩვენებურად ანუ ცნობილი ქართველები ახალ აპკლუშში

„ფილმი – „პოეტური ჩანახატები“ – 5 ჩანახატისგან შედგება. მართალია, სურათი „მეგყველი“ არ იქნება (იგულისხმება დიპლომის სიმცირე. – ავტ.), მაგრამ მრავლისმთქმელი უნდა გამოვიდეს...“



11

## შეყვარებულისგან ჯარში ბაქცევა და საწოლიდან აივანზე ჩაგორებული გურა



„ყველაფერი პირველი, ძალზე დასამახსოვრებელია ნებისმიერი ადამიანისთვის. პირველი მეგობარი, პირველი გრძნობა, პირველი პაემანი... გულისგკივილიც კი, წლების შემდეგ შეიძლება, გკბილ მოგონებად იქცეს“.

24

## 2005 წლის ყველაზე მაგარი სიძე...

„აბა! ეს რა დამემართა, კაცო! გონს ახლაც ვერ მოვდივარ, მაგრამ ჯერჯერობით კარგად ვართმევ თავს ჟურნალისთვის მეუღლეობას. მანანა საბავშვო სკულია „ინკოგნიტოს“ ხელმძღვანელობს და არაერთი საინტერესო, მაგრამ განუხორციელებელი იდეა აქვს“.



22

<b>ფანჯარა</b>	
ირანში ჩატარებული ქართული ღონისძიებები	34
<b>ჯანვრთალოცვა</b>	
● ჩიტი მიწრინადა და დასემინა...	39
● როგორ ღვიძვით თავი რეპატიმრისგან	40
● ხახვის პროცედურები	40
<b>პარსკვლავი</b>	
ორლანდო ბლუმი – უღელში შეგებული ელვი	41
<b>გომონდი</b>	42
<b>რომანი</b>	
რუსულან ბერიძე. თქვენი (გაბრკელება)	44
<b>ტანდემი</b>	
ღა-კმა, ცოლ-ქმარი თუ უბრალოდ მგობრული წყვილი?..	48
<b>სოციალური მოზაიკა</b>	50
<b>ავტო</b>	51
<b>წმინდანები</b>	
ვინ იყო წმინდა მარინა?	52
<b>თემა</b>	
ღვინა და მემკვიდრეები	53
<b>საგანმანათლებლო</b>	
უფლებრივ მულტიკლიპტორები	56
<b>ასპარეზი</b>	
გარიბატი ბერიძის – მსოფლიო ჩემპიონი, რომელსაც ოქროს მედალი ორჯერ წაართვა	58
<b>საინფორმაციო</b>	61
<b>იუმორი</b>	62
<b>ტესტი</b>	
რაფინად მხიარული ალამიანი ბრკანდებით?	63
<b>...და გოგონა</b>	64

## ირანში ჩატარებული ქართული ღონისძიებები და...



„გაცნობისა და სასიამოვნო საუბრის შემდეგ, ცხელი შხაპი მიმალეხინეს, პიჟამაც კი შემომთავაზეს. ხანმოკლე დასვენების შემდეგ, სუფრასთან მიმიწვიეს და ამ დროს, ორი პატარა გოგონა – მითრა და ანაიდა – მათი ქალიშვილები დაბრუნდნენ სკოლიდან...“

34

## უფლებრივ მულტიკლიპტორები და დასაბუთებულ განხილული თემა

„სალამურას თავგადასავალი“ საჩვენებლად მოსკოვში წავიღეთ. „ოსტანკინოს“ სპეციალურ კინოდარბაზში თოჯინური ფილმი კაგებეს 8 თანამშრომელს უნდა ენახა. ყოველი მათგანი აღჭურვილი იყო სპეციალური პულტით, რომლითაც შეეძლო, ფილმი ნებისმიერ დროს გაეჩერებინა...“



56

## სანტარელი „რემოს“ სახე გახდა




უკვე დიდი ხანია, რაც ქერათმიანი ლამაზი ელენა სანგარელი ფუფუნების სიმბოლოდაა ქცეული. განსაკუთრებით ეს მამაკაცებს ეხებათ – მისი კავალრები ხომ მხოლოდ მდიდარი და პოპულარული ადამიანები არიან!

50

## თქუმი

მაგრამ ლანას, ლევანის სიციყვისთვის ყური აღარ დაუგდია, მანქანიდან გიჟივით გადახტა და ჭიშკართან ობოლი ბავშვივით აგულულ ახალგაზრდა კაცს ეცა:  
– იონა, როგორ არის ბებიაჩემი?  
– აღარ არის... – თავი დამნაშავესავით ჩაქინდრა იონამ და აქვითინდა...



44

გარეკანზე: ირმა ლიპარტიანიის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“  
გამოცემის კვირავი მართავს. სუბსაბსტიტუტით  
გაზეთი „კვირის პალიტრის“ ლამაზობა  
ფურცლი ზეიმდღევანობის თავისუფალი პრესის პრინციპებით.  
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.  
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე  
რედაქტორი: გონა ტყემელაშვილი  
მენეჯერი: მათე კბილაძე  
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8  
ტელ: 33-50-32 email: gza@kvispalitra.com  
ფურცლი იბეჭდება გამოცემლობა „კოლორი“



# პრესის დაანგარიშებული თავისუფლება ანუ „მათი სიწყვს უანონის, აღარ უნდა ლაი-ლაი!..“



ჩვენი მთავრობა რომ სიურპრიზების მოყვარულია, ეს ყველამ კარგად ვიცით. სიურპრიზის მთავარი „მულამი“ კი მოულოდნელობაშია. აბა, წინასწარ თუ გაგაფრთხილებს, მოვალ ერთ თვეში დაგხურავ, რაღა სიურპრიზია?! ამჯერად, სამთავრობო სიურპრიზის მორიგი ადრესატი პრესა აღმოჩნდა. დიახ, სწორედ ის პრესა, რომლის თავისუფლების აუცილებლობაზეც ასე ხმამაღლა ლაპარაკობდა ჩვენი ხელისუფლება გახელისუფლებამდე. თვითონ პრეზიდენტმა კი პრესას გადასახადებისაგან თავისუფლება უფუქაშა, მაგრამ...

ჰოდა, ჩამოიარეს ერთ მშვენიერ დღეს საგადასახადო ინსპექტორებმა და თუ სადმე საგაზეთო ჯიხური დალანდეს, ყველა დახურეს, რას ჰქვია, სალარო-აპარატები არ გიდგათო!.. ანუ, კი გვცა ამ მთავრობამ პატივი, მაგრამ ხომ უნდა დავიანგარიშოთ, რამდენის პატივი გვცა? სიტყვის თავისუფლებასაც უნდა ანგარიში, რომ არ დავაკლოთ ან ზედმეტი არ მოგვივიდეს. თავისუფლებას და დემოკრატიას დოზირება სჭირდება. მარილი კი არაა, გემოვნებით რომ მოაყარო!..

ყველაზე საინტერესო კი ამ გადაწყვეტილების მიღებაში მაინც ის არის, რომ მხოლოდ ჯიხურები დაიხურა, თორემ საგაზეთო დახლები და სტენდები ჩვეულებრივად მუშაობს. გენაცვალეთ მოფიქრებაში! სად ჯიხურში ნაყიდი გაზეთი და სად — დახლებე აღებული, ამინდის შესაფერისი რომაა: წვიმაში — ნამიანი, მზეში — გამოხუნებული... საცოდავი ხალხი ისედაც ღია ცის ქვეშ დგას და მათაც რომ არ მოსთხოვეთ 400-ლარიანი აპარატების დადგმა, ვინ ოხერი არ გიმადლით ამ ამაგს, მაგრამ ჯიხურში მჯდომი რეალიზატორის მთელი დანაშაული თუ იმაშია, რომ არ აწვიმს და არ ათოვს, გადავხადოთ სახურავები და იმუშაონ. ისე მართალია: როცა არ განვიმს და არ გათოვს, ვერ ისისხლბორცებ ქვეყნის რეალურ ვითარებას და პრესის გაყიდვის მორალური უფლებაც არ გაქვს!.. და თუ მაინც ყიდი, დამნაშავე ხარ.

ჰოდა, კარგი იქნება, პატ-ხელისუფლებაც, თუ ამ „დანაშაულის“ სათავეებსაც ამოვიძირკვავთ. თვითონ ის რედაქციებიც უნდა დავხუროთ, რომლებიც გადახურულ შენობებშია მოკალათებული. გამოვიდნენ და მათაც ღია ცის ქვეშ, საველე პირობებში იმუშაონ.



მე თუ მკითხავთ, მასალასაც გააჩნია: ყველა ინტერვიუ უნდა დაიბლოკოს, რომელიც მინისტრთან ან დეპუტატთან შენობაშია ჩანერილი და მარტო ქუჩაში ჩანერილები დავბეჭდოთ. მაგალითად, ისე მინდა რომ ეს მასალა დაიბეჭდოს, სახლში კი არ ვწერ, კანონი რომ არ დავარღვიო, გარეთ ვარ გამოსული და მანანწალა ძაღლებს გარემოცვაში შიშითა და სიცივით აკანკალებული ვცოდვილობ რაღაცას. თუ გაგვაყიდვინებთ ამ ჟურნალს, მადლობელი ვიქნებით. თუ არა და, არც მაგაზე დაგვწყდება გული, ქსერო-ქსზე გადავამრავლებთ ჟურნალისტები ჩვენ-ჩვენს მასალებს და თვითონ გავაკრავთ ბოქმებზე პროკლამაციებივით. აბა, როგორმე ხომ უნდა მოგანოდოთ პრესა. ამას თქვენთვის და ხალხისთვის ვწერთ, თორემ მე და ჩემმა რედაქტორმა ისედაც კი ვიცით...

ეს, რაც შეეხება ბეჭდვით მედიას, თორემ ტელევიზიები ნაკლებად საჭიროებენ აღრიცხვიანობას?! ის კორესპონდენტები, რომლებიც ქუჩიდან აკეთებენ რეპორტაჟებს, კანონთანაც მართლები არიან. საინფორმაციო პროგრამების სტუდიებში მოკალათებულმა წამყვანებმა კი კეთილი ინებონ, დაიდგან მაგიდაზე სალარო-აპარატები, რამდენ ინფორმაციასაც მიანვდიან მაყურებელს, იმდენჯერ ჩამოჰკრან ხელი და ჩეკი გამოწერონ. ყოველი 100 სიტყვიდან 40 რომ ბიუჯეტში შევა, ესუმრებით თქვენ! აბა, ფულით ვერ ვზრდით იმ ფსკერგავარდნილს და იქნება სიტყვით მაინც შევავსოთ.

ისე, ერთი სალარო-აპარატი პარლამენტის ტრიბუნაზეც რომ დაგვადგმევინა, არ იქნება ურიგო: ისიც ხომ საჭიროებს აღრიცხვას, რამდენი საჭირო და რამდენი არაფრის მომცემი კანონი მიიღო პარლამენტმა!..

*P.S. ჭიჭიკიამ ორსართულიანი სახლი ააშენა, მაგრამ არ გადახურა.*

— რეიზა არ ხურავ მაგ სახლს, ბუჯო? — ეკითხება ბიჭიკია.

— რეიზა და, რაც გადახურულია, ყველგან სალარო-აპარატს ადგმეინებენ და შარი მინდა ახლა მე?!.

პროვოკატორი



# „რუსთი ისლას მაქსიმუმს აკითხვს ჩვენს წინააღმდეგ“



— **ოპოზიცია ეჭვს გამოთქვამს, რომ ხელისუფლება პოზიციას არბილებს და რუსეთთან დათმობაზე მიდის...**

**გიორგი ტარბაიაძე**, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე:

— მე თავად ვარ ხელისუფლების წარმომადგენელი და დათმობის არანაირი სურვილი არა მაქვს. ამ პოზიციანზე მთელი მთავრობა. ოპოზიცია ჩვენგან განსხვავებით, არაფერზე პასუხისმგებელი არ არის, ხელისუფლება კი საკუთარ პასუხისმგებლობას აცნობიერებს. ბუნებრივია, ჩვენი სამოქმედო გეგმის ზოგადი მონახაზები უკვე არსებობს, მაგრამ ვინაიდან ეს არის ძალზე რთული და სარისკო პროცესი, რისკ-ფაქტორები მაქსიმალურად უნდა გამოვრიცხოთ. უნდა გვეჩვენოს გათვალისწინებული დეტალები, რაც შეცდომას გამოიწვავს. ვფიქრობ, სამშვიდობოების გაყვანის პროცესის დროს, ის საშიშროება, რომელიც საქართველოს წინაშე დგას, არ გაიზრდება, ვინაიდან რუსეთი ისედაც მაქსიმუმს აკეთებს ჩვენს წინააღმდეგ. მიუხედავად ოფიციალური თბილისის სამშვიდობო ინიციატივისა, კრემლი ზენოლის არც ერთ ხერხზე არ ამბობს უარს. როგორც რუსეთის ბაზებთან დაკავშირებით იქნა საქართველოს მთავრობის გადანაცვლებზე განხორციელებული, ასევე მოხდება „ცისფერჩაფხუტიანებთან“ მიმართებაშიც. მთავრობამ ამის შემდეგ უნდა დაიწყოს მოქმედება, რაც პარლამენტი გადანაცვლებას მიიღებს. პარლამენტი გადანაცვლებების მიღების პროცესშია და მოსახლეობა მალე დაინახავს, რომ ხელისუფლება არაფერს დათმობს.

# „ოპოზიის“ საქმეზე მუშაობას არ დავასრულებთ მანამ, სანამ ყველა ნიუანსს არ გავაჩვენებ“

— **საგამოძიებო კომისიამ დაასკვნა, რომ „ოპოზიის“ საქმიანობაში პარლამენტართა ინტერესები არ ჩანს. ოპოზიციის ინტერესი დაკმაყოფილებულია?**

**კახაბა კუჭავაძე**, პარლამენტის საგამოძიებო კომისიის წევრი:

— ოპოზიცია საბოლოო შედეგის მიხედვით, აცხადებს, რომ ეს კომისია არაკვალიფიციურად და არაკეთილსინდისიერად მოიქცა. წინასწარ გამოცხადებული იყო, რომ კომისიას მუშაობის ვადა ერთი თვით გაუგრძელებოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც კირკიტაძემ ბიუროს სხდომაზე კომისიის თავმჯდომარე დატყუა, ეს გადანაცვლებები შეიცვალა. „ოპოზიის“ საკითხზე მუშაობა დასრულებული არ იყო, როცა საბოლოო დასკვნა წარმოადგინეს. ეს ის დასკვნაა, რომელიც უმრავლესობამ საკუთარი ხელმძღვანელობის მითითებით დაწერა, რათა ბეჭდური უდანაშაულო გამოეყვანა. ჯერ ერთი, გამოძიება ბოლომდე არ ჩატარებულა. სიტუაციაში უკეთ გასარკვევად, უამრავი წერილი იქნა გაგზავნილი სხვადასხვა მისამართით, კომისიამ კი მუშაობა ისე დაასრულა, რომ წერილების პასუხებს არც კი დალოდებია. ყველაზე მნიშვნელოვანი

არის ის, რომ ჩვენ ისრაელიდან საჭირო დოკუმენტი არ გამოვიტხოვეთ. ანუ, იყო თუ არა ფიჩხაძის მიერ დეკლარირებული ის თანხა, რომელზეც ბეჭდური აცხადებს, ვალად ავიღეთ. გარდა ამისა, იყო პროცედურული დარღვევები. კომისიის სხდომას, რომელზეც დასკვნას ხელი მოეწერა, რვა კაცი არ ესწრებოდა, როცა კანონი პირდაპირ ითხოვს ამას. საერთო ჯამში, ჩვენ უკმაყოფილები ვართ და „ოპოზიის“ საქმეზე მუშაობას არ დავასრულებთ მანამ, სანამ ყველა ნიუანსს არ გავაჩვენებთ.



# „პროკურული „ჭინჭრები“ და „ეკლები“ თითოდან გამოწოვილი თაგაა“

— **ბოლო დროს, ტელეარხებით ხშირად ისმის მსჯელობა რაღაც შეთქმულებაზე. თქვენი აზრით, შეიარაღებული გადატრიალების საფრთხე რეალურია?**

**კახაბა ზაძარაიშვილი**, რესპუბლიკური პარტია:

— ამ ლეგენდებს ხელისუფლება იგონებს. რეალურად ახალი რევოლუციის არანაირი საფუძველი და მოტივი არ არსებობს. „ჭინჭრებით“ მოსვლის გიორგაძის მუქარაზე იმიტომ ამახვილებენ ყურადღებას, რომ საზოგადოებაში დაძაბულობა შეიტანონ. უკმაყოფილო ელექტორატისთვის, რომელიც სააკაშვილს ხმას არ მიცემს, საფრთხობელას სახეს ქმნიან და ამით ეუბნებიან: ან ჩვენ ვიქნებით, ან გიორგაძე მოვა, სხვა პოლიტიკური პარტიები კი თამაშგარე მდგომარეობაში არიან... ხელისუფლებას უნდა, ჩაძიროს ის ოპოზიციური პარ-

ტიები, რომლებიც დემოკრატიზაციისკენ მოუწოდებენ. შევარდნაძეც ზუსტად იმავეს აკეთებდა. საქართველოში წარმოდგენილი ოპოზიციური პოლიტიკური ძალები ცდილობენ, ყოველთვის კონსტიტუციისა და კანონის ფარგლებში იმოქმედონ. ჩვენ ახალი რევოლუცია არაფერში გვჭირდება, ჩვენ გვინდა დემოკრატია. სამწუხაროდ, საზოგადოებაში ამის მოთხოვნილებას ნაკლებად ვხედავ. სააკაშვილმა ეს მშენივნად იცის, ამიტომ „აპირებს“ გიორგაძეს და ამკაცრებს დიქტატურას. ეს გაგრძელება მანამ, სანამ მისივე ნიალიდან არ მოვა ვინმე, ოქრუაშვილის მსგავსი პერსონა, რომელიც ყოფილი მმართველის გადმოგდებას შეეცდება და ახალ დიქტატურას შემოგვთავაზებს. საქართველოში ამის საფრთხე რეალურად არსებობს, პრორუსული „ჭინჭრები“ და „ეკლები“ კი თითოდან გამოწოვილი თაგაა.



# „არ გამოპრიცხავ, როცა კოკოითს, ჯარის გაყვანაზე მეტად, საკუთარ ოპოზიციასთან პირისპირ დარჩენა აფრთხობს“

— კოკოითი მოსკოვს ველარ ვლევა, ის ომისთვის ემზადება, მაგრამ რა სიტუაციაა კონფლიქტის ზონაში, როგორია მოსახლეობის განწყობილება?

**სოსო ცინცაძე**, პოლიტოლოგი:

— კოკოითი ამდენი ხნით რუსეთში არასოდეს შეყოვნებულა. შესაძლოა, იქ სამუდამოდ დასარჩენადაც ემზადება. ამისთვის ორი მიზეზი აქვს: საქართველოს ხელისუფლების ნაბიჯები და საკუთარი ოპოზიციის შიში. არ გამოვრიცხავ, რომ მას ჯარის გაყვანაზე მეტად, საკუთარ ოპოზიციასთან პირისპირ დარჩენა აფრთხობს. დღეს, კოკოითი და მისი რეჟიმი რუსეთის შეიარაღებაზე დგას; თუ ეს დასაყრდენი გამოეცლება ხელიდან, მისი პოლიტიკური სიკვდილი გარდაუვალია. რუსი

ჯარი და გენერალი კულახმეტოვი რეგიონში არსებული, დე ფაქტო პრეზიდენტის წინააღმდეგ რადიკალურად განწყობილი ძალებისგან იცავენ კოკოითს. რაც შეეხება კონფლიქტის ზონაში არსებულ სიტუაციას, ჩვენთვის მთავარი ის არის, რომ ცხინვალის რეგიონში უბრალო მოსახლეობა ტრაგიკულად არ განიცდის რუსი სამშვიდობოების გაყვანას. მათ ქართველ თანასოფლელებთან არა აქვთ ისეთი გამწვავებული ურთიერთობა, რომ ელოდებოდნენ იმ დღეს, როდესაც მიეცემათ შესაძლებლობა, იარაღს დაავლონ ხელი და მეზობლებს ისვენ მიმართონ. ეს განწყობილება საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გამოიყენოს. კონფლიქტურ სიტუაციაში სახალხო დიპლომატია უდიდეს როლს თამაშობს. ■

# „მანამ ვიუიოვილებთ, სანამ უნივერსიტეტის ნგრევას თავიდან არ ამოიგდებან“

— უნივერსიტეტში შიმშილობა გრძელდება, მაგრამ ამ ფაქტმა ლომია და ლორთქიფანიძე ვერ შეაშინა, რისი იმედი გაქვთ? **ბურამ შარაძე**, პროფესორი:

— ისინი ავრცელებენ დეზინფორმაციას, თითქოს შიმშილობა შეწყდა, რათა საზოგადოება დაამშვიდონ — მისი მთელი ყურადღება სომ უნივერსიტეტისკენაა მიპყრობილი... განათლებისა და მეცნიერების ე.წ. მინისტრი და ვაი-რექტორი რუსუდან ლორთქიფანიძე შემინებულენ არიან, ლომიათ საჯაროდ განაცხადა — უნივერსიტეტიდან უნდა გავათავისუფლოთ და დავიჭიროთ ესა და ეს პიროვნებები. ასეთ გადაწყვეტილებებს კომუნისტების დროს ცეკაში იღებდნენ... ლორთქიფანიძე კი, თბილისშიც ვლარ ჩერდება და მისი დამნიშნავი პრეზიდენტის მსგავსად, სულ ფრენაში ატარებს დროს. ამბობს, დასავლეთში უცხოელი კადრების მოზიდვაზე ვმუშაობო. თუ ასეა, გააკეთოს ანგარიში, რამდენჯერ იყო საზღვარგარეთ და რა მიზნით. როდესაც რუსუდან ლორთქიფანიძეს უნივერსიტეტის წარმომად-

გენლობითი აკადემიური საბჭოს რამდენიმე წევრი შეხვდით და ვუთხარით, რომ უცხოეთში საკუთარი ბიზნესის მოსაგვარებლად დაფრინავ-თქო, აღშფოთდა — უსაფუძვლოდ მდებთ ბრალს და ამ საკითხზე კომენტარს არ გავაკეთებო. თუ მას, სააკაშვილის მსგავსად სურს, მუდამ ჰაერში იყოს, არავინ უშლის, უნივერსიტეტის გაძვალტყავებულ ბიუჯეტს კი თავი დაანებოს. ჯერ მარტო თბილისში ავტომობილით გადაადგილებისთვის 50 ათასზე მეტი აქვს დახარჯული. ჩვენ კიდევ გვაქვს სიტუაციის გამოსწორების იმედი და მანამ ვიშმშილებთ, სანამ ლომია, ლორთქიფანიძე და სააკაშვილი უნივერსიტეტის ნგრევის გემას თავიდან არ ამოიგდებენ. ■



# „თბილისის ხელისუფლება საიდუმლოდ აქცია ყველა ის დოკუმენტი, რომელიც ბიუჯეტს ეხება“

— თუ ქალაქის ბიუჯეტიდან თანხა არამიზნობრივად იხარჯება, ვინ უნდა აწარმოოს მონიტორინგი? **დავით ლილუაშვილი**,

არასამთავრობო ორგანიზაცია „დემოკრატიკა კავშირი“.

— კანონით თვითმმართველობის შესახებ, არასამთავრობო ორგანიზაციებს უფლება აქვთ განხორციელონ მონიტორინგი — როგორ იხარჯება ბიუჯეტი გამგებებსა და საკრებულოში. სამწუხაროდ, ხელისუფლებას არ უნდა იმ კანონის შესრულება, რომელიც თავად მიიღო. ქალაქის მერი ბოლო დროს სულ ჩაიკეტა — მის კაბინეტში შეღწევას ვერც არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ახერხებენ და ვერც თბილისის მცხოვრებნი; თბილისის ხელისუფლებამ საიდუმლოდ აქცია ყველა ის დოკუმენტი, რომელიც ქალაქის ბიუჯეტს ეხება. გიგე უგულავა კი აცხადებს, რომ ის ანგარიშვალდებულია მხოლოდ პრეზიდენტის წინაშე, ამიტომაც, თავს ვალდებულად არ თვლის, შეხვდეს თბილისელებს. თუ საზოგადოება არ გააქტიურდება და არ გააკონტროლებს იმას, თუ სად მიდის ჩვენი ფული, ხელისუფლების მხრიდან დიქტატი და თანხების არამიზნობრივად ხარჯვის მასშტაბი გაორმაგდება. პიარკამპანიების ფონზე, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა, დედაქალაქში უამრავი მოუგვარებელი პრობლემაა. მალე ადგილობრივი არჩევნები მოდის და ხომ უნდა გავიგოთ, რა გააკეთა ქალაქის მთავრობამ? ლიტვებმა და სხვა რაიონებში დახარჯულ კოლოსალურ თანხას ასახელებენ, მაგრამ როცა ხარჯთაღრიცხვას ვითხოვთ — მალავენ, იგივე მდგომარეობაა ყველა სხვა სფეროში. ეს ადმინისტრაციული გადაცდომაა და კანონით სასჯელს ითვალისწინებს. ■





ტრენინგები, ნარკომანია, სექსობრივი გზით გადამდები დაავადებები, ქურდობა და ა.შ. ეს ბინძური საქმიანობაა, რომელშიც ის ბავშვები არიან ჩართულნი, რომელთაც საკუთარი თავის დაცვისა და არჩევანის გაკეთების შეზღუდული შესაძლებლობები აქვთ. დღეს ბევრი სახელმწიფო სტრუქტურა თუ არასამთავრობო ორგანიზაცია ცდილობს, გზას აცდენილი ბავშვების დახმარებას. მათ შორისაა World Vision International, რომელიც საქართველოში ახორციელებს პროექტს — „ქუჩის ფილოსოფოსი“. აქ, 10-20 წლის ასაკის ახალგაზრდებს გადანყვებილების მიღებასა და სასიცოცხლო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში (უცნაური მეთოდი — სპეციალური მულტფილმების — „კარატე და ბავშვები“ და „ოქროსკობილა“ ჩვენებით, ადაპტირებული მასალების გამოყენებით) ეხმარებიან.

# „ქუჩის ფილოსოფოსის“ უცნაური მეთოდი...

## როცა ქეჩაში გამოსულ ბავშვს ქერდობას ავალევენ და ნებოს ასუნთქებენ

### ლიპა ქაჩაია

**შოთა შუაღაბაძე, პროექტის მენეჯერი:**

— პროექტი დაიწყო მაისში. ის ითვალისწინებს ქუჩისა და რისკის ქვეშ მყოფ ბავშვებში მაგნი შეგავლენის პრევენციას. ჩვენი პარტნიორია Street Kids International, რომელსაც შემუშავებული აქვს სპეციალური მეთოდოლოგია თემაზე — როგორ ვიმუშაოთ ბავშვებთან. ნარკოტიკი, სექსუალური ძალადობა, ქურდობა რომ ცუდია, ეს ბავშვებმა კარგად იციან და ამის ხშირ-ხშირად შესხენება შედეგს არ გვაძლევს.

**როგორც ვიცი, ამას ხშირად უკუშედეგამდეც კი მივყავართ, არა?**

— მართალია, უკუშედეგს ძალიან ხშირად ვიღებთ. სწორედ ამას ეხმაურება ჩვენი მეთოდი. ჩვენ გვინდა, გავდოთ გარკვეული ხიდი ჩვენსა და ამ ბავშვებს შორის და მათ ჩვენი მოსაზრებები კი არ მოვახვიოთ თავს, არამედ თავად ისინი ჩავაყენოთ ექსპერტის როლში.

**რას გულისხმობთ?**

— სპეციალურ მულტიპლიკაციურ ფილმებს, რომლებიც ქართულ ენაზე გადმოვთარგმნეთ. აქ ასახულია მათი თანატოლების ცხოვრება. ამ ფილმების ჩვენების შემდეგ, დისკუსიების საფუძველზე, მოზარდები იღებენ გადაწყვეტილებას — რა არის კარგი, როგორ უნდა მოიქცნენ და ა.შ. ბავშვებმა გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება უნდა ისწავლონ იმისთვის, რომ მზად იყვნენ იმ რისკისთვის, რასაც ისინი ყოველდღიურ ცხოვრებაში შეხვდებიან.

**ეს პროექტი მარტო ქუჩის ბავშვებზეა გათვლილი?**

— არა მარტო მათზე. ხშირ შემთხვევაში, ქუჩის ბავშვს მეტი იმუნტიტი აქვს იმ პრობლემების წინაშე, რაც ქუჩაშია, ვიდრე სასაბურთე პირობებში გაზრდილს, რომელიც დედის კალთასაა მიჯაჭვული და შეიძლება, ერთ მშვენიერ დღეს, ამ ველურ გარემოში მოხვდეს და დაიღუპოს. ცუდ გზას დაადგეს იმიტომ, რომ მას ელემენტარული ინფორმაცია არ ჰქონდა გარდა იმისა, რასაც უყიფინებდნენ — ეს არ გააკეთო, ის ცუდია და ა.შ.

**თქვენ მიერ გამართულ ტრენინგებს რომელი კატეგორიის ბავშვები ესწრებოდნენ?**

— ტრენინგს ამ ეტაპზე ესწრებოდნენ ბავშვები, რომელთაც შშობლები ჰყავთ, ქუჩაში არ სძინავთ, მაგრამ თითოეულ მათგანს აქვს მძიმე ისტორია, ისინი რისკის ქვეშ მყოფი ბავშვები არიან, ამ მეთოდმა გაამართლა. ბავშვები დისკუსიაში ჩაერთვნენ. აქტიური მოზარდები შევარჩიეთ, „დავატრენინგეთ“ და დღეს ისინი თანატოლებთან მუშაობენ.

**მეთოდმა გაამართლაო, შეგიძლიათ თქვათ მაშინ, როცა ქუჩიდან მოყვანილი, ნარკომანიაში, ქურდობაში ჩართული ბავშვი დაინყვებს ფიქრს ამ საქმის მიტოვებაზე...**

— დიას და ჩვენ ამასაც მივალწევთ. უბრალოდ, ეს მეთოდი ჯერ ამ ბავშვებზე მოვსინჯეთ.

**თქვენ გჯერათ, რომ ამ ფილმების ნახვის შემდეგ, მოზარდი სწორ გზას დაადგება?**

— შეიძლება, უცებ სწორ გზას ვერ დაადგეს, მაგრამ აუცილებლად შეიცვლის შეხედულებას ცხოვრებაზე.

**მაგრამ ისინი თავის გატანას მარტო შეცვლილი შეხედულებებით ვერ მოახერხებენ. თქვენი პროექტი ითვალისწინებს თუ არა მათ დასაქმებას?**

— ჯერ ერთი, ბავშვთა დაცვის კონვენცია ბავშვის დასაქმებას კრძალავს. შენ არ გაქვს უფლება, მოზარდი დასაქმო და ანაზღაურება გადაუხადო. თანაც, ეს ისეთი უკონტროლო პროცესია, რომ თუ სახელმწიფომ რაიმე პროგრამა არ გაატარა, თუ ჩვენი სოციალური დონე არ ამაღლდა, პირდაპირ გეტყვით, რომ ეს ერთი

პროექტი წყალში ჩაგვეყრება. ჩვენ ამ ბავშვებს ვაძლევთ იარაღს — ცოდნის სახით. იქნებ, მათ შემოღონ და თავი დააღწიონ ამ სიტუაციას. შეიძლება ბავშვმა ისევ შეისუნთქოს ნებო, ისევ ცუდ გარემოს დაუბრუნდეს, მაგრამ მისი თვითშეგნება სხვა საფეხურზე იქნება და ეცოდინება, რომ კარგს არ აკეთებს.

**თანაც, იოლად მოპოვებული ფული უფრო ადვილად იხარჯება არა?**

— რა თქმა უნდა. ასეთ ბავშვებს უცებ ვერ დაასაქმებ. ისინი მიუჩვეველი არიან შრომას. მათ შრომით მოპოვებულ ფულს, მანანნალად ყოფნა ურჩევნიათ.

**მანანალა ბავშვების შშობლებთან თუ აპირებთ ტრენინგის ჩატარებას?**

— ამ ბავშვების შშობლები უფრო მძიმე კატეგორიის მიეკუთვნებიან, ვიდრე მათი შვილები. რა თქმა უნდა, მათთან შეხვედრა აუცილებელია და ამას ჩვენი საქმიანობის მეორე ეტაპზე მოვახერხებთ.

**თქვენმა მეთოდმა რომელიმე ქვეყანაში გაამართლა?**

— ეს მეთოდი გამოყენებული იყო ლათინურ ამერიკაში. ამ ქვეყნებს მანანალა ბავშვებთან მუშაობის უდიდესი გამოცდილება აქვთ. პროექტი წარმატებით განხორციელდა ასევე შუა აზიის ქვეყნებში, რუსეთის რამდენიმე ქალაქში და ა.შ. იმედს ვიტოვებ, რომ ჩვენს ბავშვებსაც ეშველება.

*ჩვენ გავსაუბრეთ ბავშვებს, რომლებმაც ტრენინგი გაიარეს და დღეს თანატოლებთან ერთად მუშაობენ.*

**მარი, 14 წლის:**

— პატარა ვიყავი, როცა ჩემი შშობლები ერთმანეთს გაყარნენ, მალე ორივემ ცალ-ცალკე ოჯახი შექმნა. მე ბებიასთან ვიზრდებოდი, სადაც ჩვენთან ერთად ზიბა (დედაჩემის ძმა), ბიცოლა და ბიძაშვილები ცხოვრობდნენ. მყავს 8 წლის ძმა გიორგი, რომელიც დედას სხვა კაცისგან ჰყავს... როცა ვფიქრობ, რომ შშობლებმა მიმატოვეს, ძალიან ებრაზდები. თუმცა, ეს ბოლო დღეები დედასთან გავატარე.


**მამასთან როგორი ურთიერთობა გაქვს?**

— მამას საერთოდ არ ვიცნობ. მასზე მხოლოდ ის ვიცი, რომ ადიგენის ერთ-ერთ სოფელში ცხოვრობს. ჰყავს მეუღლე და 4 შვილი. მე მარტო დედაჩემის ოჯახს ვიცნობ.



ეს მეთოდი ჯერ ამ ბავშვებზე მოვსინჯეთ





ამიგომაც მოველი აქ. სიგუაცია მომეწონა და დავრჩი

— დედასთან როგორ ურთიერთობა გაქვს?

— რომ გითხრათ, არაჩვეულებრივი-მეთქი, მოგატყუებთ.

— მაშინ რატომ გადახვედი მასთან?

— იმიტომ, რომ ბიცოლაჩემთან კონფლიქტი მომდის. მეგრა, რომ ჩემთვის კარგი უნდა, მაგრამ არ მომწონს, როცა ვილაც რალაცნაირად მექცევა.

— არ მოგწონს, როცა ჭკუას გარიგებენ?

— დედასთან რომ არ ვცხოვრობ, ამის გამო, თითქოს ზევიდან მიყურებენ. მე კი ეს არ მსიამოვნებს. თანაც, ვერ ვიტან, ძალიან ვენერვიულობ, როცა ვინმე ჩემს ძმას ეჩხუბება.

— ბიცოლას გულისხმობ?

— ჰო. გუშინ დედასთან ავედი და ვუთხარი: გიორგი შენთან იცხოვრებს-მეთქი. ვიცი, რომ მასაც თავისი პრობლემები აქვს და ჩვენი დრო არ რჩება, მაგრამ მირჩევნია, მის გვერდით ვიყო, ვიდრე სხვებთან ერთად ვცხოვრობდე.

— დედაშენს ქმართან როგორ ურთიერთობა გაქვს?

— მართალია, მას მამას ვერ დავუძახებ, მაგრამ ის არაჩვეულებრივი ადამიანია, მასთან მეგობრული დამოკიდებულება მაქვს, შემძლია, ყველა საიდუმლო გავანდო. მინდა, სულ მათთან ვიცხოვრო, მაგრამ ბებოსაც მივეჩვიე და თან კომპლექსიანიც ვარ, ყველასი მერიდებ.

— რისი კომპლექსი გაქვს?

— აი, მაგალითად, უბნელ გოგო-ბიჭებთან ერთად დადგომა მრცხვენია.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ჭორიკანა მეზობლები მყავს. ვინმე რომ გადავკოცონო, მეგობრულად მოვიკითხო — ცუდად იფიქრებენ. ერთი დაქალი მყავს. ვიცი, რომ ცუდი გოგო არ არის, მაგრამ სახელი გაუფუჭეს. ამის გამო, ბიცოლაჩემიც მეჩხუბება: იმ გოგოსთან ერთად არ დაგინახო! მე კი თითქოს ვეჯინებ, უფრო მეტად ვდაქალობ მასთან. თუმცა, გოგო ვარ და არ მინდა სახელი გამიფუჭდეს — ბებოსიც მერიდებ. რაც ის გოგო გავიცანი, თითქოს ყველა ჩემს წინააღმდეგ ამხედრდა. ნათია გავაფრთხილე: შენზე ასე ამბობენ-მეთქი, მაგრამ ასე მითხრა: ფეხებზე მკიდია სვეისი აზრიო.

— არ გიცდია, იმ მიუსაფარ ბავშვთა ცენტრში წაგყვანა, სადაც შენ დადიხარ?

— არ წამოვა. ისეთი ოჯახი არ აქვს, როგორც მე...

— შენ როგორი ოჯახი გაქვს?

— უბრალო. თავი ძლივს გავგაქვს. ბებია ბევრს წვალბოს იმისთვის, რომ ჩვენ საჭმელი გვაჭამოს. ახლა ცუდად არის, და ხშირად ამბობს: რა გიყოთ, ახლა მაინც, დედათქვენმა მოგხედოთო.

— შენს ბიძაშვილებზე არაფერს იტყვი?

— რა უნდა ვთქვა? როცა ვხედავ, რომ მათ ის სიტუაციაა, რაც მე და ჩემს ძმას გვაკლია, ზოგჯერ მალიზინებს, ყველაფერზე ვენერვიულობ... ბიძასთან კარგი ურთიერთობა მაქვს, მას მამასაც კი ვეძახი. ამიტომ, არ მინდა, ბიცოლას ვეჩხუბო და ამით მას გული ვატყინო. მაგრამ არ ვქნა, ამას ძალით ხომ არ ვაკეთებ?!

— ამ ცენტრში როგორ მოხვდი?

— მიუსაფარ ბავშვთა ცენტრში ჩემი მეზობლები დადიოდნენ. მათ აქ ჩემი ძმა მოიყვანეს, რომელიც სულ ქუჩაში იყო, უწინაურ სიტყვებს ამბობდა. ამიტომ, ხშირად ვჩხუბობდით, თან ჩუმ-ჩუმად ვაკონტროლებდი კიდევ. მეშინოდა — ცუდ საქმეში არ გარეულოყო. ამიტომაც მოვედი აქ. სიტუაცია მომეწონა და დავრჩი.

— სკოლაში არ დადიხარ?

— სკოლაში ორივენი დავდივართ. იქიდან კი აქ მოვდივართ და 7 საათამდე ვრჩებით. აქ თავს ბედნიერად ვგრძნობ. ოდნავ უფრო თამამიც გავხდი. მეგობრობა ვისწავლე, მივხვდი, ცხოვრებაში რა გზა უნდა ავირჩიო.

— რა დაისახე მიზნად?

— მინდა, ვიყო განათლებული, ჩავაბარო იურიდიულ ფაკულტეტზე და კიდევ მინდა, ბებოს ის სიკეთე გადავუხადო, რაც გავაკეთა. მინდა, ყველას დავემტკიცო, რომ უბრალო ადამიანი ვარ, მაგრამ რალაც შემიძლია. ჩემი აზრით, ადამიანმა სწავლით, შრომით უნდა მიაღწიოს ყველაფერს. მართალია, არის შემთხვევები, როცა განათლებულ ადამიანს სამსახურში არ იღებენ, მაგრამ...

— ბებია ამ ცენტრში უპრობლემოდ გამოგიშვა?

— თავიდან არ გვიშვებდნენ, მაგრამ მერე ჩვენი ფსიქოლოგი მაია არაბული მივიდა ჩემებთან, გააცნო პროექტი და ახლა მოსწონთ, აქ რომ მოვდივართ. სხვა თუ არაფერი, 24 საათის განმავლობაში ქუჩაში მაინც არ იქნებანო. ყველა მშობელს ეშინია — ჩემმა შვილმა ცუდი რამე არ გააკეთოსო. იმაზე არ ფიქრობენ, რომ რასაც უფრო გიკრძალავენ — არ გააკეთო, იმას ორმაგად აკეთებ. ჩემთვისაც ხომ უთქვამთ: ნათიასთან ნუ დაქალობ, მაგრამ მე? მე ის უფრო მომწონს, მინდა და ვიდაქალებ.

— „ქუჩის ფილოსოფოსის“ პროექტზე რას იტყვი?

— ტრენინგი ჩავგიტარეს და მულტიპლიკაციური ფილმები გვაჩვენეს. ამ ფილმის ნახვის შემდეგ, ბევრ რმეს მივხვდი.

— უფრო კონკრეტულად?

— ფილმი არის ერთ პატარა ბავშვზე, რომელიც ქურდობაში ჩაითრია ვილაცამ. თან ნარკოტიკებსაც აძლევდა, წებოს ასუნთქებდა. ეს ბიჭი ცხენში ჩაჯდა, მაგრამ შემდეგ, სწორ გზას დაადგა, მერე კი,

იმ ბავშვების გამოსწორებაც სცადა, რომლებიც წებოს სუნთქავდნენ... მეც მინდა, ვინმე გამოვასწორო და საქართველოში საერთოდ აღარ იყვნენ მანანაწალა ბავშვები.

ზვიადი, 16 წლის:

— ქუთაისში დავიბადე. სკოლაში იქ დავდიოდი. მაგრამ, მერე, ჩემები თბილისში წამოვიდნენ, ვაჭრობა დაიწყეს და მე ფეხბურთზე შემეყვანეს. იქ ერთი ბიჭი გავიცანი, რომელმაც აქ მომიყვანა. აქაურობა ისე მომეწონა, რომ ფეხბურთი მივატოვე.

— რა მოგეწონა?

— ყველაფერი — ბავშვები, მასწავლებლები... ერთმანეთს ყველა თბილად ექცევა, ტრენინგებზე დავდივართ. თვე-ნახევრის წინ კი კულისარობაც შემასწავლეს. მალე მუშაობასაც დავიწყებ.

— კულნარით რატომ დაინტერესდი?

— მასწავლებლებმა მირჩიეს და მათ დავუჯერე.

— ფეხბურთზე სარული მიატოვე?

— კი, მაგრამ ჩემებმა ეს გვიან გაიგეს.

— რატომ უმაღლესი მათ სიმაართლეს?

— ვიცოდი, რომ გული დასწყებოდათ, რდგან დედას ძალიან უნოდა, რომ ფეხბურთზე მეყო. სიმაართლე რომ გაიგო, მართლა ენყინა. მამაჩემმა ამის გამო მცემა კიდევ.

— მშობლები ხშირად გცემენ?

— არა, მაგრამ გაბრაზდა — სხვაგან თუ დადიოდი, რატომ გვიმალავდიო? მეორე დღეს დამსვა და იმდენი მელაპარაკა,



აქ სულ სხვა სიტუაციაა. ცენტრში ყველა ჩემი მეგობარია, მასწავლებლებიც სხვანაირები არიან

რომ თავი ამატყავა.

— სკოლაში არ დადიხარ?

— არა, რადგან სწავლა მეზარება.

— მაგრამ აქაც ხომ რალაცას სწავლობ?

— აქ სულ სხვა სიტუაციაა. ცენტრში ყველა ჩემი მეგობარია, მასწავლებლებიც სხვანაირები არიან.

— ე. სკოლაში რომ არ სწავლობდი, ეს მასწავლებლების ბრალი იყო?

— არა, ისინი რა შუაში არიან?! სხვები ხომ სწავლობდნენ! მაგრამ უცხოა, მე ქუჩა და თამაში უფრო მიტაცებდა, ვიდრე წიგნები.

— როცა უფროსები რჩევას გაძლევდნენ, ეს გალიზიანებს?

— ხშირად ვითვალისწინებ...

— მაშინ რატომ იცინი? მატყუებ?

— ჰო, ბევრ რამეს არ ვიჯერებ და





როცა ბავშვი ცენტრში მოჰყავდათ, მას ცისარტყელას დასაგვას ვიხილავდით, თითოეული ბავშვის ნახატში შავი ფერი სჭარბობდა, რაც ლაპარაკი ფონის მაჩვენებელია

ჩემებურად ვაკეთებ ხოლმე.

— მშობლების მოტყუება ხშირად გინევს?

— ისინი თვითონ მაიძულებენ, რომ ტყუილი ვთქვა.

— რას ამბობ, გუუბნებინან, სიმართლე არ თქვაო?

— ხანდახან, როცა სიმართლეს ვამბობ, არ მიჯერებენ — იტყუებო. ჩემი ტყუილი მათთვის მართალია, სიმართლე კი — ტყუილი და რა ვქნა?

— იოლი გზით ფულის შოვნაზე გიფიქრო?

— არა, რადგან მშობლებმა მიმაჩვიეს იმას, რომ ფული არ მჭირდება (ჯერჯერობით, რა თქმა უნდა). სახლში ფულს ვერც ვახსენებ. თუ ოდესმე დამჭირდა, იძულებული ვიქნები, ის ჩემი შრომით ვიმოვო. დღეს ჩემი საფიქრალი ისაა, ძმაკაცს რომ თანხა დასჭირდეს, რა ვქნა, თორემ, მე არაფერში მჭირდება.

— შენს ძმაკაცებს ფული რაში სჭირდებათ?

— მათ ხშირად თავანი აქვთ ჩასაბარებელი და ჩემთან მოდიან ხოლმე.

— მერე, როგორ ეხმარები ხოლმე?

— რა ვიცი, რაღაცებს ვახერხებთ...

— პროექტ „ქუჩის ფილოსოფოსზე“ რას მეტყვი?

— რა გითხრა? ტრენინგის მერე, ქუჩაში რომ გამოვედი, მივხვდი — ძალიან ბევრი ბავშვი ტოქსიკომანია.

— მანამდე არ იცოდი?

— კი, მაგრამ ახლა უფრო დავაკვირდი ქუჩის ბავშვებს ცხოვრებას — ისინი მათხოვრობენ იმისთვის, რომ საღამოს, წებო ისუნთქონ და რეალობას მოსწყდნენ.

— ამ ბავშვებთან ლაპარაკი თუ გიცდია?

— კი, მაგრამ ისინი საოცრად აგრესიულები არიან, მათთან უბრალოდ ლაპარაკს აზრი არა აქვს.

— შენ თვითონ თუ გიცდია წებოს შენსუთქვა?

— არა, მაგრამ სიგარეტს ვწნეოდი.

— ახლა აღარ ეწევი?

— ხანდახან ვწნევი, მაგრამ აუცილებლად დავანებებ თავს.

— რაზე ოცნებობ ხოლმე?

— არაფერზე არ ვოცნებობ, რადგან ოცნება ოცნებადვე რჩება, ტვინი ტყუილად რაზე გადავიტვირთავ (იციანის)?!

„ქუჩის ფილოსოფოსების“ — მარისა და ზვიადის ფსიქოლოგს, ქალბატონ მანია არაბუშლას ვესაუბრეთ.

— ამ ბავშვებს ყველაზე მეტად უფროსებთან, კლასელებთან ურთიერთობის პრობლემა აქვთ. ისინი თავს გარიყულად, დამცირებულად გრძობენ. ჩვენთან რეაბილიტირებული ბავშვები ცოტა ხანში, სულ სხვანაირები გახდნენ. ერთ მაგალითს მოვიყვან: როცა ბავშვი ცენტრში მოჰყავდათ, მას ცისარტყელას დახატვას ვთხოვდით; თითოეული ბავშვის ნახატში შავი ფერი სჭარბობდა, რაც დეპრესიული ფონის მაჩვენებელია. ისინი აგრესიულიებიც, ეგოისტურებიც იყვნენ, მათ აღმანიებთან ურთიერთობა უჭირდათ.

სხვათა შორის, ჩვენთან ისეთი ოჯახის შვილებიც ხვდებიან, რომლებიც თითქოს აქ არ უნდა იყვნენ, მაგალითად, ის მოზარდები, რომლებიც სწავლობდნენ საკმაოდ პრესტიჟულ სკოლებში, თავს იგნორირებულად, დაუცველებად გრძობდნენ, რადგან მოკლებულნი იყვნენ იმ ფუფუნებას, რასაც ჰქვია ფული — ვერ დადიოდნენ ექსკურსიებზე ჰქონდათ ფონდის ფულის გადახდის პრობლემა და ა.შ. ამიტომაც, მათ ჩამოუყალიბდათ უნდობლობა საზოგადოების მიმართ. აქ კი ყველას ერთნაირად უჭირს და ულხინს, ლიდერი არ გვყავს. ყველა ერთმანეთზე ზრუნავს.

— როგორ მოვიქცეთ, როცა ქუჩაში მოზარდი გვესხმის თავს?

— მასთან მორალზე ლაპარაკს აზრი არა აქვს. მას ისევე უნდა მოეცეთ, როგორც ის გმქცევა.

— ანუ აგრესიაზე აგრესიითვე უნდა ვუბასუხოთ?

— არა, უბრალოდ, უნდა ეცადო, მას თავი აარიდო. თუ ბავშვმა შენში უნდობლობა დაინახა, მასთან აღარაფერი გაგივა. შენ მიერ გადაგდებული 1 კანფეტი მისთვის არაფერს ნიშნავს — ისინი



ისინი ერჩიან იმას, ვინც მდიდარია და მათთვის ვერაფერს იმეგებს

მიჩვეულნი არიან დახმარებას. აქ მთავარია, ადამიანური ურთიერთობები. ესენი არიან „ბომჟები“. ძალიან ბევრმა სცადა ამ ბავშვების გაჩერება ბავშვთა სახლებში, მაგრამ ისინი ისევ ქუჩაში გარბოდნენ... სხვათა შორის, ისინი ჩვეულებრივ ხალხს შეურაცხყოფას არ მიაყენებენ. ისინი ერჩიან იმას, ვინც მდიდარია და ვერაფერს იმეგებს, ან იმათ, ვინც მათ ამრეგზით შეხედავს. ეს არის სუბლიმიაცია — ამაში რეალიზდება მოზარდის პიროვნული თვისებები. ეს ერთგვარი შემოქმედებაა — როცა ბავშვი ამას აკეთებს, ის ამით თავის გულსტვიკილს გიმხელს, უნდა, ის ჩაკეტილობა მოიხსნას, რამაც შეიპყრო. რადგან ისინი ბუნებით თავისუფალი ბავშვები არიან.



# როგორ იწერაზომა „მონანიება“

## მარი ჯაშარიძე

1937 წელი. ღამით, გელოვანების ოჯახს „ჩეკისტები“ სტუმრობენ და ცოლ-ქმარს, სახელმწიფო ქონების გაფლანგვის ბრალდებით აპატიმრებენ. შინ ორი არასრულწლოვანი ბავშვი რჩება: უფროსი — თამაზი და უმცროსი — ეკა. მალე ეკა ფილტვების ანთებით იღუპება, ხოლო თამაზი კრიმინალების წრეში ხვდება და დამნაშავედ ყალიბდება. მკვლეელი, ყაჩაღი, მოთამაშე, კრიმინალური სამყაროს რისხვა, საშუალო წერტილის სახელით მოქმედებდა... ერთ-ერთი მკვლელობის საქმის გახსნის დროს, ძიება მის კვალს დაადგა და დააპატიმრეს კიდევ ციხიდან გაქცევის მცდელობის დროს, ის მძიმედ დაიჭრა და საავადმყოფოში აღმოჩნდა, სადაც ოპერაცია მისი ბავშვობის მეგობარმა და პირველმა სიყვარულმა, ციკლა ბარათელმა გაუკეთა, თუმცა, ექიმმა ავადმყოფი ვერ იცნო... ბავშვობის დროინდელმა სიყვარულმა დამნაშავეს წარსული გაახსენა, მასში ადამიანურმა გრძობებმა გაიღვიძა და სიკვდილის წინ, მონანიების სურვილი აღედგა. გამოძიებულს ყველაფერი დაუფარავად უამბო და ბედნიერი ღიმილით დალია სული...

ეს გახლავთ მოკლე შინაარსი ქართული დეტექტივისა — „მონანიება“, რომელიც შიო გვეტაძეს ეკუთვნის. ბატონი შიო თავად გახლდათ ძალოვანი სტრუქტურის თანამშრომელი და კარგად ხედავდა დამნაშავეთა სამყაროს ყველა მანკიერ მხარეს, მაგრამ არც ის გამოჩენილი თვალთახედვის არიდან, თუ კომუნისტური მმართველობის დროს, რა სოციალური გარემოებები აიძულებდა ზოგიერთ ადამიანს, დამნაშავედ გზას დასდგომოდა. მაგრამ მაშინ, თითოეული ბეჭდური სიტყვა მკაცრ ცენზურას ექვემდებარებოდა და ამ მხრივ, „მონანიება“ არ ყოფილა გამონაკლისი. ავტორს თავდაპირველი ვერსიის შეცვლა მოუხდა, რასაც ძალზე განიცდიდა. წიგნი მცირე ტირაჟით დაიბე-



ქდა და ის ყველასთვის ხელმისაწვდომი არ იყო და ხელიდან ხელში გადადიოდა...

ბატონი შიო 1979 წელს გარდაიცვალა. ჩვენ დავუკავშირდით მის ქალიშვილს, ძალბატონ ლალის, რომელიც ექიმი გახლავთ და ქუთაისის ერთ-ერთ კლინიკაში მუშაობს. ვთხოვეთ, მამის შესახებ საინტერესო დეტალები გაეხსენებინა.

— მამა 1924 წელს დაიბადა. სკოლის დამთავრების შემდეგ, იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობდა. ჯერ კიდევ სტუდენტი იყო, როდესაც დიდი სამამულო ომი დაიწყო და მოხალისედ წავიდა ფრონტზე. 1943 წელს დაიჭრა და პოსპიტალში ფეხი (მუხლს ქვემოთ) მოჰკვეთეს. ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, შინ დაბრუნდა. სწავლა ომის დამთავრების შემდეგ განაგრძო. სხვადასხვა დროს მუშაობდა მოსამართლის, გამოძიებლის, პროკურორის და ადვოკატის თანამდებობებზე. მასსოვს, როცა ვეჩილად მუშაობდა, ყველა აღნიშნავდა, რომ მასზე ძლიერი ადვოკატი ძნელად მოიძებნებოდა. ის ნამდვილი პროფესიონალი გახლდათ და ნებისმიერ საქმეს მთელი გულით ეკიდებოდა.

— როდესაც მამაზე საუბრობთ, რას იხსენებთ პირველ რიგში?



შიო გვეცაძე დედასთან ერთად

— იმ საინტერესო საღამოებს, როდესაც მამა მთელ ოჯახს შეგვკრებდა ხოლმე და საკუთარ თავგადასავლეს გვიყვებოდა. სამსახურის გამო, ის ძალზე დაკავებული გახლდათ და საღამოობითაც, იშვიათად ახერხებდა ოჯახის გარემოცვაში ყოფნას. როცა ამის შესაძლებლობა ჰქონდა, ძალიან გვიხაროდა, რადგან მასთან ურთიერთობის საშუალება გვეძლეოდა. ის კარგი მოსაუბრე იყო და სულ უბრალო ამბავსაც ისე მოგიყვებოდა, რომ პირი ღია დაგრჩებოდა... უყვარდა ფრონტის ამბების გახსენება. ხანდახან, როდესაც რომელიმე საქმის გამოძიებას დაასრულებდა, ამ საქმის საინტერესო დეტალების გახსენებაც სჩვეოდა.

— თუ იცით, ნაწარმოების რომელიმე პერსონაჟში საკუთარი თავი ხომ არ უგულისხმია?

— არა, საკუთარი თავი არ გაუიგივებია არც ერთ პერსონაჟთან. საერთოდ, ამ დეტექტივის შექმნისას, გამოძიების მეთოდებს, დეტალებსა და მიმდინარეობას დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა. მისი მიზანი იყო, დაენახებინა მკითხველისთვის სახელმწიფო რეჟიმის უარყოფითი მხარეები. რომანის მთავარი მოქმედი გმირი, თამაზ გელოვანი იმის გამო გახდა ქურდი, რომ მისი მშობლები

1937 წელს დაიჭირეს და შეითხინილი ბრალდების საფუძველზე დააპატიმრეს. მისი მეგობრის, ცილა ბარათელის მშობლებიც ასევე რეპრესიების მსხვეპლი გახდნენ, მაგრამ გოგონა ფსკრზე კი არ დაეშვა, არამედ ექიმი გახდა და სამეცნიერო მოღვაწეობასაც კი ეწევა... ავტორს იმის თქმა უნდოდა, რომ ცხოვრების სწორად წარმართვა დამოკიდებულია პიროვნებაზე და თამაზმა ვერ გაუძლო გამოცდას...

— თუ არსებობდა თამაზ გელოვანის, იმავე საშუა ჩერქეზის პროტოტიპი, თუ ეს პერსონაჟი თავიდან ბოლომდე ავტორის ფანტაზიის ნაყოფია?

— პროტოტიპი არსებობდა, ოღონდ — ნაწილობრივ: მამა იცნობდა ერთ კრიმინალურ ავტორიტეტს, რომელსაც არ ჰქონდა მთავარი გმირის მსგავსი ბიოგრაფია, მაგრამ მამა ამბობდა, რომ ის იყო საოცრად დახვეწილი, განათლებული და წარმოსადგეი ვაჟკაცი და ყოველთვის უკვირდა, რატომ მოხვდა ასეთი კარგი ადამიანი დამანაშავეთა სამყაროში. მაშინდელი კრიმინალები ძალზე გონებაშეზღუდულები, გაუნათლებლები და პიროვნულ ღირსებებს მოკლებული ადამიანები იყვნენ, ხოლო ის კაცი ყველასგან გამოჩეული გახლდათ. თამაზ გელოვანს მამამ მხოლოდ მისი ეს თვისებები მიანიჭა.

— ავტორი, თამაზ გელოვანის უარყოფით პიროვნებად ჩამოყალიბებას, 1937 წელს განხორციელებულ რეპრესიებს უკავშირებს...

— ჩემი ბაბუა — დედის მამა რეპრესირებული გახლდათ. მამამ სიდედრის ნაამბობიდან დაწვრილებით იცოდა ამის შესახებ, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მას პირადი წყენის გამო აქვს ყურადღება გამახვილებული ამ გარემოებაზე. „მონანიება“ გახლდათ მისი პროტესტი არსებული წყობილების მიმართ. ის ბევრ მანკიერ მხარეს აკრიტიკებდა, განიცდიდა და ამას ხმამაღლა ამბობდა კიდევ. მასსოვს, მე და ჩემს ძმას გვეუბნებოდა ხოლმე: ჩემი სიკვდილის შემდეგ, საფლავში ჩამომსახეთ, რომ კომუნისტები წავიდნენო...

— წელან ჩამოთვალეთ უამრავი თანამდებობა, რომელზეც მამათქვენს უმუშავია. ის აუცილებლად იქნებოდა კომუნისტური პარტიის წევრიც. ამავდროულად, ის ხმამაღლა გამოხატავდა პროტესტს არსებული წყობილების მიმართ. საინტერესოა, მაინც როგორ ახერხებდა იმას, რომ შექნარჩუნებინა სამსახური და პარტიულ შუშკადაც დარჩენილიყო?

— სწორედ ხმამაღლა გამოთქმული პროტესტის გამო, ერთხელ სამსახურიდან დაითხოვეს და პარტიიდანაც გარიცხეს. ზუსტად არ ვიცი, რა იყო ამის მიზეზი, მაგრამ ფაქტია, რომ ასე მოხდა. გარკვეული დროის შემდეგ, მან აღიდგინა პარტიულობაც და სამსახურშიც დაბრუნდა.

— თუ გახსოვთ ის განცდები, რომლებიც მამათქვენს ამა თუ იმ საქმის გამოძიების ან სასამართლო პროცესის დროს გამოუხატავს?

— საქმის მიმდინარეობისას, მას ამის შესახებ ლაპარაკი არ სჩვეოდა. როცა მძიმე დანაშაულის გასასხენლად მუშაობდა, ამას მისი გუნება-განწყობილების ცვლილებით ვგრძობდით, რადგან სულ შუბლმეკრული დადიოდა და ასეთ დროს, ხშირად რჩებოდა სამსახურში. როდესაც საქმე არქივს ჩაბარდებოდა, მხოლოდ ამის შემდეგ გვიამბობდა ხოლმე საინტერესო დეტალებს.

— კომუნისტური რეჟიმის დროს, არცთუ ისე იშვიათად, საქმის ჩასაფარებად, მოსამართლესა და გამოძიებელზე ზენოლა ხდებოდა. ვერც ბატონი შიო აუვლიდა გვერდს ამ მოვლენას. როგორ ახერხებდა სამართლიანობის შენარჩუნებას?

— მამა არასოდეს წავიდიოდა ქვემარცხების საწინააღმდეგოდ. მას შეეძლო ლავირება მოეხდინა და საქმე ისე წაეყვანა, რომ სამართლიანობა არ დარღვეულიყო. სამუხარობა, რომ კონკრეტული შემთხვევების გახსენება არ შემიძლია...

— იქნებ, მისი ფრონტული მოგონებებიდან საინტერესო ამბავი გაიხსენოთ?

— ალბათ, უკეთესი იქნება, თუ გავიხსენებ ომის შემდგომ პერიოდში მომხდარ ერთ საინტერესო ამბავს. მამა ქერქში, 414-ე დივიზიის შემადგენლობაში იბრძოდა. იმავე ბატალიონში იბრძოდა ლეონიდა ბრუქენვიცი. თუმცა, მამას მასზე ლაპარაკი არ უყვარდა. არ იყო აღფრთოვანებული არც მისი ინტელექტით, არც ადამიანური თვისებებით... ომის შემდეგ, ანაპაში მოეწყო დივიზიის მებრძოლების შეხვედრა. ოფიციალური კონცერტისა და ღონისძიების შემდეგ, დაგეგმილი იყო ვახშიმი რესტორანში. ამ სუფრას მამა თამაშობდა. ყოფილ თანამებრძოლებს შორის იმყოფებოდა გენერალი გლადაკოვი, რომელიც იმ დროისთვის, საკმაოდ მაღალ თანამდებობაზე მუშაობდა და სუფრის წევრებმა საჭიროდ ჩათვალეს, მისი სადღეგრძელო გამორჩეულად შეესვათ. მამამ ამაზე უარი თქვა და ეს სასმისი არ შესვა. ყველა გაოცდა ამის გამო, დაინტერესდნენ, რა მიზეზით ამბობდა შიო უარს. — მის სინდისზე ქართველი ბიჭების სისხლიაო, — უპასუხია



ის კარგი მოსაუბრე იყო და სულ უბრალო ამბავსაც ისე მოგიყვებოდა, რომ პირი ღია დაგრჩებოდა. (ოჯახთან ერთად)



მამას: გენერალი გლადკოვი ყოფილა ამ-  
იერკავკასიის ჯარების სარდალი მაშინ,  
როდესაც 9 მარტს, თბილისში სტუდენტე-  
ბი დახოცეს... მამამ ეს შემთხვევა სუფრის  
წევრებს დანვრილებით უამბო. გლადკოვს  
კი, თავის მართლება მოუხდა... მამას აქვს  
ანაბიდან ჩამოტანილი ილუსტრირებული წიგ-  
ნი, სადაც ყველა იქ მყოფ ადამიანს თავისი  
ჩანაწერი აქვს გაკეთებული. კარგად მასსოვს  
ერთ-ერთი მათგანი. ავტორს ასეთი მინაწ-  
ერი გაუკეთებია: ჭეშმარიტ პატრიოტს და  
დიდებულ თამადას!

**— იქნებ გვიამბოთ მამათყვენის  
მიერ გახსნილი სისხლის სამართლის  
საქმის შესახებ, რომელიც ყველაზე  
მეტად დაგამახსოვრდათ?**

— ეს იყო აჭარაში მომხდარი მკვლელო-  
ბა, რომელიც საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე,  
ვერავინ გახსნა. მკვლელობაში ეჭვმიტანილი  
იყო რამდენიმე ადამიანი, მათ შორის, მოკ-  
ლულის ბიძაშვილებიც, მაგრამ ბრალს ვერ-  
ავის უყენებდნენ, რადგან მონშეები ერთ-  
მანეთთან შეკრული იყვნენ ფიცის ძალით:  
თურმე, მუსლიმანური წესის თანახმად, თუ  
ვინმეს წინაშე ასეთი ფიცი გაქვს დადებული,  
ვერც ერთ სულიერს ვერ გაუმხელ საიდუმ-  
ლოს... მამა, ვიდრე აჭარაში მივლინებით წა-  
ვიდოდა, რამდენიმე დღის განმავლობაში, სწავ-  
ლობდა მათ ადამიანებს. ეს ძალზე დაესმა-  
რა აღნიშნული საქმის გახსნაში. შემდგომ,  
ის ჰყვებოდა, თუ როგორ აიძულა მონშე,  
რომ ჩვენება მიეცა: მამას შემოუტანია სარკე,  
დაუდგია მაგიდაზე, მონშის წინ, თვითონ ისე  
დამდგარა, რომ სარკეში არ გამოჩნდიყო  
და უთქვამს — რასაც ახლა ვიტყვი, სიტყვ-  
ასიტყვით გაიმეორეო... — და უკარნახა ფი-  
ცის გაქარწყლების ტექსტი: მე, ესა და ეს,  
გეუბნები მხოლოდ შენ, რაც ვნახე და მოვ-  
ისმინე... ამ დროს ოთახში ბნელოდა, ხოლო  
ის კაცი სარკეში საკუთარ თავს ელაპარაკე-  
ბოდა. ამგვარად, მას არც ფიცი დაურღვე-  
ვია და მამასაც მონშის ჩვენება მიუღია... ეს  
საქმე გაიხსნა და მასსოვს, მამამ ამის გამო  
სახელმწიფო ჯილდოც კი მიიღო...

**— ჯილდოს იღება საბჭოთა  
ხელისუფლებისგან, რომელიც თვი-  
თონვე არ მოხსნდა?**

— მას უამრავი მადლობა და ჯილდო  
ჰქონდა მიღებული და არასოდეს უთქვამს  
უარი, რადგან მიაჩნდა, რომ ეს იყო მისი  
პროფესინალიზმის შეფასების შედეგი და  
ამიტომ, დამსახურებული ჯილდო.

**— მოდი, „მონაწილას“ დავუბრუნ-**



**პროგოგიბი არსებობდა... მაშინდელი კრიმინა-  
ლები ძალზე გონებაშემდუღლები, გაუნათ-  
ლებლები და პიროვნულ ღირსებებს მოკლე-  
ბული ადამიანები იყვნენ, ხოლო ის კაცი ყვე-  
ლასგან გამოჩნეული გახლდათ**

**დეთ. როგორც ვიცი, ავტორის მიერ  
დანერული პირველი ვერსია არ დაიბე-  
ჭდა და მასში ცვლილებები ცენზურ-  
ის მოთხოვნით იქნა შეტანილი.**

— დიას, ეს ნამდვილად ასე იყო, მაგრამ  
მამა წინააღმდეგი გახლდათ იმისა, რომ რაიმე  
შეეცვალა. თუმცა, ბოლოს, მაინც მოუწია ზო-  
გიერთი თავის ხელახლა დანერა. სხვანაირ-  
ად ეს წიგნი მზის სინათლეს ვერ იხილავდა.  
მაგალითად, მთავარი გმირის მშობლების და-  
პატიმრების მიზეზად, ქალაქის წყალსადენის  
მონაშველა ჰქონდა გამოყენებული (ასურდუ-  
ლი ბრალდება); ეს გადააკეთებინეს და ბოლო  
ვერსიით, პერსონაჟს სახელმწიფო ქონების  
გაფლანგვაში ადანაშაულებენ. ბოლო თავში,  
სადაც მთავარი გმირი კვდება და თავგადა-  
სავლის თხრობას ამთავრებს, ის ამბობს —  
ღმერთი არ არსებობსო. თავდაპირველ ვარი-  
ანტში კი იყო — ღმერთი ჩემთვის არ არსე-  
ბობსო... ერთი სიტყვით, ავტორი ძალზე უკ-  
მაყოფილო იყო, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა...  
სამწუხაროდ, ნაწარმოების თავდაპირველი  
ვარიანტი აღარ არსებობს — ხელნაწერი გაბრა-  
ზებულმა ავტორმა დახია...

**— არის თუ არა ნაწარმოებში  
ამბები, რომლებიც სინამდვილიდანაა  
აღებული?**

— ნელან გითხარით, რომ ბაბუაჩემი  
რეპრესირებული იყო. ის, როგორც ბევრი სხვა, აბსურ-  
დული ბრალდებით დაიჭირეს. მას დააბრალეს, რომ სტუდენტ-  
ობის დროს, მეზარჯვე შექედ-  
ულეებით გამოირჩეოდა. დე-  
დაჩემის მამა, ბესარიონ გვარამია  
სამხრეთ-ოსეთის საოლქო კო-  
მიტეტის მდივანი იყო. მისი და-  
პატიმრების შემდეგ, მისი  
მძლოლიც დაიჭირეს. ბაბუის  
შესახებ მისმა ოჯახმა არაფერი  
იცოდა და ის დიდი ხნის წინ  
დახვრეტილი ეგონათ, როდესაც  
წლების შემდეგ, ციხიდან  
გამოსულმა მისმა მძლოლმა  
მოიტანა ამბავი, რომ ბესარიონი  
2 წლის წინ, კოლონიაში  
ფილტვების ანთებისგან გარდა-

იცვალა მის თვალწინ. საოცარია მათი იქ  
შეხვედრის ამბავი: თურმე, მძლოლს მოჭ-  
რილი ხე დასცემია ფეხზე და ტკივილისგან  
კვნესოდა. რა თქმა უნდა, ქართულად ეძახ-  
და დედას. ამისთვის ყური მოუკრავს ბაბუაჩემს  
და შესხიანებია. ასე, სრულიდ შემთხვევით  
აღმოაჩინა, რომ ერთ კოლონიაში მოხვედ-  
რილან... შემდეგ, ბაბუას ფილტვების ანთება  
დამართვია და ერთგული მძლოლი უვიდდა  
თურმე, მაგრამ ვერ გადაარჩინა და მის  
მკლავებში დაუღვია სული... ეს ამბავი მამას  
„გაფანტულად“, შეცვლილად აქვს გამოყენებ-  
ული „მონაწილას“ში“. ეს არის ის, რაც მე  
ვიცი. სხვაზე ვერაფერს მოგახსენებთ.

**— წიგნის გამოვლის შემდეგ,  
კანონიერი ქურდები ხომ არ დაკავ-  
შირებიან ავტორს?**

— ასეთი ფაქტის შესახებ არ მსმენია და  
არა მგონია, რომ ვინმეს მასთან დაკავშირე-  
ბის სურვილი გასჩენოდა, რადგან ყველამ  
იცოდა, რომ მამა არ იყო ლოიალური ასეთი  
ხალხის მიმართ. თუმცა, მე მქონია ასეთი  
შემთხვევა: საავადმყოფოში ერთ-ერთი მორი-  
გეობის დროს, მოიყვანეს დაჭრილი, რომელიც,  
როგორც ჩანს, შავი სამყაროს წარმომად-  
გენელი იყო. მას მეგობრები მოჰყვნენ. დაჭრილი  
რენანიმაციაში გადავიყვანეთ, თანხსლებნი არ  
შევეუშეთ. ამის გამო, დიდი ამბავი ატყდა.  
ერთ-ერთი მამაკაცი განსაკუთრებით აქტი-  
ურობდა და ჩემკენ იწვედა. მე კაბინეტის  
კარი შიგნიდან ჩაკეციე და შემინებული,  
ოთახში შევიყუყუე. ცოტა ხანში, კარზე  
დააკაკუნეს. კარი გახვლე და სწორედ ეს  
მამაკაცი, ბოდიშის მოხდით შემოვიდა ჩემთან.  
თან მითხრა — არ ვიცოდი, თუ შიო გვეტაძის  
შვილი იყავით, თორემ, ასე არ მოვიქცეო-  
დიო... მისი ვინაობა ვიკითხე. კანონიერი ქურ-  
დი აღმოჩნდა, რომელიც თურმე, მთელ ქალაქს  
შიშის ზარს სცემდა...

**— როგორც ვიცი, ბატონი შიო  
საკმაოდ ახალგაზრდა გარდაიცვალა...**

— რეჟისორმა თამაზ მესხმა „მონაწილე-  
ის“ მიხედვით, ჭიათურის თეატრში სპექტაკ-  
ლი დადგა. პრემიერაზე მთელი ოჯახი ვიყავით  
ჩასული. ამის შემდეგ, რამდენიმე თვეში, მამა  
გარდაიცვალა. 55 წლის ასაკში, ის ინსულტმა  
იმსხვერპლა. იმ პერიოდში, ძალზე სერიო-  
ზულ საქმეზე მუშაობდა და სულ დაძაბუ-  
ლი იყო. როგორც ჩანს, მისმა ორგანიზმმა  
დატვირთვას ვერ გაუძლო...

P.S. როგორც აღვნიშნეთ, თავის დროზე,  
„მონაწილას“ ხელიდან ხელში გადადიოდა.  
ბუნებრივია, მას ნაკლებად იცნობენ ახალი  
თაობის მკითხველები, თუმცა, ბევრ მათ-  
განს გაუგონია ამ წიგნის შესახებ. „მონაწილე-  
ბა“ ზოგიერთმა ჩვენმა რესპონდენტმაც გაიხ-  
სენა, როდესაც ვამზადებდით ნურლის ხალხში  
პოპულარულ ლიტერატურაზე, რომელიც  
„გზის“ წინა ნომერში გამოქვეყნდა. ნომრის  
გამოსვლის შემდეგ, რედაქციაში მრავალ-  
მა მკითხველმა დაგვირეკა და ამ წიგნის  
შესახებ გვკითხა. აღნიშნული ინტერესის  
გათვალისწინებით, გადაწყვიტეთ, „მონაწილე-  
ბა“, უმნიშვნელოდ — საჭურნალოდ ადაპ-  
ტირებული სახით, „გზის“ ფურცლებზე შე-  
მოგთავაზოთ. ქალბატონი ლალიც დაგვ-  
თანხმდა. ამრიგად, ჩვენი ჟურნალის მომ-  
დევნო ნომრიდან, საბჭოთა პერიოდის  
ქართულ ბესტსელერს — შიო გვეტაძის  
„მონაწილას“ შემოგთავაზებთ.



**მამა ქერჩში, 414-ე დივიზიის  
შემადგენლობაში იბრძოდა. იმავე  
ბატალიონში იბრძოდა ლეონიდ  
ბრეჟნევიც. თუმცა, მამას მასზე  
ლაპარაკი არ უყვარდა...**



„მსახიობი ინტიმური სცენის თამაშზე უარს მხოლოდ იმ შემთხვევაში ამბობს, თუ მას უშნო ტანი აქვს...“ — ამბობს ახალგაზრდა მსახიობი და რეჟისორი შოთა კალანდიაძე. ის ერთ-ერთია იმ მცირერიცხოვან რეჟისორთაგან, ვინც ქართულ კინოში ინტიმური სცენები შემოიტანა. სწორედ ამიტომ, მისმა ფილმმა — „ბაქალავატი“ — დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. სულ მალე კი, რეჟისორი მაცურებელს ახალ ფილმს შესთავაზებს, სადაც ასევე საინტერესო სიუჟეტს გვპირდება...



# შოთა კალანდიაძე ჩვენს უკანს

## ახალი სწორი მსახიობები ახალ აქტორები

### შოთა კალანდიაძე

— შოთა, მოკლედ გვიამბე მომავალი ფილმის შინაარსზე და იმის შესახებ, თუ ვინ გაგინა ფინანსური მხარდაჭერა.

— ფილმი — „პოეტური ჩანახატები“ — 5 ჩანახატისგან შედგება. მართალია, სურათი „მეტყველი“ არ იქნება (იგულისხმება დიალოგის სიმცირე. — ავტ.) მაგრამ მრავლისმთქმელი უნდა გამოვიდეს... რაც შეეხება ფინანსებს, არავინ დაჰმხარეობს. მსახიობებიც ყოველგვარი დაფინანსების გარეშე დამოუკიდებლად სურათში მონაწილეობაზე, რისთვისაც დიდად მადლიერი ვარ მათი.

— ვინ არის ამ ფილმში დაკავებული?

— ნინელი ჭანკვეტაძე, მარინა კახიანი, ლენუკა ყიფშიძე, ლია კაპანაძე, მზია მალაქველიძე, კრისტი, რამაზ ნოზაძე და რეზო ესაძე. ვინაიდან გადაღებები ჯერ არ დაგვიმთავრებია, ვერ გეტყვი, კიდევ რომელი მსახიობი დაემატება.

— ვიცი, რომ პროფესიით მხატვარი ხარ. რამ გადაგანწყვიტა ფილმის გადაღება და საერთოდ, რეჟისორობის დანება?

— ეს სრულიად შემთხვევით მოხდა. უბრალოდ, გამიჩნდა სურვილი, ხატვის მაგივრად, ფილმი გადაემელო. ალბათ ამიტომაც არის, რომ ჩემს ფილმში ნაკლებია დრამატურგია, მაგრამ მიუხედა-



სასაცილოა, როცა ეროტიკას იღებ, ქალის მკერდი ან საჯდომი არ გამოაჩინო

ვად ამისა, ვფიქრობ, ამან შეიძლება, უფრო მეტი განცდა მოჰგვაროს მაცურებელს...

— საზოგადოების უმეტესი ნაწილი მიიჩნევს, რომ ქართულ ფილმში არ უნდა იყოს ინტიმური სცენები. რით ასაბუთებ ასეთი ეპიზოდების საჭიროებას?



„ამბავი ლალაგზე“ მარინა კახიანის მონაწილეობით

— რას ნიშნავს ეს?! თუ ვინმესთვის საჭიროებას არ წარმოადგენს, იქნებ, სხვისთვის საჭიროა?! რატომ უნდა ვაკეთო ის, რაც მე არ მსურს?! სასაცილოა, როცა ეროტიკას იღებ, ქალის მკერდი ან საჯდომი არ გამოაჩინო. როცა რეჟისორს შეუძლია ამ ყველაფრის გამოჩენა, მაგრამ მსახიობს შიშვლად გადაღება არ სურს, რადგან რცხვნია, ეს ეგრევე ჩანს და სასაცილოა...

— მაგრამ ბევრი მსახიობი მართლაც უარს ამბობს ამგვარ სცენაში მონაწილეობაზე...

— ჩემი აზრით, მსახიობი მხოლოდ იმ შემთხვევაში ამბობს უარს, თუ მას აღნაგობა არა აქვს კარგი.

— შენი აზრით, ინტიმური სცენაში მონაწილეობაზე უარს თქმა

მხოლოდ ამ მიზეზით აიხსნება?

— რა თქმა უნდა, მე ყველას არ ვგულისხმობ, მაგრამ დამიჯერე — მსახიობის უმეტესობა, თუ მას ლამაზი სხეული აქვს, უარს არ იტყვის კამერის წინ გახდაზე. მართალია, ყველა არა, მაგრამ 98% ასე მოიქცევა. მაგალითად, ამას წინათ, მზია მალაქველიძემ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ს ასეთი რამ გაუშხილა: მე რომ ახალგაზრდა ვყოფილიყავი, შოთას ფილმში აუცილებლად გადავიღებდი გახდილი, იმიტომ, რომ ძალიან ლამაზი სხეული მქონდაო... ვფიქრობ, მსახიობი იმით განსხვავდება ჩვეულებრივი ადამიანისგან, რომ მან უნდა შეძლოს, თავიდან ბოლომდე საკუთარი თავის გამოჩენა. რატომ არ შეიძლება ასეთი ფილმის გადაღება, თუ ეს არ იქნება პორნოგრაფია და „პახაბშინა“?! თუ ლამაზი სხეულის დახატვა შეიძლება, რატომ არ შეიძლება მისი სხეულის ფილმში გადაღება?! სხვათა შორის, უშნო სხეულიც შეიძლება ისე გადაიღო, რომ ფილმი სანახაობრივად ლამაზი გამოვიდეს, რადგან უშნო ადამიანი არ არსებობს — მასში რალაც მაინც იქნება მიმზიდველი და თუ რა — ამის დანახვა რეჟისორმა უნდა შეძლოს.

— შენს ფილმებში არაერთი ცნობილი მსახიობია დაკავებული...

— კი, ბუნდერე ვარ, რომ ჩემს ფილმებში არაერთი ცნობილი ადამიანი იყო დაკავებული. ფილმში — „ასეთი ნოველები“ — მონაწილეობენ: დოდო ჭიჭინაძე, ლიანა ასათიანი, ნათია მაქაჯარიანი, მერაბ თაბუკაშვილი; დოკუმენტურ ფილმში — „ხელოვანთა მხოლოდ კადრები“ — ცისანა ტატიშვილი, ნუცა შანშიაშვილი, სოფიკო ჭიაურელი, რამაზ ჩხიკვაძე; ფილმში — „ამბავი ლალაგზე“ — მარინა კახიანი.

— მოდელზე რამდენად გაართვას თავი კინოროლებს?

— მშვენივრად. მიუხედავად იმისა, რომ მოდელები არიან, ძალიან კარგად გაართვას თავი. ამისთვის დიდი მადლობა მინდა ვუთხრა: კრისტის, ლენუკა ყიფშიძესა და ნათია მაქაჯარიანს.

— გაიხსენე გადაღების დროს მომხდარი რაიმე კუროზული შემთხ-





მსახიობებიც ყოველგვარი დაფინანსების გარეშე დამთავრდნენ სურათში მონაწილეობაზე... (ნინელი ჭანკვეჭიძე)

**წიგა-**

— ერთხელ, მოდელმა ლაშა ჯაფარიძემ სინჯებისთვის ფილმში გადასაღებად, თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტი გოგონა მომიყვანა. მისთვის თურმე, თავიდანვე უთქვამს, რომ შიშვლად უნდა გადაგველო. ჰოდა, სახლში შემოსვლისთანავე, როგორც კი ქურთუკის გახდა შევთავაზე, მან მაშინვე მთლიანად ტანისამოსის გახდა დაიწყო... მაშინვე ვიყვირე — რას აკეთებ, ჯერ სახლში არ შემოსულხარ და არ დაგვილაპარაკია, შენ კი პირდაპირ გახდაზე გადახვედი-მეთქი!.. კიდევ, შიშველი ბიჭების ეპიზოდის გადაღება მახსენდება: ბოტანიკურ ბაღში, გადასაღებ მოედანზე უამრავი ადამიანი დაგვტრიალებდა თავს. მეორე დღეს კი, ლია კაპანაძესთან ერთად, შიშველ გოგონას ვიღებდით და თითქმის არავინ გვადევნებდა თვალყურს. საოცარი არ არის? შიშველი გოგო არავის აინტერესებს, შიშველი მამაკაცების ნახვამ კი, ყველა დააინტერესა (იციინს)!..

— ჰო, მართლა — გილოცავ, „რუსთავი 2“-ის ახალ რეალურ შოუში შენი პროექტის მოხვედრას.

— ჩვენი პროექტი 110-ს შორის მოხვდა, მაგრამ მთავარია, დაგვაფინანსონ. რა თქმა უნდა, მისხარია, ჩემი პროექტი რომ გავიდა, მაგრამ ვნახოთ, მომავალში რა იქნება...

— შენი პროექტი, ოპერის მო-


**კრისტის დიდი ორგანიზატორული ნიჭი აქვს და რაც მთავარია, დაუმარულია**



მღერლის, ცისანა ტატიშვილის ჩანაწერების აღდგენას ითვალისწინებს. რამ გიკარნახა ეს იდეა?

— იმის გამო, რომ ცისანა ტატიშვილი ჩემი ახლობელია, პატარაობიდანვე ვაგრძობდი მის ჩანაწერებს. მახსოვს, ერთხელ, სახლში წამოვიღე უნიკალური ჩანაწერი — 1977 წლის „რეკვიემი“. გადმოვიწერე ჩემთვის, რომ მომესმინა ხოლმე. მაგრამ შემდეგ ისე მოხდა, რომ ქალბატონ ცისანას ეს ჩანაწერი მთლიანად გაუფუჭდა და მე რომ არ მქონოდა გადმოწერილი, სულ დაიკარგებოდა... მინდა, ეს და სხვა მისი ჩანაწერები მომავალ თაობას დარჩეს. დედნები იმდენად ცუდ მდგომარეობაშია, რომ თუ არ გაინმინდა, შესაძლოა, ისე დაზიანდეს, რომ სრულიად უფარგისი გახდეს... თუ ამ პროექტს არ დააფინანსებენ, ეს იმას ნიშნავს, რომ ცისანა ტატიშვილის ნაღვანს არ შეუნარჩუნებენ მომავალ თაობას...

— პროექტში მონაწილეობის მისაღებად, მაინცდამაინც კრისტიზე რატომ შეაჩერე არჩევანი?




მოხედავდი იმის, რომ მოდელზე არიან ძალიან კარგად გაართვის თავი (ლენუკა ყიფშიძე)

— მჭირდებოდა ისეთი ადამიანი, რომელიც მხარში ამომიდგებოდა და დამეხმარებოდა. კრისტის დიდი ორგანიზატორული ნიჭი აქვს და რაც მთავარია, დაუმარულია. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე, მასთან ერთად მემუშავა ამ პროექტზე. სხვათა შორის, ბევრმა მოდელმა ისიც კი არ იცის, თუ ვინაა ცისანა ტატიშვილი. კრისტიმ კი, ბევრი რამ იცის მის შესახებ.

— დაბოლოს: როდის ნახავს მაცურებელი შენს ახალ ფილმს?

— ვერ გეტყვი. ჯერჯერობით, გადაღებები არ დამთავრებულა. ვნახოთ. ისე, მე ყველანაირად ვცდილობ, რომ მალე მოვრჩე და ვაჩვენო ხალხს. სხვათა შორის, ამ ფილმში მაცურებელს სიურპრიზს ვპირდებით: ერთ-ერთ ცნობილ ქართველ სპორტსმენს ეკრანზე შიშვლად იხილავთ. ოღონდ, ჯერ საიდუმლოდ დავტოვებ, თუ ვინ არის ის...

ვის არ უნახავს მტკვარის სანაპიროზე ჩამწკრივებული მეთევზეები?! ზოგ მათგანს გართობის მიზნით დაუჭერია ხელში ანკესი — ასეთი ჰობი აქვს, — მაგრამ უმრავლესობისთვის თევზაობა შემოსავლის წყაროა, სწორად — ერთადერთი: სწორედ აქ დაჭერილი თევზით შეაქვთ პურის ფული ოჯახში...



მერაბი და სანდრო მტკვარზე ბავშვობიდან თევზაობენ. სანდრო სწორედ იმათგანაა, ვისთვისაც ეს, გართობის საშუალებას წარმოადგენს (ალბათ, ამიტომაც თქვა ფოტოს გადაღებაზე უარი), მერაბი კი, სანაპიროზე ოჯახის სარჩენად გადის.

# მარჩენალი მტკვარი და მადლიერი მეთევზეები

მარეზ ჭონიძე

**მერაბი:**

— სულ პატარა ვიყავი, როცა მამას სათევზაოდ დავყავდი. მას ამ საქმიანობის გარეშე გაძლება არ შეეძლო და მეც მასწავლა. არადა, მამა თევზს რომ დაიჭერდა, მერე უშვებდა, იმიტომ, რომ არ გვიჭირდა, თევზაობა მაშინ ჩვენთვის მხოლოდ სასიამოვნო გართობა იყო... ჩემი ბავშვობისა და სიჭაბუკის დროს, ხალხი სახეგაბრწყინებელი დადიოდა, ყველა ოჯახში სუფრა იშლებოდა, თევზაობის შემდეგ, ერთმანეთს ეპატიჟებოდნენ და ქეიფობდნენ. იმიტომ, რომ ამის შესაძლებლობა და განწყობილება ყველას ჰქონდა. დასაქმებულები ვიყავით... 22 წელი, ტაქსიზე ვიმუშავე და ამით ვინახავდი ოჯახს. უკმაყოფილო არ ვყოფილვარ. შემდეგ, დრო აირია და უმუშევარი დავრჩი. ახლაც დავაბირე, რომ ტაქსიზე მემუშავა, მაგრამ წინასწარი შესატანის სახით, 200 დოლარი მომთხოვეს. ეს თანხა არ მქონდა, ოჯახი კი შესანახია. ჰოდა, მეც თევზის დაჭერა და გაყიდვა დავიწყე. თევზის ჭერისა და მანქანის ტარების გარდა, არაფერი ვიცი.



სანდრო:

— ბიძაჩემმა „მომინამლა სისხლი“ — მან მასწავლა თევზაობა. დილა რომ გათენდებოდა, ერთი სული მაქვს, წამოვიდე და ვითევზაო. თუმცა, სამსახურის გამო, ამას ხშირად ვერ ვახერხებ, მაგრამ 2-3 დღეში ერთხელ მაინც მოვდივარ. თევზაობა ნარკოტიკივითაა, შეჩვევა იცის — ერთხელ თუ დაუჭირე მულაში, მერე ვეღარ მოეშვები.

— დღეში რამდენ კგ თევზს იჭერთ?

— ბევრს ვერ ვიჭერთ. ხანდახან, კვირა ისე გადის, ერთსაც ვერ დაიჭერ. მაგრამ თუ გამიმართლა და კარგი დღე იქნა, შეიძლება, 2-3 კგ დავიჭირო. ადრე, მტკვარი სავე იყო თევზით. დღეს კი ისეთი მდგომარეობაა, თუ ასე გაგრძელდა, მალე მტკვარში თევზი აღარც იქნება. ყოველდღე ნაგებობ დადიან და აფეთქებენ... 100 კილო თევზი გააქვთ...

— მერე არავისთვის მიგომართავენ? ეს ხომ ბრაკონიერობაა.

— ჩვენ რომ არ მივმართოთ და ვუთხრათ, თვითონაც კარგად იციან, რა ხდება. მაგრამ დღეს ხომ საქართველოში პატრონი და მეთვალყურე არაფერს ჰყავს!.. ამას პოლიცია, ეკოლოგიური პოლიცია უნდა აკონტროლებდეს. დენს რომ გაუშვებ და ააფეთქებ, ამით თევზი მასობრივად მოისპობა. რაც ამოჰყავთ და მიაქვთ — ერთია, მაგრამ ის თევზი, რომელიც გადარჩა, ვეღარ მრავლდება, ქვირითს ვეღარ ყრის და შთამომავლობაც აღარ ჰყავს.

— თქვენ არასდროს გიცდიათ ასეთი მეთოდით თევზის დაჭერა?

მირაზი:

— 6 შვილიშვილი მყავს, რომლებსაც ჩემი იმედი აქვთ. სახლში რომ შევიდვარ, ხელეში მიყურებენ — პაპამ რა მოგიტანაო? ხომ ძალიან მიჭირს, მაგრამ ამას მაინც ვერ გავაკეთებ: ვინც ნაღდი მეთევზეა და თევზაობა უყვარს, წყალში დენს არ გაუშვებს და თევზს არ განყვეტს. ჩემი აზრით, ვინც ასეთი მეთოდით თევზს იჭერს, დამნაშავეა და უნდა დაისაჯოს. დავუშვათ, ასეთი მეთოდით დავიჭირე ბევრი თევზი დღეს, ხვალ, ერთი თვის განმავლობაში, მაგრამ რომ განყდება, მერე რა ვქნა, რით ვიცხოვრო?..

სანდრო:

— პატარა თევზს რომ დავიჭერ, არ ამოყავს — ვუშვებ და ვუბნები: ნადი, პატარავ, შენი დედიკო და მამიკო მომიყვანე, ისინი უფრო გამახარებენ, შენ კი გაიზარდე, გამრავლი და მერე დავიჭერ-მეთქი...

— მერე „მოჰყავს მშობლები“? — „მოჰყავს“ რომელია!..

— ყველაზე დიდი, რამდენკილოგრამიანი თევზი დავიჭერთათ?

— 10-კილოიანი ჭანარი მყავს დაჭერილი. დღეს კი, 5 საათის შემდეგ გამოსული ვარ და მხოლოდ ერთი თევზი დავიჭირე...

სანდრო:

— როგორც მონადირეებს, მეთევზეებსაც ტრაბახი გვიყვარს, ბუზს სპილოდ გადავაქცევთ ხოლმე. აქ ხშირად გაიგონებთ ასეთ საუბარს: — მე 20-კილოიანი თევზი მყავს დაჭერილი; — მე კი — 30-კილოიანი, — მაგრამ რომ არ მოგატყუოთ და ტრაბახი არ დავიწყო, ყველაზე დიდი თევზი, რომელიც დამიჭერია, 2 კგ-ს იწონიდა.

— რას განცდით, როდესაც თევზს იჭერთ?

— საოცარი გრძნობაა. სწორედ მაგ განცდისთვისაა, რომ სიცივესა და ყინვაშიც ვდგავარ ხოლმე და ვთევზაობ. ამას სიტყვით ვერც ერთი მეთევზე ვერ ახსნის — ეს თვითონ უნდა გამოცადო.

— თევზის გარდა, ანკესს რაიმე ნივთი ხომ არ ამოჰყოლია?

მირაზი:

6 შვილიშვილი მყავს, რომლებსაც ჩემი იმედი აქვთ. სახლში რომ შევიდვარ, ხელეში მიყურებენ — პაპამ რა მოგიტანაო?



— როდესაც ტივტივა დაინება, გგონია, თევზი დაიჭირე, ანკესს ამოიღებ და სულ სხვა რამეა. ამას წინათ ქალის პალტო ამოჰყავ; დღეს კი — საფულე. სამწუხაროდ, ცარიელი იყო...

— ძირითადად, რა სახეობის თევზია მტკვარში?

— ხრამულს ვიჭერთ ხოლმე ხშირად. არის: ლორჯო, რეპეცია. წვერა ძალიან მცირე რაოდენობითაა მტკვარში და იშვიათად მოჰყვება ანკესს.

— მტკვრის გარდა, სხვაგან თუ გითევზავიათ?

სანდრო:

— ანსამბლ „მეტეხში“ ვცეკვავდი. გასტროლების დროს, საფრანგეთში, გერმანიასა და რუსეთში მითევზავია. გერმანია-

ში ძალიან სუფთა მდინარეა, რომ ჩაიხედავ, თევზი ჩანს. მაგრამ ჩემს მტკვარზე თევზაობა მირჩევნია...

მირაზი:

— სხვა ქვეყანაში — არა, მაგრამ ტბაზეც მითევზავია და შემოიძლია ვთქვა, რომ ძალიან დიდი განსხვავებაა ტბასა და მდინარეზე თევზაობას შორის. ტბაზე ანკესს რომ ისვრი, ტივტივა ერთი საათის შემდეგ იძირება, იმიტომ, რომ დამდგარი წყალია. საჭმელადაც, მდინარის თევზი სჯობია ტბისას. აქ წყალი გამდინარეა და თევზიც ჯანმრთელია და სასიამოვნო გემო აქვს. ტბისას კი, ხავსის გემო დაჰკრავს...

— რა არის საჭირო იმისთვის, რომ კარგი მეთევზე იყო?

— კარგი მეთევზე რომ იყო, ამას ბევრი ვარჯიში უნდა. ანკესის სწორად სროლა უნდა შეგეძლოს. ყველაზე კარგად რაც ვიცი, ეს თევზის ჭერაა და ვფიქრობ, რომ მეთევზეობა ჩემი პროფესიაა. ხომ არიან სხვადასხვა პროფესიის ადამიანები — მასწავლებლები, ექიმები, სპორტსმენები. ისინი თავიანთი შრომით ინახავენ ოჯახებს, ასევეა ჩემთვის მეთევზეობა.

— ვთქვით, ოქროს თევზი დაიჭირეთ და გაშვების სანაცვლოდ, სურვილის შესრულებას დაგპირდათ. რა სურვილი გექნებოდათ?

— პირველი, რასაც ვთხოვდი, — საქართველოს გაერთიანება... მინდა, რომ ხალხს ის სიხარული და ხალისი დაუბრუნდეს, რომელიც ადრე ჰქონდა. იყოს სამსახური... სამუშაო ადგილები რომ იქნება, ჩემი ოჯახის წევრები იშრომებენ. მე კი მაინც ვითევზავებ და ამისგან უფრო მეტ სიამოვნებას მივიღებ...

სანდრო:

— სურვილები, რა თქმა უნდა, მაქვს, მაგრამ მოდი, ამას საიდუმლოდ შევიწინაბუ: მართლა რომ დავიჭირო და ჩემი სურვილები წინასწარ გამხელილი მქონდეს, იქნებ, არც ამხედეს...

პრეპარატი **ფენსი** გაძლევეთ უნიკალურ შანსს

**ფსიქიაზი** ენდათ გამორუდილებს!

**მგზავთ ნივთიერება**

**სეზონალური იკითხეთ**

**ნივთიერებათა უმთავრესი**

საუკუნოვანი გამოცდილების მქონე, ყველაზე ეფექტური, არაპროპონალური მალამოს საშუალებით

საკითხი: **39 66 03**

მკურნალობის მეთოდი 7 კვირის შემდეგ

მკურნალობის მეთოდი



# სოდ-ის სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის (სოდ) თანამშრომლებმა კერძო დაცვის ფორმა „კარდინალის“ და სამორინე „კრისტალის“ დაცვის თანამშრომელი, თბილისელი გიორგი ბედიამვილი, მეტსახელად ბეკო დააკავეს. შს სამინისტროს ინფორმაციით, თბილისში, გამსახურდიას გამზირზე მდებარე მაღაზია „დიანას“ ხელმძღვანელობა და ბედიამვილი საბრძოლო მასალით უკანონო ვაჭრობას ეწეოდნენ. სამართალდამცველების თქმით, ბედიამვილი, „დიანას“ მფლობელთან გარიგების საფუძველზე, კერძო პირებზე ყიდდა იარაღსა და საბრძოლო მასალას. სოდ-ის თანამშრომლებმა ბეკო სწორედ მორიგი პარტიის გაყიდვისას დააკავეს, მაღაზია კი დალუქეს.

„მოქალაქე გიორგი ბედიამვილი დანაშაულებრივი გზით, ცეცხლსასროლი იარაღის რეალიზაციის ეწეოდა. ოპერატიული ღონისძიებების შედეგად დადგინდა, რომ ის ცეცხლსასროლი იარაღს „დიანაში“ ყიდულობდა და შემდეგ, უკანონოდ, კერძო პირებზე ყიდდა. გვაქვს ინფორმაცია, რომ ბედიამვილი მაღაზიის ერთ-ერთ თანამშრომელთან იყო მოლაპარაკებული და მასთან დანაშაულებრივ კავშირში იმყოფებოდა. სწორედ მაღაზიის თანამშრომელი ამარაგებდა მას იარაღით“, — აცხადებს სოდ-ის, ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს ხელმძღვანელი ლევან გურგენიძე. მისივე თქმით, დაკავებულს რამდენიმე ათეული „მაკაროვის“ სისტემის იარაღი და საბრძოლო მასალა აღმოაჩნდა თან.

## შალვა რამიშვილი მისი დაკავებისას გადაღებული ვიდეომასალის გამოფხაურებას მოითხოვს

თბილისის საქალაქო სასამართლოში ტელეკომპანია „202“-ის დამფუძნებლის — შალვა რამიშვილისა და დირექტორის — დავით კობრეიძის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმის განხილვა გრძელდება. შეგახსენებთ, რომ ისინი 2005 წლის 27 აგვისტოს, განსაკუთრებით დიდი ოდენობით თანხის გამოძალვის ბრალდებით დააკავეს. ბრალდების მხარის მტკიცებით, რამიშვილი და კობრეიძე ფულს პარლამენტარ კობა ბექაურს სძალავდნენ. იმ შემთხვევაში, თუ ბრალი დადასტურდება, ტელეკომპანიის ყოფილ ხელმძღვანელებს საკმაოდ ხანგრძლივი პატიმრობა ელით. განსასჯელებმა სასამართლოში თავდაპირველად, ჩვენებების მიცემაზე კატეგორიული უარი განაცხადეს. თქვეს, რომ ჩვენებებს მოსამართლეს მხოლოდ მას შემდეგ მისცემდნენ, როცა საქმეზე ყველა მტკიცებულების გამოკვლევა დასრულდებოდა. რამიშვილმა და კობრეიძემ კანონით მინიჭებული უფლება გამოიყენეს და პოზიცია წინა სხდომაზე ანუ ჩხრევისა და ნივთმტკიცების დათვალეურების ოქმების გამოკვლევის შემდეგ დააფიქსირეს. „2005 წლის 27 აგვისტოს, ჩვენი დაკავების ოპერაციისას, 2 ვიდეოკამერა იღებდა. თუ მოსამართლეს ჭეშმარიტების დადგენა სურს, აღნიშნული ოპერატიული მასალა აუცილებლად უნდა გამოქვეყნდეს“, — განაცხადა პროცესზე რამიშვილმა. მისივე თქმით, გამოძიების მიერ ამოღებული თანხა შეცვლილია და ნივთმტკიცებაზე სინამდ-

ვილეში არც ერთი დაკავებულის თითის ანაბეჭდები არ აღმოჩნდა. რაც შეეხება მეორე განსასჯელს — კობრეიძეს, მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის — დავით კორკოტაშვილის თქმით, შს მინისტრისადმი მიმართვაში, სადაც ბექაური აღწერს, თუ როგორ სძალავდნენ მას ფულს, კობრეიძე ნახსენები არ არის. პოზიციის დაფიქსირებას განსასჯელები შემდეგ სხდომებზეც აპირებენ.

## პოლიციამ საკრებულოს თავმჯდომარე დააკავა

რაჭა-ლეჩხუმის შს სამმართველოს თანამშრომლებმა ცაგერის რაიონის სოფელ ნაკურალეშის საკრებულოს თავმჯდომარე, 37 წლის გაი ყურაშვილი დააკავეს. შს სამინისტროს ინფორმაციით, ის უკანონოდ ინახავდა ცეცხლსასროლი იარაღსა და საბრძოლო მასალას. პოლიციამ საკრებულოს თავმჯდომარის საცხოვრებელი სახლი გაჩხრიკა და იქიდან, როგორც ამოიპოვნა, თვითნაკვეთი მცირეკალიბრისა და შაშხანა, ნომერნაშლილი გადაჭრილი თოფი, კარაბინის 77 ვაზნა, „ა-კა-ემის“ სისტემის ავტომატის 15, „ა-კა-ესის“ ავტომატის — 4, „ნაგანის“ რევოლვერის — 3, „მაკაროვის“ პისტოლეტის 2 და „ტე-ტეს“ სისტემის პისტოლეტის 4 ვაზნა ამოიღო. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. გამოძიებას რაჭა-ლეჩხუმის შს სამმართველო აწარმოებს.

## ყარაღარ თავდასხმაში ეჭვმიტანილი ქმეზი დააკავეს

სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის სამმართველოს თანამშრომლებმა ქმეზი — ხვიჩა და ვალერი ბენდელავეზი დააკავეს. სამართალდამცველებს ინფორმაციით, ისინი ყარაღარ თავდასხმაში არიან ეჭვმიტანილები. თავდასხმა ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭკადუაში მცხოვრებ თორდების ოჯახზე მოხდა. სამხარეო პოლიციის თანამშრომლების თქმით, ქმეზი ცხელ კვალზე დააკავეს. ეჭვმიტანილებისგან ამოიღეს ცეცხლსასროლი იარაღი, ნიღბები, დანები და დაზარალებული ოჯახიდან წაღებული ნივთები. როგორც სამართალდამცველები აღნიშნავენ, ქმეზი სავარაუდოდ, მარტო არ მოქმედებდნენ — თავდასხმელები ოთხნი იყვნენ.

## ნორვეგიელები ქართულ პატიმრებს დაასაქმებენ

ნორვეგიის იუსტიციის მინისტრი მალე საქართველოს ეწვევა. ვიზიტის მიზანი კი საქართველოს სასჯელაღსრულების დანესებულებებში არსებული ვითარების გამოსწორება და ამ საქმეში, ნორვეგიის გამოცდილების გათვალისწინებაა. ამ მიზნით, საქართველოს დელეგაციაც იმყოფებოდა ნორვეგიაში. დელეგაციას იუსტიციის მინისტრის მოადგილე — გივი მიქანაძე ხელმძღვანელობდა. მიქანაძის განცხადებით, ნორვეგიის იუსტიციის მინისტრთან შეხვედრა, ორი ქვეყნის იუსტიციის სამინისტროებს შორის თანამშრომლობის პერსპექტივას შეეხო. ნორვეგიის მთავრობა, საქართველოს სასჯელაღსრულების დანესებულებებში, პატიმართა დასაქმების სამ პროექტს განახორციელებს. პროექტების მიხედვით, გვევთის სასჯელაღსრულების დანესებულებაში სათბური უნდა მოეწყოს, ქუთაისის საპყრობილეში — ფეხსაცმელების სამკერვალო, ხოლო თბილისის №5 (არასრულწლოვანთა და ქალთა) კოლონიაში — საპარიკმახერო. ქართული მხარე ნორვეგიის ციხეებში სამედიცინო მომსახურების სისტემითაც დაინტერესდა.



მოკლე სანდრო გირგვლიანი



### სანდრო გირგვლიანის მკვლელობას მოაოხის გაომხეაურა

„გაერთიანებული ქართული ბანკის“ საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილების მენეჯერის — 28 წლის სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმეს, ოპოზიციონერები გამოეხმაურნენ. „საქართველოს კონსერვატიული პარტიის“ ლიდერმა, პარლამენტარმა კობა დავითაშვილმა ამ საკითხს საგანგებო პრესკონფერენცია მიუძღვნა. „არ მაქვს იმედი, რომ ამ საქმეს ობიექტურად გამოიძიებენ“, — აცხადებს დავითაშვილი. ამ განცხადების საფუძველი კი, როგორც თავად აღნიშნავს, მკვლელობის საქმეში მალაჩინოსან ძალოვანთა გვარების გამოჩენაა. ტელეკომპანია „იმედი“ ტელეგადაცემა „დროების“ სიუჟეტის მიხედვით, მკვლელობამდე ცოტა ხნით ადრე სანდრო გირგვლიანი „მარდენ-ბარში“ მეგობარ გოგონას მიაკითხა, ბარში ის — თათია მინსურაძე — თავო მერაბიშვილთან, დათა ახალაიასთან, ვასო სანოძესთან და გურამ დონაძესთან ერთად იმყოფებოდა; სანდრომ მეგობარ გოგონას უხეშად ჰკითხა, თუ რატომ იყო ბარში ამ ხალხთან ერთად და მას ბარის დატოვება მოსთხოვა. გოგონა მას არ გაჰყვა. სიუჟეტის მიხედვით, მკვლელობა ბარში მოხდარ უსიამოვნო საუბარს მოჰყვა...

თავო მერაბიშვილი შს მინისტრის — ვანო მერაბიშვილის მეუღლე გახლავთ. დათა ახალაია შს სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსია, ვასილ სანოძე შს სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსი, ხოლო გურამ დონაძე შს სამინისტროს პრესსამსახურის უფროსი გახლავთ. ხსენებული პირები აღნიშნულთან დაკავშირებით კომენტარზე კატეგორიულ უარს აცხადებენ.

„ყველა მათგანი უნდა გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან. ისინი აუცილებლად შეეცდებიან გავლენა მოახდინონ გამოძიებაზე. მინდა ვკითხო პრეზიდენტს — რამდენ ხანს გაგრძელდება „მონსტრების კორპორაციის“ თარეში? ისინი უკვე მკვლელობებსაც სჩადიან“, — აცხადებს დავითაშვილი.

# დანაშაული ცოლის პერტოის მიზნით

ასეთი სახის დანაშაულები საქართველოში არცთუ ისე იშვიათად ხდება. სამართალდამცავ უწყებებში დაფიქსირებული ფაქტების უმეტესობა, სამწუხაროდ, არასრულწლოვნებზე მოდის. ოჯახის შექმნის სურვილით ნადრევიად შეპყრობილი ახალგაზრდები თავიანთ რჩეულებს მათი ნების საწინააღმდეგოდ იტაცებენ და ამ დროს, უკან არაფერზე იხევენ; მიზნის მისაღწევად, აგრესიული ახალგაზრდა ზოგჯერ, ყოველგვარ საზღვრებს სცილდება და მისი ქმედება გამოუსწორებელ დანაშაულად იქცევა. გოგონას კი, რომელსაც ცოტა ხნის წინ სიყვარულს ეფიცებოდა, უდიდეს მორალურ ტრავმას აყენებს და სამუდამოდ უმახინჯებს ცხოვრებას.

როგორც ამბობენ, ეს პრობლემა წინა წლებში, უფრო აქტუალური იყო. მაგრამ როგორც ჩანს, ახალგაზრდები მსგავს მართლსაწინააღმდეგო ქმედებებს არც ამჟამად ერიდებიან. დანაშაულს ხშირად, განსაკუთრებული სისასტიკის ნიშნები ახლავს თან. ახლახან, უზენაესი სასამართლოს მიერ განხილული სისხლის სამართლის საქმეც ამას მოწმობს.

საქმე თავდაპირველად, ქუთაისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიამ განიხილა. კოლეგიის წინაშე ოთხი განსაჯელი წარდგა: ტექნიკური უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ექსპერტიზის ფაკულტეტის სტუდენტი 19 წლის რევაზ ლევიძე (ყველა მოქმედი პირის გვარ-სახელი შეცვლილია), მისი ძმა — 17 წლის გელა ლევიძე, მათი ბიძაშვილი, ასევე 17 წლის ზურაბ ლევიძე და მეგობარი — 20 წლის ლევან ბაბუნაშვილი. იმ დროისთვის, გელა და ზურაბ ლევიძეებს ახალი დამთავრებული ჰქონდათ საშუალო სკოლა. ბაბუნაშვილი კი, საშუალო განათლების მქონე და დროებით უმუშევარი გახლდათ. წარსულში არც ერთი განსაჯელი არ ყოფილა სასამართლევი ან რაიმე მართლსაწინააღმდეგო ქმედებაში შემჩნეული.

ყველაზე მძიმე ბრალდება პროკურატურამ რევაზ ლევიძეს წაუყენა. მას წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფთან ერთად, არასრულწლოვანი გოგონასთვის თავისუფლების უკანონო აღკვეთასა და მის არაერთგზის გაუპატიურებაში ადანაშაულებდნენ. ბრალდების თანხმად, ლევიძემ არასრულწლოვანი დაზარალებულის უმწეო მდგომარეობით ისარგებლა, ჯერ სასტიკად სცემა, შემდეგ კი ძალადობის მუქარით, არაერთხელ გაუპატიურა ძალაგამოცლილი და გონდაკარგული გოგონა. რაც შეეხება მის ძმას, ბიძაშვილსა და მეგობარს, მათ მხოლოდ არასრულწლოვნისთვის თავისუფლების აღკვეთაში დაედოთ

ბრალი. დაზარალებული, 15 წლის თამუნა კილაძე გახლავთ.

რევაზ ლევიძემ სასამართლო სხდომაზე განაცხადა, რომ ისინი შეყვარებულები იყვნენ, თუმცა, დაზარალებულმა ეს კატეგორიულად უარყო. **რევაზ ლევიძის** ჩვენებიდან:

„...ერთმანეთი თითქმის ერთი წლის მანძილზე გვიყვარდა. ჩვენი ურთიერთობის შესახებ ჩვენმა მეგობრებმა და ახლობლებმაც იცოდნენ. ჩემი ოჯახის წევრებმაც საქმის კურსში იყვნენ და თამუნას მშობლებიც. ზაფხულში გავიგე, რომ თამუნა ერთ ქუთაისელ ბიჭს მოსწონდა. როცა თამუნას შევეკითხე ამის შესახებ, მანაც დამიდასტურა, მაგრამ მითხრა, სერიოზული არაფერიაო. მე მაინც არ დავმშვიდდი. თამუნას ვთხოვე, ცოლად გამოემყოლოდა, მაგრამ თავს იკავებდა. ისიც ვიცოდი, რომ მისი მშობლები თამუნას გათხოვების წინააღმდეგეები იყვნენ. თამუნამ რამდენჯერმე მითხრა კიდეც — ახლა რომ გავთხოვდე, მშობლები ამას არასდროს მამატიებენო. შემდეგ, ნაცნობი ბიჭებისგან შევიტყვე, რომ ქუთაისელი თაყვანისმცემელი თამუნაზე სერიოზულად ფიქრობდა და მისი მშობლები თამუნას ოჯახის წევრების დაყოლიებასაც ცდილობდნენ. ამის შესახებ ჩემს ბიძაშვილს — ზურას ვუთხარი. მაშინ მირჩია, მომეტაცებინა. ჩავთვალე, რომ სხვა გზა არ მქონდა და გადაწყვიტე. ჩემი ძმაც დამეთანხმა...“

როგორც ზურაბ ლევიძემ სასამართლო სხდომაზე აღნიშნა, დახმარება მას თავად რევაზმა სთხოვა. ისიც იცოდა, რომ თამუნა კილაძე არასრულწლოვანი იყო. „ადრეც ჰქონდა ჩემთვის ნათქვამი — თამუნა მიყვარს და მისი ცოლად შერთვა მინდაო. იმ დღესაც ამიხსნა სიტუაცია, ძალიან დარდობდა და მეც დავთანხმდი დახმარებაზე“, — თქვა **ზურაბ ლევიძემ**.

შეთანხმდნენ, რომ ჩანაფიქრს მეორე



დღესვე განახორციელებდნენ. ავტომანქანით უზრუნველყოფა ზურაბ ლევითმ ითავა. ამისათვის დაუკავშირდა მეგობარს — ლევან ბაბუნაშვილს და სთხოვა, მისი სიძისთვის მანქანა გამოერთმია. ბაბუნაშვილი ჩათვალა, რომ უკეთესი იქნებოდა, თუ ამ საქმეში სიძესაც ჩართავდა. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, ნაცნობს დაუკავშირდა, ასე რომ, გოგონას მოსატაცებლად ყველანი, ერთად გაემართნენ. ბაბუნაშვილის სიძის — რუხაძის კუთვნილ ავტომანქანაში ექვსნი ისხდნენ, მათ შორის, რევაზ ლევითის უმცროსი ძმა — გელა.

როგორც შეთანხმდნენ, სკოლისკენ მიმავალ გოგონას დილით, გზაზე უნდა ჩასაფრებოდნენ. იმ დილით თამუნას გამოცდა ჰქონდა, ამიტომაც, სკოლაში დედაც მიჰყვებოდა. შემთხვევით, თამუნას ორი თანაკლასელი ბიჭიც შეხვდა და სკოლისკენ ერთად განაგრძეს გზა... ავტომანქანას რუხაძე მართავდა. მანქანა სკოლისკენ მიმავალ გზაზე გააჩერეს და გოგონას გამოჩენას დაელოდნენ. დაახლოებით ნახევარ საათში, თამუნა, დედამისი და ის კლასელი ბიჭებიც გამოჩნდნენ. მათი დანახვისთანავე, რუხაძემ მანქანა დაძრა და ნელი სვლით მათკენ წაიყვანა. როცა მიუახლოვდა, გაჩერდა. რუხაძის გარდა, თითქმის ყველა გადავიდა მანქანიდან. ზურაბ და რევაზ ლევითებმა თამუნა კილაძეს სტაცეს ხელი, დანარჩენებმა კი დედამისი და ბიჭები შეაკავეს. გოგონა ძალით ჩასვეს მანქანაში და დიდი სისწრაფით მოსწყდნენ ადგილს. გეზი წყალტუბოს რაიონის ერთ-ერთი სოფლისკენ აიღეს. იქ ლევითების ნათესავის ოჯახი ცხოვრობდა.

**დაზარალებულის** ჩვენებიდან:

„ზურა არასდროს მყვარებია. შეყვარებულები არ ვყოფილვართ. არა მარტო ჩემი მშობლები, მეც წინააღმდეგი ვიყავი მასთან ურთიერთობის. მოსვენებას მაინც არ მაძლევდა. ხან პირადად, ხანაც სხვების პირით მითვლიდა, რომ ჩემზე დაქორწინებას აპირებდა. ამ ხმებმა დედაჩემის ყურამდეც მიაღწია და შინიდან მარტო არსად მიშვებდა. იმ დღესაც, მხოლოდ იმის გამო არ მომყვებოდა სკოლაში, რომ გამოცდა მქონდა. ეშინოდა და სულ თან დამყვებოდა. მაგრამ იმ დილით, ასეთ ამბავს მაინც არ ველოდი. ყველაფერი წამებში მოხდა. აზრზე მოსვლაც ვერ მოვასწარი. ავტომანქანაში რომ მსვამდნენ, ვცდილობდი წინააღმდეგობის გაწევას, მაგრამ იმდენი იყვნენ, აზრი აღარ ჰქონდა ჩემს მცდელობას. ყველა ერთად მიჭერდა ხელებს. წიხლების ქნევა რომ დავინწყე, რეზომ (რევაზ ლევითემ) სახეში ძლიერად გამართყა“...

გოგონა ამბობს, რომ რევაზ ლევითე — ე.ი. საქმრო განსაკუთრებულ აგრესიას იჩენდა მის მიმართ. ოჯახში რომ მივიდნენ, რევაზმა ის ცალკე ოთახში გაიყვანა, კარი შიგნიდან ჩაკეტა, ჯერ სასტიკად სცემა, შემდეგ ტანსაცმელი შემოახია და გააუპატიურა. ეს მან იმ დღეს, კიდევ ერთხელ გაიმეორა.

გოგონას მშობლებმა მაშინვე პოლიციას აცნობეს მომხდარის შესახებ და სამართალდამცველებიც მალე დაადგინენ დამნაშავეების კვალს. დაკავებულებმა — ბრალდებულის სახით დაკითხვისას, გამოძიებას აღიარებითი ჩვენებები მისცეს. დანაშაული აღიარა რევაზ ლევითემაც. მაგრამ სასამართლოში ჩვენებები ყველა მათგანმა შეცვალა.

რევაზ ლევითემ კატეგორიულად უარყო არასრულწლოვანი კილაძის გაუპატიურების ფაქტი, თქვა, რომ სექსობრივი კავშირი გოგონამ მასთან ორჯერვე ნებაყოფლობით დაამყარა. საპირისპიროზე მეტყველებდა როგორც დაზარალებულის, მოწმეების ჩვენებები, ასევე სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნაც. ექსპერტებმა გაუპატიურების ფაქტი დაადასტურეს. მათი თქმით, დაზარალებულ გოგონას სხეულზე ძალადობის ნიშნები აშკარად ეტყობოდა.

სასამართლო პროცესზე დაზარალებული არ გამოცხადებულა. მისი წარმომადგენლის თქმით, მომხდარის შემდეგ, გოგონა დიდი ხნის მანძილზე იმყოფებოდა შოკურ მდგომარეობაში. ოჯახი იძულებული გახდა, საცხოვრებელი ადგილიც შეეცვალა. დაზარალებულმა შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს და განსასჯელების უმკაცრესად დასჯა მოითხოვა. განსასჯელები დამნაშავედ ცნეს, თუმცა, ყველაფერთან ერთად, კოლეგიამ განსასჯელთათვის შემამსუბუქებელი გარემოებებიც გაითვალისწინა. რევაზ ლევითეს ჩადენილი დანაშაულისთვის 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, საერთო რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით. რაც შეეხება დანარჩენ განსასჯელებს — მათ 3-3 წლით პირობითი სასჯელი შეუფარდეს.

განაჩენით განსაკუთრებით უკმაყოფილონი დარჩნენ რევაზ ლევითე და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატი, მაგრამ მათი მოთხოვნა არც უზუნაესი სასამართლოს საკასაციო პალატამ გაითვალისწინა.

# თავდასხმა ფოტობრაჟის ოჯახზე

## „სასტიკად მცემდნენ და თან მოკვლით მემუქრობდნენ“ – ჰყვება დაზარალებული დიასახლისი

24 წლის ახალგაზრდა, სასამართლომ უშიშესი ბრალდებებით, მათ შორის ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შენახვა-ტარების, ყაჩაღური თავდასხმისა და განზრახ მკვლელობის მცდელობისათვის გაასამართლა და სასჯელის ზომად 13 წლით თავისუფლების აღკვეთაც მიუსაჯა, მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით.

აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდა მსჯავრდებულისთვის ეს პირველი სასამართლობა არ გახლდათ. აქამდე, მან ხულიგნობისა და ქურდობისთვის მოიხადა სასჯელი. როგორც სამართალდამცველები ამბობენ, ციხეში გამოსწორების გზას არ დაადგა და გათ-

ავისუფლებიდან ცოტა ხანში, კარგად შეიარაღებული და ორგანიზებული ყაჩაღური დაჯგუფების შექმნაზე დაიწყო ფიქრი. გამოძიების მასალების მიხედვით, ზაზა ხვინგია (სახელი და გვარი შეცვლილია) წარმოშობით ქუთაისელი გახლავთ. ციხიდან ახალგამოსულმა,

მალე შეიძინა „ა-კა-ესის“ სისტემის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, მისთვის განკუთვნილ საბრძოლო მასალასთან ერთად და „ტე-ტეს“ სისტემის პისტოლეტი ორი მჭიდითა და საბრძოლო მასრებით. ჩანაფიქრის განსახორციელებლად, ხვინგია მისთვის კარგად ნაცნობ სამ პიროვნებას დაუკავშირდა და მათ ყაჩაღური ჯგუფის ჩამოყალიბება შესთავაზა. ამ წინადადებას აღნიშნული პირები, როგორც ჩანს, უყოყმანოდ დათანხმდნენ, რადგან გამო-



ძიების მასალების მიხედვით, ხვინგია ყაჩაღურ თავდასხმებს სწორედ მათი თანხლებითა და დახმარებით ახორციელებდა. თუმცა, სამართალდამცველები აცხადებენ, რომ ამ პირების ვინაობა დღემდე ვერ დაადგინეს. ხვინგიამ მათი გვარები არ დაასახელა. უფრო მეტიც, ის არც თავად ცნობდა წარდგენილ ბრალდებებში დამნაშავედ თავს და სასამართლო პროცესზე ალიბის იშველიებდა.

საქმის მასალების მიხედვით, პირველი ოჯახი, რომელიც ჯგუფმა დააყარა, ქუთაისში ცხოვრობდა. თავდაპირველად, ყაჩაღებმა ოჯახის წევრების რაოდენობა, ვინაობა და მათი მიმოსვლის გრაფიკი დაადგინეს. შეიარაღებულმა ბოროტმოქმედებმა შესაფერისი დრო შეარჩიეს და ლომაძეებს სალამოს დაესხნენ თავს — მაშინ, როცა ზუსტად იცოდნენ, რომ შინ მხოლოდ დიასახლისი იმყოფებოდა. ოჯახის უფროსი, ფოტოგრაფი გახლდათ. ყაჩაღებმა საბაბად ეს გამოიყენეს. დღის საათებში, ერთ-ერთმა თავდამსხმელმა, როგორც წინასწარ მოილაპარაკეს, კარზე ზარი დარეკა. კარი დიასახლისმა გაუღო. თავდამსხმელმა მშვიდად და დამაჯერებლად გაასალა თავი ერთ-ერთ კლიენტად. ქალს უთხრა — სურათის გადაღება მინდაო და ფოტოგრაფი იკითხა, თუმცა იცოდა, რომ ოჯახის უფროსი იმ დროს შინ არ იმყოფებოდა. დიასახლისმაც დაუდასტურა ეს, უთხრა — მეუღლე სოფელში გაემგზავრა და გვიან ღამემდე ვერ ჩამოვაო. ამის შემდეგ, ჯგუფის სხეულები წევრი თანამზრახველებთან დაბრუნდა და აცნობა მათ, რომ შესაძლებელი იქნებოდა, გვიან საღამომდე წარმატებით დაეყაჩაღებინათ აღნიშნული ოჯახი. თავდასხმა სალამოს 9 საათისთვის დაგეგმეს. სწორედ ამ დროს, ლომაძეების ბინის კარს ოთხი შეიარაღებული პირი მიაღდა. კართან მისულებმა, სახეზე ნიღბები აიფარეს და ზარი დარეკეს. „ზარის ხმა რომ გავიგონე, ჩავთვალე, რომ კვლავ ჩემს მეუღლეს მოაკითხეს და მშვიდად გავალე კარი“, — აღნიშნა შემდგომ, ჩვენებაში დაზარალებულმა. ყაჩაღები ბინაში შეცვივდნენ. დიასახლისს უბრძანეს, ხმა არ ამოეღო. გამოძიების მასალებში წერია, რომ ხვინგიამ ქალს სახისა და ტანის არეში მუშტებით ცემა დაუწყო. შემდეგ, დაზარალებულის პირსახოცები, ხალათი და ზენარი დახია და ამ ნაჭრებით ქალი გაკოჭა. იმისათვის, რომ დაზარალებული ყვირილი არ აეტყვა, მას პირიც აუკრეს. დამნაშავეებმა ბინიდან სხვადასხვა საოჯახო, ძვირად ღირებული ნივთი წაიღეს. სულ დაზარალებულ ოჯახს მათ 11 ათას ლარზე მეტი მატერიალური ზარალი მიაყენეს. იქაურობა სასწრაფოდ მიატოვეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. მომხდარის შესახებ დაზარალებულმა ოჯახმა

პოლიციას შეატყობინა.

ამ ამბიდან ზუსტად სამი დღის შემდეგ, „ა-კა-ესის“ ავტომატით შეიარაღებული ხვინგია ქალაქის ქუჩებში უმისამართოდ ისროდა. როგორც ამბობენ, იმ დროს ის ნასვამი იყო, ერთი საცხოვრებელი კორპუსის წინ იდგა, იგინებოდა, უცნაურ სიტყვებს ყვიროდა და კორპუსის მიმართულებით ავტომატიდან ჯერით ისროდა. შემთხვევის ადგილიდან პოლიციას შემფოთებულმა მობინადრეებმა დაურეკეს. პოლიციის განყოფილების თანამშრომლებმა თქვეს, რომ სროლის ხმა მათაც გაიგონეს. ისინი იმ დროს, „ვაზ 21011“ მარკის ავტომანქანით მოძრაობდნენ და შემოვლას აწარმოებდნენ. ოპერატიული ჯგუფის წევრები ბინასთან შეჩერდნენ და შეიარაღებულ ხვინგიას მოუწოდეს, შეენწყვიტა სროლა და დასვენებულიყო. პოლიციელები დამნაშავეს განაგონ დაახლოებით 20 მეტრში იდგნენ. როგორც ამბობენ, ხვინგიამ სროლა არ შეწყვიტა, არც დასვენებას აპირებდა, ავტომატი პოლიციელებისკენ მიმართა და რამდენჯერმე ჯერით მათკენაც გაისროლა. „ამის გამო, ჯერ ჰაერში ვისროლე. ეს გამაფრთხილებელი გასროლა იყო ჩვენი მხრიდან. კიდევ ერთხელ მოვუწოდეთ, დაგვენებოდა და იარაღი ძირს დაეგდო, მაგრამ ამოდ. იძულებული გავხდი, მისი შეჩერების მიზნით, მისკენ მესროლა. აშკარა იყო, რომ მას ჩვენი — პოლიციელების მოკვლა ჰქონდა განზრახული, რათა შემდეგ, შემთხვევის ადგილიდან გაქცევის შესაძლებლობა მისცემოდა. საფრთხე ყოველ ჩვენგანს ერთნაირად გვემუქრებოდა. ამიტომაც, სხვა გზა აღარ დავგვრჩა“, — ასე ახსნა თავისი ქმედება სასამართლო პროცესზე ოპერატიული ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა. მის მიერ ნასროლი ტყვიანი ხვინგიას ფეხში, კერძოდ, მარჯვენა ბარძაყის არეში მოხვდა. დაჭრილი ჩაიკეცა. პოლიციელების თქმით, მან სროლაც შეწყვიტა და ის მაშინვე განაიარაღეს. ამის შემდეგ, დაჭრილი ავტომანქანაში ჩასვეს და კლინიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს. ექიმების თქმით, ხვინგიას საკმაოდ მძიმე ჭრილობა აღმოაჩნდა, თუმცა, დროული სამედიცინო დახმარების შედეგად, ის სიკვდილს გადაარჩინეს. მომხდარი ფაქტის გამო, მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარებისა და ხულიგნობის (საზოგადოებრივი წესრიგის უხეში დარღვევის, იარაღის გამოყენებით) აღძრა. გარდა ამისა, ხვინგიას პოლიციელების განზრახ, დამამძიმებელ გარემოებებში მკვლელობის მცდელობაშიც დასდეს ბრალი.

ხვინგიამ თავი უდანაშაულოდ გამოაცხადა. მისი ადვოკატის თქმით, მას არც ერთი ზემოაღნიშნული დანაშაული არ ჩაუდგინია. „ბრალი მას საავად-

მყოფოში წაუყენეს, ოპერაციის შემდეგ. იმ დროს, ტკივილგამაყუჩებელი საშუალებები უკეთებოდა. ხვინგია ისეთ მდგომარეობაში იყო, რომ ვერც აცნობიერებდა, რა ხდებოდა და რაში ადანაშაულებდნენ მას“, — აცხადებდა ადვოკატი. საქმის მასალებში კი, დაზარალებულთა მიერ დამნაშავის ამოცნობის ოქმები იდო, თუმცა, ადვოკატი მათ კანონიერებასაც აყენებდა ეჭვქვეშ. „დაზარალებულთა ჩვენებები წინააღმდეგობრივია და არ შეიძლება, ისინი საფუძვლად დაედოს გამამტყუნებელ განაჩენს. ამასთან, ლომაძეების ოჯახზე თავდასხმაში ხვინგია მონაწილეობას ვერ მიიღებდა, რადგან ზუსტად იმ დროს, როცა ფაქტი დაფიქსირდა, ის ცაგერის რაიონის ერთ-ერთ სოფელში, ახლობლის წვეულებაზე იმყოფებოდა. იმ დროს ხვინგიას იქ ყოფნის ფაქტს მთელი სოფელი ადასტურებს“, — ირწმუნებოდა ადვოკატი. მაგრამ სასამართლომ მისი სიტყვები და განსასჯელის „ალიბი“ საწინააღმდეგო არ მიიჩნია. მოსამართლის თქმით, ადვოკატის პოზიცია არადაამაჯერებლად გამოიყურებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ხვინგიას ცაგერის რაიონში ყოფნის დამადასტურებელი ჩვენებები მან მართლაც წარმოადგინა. მოსამართლეებმა ჩათვალეს, რომ დაზარალებულთა სიტყვები უფრო სარწმუნო იყო, ვიდრე იმ მოწმეებისა, რომლებიც აშკარად ცდილობდნენ, განსასჯელი მოსალოდნელი მიმეო სასჯელისგან როგორმე ეხსნათ. სასამართლო სხდომებზე ხვინგია აგრესიულად იქცეოდა, რის გამოც, მოსამართლისგან არაერთი შენიშვნა მიიღო. დაზარალებული — **თ. ლომაძე** კი აშკარად ადებდა მას ხელს და აცხადებდა, რომ იმ საღამოს, სხვა შეიარაღებულ პირებთან ერთად, სწორედ ის დაესხა თავს: „მის ხმასაც ვცნობ, აღნაგობასაც, მიხრა-მოხრასაც... სწორედ ეს იყო, ვინც მიყვიროდა, სიტყვიერ შეურაცხყოფას მაცენებდა და მოკვლით მემუქრებოდა“.

ბრალდების მხარის მტკიცებულებებს ამყარებდა ხვინგიას საცხოვრებელი ბინიდან ამოღებული ნაყაჩაღარი ნივთებიც, მათ შორის, ლომაძეების კუთვნილი სანადირო დანა ქარქაშით, ვიდეოკამერა და ტყავის ქურთუკი. მიუხედავად იმისა, რომ განსასჯელი და მისი ადვოკატი ბოლომდე თავიანთი პოზიციის ერთგულები დარჩნენ, სასამართლო დათმობაზე არ წავიდა. განაჩენი არც შემდგომმა ინსტანციამ გააუქმა. ადვოკატი საქმის ხელახალ სასამართლო განხილვას მოითხოვდა, მაგრამ მას არც ეს მოთხოვნა დაუკმაყოფილეს. პალატის მოსამართლეების თქმით, ხვინგიას მიერ ჩადენილი დანაშაულები აშკარა იყო და განსაზღვრულ სასჯელსაც სამართლიანად იმსახურებდა.



# დაუფიქსარი სიყვარული

**ოცნებას კაცი არ მოუკლავს ანუ რატომ  
არ დაქორწინდნენ ბრუსლი და მანჩო**

რას ნიშნავს დაუფიქარი? ყველაფრის დაფიქრება ან მიფიქრება შეიძლება, თუ ერთს მეორე, ოღონდ, გაცილებით უკეთესი ჩაენაცვლება. აბა, წარმოიდგინეთ, რომ შეგიყვარდათ ადამიანი, რომელიც, როგორც სწორად ხდება ხოლმე, სულაც არ აღმოჩნდება იდეალური. ცოტა ხანში იმასაც შენიშნავთ, რომ ჩუმ-ჩუმად სხვას ხედება, გატყუებთ, სწორად ჩსუბობთ, თავს გაყვადობთ და წარამარა გახსენებთ, რომ თქვენ მისი ღირსი არ ხართ — ის ხომ ასეთი კარგია და თქვენ ვალდებული ხართ, მისი სურვილების შესასრულებლად „ხატაეთს“ წასვლასაც კი არ მოერიდოთ და საყვარელ ადამიანს აჩვენოთ „საქმენი, საგმირონი“. ცივ ზამთარში მის ფანჯრებთან უნდა გაათენოთ და ზაფხულის ხვატში „ტიანზე თაფლნასმული“, მისი თავყვანისმცემლების გვერდით უნდა დაიხრუკოთ მზეზე. თვითონ კი თუ წყალობას მოიღებთ, გაგიღიმებთ და ჰაეროვან კოცნასაც გამოიმეტებს... რას იზამ, ან უნდა შეეგუო, ან — დაიფიქრო... გიჭირთ? ვერ ამოიგდეთ გულიდან? ახლა ისიც წარმოიდგინეთ, რომ ამ დროს გამოჩნდა მეორე, გაცილებით უკეთესი გარეგნობის, ყურადღებიანი, უპრეტენზიო, ერთგული და მოსიყვარულე ადამიანი, რომელიც თქვენი გულისთვის საკუთარ სიცოცხლესაც კი არ დაიშურებს... ალბათ დამეთანხმებით, რომ ცოტა ხანში პირველის არსებობაც კი დაგავიწყდებათ. ასეა, ძველს ვერ ვივინებთ და მივტირით მხოლოდ მაშინ, როცა არ გვიმართლებს და ვხვდებით, რომ ორი უკიდურესობიდან სწორედ უარესის სასარგებლოდ გავაკეთეთ არჩევანი.

## მარი ჯაფარიძე

### ვის გაუმართლა?

„მინდა, ჩემი სიყვარულის შესახებ მოგიყვეთ. საქმე იმაშია, რომ 12 წლის წინ, 2 ბიჭი მომწონდა. ვერ გამეგო, რომლისკენ უფრო მიმიწევდა გული. ისინი ერთმანეთს არ იცნობდნენ და ყველანაირად ვცდილობდი, ერთმანეთს არ შეხვედროდნენ. ორივეს ვხვდებოდი, რადგან ვცდილობდი მივხვდარიყავი, რომელი იყო მათ შორის უკეთესი. თითქოს ერთმანეთს ავსებდნენ. რაც ერთს დადებითი ჰქონდა, მეორეს საერთოდ არ გააჩნდა ის თვისება და —

პირიქით. ასე გრძელდებოდა მთელი 3 წლის განმავლობაში. საბოლოოდ, ერთ-ერთმა გადასძალა და მივიღე გადანყვეტილება, რომ ცოლად სწორედ მას გავეყოლოდი... თავიდან თითქოს ყველაფერი კარგად იყო, მაგრამ ჩემმა ქმარმა რამდენიმე თვის შემდეგ „აურია“. მაშინ მივხვდი, რომ არასწორი არჩევანი გავაკეთე — მე მეორე ბიჭი მიყვარდა. დავფიქრდი და იმასაც მივხვდი, რომ ჩემს მეუღლეზე არჩევანი მისი მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით შევაჩერე. ძალიან ვიტანჯები ამის გამო. ვერ ვივინებ ჩემს სიყვარულს და ჩემს ნაჭუჭში მოქცეული, ჩემთვის ვცხოვრობ. ქმართან კი მხოლოდ ბავშვები და მოე-

ალება მაკავშირებს.“  
სწორად ცხოვრებას ჭადრაკს ადარებენ ხოლმე. სათამაშო დაფა ერთია, მოთამაშე კი — 2. თითოეულ მათგანს თავისი მიზანი აქვს და ისე თამაშობს, რომ დასახულ მიზანს მიადგინოს. მოთამაშეებს თავისი შტრიხები მოწინააღმდეგის ჩანაფიქრშიც შეაქვთ. თამაში კი ორივე მხარისთვის მოულოდნელი კუთხით ვითარდება. იგებს ის, ვინც უკეთ მოამზადებს თავის სვლას.

### მხოლოდ თქვენ შემდეგ...

„რამდენიმე წლის წინ, ახალ წელს რესტორანში, მეგობრებთან ერთად შეხვედი. უამრავი ხალხი იყო. ჩვენსავით, რამდენიმე „სასტავი“ მოსულიყო და ქეიფობდა. ერთ ჯგუფში ლამაზი ბიჭი შევნიშნე. დანახვისთანავე მომეწონა და მტკიცედ გადავწყვიტე, რომ ხელში ჩამეგდო. ეტყობოდა, რომ საკმაოდ შეძლებული იყო, რადგან მაგარ „ზმანზე იდგა“ და თანაც, კაბრიოლეტით მოგრიალდა. მოგესხნებათ, ასეთ დროს სუფრის ყველა წევრი ერთად ცეკვავს და ერთმანეთთან ურთიერთობს კიდევ, ამიტომ, არ გამიჭირდებოდა მასთან დაკონტაქტება. მთავარი იყო გამეგო, შეყვარებული, ცოლი ან ნაშა ხომ არ ახლდა თან. ჩემი გარეგნობის იმედი მქონდა და თამამად დაეუწყე თვალების „პრანვა“, მაგრამ შევნიშნე, რომ სხვა „სასტავიდან“ ერთი გოგოც ცდილობდა მის დათრევას. ჩვენი შანსები ავნონდავნივთ და ვალიარე, რომ არც ის მიდებდა ტოლს სიძალღესა თუ სილამაზეში. მივხვდი, ბრძოლა დამჭირდებოდა, მაგრამ უკან ვეუარაფერი დამახვივინებდა. ერთი სიტყვით, მოვახერხე, რომ ეს ბიჭი გამეცნო და ტელეფონის ნომერიც მიმეცა. შევნიშნე, რომ იმ გოგონამაც მისცა ქალაღდის ნაღლეჯზე დაწერილი ნომერი. ერთმანეთს დღის 9 საათზე დავკორდით, როცა რესტორნიდან წამოვივდი. 2 იანვარს დამირეკა და შეხვედრა მთხოვა. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, რადგან თავი გამარჯვებულად ჩავთვალე, მაგრამ ჩემი სიხარული ნაადრევი გამოდგა: შეხვედრისას დაუფარავად აღიარა, რომ იმ გოგოს ანუ ირმას, წინა დღით შეხვედროდა. მხოლოდ ის მამშვიდებდა, რომ ეს შეხვედრა ირმას ინიციატივით მომხდარა. ყველანაირად ვცადე, თავი მომეწონებინა და შევქელი კიდევ, რადგან გულწრფელად აღფრთოვანდა ჩემით. ჩვენი შეხვედრები გაგრძელდა, მაგრამ ვგრძობობდი, რომ ირმასაც ხვდებოდა. მისი ტელეფონიდან ირმას ნომერი მოვიპარე, მეორე დღესვე დაუურეკე და შეხვედრა ვთხოვე. ბევრი ვისაუბრეთ, არც ერთმა არ დავთმეთ ჩვენი საზიარო კერპი და ბოლოს შევთანხმდით, რომ ორივეს ღიად გვებრძოლა და რომელიც გამარჯვებდა, ბიჭიც იმას დარჩენოდა. ერთმანეთის მტრებად ვიქცით. უკვე აშკარად ვცდილობდით, ერთმანეთისთვის პაემანი ჩავვეშალა, შეხვედრის საშუალება არ მიგვე-



ცა... რამდენი კურობი გადაგვხდენია თავს ამის გამო. ერთმანეთს ვეჯიბრებოდით ჩაცმა-დახურვასა და სილამაზის სალონში სიარულში... ცოტა ხნის შემდეგ მივხვდი, რომ ეს ყველაფერი აზარტში გადაიზარდა და თითქოს მართონი გვექონდა გამართული, მაგრამ პოზიციას არც ერთი არ ვთმობდით. ასე გაიარა გაზაფხულმა, ზაფხულმა და... შემოდგომის დასაწყისში ჩვენი მტრედი დაგვიქორწინდა. ერთმანეთთან ბრძოლაში გართულებმა ვერც კი შევნიშნეთ, რომ მესამეც გამოჩნდა და წაგვართვა კიდეც ჩვენი დავის „საგანი“. ამის შემდეგ, თითქოს დარდა გაგვართვინა და საუკეთესო დაქალები გავხდით. ორივე ვალიარებთ, რომ ის ჩვენი დაუფინყარი სიყვარულია და ჩვენს უბედურებაზე გულიანად ვიცინით ხოლმე. რალას ვიზამთ? ახლა, თუ ვინმე კარგი ტიპი გამოჩნდება, ერთმანეთს ვუთმობთ ხოლმე“.

**„რატომ გაცვია პიჟამა?“**

„დავინწყებ იმით, რომ ძალიან მიყვარს „გზაჯინალები. ეს რუბრიკა რომ არ იყოს — „კანეც სვეტა“... ვალენტინობა ძალიან მაგარი დღესასწაულია, ვგიჟდები! შარშან, ვალენტინობის წინა დღეებში შეყვარებულს ვეჩხუბე და ბაკურიანში წავედი, ჩემს დასთან, მის შეყვარებულთან და დაქალებთან ერთად. იქ მაგრად მოვიწყინე, რადგან გუგა მენატრებოდა. ძალიან ვნანობდი, რომ ვეჩხუბე. 14 თებერვალი რომ გათენდა, მე ძალიან ცუდ გუნებაზე ვიყავი, ჩემი და კი გრივალეობდა. მე მათ არ გავყვი, ერთი კარგად ვიტრე და ბედს შევეგუე. ტელეფონი დღემდა... 12 საათი რომ დაინყო, ყველაფრის იმედი დავკარგე. ჩავიცი ჩემი დათუნებით მოქარგული პიჟამა და დავწყე. თან გუგაზე ვფიქრობდი და ვბრაზობდი. ვტიროდი და ვგრძობდი, რომ უზომოდ მენატრებოდა. ცოტა ხანში კარზე ისეთი ბრაგარუგი ატყდა, რომ შიშისგან გული გამისკდა. შინ მართო ვიყავი. საწოლიდან წამოვხტი და კუთხეში მივიყუყუე. კარი გაიღო და ოთახში გუგა შემოვიდა. ისეთი მოვრალი იყო, რომ ფეხზე ძლივს იდგა. სიხარულისგან ზედ შევახტი. იმ წუთში ჩემზე ბედნიერი არავინ იყო. ის კი ისეთი სასაცილო იყო... ხელში გაუბედურებული ყვავილები ეჭირა და ბოლო ხმაზე ყვიროდა, მიყვარხარო... მერე ყვიროდა, პიჟამა რატომ გაცვიაო. ჩემთან მთელი ღამე დარჩა და სიყვარულს მეფიცებოდა. ჩემი და რომ მოვიდა, ღამის გადაირია. გუგას თავზე ცივი წყალი გადაასხა, რომ ჩემი წყენინება მეორედ აღარ გაებედა. მოკლედ, უმაგრესი დღე იყო... ეს მართლაც დაუფინყარი სიყვარული იქნება. ანი“.

**„ვეძებ მოცეკვავს!“**

„ეს ამბავი 1997 წელს მოხდა, მაგრამ ჩემთვის დღემდე დაუფინყარია. დავინწყებ იმით, რომ ფეხბურთელი ვარ და

ხშირად მიწევს „ზბორებზე“ სიარული. ჰოდა, იმ წელსაც მთელი გუნდი ბაზალეთის ტბაზე ვიყავით შეკრებაზე. იქ ჩამოსული იყო მოცეკვავეთა ანსამბლი. ერთმანეთი გავიცანით და დავხლოვდით. მე განსაკუთრებით ერთ გოგოს დავუახლოვდი და მის მიმართ მალე გრძობაც გამიჩნდა. მაშინ 15 წლის ვიყავი და შესაძლოა, ვინმეს ჩემი გრძობა ბავშვურ გატაცებად მოეჩვენოს, მაგრამ არც ასეა საქმე. იმ გოგოს თამუნა ერქვა და გვარად კაველაშვილი იყო. იქიდან დაბრუნების შემდეგ, ცოტა ხნის განმავლობაში კიდეც ვკონტაქტობდით, შემდეგ კი რატომღაც ურთიერთობა გავწყვიტეთ. მან ცეკვას თავი დაანება. მაშინ ტელეფონით დაკავშირება ისე იოლი არ იყო, როგორც დღეს. ამის შემდეგ ეს გოგო არ მინახავს. გავიდა წლები. მე ძალზე აქტიურად დავინწყე ეკლესიაში სიარული. დიდუბის ეკლესიის მრევლი ვიყავი. ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს სწორედ ეკლესიაში ვნახე. უფრო სწორად, ყოველ შაბათ-კვირას ვნახულობდი, მაგრამ რატომღაც ახლოს მისვლა ვერ მოვახერხე გამოსალაპარაკებლად. ალბათ ჯობდა, რომ მიცხულიყავი, მაგრამ... მერე სხვა ეკლესიაში დავინწყე სიარული და ახლაც იქ დავდივარ. მეორედ დავკარგე ეს გოგონა. მერე შევიტყვე, რომ ჩემი ახლობლის მეგობარი ყოფილა. მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელო, იქნებ ნაიკითხოს იმ კარგმა ადამიანმა ეს მესიჯი და მიცნოს. თუ გამოიმეხმარება, მართლა ძალიან გამიხარდება. წინასწარ გიხდით დიდ მადლობას. პატივისცემით, „ფორვარდი“.

**არშემდგარი პაემანი**

„შემთხვევით, ტელეფონით გავიცანი ბიჭი სწორედ მაშინ, როცა მამა დაშეღუპა და ძალიან მიჭირდა. თითქმის ყოველდღე მირეკავდა, მამშვიდებდა და ცდილობდა, ეს საშინელი პერიოდი რამენაირად შეემსუბუქებინა. მის შესახებ მხოლოდ ის ვიცი, რასაც თვითონ მიყვებოდა. იფიცებოდა, რომ არაფერს მიმალავდა. — რატომ უნდა მოგატყუო? — მეუბნებოდა. მეც, ჩემ შესახებ ყველაფერს ვუყვებოდი. ერთმანეთი კი ნანახი არ გვყავდა. რამდენჯერმე შეხვედრად შემომთავაზა, მაგრამ თავს ვიკავებდი, რადგან მისი ქცევებიდან და ხასიათიდან გამომდინარე, ისე ლამაზად მყავდა წარმოდგენილი, რომ მეშინოდა, არ შემეყვარებოდა. 7 თვის განმავლობაში ველაპარაკებოდით და უშედეგოდ ერთმანეთს. ერთ დღეს კი დამირეკა და მითხრა: — მივემგზავრები და წასვლამდე შენი ნახვა მინდა, ხვალ დაგირეკავ და შეხვედრაზე შევთანხმდეთო. — იმ ღამით კი მომწერა, აკრძალული სიყვარულით მიყვარხარო... მას შემდეგ, გაქრა... 1 კვირის შემდეგ დავურეკე. უცხო ბიჭმა მიპასუხა და მითხრა, რომ ის გაემგზავრა. მე კი არ მჯერა. არ ვიცი, ან მისი გამოჩენა რას ნიშნავდა ან გაუჩინარება? ფიქრობ, ღმერთმა გამომიგზავნა მამის გარდაცვალებით მოყ-

ენებული ტვივილის შესამსუბუქებლად. მისი გამოგზავნილი ყველა მესიჯი ბლოკნოტში გადავწერე და ახლა, როცა მათ ვკითხულობ, მეცინება. მართლა ტუბილ მოგონებად დარჩა. ძალიან მენატრება იმ ბავშვის ხმა, რომელსაც ტელეფონით ხშირად მალაპარაკებდა ხოლმე და მეფიცებოდა, ჩემი ნათლულიაო... იმასაც იფიცებოდა, ცოლი არ მყავსო. დავიჯერო, მართლა საფრანგეთში წავიდა? 6-22. თუ „გზაჯინალებს“ კითხულობ, მიპასუხე: განა ვერ გავიგებდი, როგორი პრობლემაც უნდა გქონოდა? 6-19“.

**„მსუყე“ ლუკმა ჟურნალისტებისთვის...**

„მარი, გამარჯობა! მესიჯს პირველად გწერ. ისე, თქვენი ჟურნალისტების ინტერვიუ ხშირად მიმიცია... რომ იცოდე, ჟურნალისტებს როგორ აინტერესებთ ჩემი პირადი ცხოვრება, მაგრამ არავის ვენდობი. იმედია, საიდუმლოს შემიწახავ. რაც შეეხება თქვენს თემას: დარწმუნებული ვარ, ყველა ჩემი შეყვარებულისთვის დაუფინყარი ვარ, მაგრამ მინდა, ჩემს ბოლო რომანზე მოგიყვე. საკმაოდ დიდი თანამდებობის პირს მოვწონდი. ლიპიანი ბიძა არ გეგონოთ, სიმპათიური ბიჭია. ვიცნობდი, მაგრამ მასთან შეხვედრას თავს ვარიდებდი ხოლმე, რადგან არ მინდოდა, ეფიქრა, რომ მეც მომწონდა. ერთ დღეს, როცა მე და ჩემი დაქალები კაფეში ყავას ვსვამდით, კარი გაიღო და სწორედ ეს ბიჭი შემოვიდა ძმაცაცებთან ერთად. რომ დამინახა, სახე გაუბრწყინდა. მეც გამიხარდა მისი დანახვა. მე ჩემს თავყანისმცემელს ველოდი და სასწრაფოდ დავუმესიჯე, აღარ მოხვიდე-მეთქი. ჰოდა, რა თქმა უნდა, ბიჭები ჩვენს მაგიდას შემოუსხდნენ. ამ დღიდან დავუახლოვდით ერთმანეთს. ყველგან ერთად დავდიოდით, ჩვენი ამბავი მთელმა თბილისმა გაიგო. ყველა მათობილბედა, ნუ ენდობი, ქალების მუსუსიაო, მაგრამ არავის ვუჯერებდი. ცოტა ხნის წინ, რალაც მანყენინა და ურთიერთობა გავწყვიტე. თავიდან, რამდენჯერმე დამირეკა, შემდეგ, როგორც ჩანს, მოსწყინდა და ახლა თვითონაც აღარ მირეკავს. საზოგადოებაში ვეღარ ვჩნდები, რადგან დარწმუნებული ვარ, ყველა იმავს იტყვის ჩემზე, რასაც მის ყოფილ ნაშუბზე ამბობდნენ. მე კი თავმოყვარეობა შემეღახა. ჰოდა, რას ვიზამ იცი, მარი? თუ ჭკვიანად არ იქნება, მის სასიყვარულო მესიჯებსა და სურათებს ჟურნალისტებს მივცემ და მერე მისთვისაც დაუფინყარი სიყვარული გავხდები“.

*პირობას ვეძებ, რომ სამარე ვიქნები და არსად არაფერს ვიტყვი, მაგრამ იმედია, როცა სურათებისა და მესიჯების დარიგებას დაინწყებ, არც მაშინ დაგავიწყდები 1-2 ცალს მეც შემახვედნო... ახლა კი მოკლედ მესიჯებს გავწერთ:*

**„მიყვარს, რადგან ცალ-ცალი ეტასი აცვია“...**

„მე ის ქალი ვარ, საახალწლოდ მე და

ჩემმა ქმარმა ერთმანეთს თავები რომ გადავპარსეთ. ამ ამბავმა ძალიან გაახალისა ჩვენი ახლობლები. თმა ცოტათი წამომეზარდა და ჩემი ქმრის მადლიერი ვარ, რადგან შავი თმის ნაცვლად ქერა ამომივიდა. პატარა ზღარბუნებს ვგავართ ორივე. თუ ახალი თავგადასავალი გვექნება, აუცილებლად მოგწერ. დიდი სიყვარულით, ზღარბუნა“

„ვეხმაურები იმ გოგოს, რომელმაც პატიმარი შეიყვარა და ახლა ბედნიერი ორსულია. საყვარელო, მეც გავიცანი ჩემი ოცნების მამაკაცი მესიჯებით და ვერ წარმომიდგენია, როგორ ვცხოვრობდი ამდენ ხანს მის გარეშე. 2 თვის განმავლობაში მხოლოდ ტელეფონით ვკონტაქტობდი. შემდეგ — ვნახე. აურაცხელ საჩუქარს მიგზავნიდა გეგუთის ზონიდან — უზარმაზარი ჯვრები, ეკლესიები, ძვირფასი მობილური ტელეფონები... ბოლოს გავიგე, რომ 3 წლის დაქორწინებული ყოფილა. ამის მერე დაიწყო თამაში. რა უნდა, ვერ გავარკვეე. ხან მირეკავს და ხან შეუბნება, რომ უზომოდ ვუყვარვარ, მე — კვირობით იკარგება... ჩემი გამოყენება არ უცდია, მაგრამ აღარ ვიცი, რა ვიფიქრო... იმედა გ-შვილო, გილოცავ სიყვარულის დღეს. მაიკო (დადუ), ქუთაისიდან“.

„შორიდან მივესალმები „გზაპნილებს“ — მკითხველებს. ამჟამად საბერძნეთში ვიმყოფები, მეუღლესთან ერთად. 18 წლის ვარ და ერთ თვეში შვილსაც ველოდები. საქართველოში დავტოვე ოჯახი, რომელიც ძალიან მენატრება. განსაკუთრებით კი ჩემი 5 წლის და, გვანცა. ქართველებო, იცოდეთ, რომ საქართველო ყველაზე ლამაზი და მდიდარი მსოფლიოში. მიყვარხართ, ქართველებო და საქართველო! ლაურა ხოსიტაშვილი“.

„სწორედ დაუვიწყარი სიყვარულით მიყვარს. 32 წლის ასაკში შემიყვარდა და ალბათ უკანასკნელად. მან მომატყუა, რომ უცოლოა, მე კი გავიგე, რომ ოჯახი აქვს, მაგრამ მაინც სიგიჟემდე მიყვარს. მას ვერავინ შემიცვლის. გელა, მიყვარხარ და სულ ტყუილად მეტუტები. ლელა“.

„დამიჯერეთ, დაუვიწყარი სიყვარული არ არსებობს. სიყვარულის გამო ნერვებს ნუ დაიზიანებთ. დამიჯერეთ, მე ეს ყველაფერი გამოვცადე. ჟანა“.

„ყურებამდე ვარ შეყვარებული ჩემს თანამშრომელზე. ჯერ ერთი თვეც არ არის, რაც გავიცანი. სამსახურიდან რომ მიდის, ტირილი მიწდება. ძალიან სერიოზული ადამიანია და ჩემ მიმართ ყურადღებას არ ამჟღავნებს. არადა, ვიცი, რომ მოვწონვარ. თ. ლ., გამოფხიზლდი, მიყვარხარ!“

„ვერ წარმოიდგენთ, როგორ ველოდი 14 თებერვალს. ჩემი დაუვიწყარი სიყვარული სანდრო იყო, მაგრამ ახლა „დაუვიწყარ სიმპათიებში“ ვარ ჩაიძრული. 2 ბიჭი ერთად მომწონს და არ ვიცი, როგორ მოვიქცე. მარუსა“.

„ერთ ზაფხულს, დასასვენებლად კურორტზე წავედი, ჩემს 2 მეგობართან

ერთად. იქ ერთი ბიჭი მომეწონა და აღმოჩნდა, რომ ის ჩემს ორივე დაქალს მოსწონდა. უნდა გენახათ, რა ამბავი იყო. სულ ვჩხუბობდით და ლამის ერთმანეთი თმით ვითრიეთ კიდეც. მისი ერთი შემოხედვა საკმარისი იყო საიმიოდ, რომ მაშინვე ჩხუბი დაგვეწყო: არა, მე შემომხედდა, არა — მეო... როდესაც თბილისში დავბრუნდით, მივხვდით, რომ არც ერთს აღარ მოგვწონდა და ერთმანეთს დავცინიოდით, ასეთი მახინჯი რამ შეგაყვარაო... აი, ასეთი დაუვიწყარი სიყვარული გვეწვია სამ დაქალსაც ერთად. კკკ“.

„ჩემს თანაკლასელს ვუყვარვარ და დებილი, არ მეუბნება. მეგობრებმა მითხრეს, შენზე გიჟდებო... რას აკეთებს, ვერ ვხვდები. ვალენტინობას ელოდებო. ნუ გოიმოზ, სანდრო! სალი“.

„მარი აუცილებელია, რომ მკითხველები გავლანძლო, რომ მესიჯი გამომიქვეყნო? იცი, როგორ მოუთმენლად ველოდი ჩემს გზაპნილს?! ნუკრის კი, სალანძღავი წერილი გამოუქვეყნე. ასე არ შეიძლება. დეკა“.

„თითქოს უზომოდ გვიყვარდა ერთმანეთი, სხვების თანდასწრებით თვალებით ვეფერებოდით ერთმანეთს, მაგრამ მოხდა სასწაული და ის სხვასთან აღმოჩნდა — მასთან, ვინც შეძლო, მისთვის პატარა რალაც ეჩუქებინა. ჩვენი შეხვედრები ძალული იყო. დღემდე ვერ ვივინყებთ ჩვენს ლამაზ სიყვარულს... გილოცავ ვალენტინობას, ჯიგო! გვრიტი“.

„ერთი ბიჭი მიყვარდა, სახელად ვეფხია. მე ვეფხუპას ვეძახდი. მასაც ვუყვარდი, ალბათ... ძალიან კარგი ურთიერთობა გქონდა. მაშინ მარტო ვცხოვრობდი და ჩვენი შეხვედრის ადგილი ჩემი სახლი იყო. მყავდა კატა, სახელად — მანჩო. ვეფხოს კატას კი ბრუსლი ერქვა. გადავწყვიტეთ, ჩვენი კატები დაგვექორწინებინა, მაგრამ მოხდა ისე, რომ ჩემი მანჩო დაიკარგა და მასთან ერთად, ჩემი სიყვარულიც. მე დღესაც გაუთხოვარი ვარ. ვეფხიამ კი ალბათ ცოლი მოიყვანა და არც ბრუსლი იქნება ცალად. მე კი ხშირად ვისხენებ ჩვენს სიყვარულს და ალბათ, თვითონაც იხსენებს. სამწუხაროდ, მისი კოორდინატები დავკარგე და არც ის მახსოვს ზუსტად, რატომ დავშორდით. ვეფხუკა, გილოცავ ვალენტინობას. თუ ამ მესიჯს ნაიკითხავ, ვიცი, აუცილებლად მიცნობ“.

„მარი, ვიცი, რომ უამრავ მესიჯს იღებ და ყველა მათგანს ვერ ათავსებ“ „გზის“ ფურცლებზე. არ ვიცი, რამდენად გამომართლებს, მაგრამ მაინც გწერ. მე საბერძნეთში მივდივარ და აქ ვტოვებ ადამიანს, რომელიც უზომოდ მიყვარს. ჩემო დათუნია, მინდა იცოდე, რომ ყოველთვის მეყვარები და როცა იასამანი აყვავდება, გამიხსენებ და ჩემ მაგირად მოეფერე. შენი ლელუ“.

„დაუვიწყარი სიყვარული გქონდა მე და ჯონი დებს, მაგრამ რად გინდა? გამოჩნდა ვანესა პარადი, გაუკეთა ჯადო

და წამართვა... ეჰ, ოცნებას კაცი არ მოუკლავს და რალა მე მომკლავს? პატივისცემით, ნკიპურტა“.

„რა უსაშველოდ, ლამაზად ბარდნის/ვისმენ ფიფქების უნაზეს ლოცვას/ კარგია, როცა არავის ელი/ და მაინც მოვა... ლანკა. ეს შენ გეძღვნება. მიშა“.

„მენატრები ციდან ცამდე/ ჩურჩულ-ციდან — კვილამდე/ სიცილიდან — ტირილამდე/ სიცოცხლიდან — სიკვდილამდე/ შენ მიყვარხარ, გენაცვალე/ წარსულიდან — მომავლამდე!.. ეძღვნება ახალგორელ მახო ილურიძეს, სიყვარულით, „კაპუსტასაგან“.

„მინდა დამეხმაროთ ჩემი შვილის მამის მოძებნაში. მან თავი შემაყვარა, მომატყუა და ბავშვით ხელში მიმატოვა. მინდა, რომ ჩემი 2 წლის ბიჭი იცნობდეს მამას. ცეზარ თაქ-ძე, დაუკავშირდი შენს მეგობარ დათოს და ის მოგიყვანს ჩვენამდე. თუ, რა თქმა უნდა, საამისოდ ვაჟაკობა გეყოფა...“

„ძალიან ხშირად გეწერენ, რომ პატიმარი შეუყვარდათ. მეც ასევე, პატიმარი მიყვარს. თანაც უზომოდ. ის ბიჭი ტელეფონით გავიცანი, ვინახულე კიდეც, მაგრამ ჩვენი ურთიერთობა ჯერ ფიზიკურ კონტაქტამდე არ მისულა. მის გამოსვლას ველოდები, რომ ცოლად გავყვებით. მთელმა მისმა ოჯახმა და ყველა ახლობელმა იცის, რომ ერთმანეთი გვიყვარს. ჩემთვის არაერთხელ ჩაურთავს ტელეფონი და ყოველთვის თან მყვება. მუდამ ეჭვიანობს და ჩემი დაკარგვის ძალიან ეშინია. ამის გამო ხშირად ვჩხუბობთ კიდეც და ერთმანეთს ვუბუტებით ხოლმე. ის ყოველთვის მაოცებს თავისი ქცევით. სულ სხვადასხვანაირად და ყოველთვის ლამაზად ახერხებს ჩემს შერიგებას. ყოველი ჩხუბის შემდეგ მგონია, რომ საბოლოოდ დავშორდით, მაგრამ გვრძობ, რომ არასოდეს დამთმობს. ბუტ, მიყვარხარ, ჩვენი სიყვარული მართლაც დაუვიწყარია. მართალია, ახლა გაბუტულები ვართ, მაგრამ იმედია, შევრიგდებით. შენი ფისუნია“.

„მგონი მომენატრე, როგორც არასდროს/ გარეთ ისე ცივა, თითქოს ახლაც თოვს/ რალაც უნდა მეტყუა, ოლონდ, არ მახსოვს/ მგონი მომენატრე, როგორც არასდროს! ვუძღვნი ყველა შეყვარებულს, თუმცა, სამწუხაროდ, მე მათ რიცხვს არ მივეკუთვნები. ირა“.

„მე და სალომეს ერთმანეთი გვიყვარს და დარწმუნებული ვარ, ჩვენი ურთიერთობა ქორწინებით დასრულდება, მაგრამ მის ოჯახს არ მოვწონვარ, რადგან მდიდარი არ ვარ, თანაც არც განათლება მაქვს საკმარისი. არადა, სალომესთვის თავს გავწირავ. ნუთუ ვლუპავ ამ პატარა გოგოს? მე ხომ მისთვის კომფორტული ცხოვრების შეთავაზება არ შემიძლია? ვერც საჩუქრებით ვანებიერებ, მაგრამ ის ამის გამო სულაც არ წუხს. ახლანდელ გოგონებს მარტო ფული აინტერესებთ, სალომე კი ასეთი არ არის... გოგა“.

„19 წლის გულგატეხილი გოგო ვარ. არ მგონია, თუ ოდესმე ისევ შევძლებ



შეყვარებას. სულ 4-ჯერ ვიყავი შეყვარებული და ყოველთვის მთელი გულით, მაგრამ ყველა შემძულდა. თუმცა, ვერც ერთს ბოლომდე ვერ ვივინყებ. დაქალბნაც კი არ ვუმხედრი ჩემი სიყვარულის ამბებს. პირველად სიყვარული V კლასში მეწვია, ის ჩემზე დაბალი იყო. დღედაღამ ვნერვიულობდი — სიმალღეში სწრაფად ვიზრდები და რა მემკვლელება-მეთქი?! ფიქრობდი, როგორ შემეჩერებინა ზრდა. ასე აგისდეთ ყოველივე კარგი! 160 სანტიმეტრს ვერ ავცდი, მაგრამ ისიც ვერ გიზარდა და დაჟღადარი ძალის სიმალღე დარჩა. ისე, ბედის მადლიერი ვარ, რომ არც ერთ მათგანთან არ გამიძარტლა. სამაგიეროდ, ვალენტინობას ახლა დაქალები მილოცავენ. ისე, როცა შეყვარებული ვიყავი, არც ისინი ინუხებდნენ თავს მოლოცვებითა და საჩუქრებით“.

„მარი, მესიჯებს რატომ არ მიქვყენებ? გიჩივლო? არა, არა, ერთსაც ვცდი და თუ არ გამომიქვყენებ... დაუვინყარ სიყვარულზე რა გითხრათ, მაგრამ ვალენტინობისთვის ერთი ახალი ბიჭი „ვი-შოვე“. ორი დღის წინ ჯერ კიდევ ირაკლი მიყვარდა, მათ! ისე იოლად შემიძლია, შევიყვარო და გადავიყვარო, რომ ასე ადვილად ინგლისურის არანესიერ ზმნებსაც კი ვერ ვსწავლობ. ზოგს შეიძლება, შემურდეს კიდევ, მაგრამ მე უკვე მომზერდა... დიდა“

„დაუვინყარი სიყვარულია, აბა, რა? შარშან, ვალენტინობის დღეს შეყვარებულმა გამომიცხადა, რომ თურმე ჩვენი ურთიერთობა შეცდომა ყოფილა და მიმალავს, ასე, ყვევილებით ხელში. თანაც მამინე, როცა ხელი უნდა მეთხოვია. მაგარი, ხომ? პატარავ, იცოდე, ძალიან ინანებ. სერგუნა“.

„რომელ სიყვარულზეა ლაპარაკი, ჩემო მარი, როცა 20 წლის წინ გავთხოვდი? მოსვენება არ მომცა, ყველა თაყვანისმცემელი ჩამომამორა და ისე წამიყვანა. შეგვეძინა ულამაზესი გოგონა. ჩემმა ქმარმა კი გამომიცხადა, სხვა შემიყვარდა და მასთან მივდივარო... არ დამიშლია, გავუშვი, მე კი ჩემს მშობლებთან დავბრუნდი. ერთი წლის მერე „მომიცტუქდა“, 5 წელი ვანუწუნე და ბოლოს, შევიღის ხათრით შევურიგდი, მაგრამ რად გინდა? „არ გათეთრდების ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითაო“, ხომ გაგიგონიათ? არც მის გამოსწორებას დაადგა საშველი“.

„კბილის ექიმთან მისულს, შიში დამავიწყდა და ექიმი შემიყვარდა. ეს სიყვარული ხანმოკლე, მაგრამ დაუვინყარი იყო. უზომოდ მიყვარდა, მაგრამ დავშორდი. მისი გაკეთებული კბილებიც მას მიჰყენენ — ყველა ჩამომვარდა. ტკივილისგან გამწარებული, სხვა ექიმთან მივედი. ღმერთო ჩემო, ახლა ამ ექიმზე ფიქრი მტანჯავს. როგორც ჩანს, თეთრხალათიანებზე მაქვს გართულება. ესენიც კიდევ, ნეტავ, ყველა ავადმყოფს ასე ტკბილად ელაპარაკებიან, თუ მე მდევს ბედისწერად, დანტისტების სიყვარული?“

„მე ვმუშაობ ზღვაზე, მამველად. იქ ერთი გოგონა გავიცანი და მხოლოდ 3 დღე მქონდა ურთიერთობა. ახლა კი მივხვდი, რომ ის ჩემთვის ძალიან ძვირფასია. მინდა, მოვქებნო... მას თუა ჰქვია და თბილისელია. ეს არის სულ, რაც მის შესახებ ვიცი. გთხოვთ, მამოვინოთ“.

„მე ერთი გოგო მიყვარს, ნინი მჭედელიშვილი. მეტსახელად — გიჟოოო. იცით, რა მაგარი „როჟაა“? მაგარი საყვარელი და ეშმაკუნაა. მართლა გიჟია, ცალ-ცალი „კეტასით“ დადის. ერთ ფეხზე ნითელი აცვია, მეორეზე — მწვანე. ის ჩემი სიცოცხლეა. მინდოდა, 14-ში პაემანი დამენიშნა, მაგრამ ოპერაცია გაიკეთა და საავადმყოფოში წევს. ვგიჟდები, ისე მიყვარს. ტატო“.

„მირზა სვანიძე, შე თავგასიებული. ვერა და ვერ დაგივინყევები! შენს დანახვაზე „მაფართხალებს“. იმ სურათის დახევა მინდა, შენ რომ მოგპარე, მაგრამ ვერ გელევიით! ჩემი დაუვინყარი სიყვარული ხარ. ისე, მარი, შენ თუ გყავს შენი „თავგასიებული“? ნათულია, ბათუმი“.

„29 წლის ვარ და ამ ხნის მანძილზე ძალიან ბევრი ვინმე მიყვარდა, მაგრამ თურმე, ჩემი შვილის მამის მეტი, სინამდვილეში არავინ მყვარებია. 16 წლის ვიყავი, როცა კობა გავიცანი. დანახვისთანავე ტანში ჟრუანტელმა დამიარა. სულ ერთად ვიყავი, მის გარეშე საერთოდ ვერ ვძლებდი. ერთ მშვენიერ დღეს მე და კობა მარტო დავრჩით. მის თავბრუდამხვევ კოცნასა და ალერსს ვერ გაუშვდი და დავნებდი. ყველაფერი ისე უცებ მოხდა, რომ აზრზე მოსვლაც ვერ მოვასწარი. თავი სიზმარში მეგონა. მერე მივხვდი, რაც ჩავიდინე, მაგრამ არ მინანია, რადგან ის ღამე ჩემთვის დაუვინყარი იყო. დღემდე ვერ ვივინყებ მის სიტბოსა და სიახლოვეს. მას შემდეგ 10 წელი გავიდა. მან კი დღემდე არ იცის, რას განვიცდი, როცა მასზე ფიქრობ. დღემდე არც ჩვენი სიყვარულის ნაყოფის არსებობის შესახებ იცის რაიმე. ჩვენი თეონა მამის ალერსის გარეშე წავიდა ამ ქვეყნიდან, ულამაზესი ჩვილი, რომელმაც ერთხელ კიდევ დამასვა დალი. რა მოხდებოდა, რომ ის მაინც დარჩენილიყო ჩემთან... კობა, ისევე ძველბურად უყვარხარ შენს ლალის. ვიცი, წარსულს ვეღარ დავიბრუნებ და ვრჩები ასე მარტოსული, ჩემს მოგონებებთან ერთად“.

„გიორგი ზ-ძე ჩემი პირველი და ალბათ უკანასკნელი სიყვარულია. თავი შემეყვარა და საქართველოში გამეპარა. იქიდან დამირეკა და მითხრა: — ნუ დამელოდებიო. გეხვეწებით, გამოგადეთ ათენში, თორემ გავგიჟდები. თათა“.

„ჩემი ორწლიანი, დაუვინყარი სიყვარული, რამდენიმე დღის წინ ნიშნობით დაგვირგვინდა. ძალიან ბედნიერი ვარ. ჩემო „ჯუშუვე“, მიყვარხარ, პატარავ! ევა, მცხეთა“.

„ჩემო დაუვინყარო სიყვარულო, შენი გაცნობიდან სამმა წელმა გაიარა. თურმე როგორ გყვარებია ერთმანეთი და

ვერ ვხვდებოდით. უაზრო ოცნებებს ბავშვობას ვაბრალებდი. გახსოვს, ამ ერთი წლის წინ რომ მითხარი, მიყვარხარო? მე კი ჯიბით მოგახალე, სხვას ვხვდები-მეთქი. 4 თვე ტანჯვაში გავატარე, მერე კიდევ მომეცა შანსი შენი დაბრუნებისა, მაგრამ არ გამოვიყენე. შენ კი... მე მაინც დაგირევე, რომ შევრიგებულიყავით, მაგრამ მითხრეს, ცოლი მოიყვანაო... იცი, რა ბედნიერი ვიყავი, ამ ბედობას რომ დამიმესიჯე? მეც მიყვარხარ-მეთქი, გითხარი, როგორც იქნა. ნამდვილ სიყვარულს წინ ვერაფერი გადაეღობება, მათ შორის, ვერც შენი მეუღლე, ჩემო ჯიუტო ბავშვო... გახსოვს, ქაჯს რომ მეძახდი, როგორ ვბრაზდებოდი? ალბათ, მიცანი...“

„მინდა, ჩემი გულისტკივილი გაგიზიაროთ. ერთ დროს მიყვარდა და ვუყვარდი, მაგრამ არ აღიარებდა. სიყვარული მეგობრობიდან დაიწყო. ახლო ურთიერთობა გვქონდა. სამსახურიდან, დაღლილი, ყოველდღე მოდიოდა ჩემს სანახავად. 5 წუთით შემოირბენდა და შინ ისე მიდიოდა. მიყვარდა და ბედნიერი ვიყავი. ერთ დღეს კი შეიცვალა. აღარ მნახულობდა, იშვიათად მირეკავდა... მიზეზი რომ ვვითხე, გამიბრაზდა. ამის შემდეგ ჩვენ შორის ურთიერთობა დაიძაბა. ავდექი და უსიყვარულოდ გავთხოვი. მაღვევ გავშორდი ქმარს. შვილი მყავს და ბედნიერი ვარ, მაგრამ ვგრძნობ, რომ ის მაინც მიყვარს. მინდა, მას მაინც გაუშარტლოს“.

„ყველაზე ლამაზი, ზღვებს შორის, ჯერ არ გადაგვიცურავს, ყველაზე ლამაზი, დღეებს შორის, ჯერ არ გვიცხოვრია, ყველაზე ლამაზი, ჩვენს შვილებს შორის, ჯერ არ დაბადებულა, ყველაზე ლამაზი, რისი თქმაც მინდა, ჯერ არ მითქვამს! მიყვარხარ! „ცოლუკა სიყვარულოვნა“.

„ვალენტინობას ვულოცავთ ჩვენს მეუღლეებს, გოჩას, მინდიასა და პრეცოს! თქვენი გულისთვის თავს არ მოვიკვავოთ/ არც ადევლებულ ზღვაში ჩახტებით/ რა გინდათ, სიმონ, რას გვებრაზრებით/ გოიმები ხართ, არ გვევასებით! ბელა, მაია და გიორგენა“.

გახსოვთ, ალბათ, გიორგენა რამდენჯერმე შეგეხმინა და მეუღლის შესახებ მესიჯები გამოგვიგზავნა. ახლა ეს მეგობრებიც აიყოლია და ვალენტინობის მისალოცად, მშვენიერი ლექსიც შეუთხზავთ. ამას წინათ ამბობდა, ჩემი მეუღლე „გზავნილებს“ სისტემატურად კითხულობსო, ჰოდა, იმედა, არც ეს მისალოცვა გამოირჩება, ცოლს ვალში არ დარჩება და ჩვენი საშუალებით „მიეხმატებილება“. თანაც, შემდეგი „გზავნილებისთვის“ სწორედ შესაფერისი თემა შევარჩიე: — ოჯახური სიტუაციები... გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8(77)45.68.61 გვიამბეთ ოჯახური ტრადიციების, კურორტებისა და ოჯახის წევრების ურთიერთობების შესახებ. ველი თქვენს მესიჯებს და გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე.



# 2005 წლის ყველაზე ძველი სიძე...

## ნიკო ჯავახიშვილი

— სკოლაში ძალიან მეგობრული ვიყავი თანაკლასელების მიმართ. ზოგიერთ მასწავლებელს კი, სისხლს ვუშრობდი, ისე ვამწარებდი. კარგი ყოფაქცევით არ გამოვიჩინე და ამიტომაც იყო, რამდენიმე სკოლა რომ გამოვიცვალე. განსაკუთრებით ქართულის მასწავლებელი მყავდა ამოჩემებული, სულ დავცინოდი, ველადავებოდი. ისე კომუნისტურად გველაპარაკებოდა, გეგონებოდა, ტრიბუნაზე იდგა. დასანახავად ვერ მიტანდა. ერთხელ, მის გაკვეთილზე მერხზე ავხტი და „აჭარულის“ ცეკვა დავიწყე. კინაღამ გაგყვდა, სამასწავლებლოში გავარდა და დირექტორთან მიჩივლა, რის გამოც, პედსაბჭოზე ჩემი გარიცხვის საკითხი დააყენეს. ყველა მასწავლებელმა იცოდა — რამეს თუ მანყენინებდნენ, თავში რაღაც მოხვდებოდათ. ერთადერთხელ ვასახელე ჩემი სკოლა. გაკვეთილის შემდეგ კიბეზე ფართხაფურთხით ჩავირბინე და ვილაცას დავეჯახე. უცხო კაცი იყო. რა იყო, როგორ მორბიხარო?! — შენიშვნა მომცა. რას მიყვირი, შენი გაზრდილი კი არა ვარ-მეთქი! — შევუბრუნე სიტყვა. ეს ფრაზა ქუთაისში მაშინ მოდაში იყო. რომელ კლასში ხარ, როგორი სკოლაა, მასწავლებლები კარგად გასწავლიანო? — გამოკითხვა დამიწყო. — გადასარევი სკოლაა და მასწავლებლებიც ძალიან კარგები არიან, უკეთესს ვერ ვინატრებთ-მეთქი, — ვუპასუხე. — დირექტორი როგორი გყავთო? — როგორი კაცია და აი, ასეთი-მეთქი! — ცერა თითით ვაჩვენე. — რა გვარი ხარ ბიჭო, შენო? — გეგეტკორი, ბატონო-მეთქი. თურმე სკოლაში კომისია იყო მოსული, ის მისი წევრი ყოფილა და ამიტომ გამომკითხა ყვე-

ლაფერი ასე დანვრილებით. შესულა დირექტორთან და უსაყვედურია — რა იყო, გივი, ყველა გააფრთხილე, რომ კომისია მოსული და მხოლოდ კარგი ილაპარაკეთ სკოლაზეო? — მერე დააყვითორს — ვინ არის გეგეტკორი? დირექტორს თავში შემოურტყამს ხელი, უფიქრია, რამეს „მიხიმანდრება“ ეგონავარი და ალბათ მამაგებდაო — ვინ არის და ენაჭარტალა, მურტალი ენის პატრონია ეგ ბავშვი, ყველაფერს იტყუებაო... ბოლოს, როდესაც ყველაფერი გარკვეულა, დირექტორმა კაბინეტში დამიბარა. შემეშინდა, ალბათ რაღაც დავაშავე და უნდა დამტუქსოს-მეთქი. რა დატუქსვა, რაის ჩხუბი?! სულ მადლობები მიხადა ჩემი კარგი საქციელის გამო... ახლანდელი ბავშვები სულ სხვანაირები არიან. ჩვენ უფროსი თაობისგან ტრადიციების პატივისცემა ვისწავლეთ, უფრო მეტი მოკრძალება გვექონდა მშობლების მიმართაც. მამის უფრო გვერიდებოდა, დედასთან უფრო თამაშები ვიყავით. დედა ყველაფრის უფლებას გვაძლევდა. ერთადერთი, რის გამოც მე და დედა ვერ ვთანხმდებოდით, ჭამა იყო. მაშინება — თუ წვნიანს არ შეჭამ, იცოდე, არ გაიზრდები! წვნიანს კი ვჭამდი ხოლმე, მაგრამ რად გინდა? დიდი ბიჭი მაინც ვერ გავიზარდე. რატომღაც მგონია, რომ ჩემს შვილს უფრო თამამად გავზრდი, თუმცა, ჩემი ხასიათიდან გამომდინარე, ალბათ მომთხოვნიც ვიქნები.

— შენმა მეგობარმა შენზე მითხრა — „წარსულის გადმონაშთიაო“. მომიყვები, როგორ იქონინე, ტრადიციულად?

— რა თქმა უნდა, ტრადიციულად. ჩემი საცოლის მშობლებმა უკვე იცოდნენ ჩვენი გადწყვეტილების შესახებ. ჩამოვიდნენ თბილისში (საჩხერის რაიონის სოფელ ჭორვილაში ცხოვრობენ) და

„ექსპრეზიდენტი“ მირაბ ბიბეჭაძე უფრო საინტერესო საქმით არის დაკავებული, ვიდრე მემუარების წერაა. როგორც პაროდისტმა გვიხარა, საგაზაფხულო „იუმორიან“ მზადების პროცესშია და მაყურებელს ბევრი სიუჟარზი ელის, თუმცა ამის შესახებ სხვა ვერაფერი დავაცდენინეთ. სამაგიეროდ, გაამჟღავნა ის, რომ 21 დეკემბერს, ქალიშვილი შეეძინა. ამის გამო, მეგობრების წრეში ხუმრობენ — ეს რა მოხდა, „შევარდნაძეს“, სააკაშვილის დაბადების დღეზე შვილი შეეძინაო! მერაბი (როგორც მას ახლობლები ეძახიან) ამ ამბით ისე ყოფილა აღფრთოვანებული, რომ ვეღარ ცნობენ. გამუდმებით შვილზე ლაპარაკობსო, — მითხრეს მისმა მეგობრებმა, თუმცა მთლად ასეც არ ყოფილა საქმე. როგორც ჩანს, „ექსპრეზიდენტი“ წარსულს მისტირის და ნოსტალგიას ძველი ამბების გახსენებით იკლავს. სკოლის დროინდელი მოგონებების გარდა, იმასაც შეიტყობთ, თუ რა როლი ითამაშა ცუცა კაპანაძემ მის დაქორწინებაში და რატომ თვლის მერაბის სიდედრი, რომ 2005 წლის ყველაზე მაგარი სიძე მას ჰყავს.

ყველაფერზე შევეთანხმდით. ეს იყო 2005 წლის 2 იანვარს — ცუცა კაპანაძის დაბადების დღეს... ქორნილი ნ თებერვლისთვის დავნიშნეთ, მაგრამ სამში ზურაბ ჟვანია დაიღუპა. ბესო ბერულაშვილი ჩემი მეჯვარე უნდა ყოფილიყო. თანაც, უპატივცემულობა არ შეგვშენოდა, ამიტომ ქორნილი ორი კვირით გადავდეთ.

— გაგვაცანი შენი მეუღლე, ვინ არის, რა პროფესიისაა?

— ჩემი მეუღლე, მანანა გაბრიჩიძეა, პროფესიით — ჟურნალისტი...

— აუჰ! ეგ რა მოგვგლია!..

— აბა! ეს რა დამემართა, კაცო! გონს ახლაც ვერ მოვიღვივრ, მაგრამ ჯერჯერობით კარგად ვართმევე თავს ჟურნალისტიკის მეუღლეობას. მანანა საბავშვო სტუდია „ინოვაციონის“ ხელმძღვანელობს და არაერთი საინტერესო, მაგრამ განუხორციელებელი იდეა აქვს.

— გიყვარდათ ერთმანეთი?

— არც გვეჯავრებოდა... თავიდან მოწონებით დავიწყეთ, მერე იყო აქტიურობა და ცუცას ლაი-ლაი...

— რას გულისხმობ?

— ცუცა და მანანა მეგობრობდნენ და სწორედ ცუცას დიდი დამსახურებაა ჩვენი დაქორწინება.

— ეი. თუ რამე ისე არ იქნება, ცუცას მოხვდება, არა?

— აბა, რა, ერთ ადგილზე მოხვდება!.. ჩვენ კი დაგვაქორწინა, მაგრამ თვითონ ცუცა ვერ გაგვიტოვებია — მისი შესაფერისი კაცი ვერ ვიპოვეთ. ისე, კაცმა რომ თქვას, ჯერ რა ეჩქარება?! გულახდილად რომ გითხრა, ცუცას დიდი მადლობელი ვარ. ძალიან მიყვარს ჩემი მეუღლე, ყველაფერში ვუგებთ ერთმანეთს.

— ეი. ქმრის ამპლუას კარგად მოერგე?



პასუხის გაცემას მეგობარი, **ზურაბ ნიჟარაძე** არ აცდის:

— ქმრის ამბულუს ხომ კარგად მოერგო, მაგრამ განსაკუთრებით სიძეობა შეიფერა. იცით, რამდენად საყვარელი სიძეა მერაბო თავისი სიდედრისთვის?!. ეს უშუალოდ მანანას დედას უნდა ჰკითხოთ. მისი დახასიათებით, მერაბო 2005 წლის ყველაზე მაგარი სიძეა!

— ის მაინც მითხარო, როგორ შეაყვარე სიდედრის თავი, რა რეცეპტი გაქვს ასეთი?

— ხშირად შეხვედრიხარ მამაკაცს, რომელიც სიდედას „დედას“ ეძახის?! აი, მე სულ „დედას“ ვეძახი — სად ხარ, დედა, მოდი, დედა; დედა, შენი... შენი დედა.. და ა.შ.

— შენი დედაო, — ეუბნები და მაინც უყვარხარ სიდედრს?



ზურაბ უკან ირონიული ხმა მომესმა — დედა, მაგას ორივე თვალში მაშინ დააკლდა სინათლე, როცა შენ გამოგყვა ცოლადა...

— არა, კაცო, ასე მანანას ვეჭყვი ხოლმე — შენი დედა... სად არის მეთქი? ცოლსაც და სიდედრსაც იუმორის შესანიშნავი გრძნობა აქვთ, იმერული იუმორი ახასიათებთ. მანანას პირველი ფეხმძიმობა ცუდად დამთავრდა — რამდენიმე თვის მუცელი მოეშალა. ბუნებრივია, ძალიან განიცადა ეს და ხასიათიც შეეცვალა. ერთ დღეს, სახლში რომ დავბრუნდი, დედამის ვკითხე — დედა, მანანას რაიმე ცვლილებას თუ ატყობ-მეთქი? — როგორ არაო?! — მაინც, რა ცვლილება შეამჩნიე-მეთქი? — რა ვიცი, უფრო დასერიოზულდა, უფრო დაქალდაო. — არა, შენ ვერ ხვდები, მარცხენა თვალში სინათლე დააკლდა, საერთოდ ვეღარ ხედავს მეთქი, — ვიხუმრე ჩემი ჭკუით და თან

წყლის დასაღვეად შევტრიალდი. ზურაბ უკან ირონიული ხმა მომესმა — დედა, მაგას ორივე თვალში მაშინ დააკლდა სინათლე, როცა შენ გამოგყვა ცოლადა...

— ამის შემდეგ, მაინც გიყვარს სიდედრო?

— რას ჰქვია, არ მიყვარს?! მართლაც, ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს ერთმანეთთან. ბავშვის გაზრდაშიც ის გვეხმარება.

— ახლა არ მითხრა, სიდედრი ისე მიყვარს, მის სურათებს გულის ჯვრით დავატარებო...

— რაზეა ლაპარაკი?! ჯვრით — არა, მაგრამ ტექნიკა წინ წავიდა და სიდედრის სურათებს მობილურ ტელეფონში ვინახავ — როცა მომენატრება, დაგეგავ ხოლმე...

— მერაბ, გაიხსენე, როგორ გახდი პოპულარული... შენი პირველი ნაბიჯები სცენაზე...

— თეატრალური უნივერსიტეტის სამსახიობო ფაკულტეტი დავამთავრე. ჩემი პედაგოგი გახლდათ გივი სარჩიშვილი — ცნობილი პირველი გრიმიორის, გივი სარჩიშვილის შვილი. დღეს თეატრალური ძალიან გაუფასურებულია. ერთ აბიტურიენტს ჰკითხეს — შოთა რუსთაველი ვინ დანერაო? — ვეფხისტყაოსანმაო, — უპასუხა. — ვეფხისტყაოსანი ვინა დანერაო? — კაცო, მოიცადეთ, „ვეფხისტყაოსანი“ რუსთაველმა არ დანერაო?.. — კი, მაშინ ის გვითხარო როგორი შეფასება ჰქონდა მის ეპოქაში ამ ნაწარმოებში? — რას ამბობთ, პატივცემულო, დავით აღმაშენებელმა რომ წაიკითხა, გაგიჟდა — ეს რა წავიკითხეო!.. ეს მოგონილი არ გეგონოთ, ნამდვილი ამბავია და ძალიან სამწუხაროა, ასე რომ ხდება.

ჩვენი უფროსი მეგობარი, გოგი ქავთარაძე თურმე, სცენარს კითხულობდა ლექციაზე. ერთ-ერთი სტუდენტისთვის უთქვამს, კითხვა გააგრძელო და გაოგნებულა კაცი — თურმე, დამარცვლით ძლივს ჩაუკითხავს წინადადება, კითხვა არ სცოდნია!.. სუფრაზე გვიამბო ეს ამბავი — ეს ჩემთვის ტრაგედიაა და სხვისთვის რა არის, არ ვიციო... — დასძინა. რაც შეეხება ჩემს პოპულარობას — ეს უკავშირდება „დიდების ზღაპარს“ და „ლომისთან“ არსებულ „პაროდის თეატრს“. 1998-2001 წლებში ჯერ კიდევ სტუდენტი ვიყავი. ჩემს ხმას ძალიან ამსგავსებდნენ მაშინდელი პრეზიდენტის — ედუარდ შევარდნაძის ხმას. ნუგზარ კვაშალი კარგად მიცნობდა. სწორედ მან და მხატვარმა თენგიზ მირზაშვილმა (ჩუბ-

ჩიკამ) მიმიყვანეს სტუდია „აუდიენციაში“ კოკა ყანდიაშვილთან. შევარდნაძის ხმით ლაპარაკი რომ დავიწყე, ჩუბჩიკა გადაირია — ვაიმე, ვაიმე, ის არის, ის არისო!.. მდივანმა გვითხრა, ბატონ კოკას არ სცალია და ცოტა ხანს დაელოდეთო. გადაირია ჩუბჩიკა — ვინ უნდა დაელოდოს, თვითონ შევარდნაძე მოსული, ჩქარა გამოვიდეს, საოცრება თუ უნდა, რომ მოვასმენინოთო!.. მოკლედ, კოკამ რომ მომისმინა, გაგიჟდა — ასეთი რამ შეუძლებელია, ბუნებაში ხდებოდაო. ასე დავიწყე მუშაობა „დიდების ზღაპარში“, ეკა კახიანთან, ობოლა ციმაკურიძესთან და ბესო ბერულავაშვილთან ერთად. მერე, ბატონი ჯემალ ბალაშვილიც დაინტერესდა ჩემით და მისი წყალობით აღმოჩნდა „ლომისში“.

— ამჟამად რას საქმიანობ, ახალ როლზე ხომ არ მუშაობ?

— რას ვაკეთებ და მემუარებს ვწერ — ჰა, ჰა, ჰა, ჰა (შევარდნაძის ხმით. — ავტ.).. რა უნდა გვაკეთო?! შარშან თითქმის არავის პაროდია არ გამიკეთებია, ლეიბორისტი გიორგი გუგავას გარდა. ახლა საგაზაფხულო „იუმორინას“ ვამზადებთ და ჩვენს მყურებელს ბევრ სიურპრიზსაც შევთავაზებთ. ახალ ამპლუაში მიხილავთ, მაგრამ ამას ახლა ვერ გაგიმხელთ. რაც არ უნდა კარგი იყოს ედუარდ შევარდნაძის, ოტია იოსელიანის, მიხეილ სააკაშვილის, კახა ბენდუქიძის პაროდები, ესტრადას ახალი, ცინცხალი სიტყვა სჭირდება. იყო დრო, როდესაც ხალხს ეცინებოდა პოლიტიკოსებზე, ტიპაჟებზე. დღეს ტიპაჟები აბსურდისგან იქმნებიან. აიღეთ თუნდაც „შაბათის შოუს“ ბიჭები. ისინი ჩემი მეგობრები არიან, ძალიან ბევრს მუშაობენ და მიხარია, რომ დასაქმებულები არიან, მაგრამ არის ისეთი რამ, რასაც ვერ ვეგუებ. შეიძლება, პამპერსში ჩაცმული ბიჭი მივიღო, მაგრამ არ შემიძლია, მუღმივად ქალის როლში მივიღო კაცი. „შაბათის შოუს“ ბიჭები იღებენ აბსტრაქტულ სახეს და ქმნიან ტიპაჟს. საესტრადო იუმორი „ივერიამ“ და „ლომისმა“ საკმაოდ მაღალ დონეზე აიყვანეს. კარგია, რომ ახლა სატელევიზიო იუმორიც იქმნება და იხვენება.

ინფორმაციულ-შეახსენებითი კოლაჟი

ეოჩა ღვალის უბის წიგნაკრები:

1. ბოხმეჭა უფეთხ სვლიკია.
2. წყვილი და მრჩობლი სინონიმები.
3. უთავბოლოდ მოხეტიალეს „ალა-ჯუნეს“ ეძახიან.
4. „მტილი“ ძველი ქართული სიტყვაა და ბალ-ბოსტანს ნიშნავს.
5. ძმარში ჩადებულ მოხარშულ ღორის ფეხებს მუჟუჟი ჰქვია.
6. პიერ კარდენი საკუთარ თავს იტალიელ დ'არტანიანს ეძახის.
7. „ატი, ბატი, ვსე მი დემოკრატი...“ — ლილინებს მიხაილ ზადორნოვი.
8. ძვირფასი ქვეებისათვის ხეხვით ნახნაგების გაკეთებას „თრაშვა“ ეწოდება.
9. მეხიკომი ტაქსებად მწვანე „ფოლ-კსვაგენები“, ე.წ. „ხოჭოები“ მოძრაობენ.
10. „უდიდესი პრიმიტივისტი“ — ასე მოიხსენიებენ კრიტიკოსები პოლ გოგენს.
11. დედამიწის ზედაპირი დაახლოებით 300 მილიონი კვადრატული მილის ტოლია.
12. ეკვატორზე დღისა და ღამის ხანგრძლივობა მთელი წლის მანძილზე ერთნაირია.



13. წყალში არეულ ნაცარს, რომელსაც თონის ნაკვერჩხალს გასანელებლად აყრიან, „თუთქი“ ჰქვია.
14. კუნძულ ტასმანიაზე მოზინადრე ჭიანჭველა-ბუდლოგების ლაშქარს, შეუძლია ადამიანი 4 წუთში გამოასალმოს სიცოცხლეს.
15. „მაია ჟენა სტალა პასიშჩატ დი-ეტოლოგა ი ზა დვა მესიაცა სბროსილა 300 დოლაროვ,“ — ოხრავს მიხაილ ჟვანეცკი.
16. „ქორწინება სარეცხის რეცხვის ყველაზე ძვირად ღირებული საშუალებაა“, — ამტკიცებს ამერიკელი მწერალი ფრანკლინ ჯონსი.
17. როდესაც გუგული სხვის ბუდეში დებს კვერცხს, კვალის დასაფარავად იმ ბუდიდან ერთ კვერცხს იპარავს და აგდებს.
18. როდოსის კოლოსის ამგები ხარისი, ალექსანდრე მაკედონელის სამეფო კარის მოქანდაკის, ლისიპეს მოსწავლე იყო.
19. ელდარ რიზანოვის ფილმი „გაამოთ!“ აბანოში არყის სმის სცენის გამო, კინალამ დახურეს. სურათი ბრეჟნემა გადაარჩინა, ეს მომენტი მას ყველაზე მეტად მოეწონა.
20. ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის მთავარ ინჟინერს, ავარიის შემდეგ, 10 წელი ციხე მიუსაჯეს, მა-



ყველაფერი პირველი, ძალზე დასამახსოვრებელია ნებისმიერი ადამიანისთვის. პირველი მეგობარი, პირველი გრძნობა, პირველი პაემანი... გულსტიკივილიც კი, წლების შემდეგ, შეიძლება, ტკბილ მოგონებად იქცეს... რამდენად კარგად ახსოვს საკუთარი წარსული, კერძოდ კი ის მოვლენები, რომლებიც პირველად მოხდა მის ცხოვრებაში, რატომ ვერ იტანს სიტყვას „პაემანი“ და რატომ ამბობდა უარს პონორარის აღებაზე — ყოველივე ამას მომღერლის — ზურა დონიჯაშვილის ინტერვიუდან შეიტყობთ.

შეუპკრეხულისმან ჯარში მასკუკ,

ჩეჩენი „ზემლიაკი“ და საწოლიდან აივანზე ჩაკორებული ზურა

თამუნა კვინიკაძე

— ზურა, იცო, დღეს რაზე უნდა ვისაუბროთ?  
— არა.  
— პირველ სიყვარულზე, პირველ პაემანზე, პირველ კოცნაზე, პირველ იმედგაცრუებაზე და ასე შემდეგ.  
— ანუ ყველაფერზე პირველზე? ის, რაც პირველად ხდება ცხოვრებაში და ის განცდა, რომელიც თან სდევს ამ მოვლენას, მართლაც, განსაკუთრებულია. სამწუხაროა, რომ არ გახსოვს პირველი ნაბიჯები ან ის მომენტი, როცა პირველად თქვი „დედა“...  
— მაგრამ ბევრი რამ მინც გახსოვს ბავშვობიდან, არა?  
— ძალიან ბედნიერი ბავშვობა მქონდა, არა მარტო მე, არამედ ჩემს თაობას საერთოდ. შეიძლება განებივრებულნი არ ვიყავით ბევრი რამით, მაგრამ ის, რაც დღევანდელ ბავშვს აკლია, ჩვენ არასოდეს გვაკლდა. ჩვენს დროს ასეთი გაჭირვებული ოჯახები არ არსებობდა, თითქმის ერთნაირ მდგომარეობაში ვიყავით ყველანი. ქუჩაში ბავშვები რომ მათხოვრობენ, ეს ჩემთვის ტრაგედიაა. ასეთი რამ მაშინ არ ხდებოდა. ჩვენს დროს, ასეთი ბავშვი სადმე რომ გვენახა, ის აუცილებლად ჩვენი მეგობარი და მძაყცი გახდებოდა, თვითონ ჩვენ, ბავშვები ფუპატრონებდით.  
— ზურა, ვინ იყო და როგორ გახსოვთ თქვენი პირველი მასწავლებლები?  
— მასწავლებელი ჩემთვის იყო ალბათ, ყველაფერი. წარმოიდგინეთ, მეგონა, რომ ტუალეტშიც კი არ დადიოდა... რალაც სხვა განზომილებაში ვხედავდი. ძალიან კარგად მახსოვს ჩემი პირველი მასწავლებელი, სომეხი ქალბატონი იყო, ალა გრიგორიანი. მე რუსულ სკოლაში ვსწავლობდი და თუ დღეს რაიმე დადებითი მაქვს, ეს ამ ქალბატონის დამსახურებაა. პროფესიული თვალსაზრისით

კი, ჩემს მასწავლებლად ვთვლი თამაზ სიჭინავას. ჩემი ანსამბლი იყო „პირამიდა“.  
— პირველი სიყვარული რომელ ასაკში გეწვიათ?  
— პირველ კლასში ვიყავი შეყვარებული — თუ შეიძლება, იმ გრძნობას სიყვარული ეწოდოს. ბავშვური იყო ეს გრძნობა და ბავშვურ დონეზე დარჩა. რაც შეეხება სერიოზულ პირველ სიყვარულს ეს ჩემი მეუღლეა, მასზე ვიყავი შეყვარებული. დღეს ის ჩემ გვერდით არის და ამით ძალიან ბედნიერი ვარ.  
— იშვიათობაა, როცა პირველი სიყვარული ქორწინებით გვირგვინდება.  
— გეთანხმებით. სშირად გამოიგონია, რომ პირველი სიყვარული უმეტეს შემთხვევაში დაშორებით მთავრდება. ჩვენ ცოტა გვიან დავექორწინდით. მაგრამ რაც დრო გადის, უფრო და უფრო ვუმეგობრდებით ერთმანეთს.  
— როგორ გაიცანით მომავალი მეუღლე?  
— ის ბორჯომში ისვენებდა სანატორიუმში. ამ სანატორიუმის გვერდით იყო სახლი, სადაც მე ვცხოვრობდი. მაშინ 18 წლის ვიყავი. ის ჩემზე 3 წლით უმცროსი გახლდათ. 29 წლის ვიყავი, როცა მოვიყვანე ცოლად. მთელი ამ ხნის განმავლობაში, შეყვარებულები ვიყავით.  
— რა გიშლიდათ ხელს დაოჯახებაში?  
— ისეთი არაფერი.  
— პირველი პაემანი კარგად გახსოვთ?  
— არ მახსოვს. შეიძლება, არ დამიჯეროთ, მაგრამ არ მახსოვს. საერთოდ, სიტყვა „პაემანი“ ჩემში არ ზის. ვერ ვიტან ვერაფერს დაპროგრამებულს, წინასწარ დაგეგმილს. ისე, თუ წახვალ პაემანზე, მაქსიმალურად კარგი უნდა იყო. უნდა იზრუნო, უნდა დაასიამოვნო, უნდა გაახარო ის ადამიანი.  
— ცხოვრებაშიც ასეთი უნდა



# ყველა ასაკის მკითხველისათვის!



## ამ ნიჰნის კითხვის დაწყება ნებისმიერი გვერდიდან შეიძლება!

ჩვენი მკითხველი კარგად იცნობს რუბრიკას „ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი გოჩა დვალის უბის წიგნაკიდან“, რომლის ავტორიც გოჩა ფანჯიკიძე გახლავთ. ხუთ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში, ჟურნალის დაარსების პირველი დღეებიდან, რუბრიკამ მკითხველის ყურადღება და ინტერესი დაიმსახურა. მრავალფეროვანი სამეცნიერო, პოპულარული, იუმორისტული ინფორმაცია, რომელიც სისტემატურად მიეწოდება მკითხველს, ასახავს როგორც მიმდინარე, ჩვენი დროისთვის აქტუალურ პრობლემებსა თუ მსოფლმხედველობას, ასევე უცნობ თუ ნაცნობ მოვლენებს კაცობრიობის ისტორიის ოქროს ფონდიდან. ფაქტები შესაძლებლობის ფარგლებში საგულდაგულოდ არის შემოწმებული, დამუშავებული და ავტორისათვის სასურველი რაკურსით დანახული.

წიგნში შესულია ჟურნალ „გზაში“ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული საუკეთესო მინიატიურები და ასობით ახალი ჩანაწერი თუ საინტერესო ფაქტი.

**ნიჰნები სასლუი მიზანით ფასნაგაზის გაჩეუ!**  
**ტელ: 42-43-40; 33-26-73**

### ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

გოჩა დვალის უბის წიგნაკიდან:

გრამ მალევე გაათავისუფლეს, რადგან საერთოდ დაკარგა აზროვნება.

21. მსოფლიო ომის დროს ოკუპირებულ დანიაში, ნაცისტებმა გამოსცეს ბრძანება, რომლის თანახმადაც, ადგილობრივ ებრაელებს დავითისვარსკვლავედის სამკლავური უნდა ეტარებინათ, რომ საჭიროების შემთხვევაში ადვილად შესძლებოდათ ხალხის მასაში მათი ამოცნობა და დაპატიმრება. ბრძანების დარღვევა ვერავინ გახედა, მაგრამ ფაშისტებმა ფაქტობრივად მაინც ვერ შეძლეს იქაური ებრაელების ხელყოფა. მეორე დღეს უკლებლივ ყველა დანიელი, დანიის მეფის ჩათვლით, ქუჩაში ასეთი სამკლავურით გამოვიდა.

22. შეერთებულ შტატებში არის სხვადასხვა წვრილმანით მოვაჭრე პატარა მაღაზიები, რომლებიც ღიაა 24 საათის განმავლობაში. სხვა მაღაზიებისგან განსხვავებით, ამ მაღაზიის კარებებს არა აქვთ საკეტები.

23. 1994 წელს, სოთბის აუქციონზე ერთმა იაპონელმა 68.500 დოლარად შეიძინა 1970 წელს მთვარეზე გაგზავნილი „თვითმავალი“. საეჭვოა, რომ უახლოეს მომავალში, მან საკუთარი შენაძენის ხილვა შეძლოს, მაგრამ როგორც ჩანს, კარგია იმის შეგრძნება, რომ მთვარეზე საშუალოდ დარჩენილი ორი ასეთი „თვითმავლიდან“ ერთ-ერთი შენს საკუთრებად ითვლება.

24. ძველ დროში ძლიერი ქარი ხშირად გამხდარა ქარის ნისქვილებში გაჩენილი ხანძრის მიზეზი — ცეცხლი ეკიდებოდა ძლიერი ხახუნისაგან გახურებულ ლერძს, რომელზეც ნისქვილის ფრთები იყო დამაგრებული.

25. ხელოვნებას ადამიანები სხვადასხვაგვარად აღიქვამენ. მოქანდაკის ქმნილება ადამიანებში იმდენ გასხვავებულ აზრსა და ასოციაციას ბადებს, რამდენი მნახველიცა ჰყავს. თბილისში, ვაკეში აღმართული გალავტიონის ქანდაკების შესახებ თბილისელთა უამრავი, სრულიად განსხვავებული აზრი მომისმენია. აქედან ყველაზე ორიგინალური წლინახევრის ანა ტაბიძის „შეფასება“ იყო. ავტომობილში მჯდარმა ბავშვმა, რომელმაც ჯერ ლაპარაკი კი არ იცოდა, ქანდაკებისკენ ხელი გაიშვირა და ერთადერთი სიტყვა წარმოთქვა: „ბაია!“. ცხადზე ცხადია — პატარა „ხელოვნებათმცოდნე“ თავისი ბუმბერაზი მოგვარის ძეგლი საბანში გახვეულ უზარმაზარ ბავშვად აღიქვა.



იყო, არა მარტო პაემანზე...


— გეთანხმებით. მე ყველაფერ ამას შეძლებისდაგვარად ვახერხებ.

— არ მოიხრათ, პირველი კოცნაც არ მასხოვს...

— ალბათ, ყველაზე მაგარი რალაცაა!.. რა ვიცი, როგორ გითხრათ...

— რალაც გახსენდებოდა და არ მიხვლეთ?

— არა, არაფერს ვმაღავ: გეტყვით, რომ



სიყვავე „პაემანი“ ჩემში არ მის ვერ ვიტან ვერაფერს დაპროგრამებულს, წინასწარ დაგეგმილს

ეს იყო შოკი, ძალიან მაგარი (იცინის)... შეუძლებელია, ამ განცდის სიტყვებით გადმოცემა.

— პირველი გამოსვლა სცენაზე, პირველი შეხვედრა მსმენელთან...

— უკვე 20 წელია, სცენაზე ვარ და ჩემი თავი ჯერ კიდევ პატარა მგონია... მახსენდება ის პერიოდი, როცა ყოფილ საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკაში ტარდებოდა „იუმალისთვის“ შესარჩევი ტურები. თბილისში ეს ღონისძიება პროფკავშირების სახლში მოაწყვეს. მიმდინარეობდა ტელეგადაღება. სცენაზე ორკესტრი უკრავდა. მე, მერაბ სეფვაშვილი, ეკა კვალიაშვილი, სოსო პავლიაშვილი ვმონაწილეობდით. ჩემი გამოსვლის დროც დადგა. მაგრამ კულისებში რალაცას ნამოვდე ფეხი და პირდაპირ სცენაზე გავიშხლართე.

— ეს მაყურებელმა დაინახა?

— არა, ეს წინადაღეს მოხდა, რეპუტიციაზე, მაგრამ ტელევიზია იღებდა, ენერჯი-ულობდი, თავისებური განცდა ახლდა ამ მომენტს... მაშინ მაყურებელთა სიმპათიის პრიზი გადმომცეს, ხოლო მერაბი და ეკა ფესტივალზე იუმალაში გაემგზავრნენ.

— პირველი ხელფასი ან პირველი ჰონორარი როგორ დახარჯეთ, თუ გახსოვთ?

— გეფიცებით. როცა თავიდან კონცერტებზე გამოვდიოდი, ჰონორარს არ ვიღებდი.

— რატომ და რა მიზეზით ამბობდი უარს?

— იმიტომ, რომ ეს არ იყო ჩემი პროფესია, მე ამით ვერთობოდი. მერე, როცა უკვე ჩემთვის პროფესიად იქცა, უარს აღარ ვამბობდი. სად დაგხარჯავდი პირველ ხელფასს, თუ არა მეგობრებთან? ფული ყოველთვის მქონდა, ჰქონდათ ჩემს მეგობრებსაც და იმაზეც ვჩხუბობდით ხოლმე — არა, მე დაგხარჯავ, არა — მეო... რა სჯობია იმ მომენტს, რესტორანში შესული, შენს ძმაცაც რომ დაინახავ, ჩუმად გადაუხდი და გაიპარები?! ღმერთმა ყვე-

ლას მისცეს ამის საშუალება!

— ახლა პირველი იმედგაცრუება გაიხსენეთ.

— პირველი იმედგაცრუება განვიცადე მაშინ, როდესაც თბილისში ომი დაიწყო: 9 აპრილს ერთად რომ იდგა მთელი ქართველობა და მერე, გაიხსიჩა... ჩემი თაობის ადამიანებიც და ჩემზე პატარებიც ამ ომს შეეწირნენ, 19-20 წლის ბავშვებს მოუწიათ ხელში იარაღის აღება. კარგი თაობა იყო. სწორად გამოგონია — აფხაზეთში ზოგი, წამლის და მორფის გულისთვის მიდიოდაო. არ არიან ამის მთქმელები მართლმადიდებელი მანქანა გაყიდა, იმ ფულით ავტომობილი იყიდა და იქ წავიდა, სადაც მისი თავი ქვეყანას სჭირდებოდა. თუ ის ადამიანი მორფს გაიკეთებდა, ჩემთვის არა აქვს ამას მნიშვნელობა. ის ბიჭები ჩემს გულში ვაჯვაცვებდნენ. მათ ოჯახებს კი, დღეს, უჭირთ საქართველოში. რატომ? თუ ძმობაა, ძმობა იყოს!.. ძალიან მინდა, ბედნიერი იყოს ჩემი ქვეყანა და ყოველთვის ვიტყვი — თუ დღეს ვინმემ რაიმეს მიაღწია, ვგულისხმობ პრეზიდენტსაც, — ეს ამ ხალხის დამსახურებაა. მე არაფრის თქმის არ მემშინია. გზას ისე ვერ გაივლი, თუ შენ წინ ნაკვალევი არ არის...

— პირველი ლალატი გაიხსენეთ. რამდენად სწორად შეგახსენებთ ამას ცხოვრებაში?

— მეგობრებიდან, ჩემთვის არავის უღალატია. მაგრამ ჯარში იყო ასეთი შემთხვევა. სერჟანტთან მომივიდა ჩხუბი. ამასთან დაკავშირებით, მთელი სასამართლო მომიწყვეს. ჩემთან ერთად რუსებიც იყვნენ. სწორედ ისინი მპირდებოდნენ — ბოლომდე შენ გვერდით ვიდგებითო, — მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, მიღალატეს, ის არ თქვეს, რაც უნდა ეთქვათ. არადა, ნამდვილად მართალი ვიყავი. გული არც დამწყვეტია. ვიფიქრე — ამას ქართველი არ გააკეთებდა-მეთქი... მაშინ ამ გაჭირვებიდან ერთმა ჩემქმმა მისხნა, მას სიმართლის თქმის არ შეეშინდა. თან მეუბნებოდა — ჩვენ ხომ „ზემლიაკები“ ვართო!..

— სად მსახურობდით?

— გერმანიაში. ჩემი მშობლები ბევრს ჩალიჩობდნენ, ჯარში რომ არ წავსულიყავი, მაგრამ მე თვითონ მინდოდა და წავედი, თან მაშინ, ჩემი ცოლის ამბავშიც ასე იყო საჭირო.

— ნათქვამი ვერ გავიგე რას ჰქვია — „ჩემი ცოლის ამბავში“?

— ნაჩხუბრები და

გაბუტულები ვიყავით. მივედი და ვუთხარი — ჯარში მივდივარ-მეთქი: მეგონა, ასე სამაგიეროს გადავუხდიდი და გულს ავუჩუყებდო...

— რატომ იყავით ნაჩხუბრები და როგორ მიიღო თქვენი საქციელი?

— ხომ იცით, შეყვარებულები ზოგჯერ, ყოველგვარი მიზეზის გარეშეც ჩხუბობენ. სერიოზული არაფერი ყოფილა. მანაც ჩვეულებრივად მიიღო. მაშინ თითქმის ყველა იხდიდა სავალდებულო სამხედრო სამსახურს და საჭიროც არის ეს მამაკაცისთვის. ამ დროს, ბევრი რამის გარკვევა ხდება, მარტო რჩები. ეს ერთგვარად, საკუთარი თავის გამოცდაც არის. ცხოვრებას სწავლობ. სხვადასხვა ეროვნების ადამიანებთან გინეცს ურთიერთობა. მე ახლაც მყავს ჯარის დროინდელი მეგობრები. ერთ-ერთი მათგანი მილიარდერია, ყაზახეთში ცხოვრობს.

— რალა ეგ მილიარდერი ძმაკაცი გაგახსენდათ და სხვა არა?

— არა, ის ჩემთვის ისევე ის ბიჭია, რომელიც ჯარში იყო...

— სიგარეტს პირველად გემო როდის გაუხსენებთ?

— იმ პერიოდში, მამაჩემი სიგარეტს თავს ანებებდა. კოლოფს რომ გახსნიდა, რამდენიმე ღერს ამოიღებდა ხოლმე, მერე დათვლიდა და თაროზე შემოდებდა. ეჭვიანობდა ჩემზე და ჩემს ძმაზე. ჩვენ ვპარავდით, რა თქმა უნდა. ზოგჯერ გახეთქი ვახვევდით თუთუნს და იმას ვენეოდით. 18 წლის ვიყავი, მონევა რომ დავიწყე და აღარც გაეჩერებულვარ...

— ალკოჰოლთან როგორი „ურთიერთობა“ გაქვთ? პირველი დათრობა გაიხსენეთ.

— მერვე კლასში ვიყავი, პირველად რომ დათვერი. ვიდექი და დედაჩინა ტრიპლებდა. ვინ თქვა, დედაჩინა ბრუნავსო?

— ჯორდანო ბრუნო.

— მთვრალი იყო, ეტყობა, მაშინ ჯორდანო ბრუნო, როცა ეს სიტყვები თქვა... „პახმელია“ ცუდი არ მაქვს.

— „პახმელიაზე“, ალბათ, იმ ლუდით გამოიღებოდა, რომელსაც რეკლამას უწევთ...

— არა, ლუდით არასოდეს გამოვდივარ. დაძინება უფრო მშველს ხოლმე. როცა ვთვრები, ხასიათი არ მიფუჭდება, პირიქით — „კანფეტი“ ვხდები.

(აი, აი ამ კაცს ვერ ვიტანო, — მანიშნა ზურამ მამუკა ონაშვილზე. ზურას, არც მამუკა დარჩა ვალში, ჩვენ გვერდით მაგიდას მიუჯდა და ირონიულად ჩაილაპარაკა)



ზურას სტუმრობა „აპასინა“. მე ვარ ძალიან კარგი სტუმარი...



აკა — ნახეთ, რა პოპულარულია, ყოველ-  
დღე ჟურნალისტები აკოთხავენ, ეს ბიჭი  
უეჭველად მაგრად გაქაჩავსო!..)

— ზურა, პირველი ჩხუბი თუ  
გახსოვთ?

— პირველი ჩხუბი ბავშვობაში იყო,  
ალბათ. მაგრამ ჩვენს დროს, ჩხუბზე სწირ-  
ად, ჭიდაობა იმართებოდა. ყოფილა შემთხ-  
ვევები, როცა უბნელებს სხვა უბნელებთან  
გვიჩხუბია. ზოგჯერ, ჩვენ გვემდინენ,  
ზოგჯერ — პირიქით ხდებოდა. მაშინ დანა  
ყველას გვედო ჯიბეში — ე.წ. „ლისიჩკა“.

— თუ იყენებდით?

— წესი იყო ასეთი — თუ ამოიღებდი  
ჯიბიდან, აუცილებლად უნდა დაგერტყა.  
მაგრამ თუ ამას გააკეთებდი, მართალი  
უნდა ყოფილიყავი ბოლომდე. მე ჩხუბის  
დროს დანას არ ვხმარობდი.

— ერთი კურორტიც მომიყვით  
და დაეასრულოთ.

— კურორტების მეტი რა გადამხდენია,  
მაგრამ ახლა ვერ ვისახებ რატომღაც...  
არც მინდა ისეთი მოგიყვით, რომელიც  
ყველამ იცის...

— მამუკა ვერ დაგესმარებათ?  
გაშუაბა.

— როგორ არა?! მე მოგიყვებით ერთ  
კურორტს ზურაზე. დაახლოებით 3 თუ 4  
წლის წინ, კონცერტის ჩასატარებლად ვიყავი  
ნაასული ბორჯომის ხეობაში. ღამის  
გასათევად, ერთი კოტეჯი გამოგიყვებს.  
მაგრად დავთვერით კონცერტის შემდეგ,  
თან სინათლეც არ იყო. შევედით ამ კოტე-  
ჯში და ზურამ აირჩია შუა ოთახში მდ-  
გარი სანოლი — აქ მე დავიძინებო. მე  
ფანჯარასთან დანოლა მომიხდა. ჩვენთან  
ერთად იყო ზურა კომპოზიტორიც. შუალაშუა,  
გვძინავდა და უეცრად, რაღაც ბრახუნის  
ხმა მალვებდა... ცოტა ხანში, მესმის გინე-  
ბაც... დავინტერესდი — რა ხდებამეთქი?  
ავანთე სანთებელა და ვხედავ, რომ ზურა  
თავის სანოლიში აღარ არის, ცოტა ხნის  
შემდეგ, კვლავ გინების ხმა მესმის — უკვე  
აივნიდან. თურმე, ზურას გადაბრუნება ნდომე-  
ბია სანოლიში და გადმოვარდნილა; ეს კოტეჯი  
აივნის მხარეს დაქანებული ყოფილა, ზაფხ-  
ული იყო, კარი ღია დავტოვეთ და ჩვენი  
ზურაც აივანზე ჩაგორებულა. სანალს თურმე,  
მთელი ღამე იქ სძინებია... ზურა სულ „მე-  
კაიფება“ ხოლმე — ბიჭო, ფრთხილად დაწე-  
ქი, ლოგინი არ ჩატეხოო, — რადგან ასეთი  
შემთხვევა ერთხელ უკვე მქონდა, სანოლი  
ვერ გამოძლო და გატეხე. ერთხელაც, ჩვენს  
ძმასა და მეგობართან, თემო რცხილაძესთან  
ჩავედით ბათუმში. მას ბინა ჰქონდა ნა-  
ქირავები და იმ ბინაში მოგვინია ღამის  
გათევამ. ერთი დიდი ტახტი იდგა და მე და  
ზურას ამ ტახტზე ერთად უნდა დაგვეძინა.  
ზურასაც მეტი რა უნდოდა? დამცინის —  
ფრთხილად იყავი, შენს მხარეს ტახტი არ  
ჩატეხოო. მაგრამ ხომ იცით, ანდაზა — უნდა  
უსმინო სხვასაო... ზუსტად ასე მოუვიდა:  
ღამე ბრახუნის ხმამ გამაღვიძა და ვნახე,  
რომ ზურას მხარე იყო ჩაბეჭდილი..

— გამოდის, ახლობლები ზურას  
სტუმრობას უნდა ერიდონ?..

— ზურას სტუმრობა „აპასნია“. მე ვარ  
ძალიან კარგი სტუმარი. თან ამ ბოლო დროს,  
სანოლებსაც აღარ ვამტყრევ... ■

როცა ინტერვიუს შესათანხმებლად  
ჯგუფ „ვაკის პარკის“ სოლისტ ზაზა  
ხუციშვილს დავეუკავშირდი და ილიც  
ვუთხარო, რომ ოჯახურ თემებზე უნდა  
გვესაუბრა, მეუღლესთან ერთად ასე-  
თი პასუხი მივიღე — ჩემი მეუღლე  
პრესასთან არ ურთიერთობსო. თეო-  
თონ დამთანხმდა და იმასაც დამპო-  
და, რომ ოჯახის წევრების ფოტოებ-  
საც მომიტანდა. ინტერვიუს ჩანერის  
შემდეგ კი აღმოჩნდა, რომ სურათებს  
ვერ მომცემდა, რადგან მის მეუღლეს  
არა აქვს სურვილი, საკუთარი და  
მით უმეტეს ბავშვის ფოტო ჟურნალ-  
ში დაიბეჭდოს. როგორც წესო, „ოჯახის“  
რუბრიკისთვის ინტერვიუს ოჯახურ  
გარემოში ვწერთ, მაგრამ ამ შემთხ-  
ვევაში, ზაზა სუსციშვილი, მეუღლის  
გარეშე, მარტო გვესაუბრა.



# თქვენს შიშს დაეძინო ღამის ცხაზე...

## სოფო ჭონიშვილი

— ჩემი მეუღლე, ხათუნა დოლიძე 1995  
წლის ზაფხულში გავიცანი. ეს შემთხ-  
ვევით მოხდა: მე და ჩემი მეგობარი მან-  
ქანით მივედიოდი. დავინახე, რომ სილ-  
ამაზის სალონიდან ვიღაც გოგო გამოე-  
იდა, აღმოჩნდა, რომ მას ჩემი მეგობარი  
იცნობდა. მანქანა გაუჩერეთ და შევთა-  
ვაზეთ — გაგიყვანთ, სადაც მიდიხარ-  
თქო. აღმოჩნდა, რომ ხათუნა გამოფენაზე  
აპირებდა წასვლას. ჩვენც დავინტერეს-  
დით ამ გამოფენით და მასთან ერთად  
წავედით. ამის შემდეგ დავმეგობრდით  
და 9 წლის შემდეგ გადავწყვიტეთ, რომ  
ოჯახი შეგვექმნა.

— ტრადიციულად იქორწინეთ  
თუ გაიპარეთ?

— არა, რა გავიპარეთ?! ხათუნას ოჯახს  
ვიცნობდი. როცა დაქორწინება გადავწყ-  
ვიტეთ, ჩვეულებრივად, მივედი მასთან  
ოჯახში, ველაპარაკე მის მშობლებს, უფრო  
კარგად გავიცანი. შემდეგ, მოხდა ეგრეთ  
წოდებული ნიშნობა და ყოველგვარი პომ-  
პეზურობის გარეშე, ვიქორწინეთ, ჯვარ-  
იც დავინერეთ. ხელი ჯერჯერობით არ  
მოგივნივრია, ახლა ვაპირებთ.

— რომელ ეკლესიაში დაინერ-  
ეთ ჯვარი?

— ქვემო ბეთლემის ეკლესიაში.  
— რით მოგხიბლათ პირველად  
თქვენმა მომავალმა მეუღლემ?

— პირველად, რა თქმა უნდა, გარეგ-  
ნობით. ვფიქრობ, რომ ასეთი შემთხვე-  
ვითი გაცნობისას, გარეგნობას დიდი მნიშ-  
ვნელობა აქვს. ფიზიკურად რომ არ მო-  
მწონებოდა, არ გავეყვებოდი იმ გამოფენაზე  
და იქ დამთავრდებოდა ჩვენი ურთიერ-  
ობა. შეიძლება, ქალი გარეგნულად ნა-

კლებად სიმამათიური იყოს, მაგრამ როცა  
მამაკაცი მას ყოველდღე ხედავს და მას-  
თან გარკვეული, თუნდაც თანამშრომ-  
ლური ურთიერთობა აქვს, შეიძლება, ამ  
შემთხვევაში, მამაკაცი მისი თვისებებით  
მოიხიბლოს და შეუყვარდეს კიდევ. ხოლო  
როცა შემთხვევითი შეხვედრაა, გარეგ-  
ნობა ყოველთვის დიდ როლს თამაშობს.

— დაოჯახების შემდეგ თუ  
აღმოაჩინეთ ერთმანეთში ისეთი  
თვისებები, რომლებიც მანამდე არ  
შეგიმჩნევიათ?

— პირიქით — დაოჯახების შემდეგ,  
უფრო კარგად დალაგდა ყველაფერი.  
ჩვენთვის სხვადასხვა ეტაპზე, მეგო-  
ბრობასა და სიყვარულს სხვადასხვა  
დატვირთვა ჰქონდა. როცა უკვე გადა-  
წყვეტილებას იღებ, რომ ოჯახი შექმნა,  
ყველაფერი სხვანაირი ხდება. ხდებიან ამ  
გადაწყვეტილების არსს და იმასაც, რომ  
შენ ხარ მისთვის ერთადერთი ადამიანი,  
ვისთანაც ცხოვრება უნდა ან კიდევ —  
პირიქით. ამიტომ ყველაფერი დანარჩე-  
ნი ავტომატურად, მეორეხარისხოვანი  
ხდება.

— თქვენი მეუღლე რას მიიჩ-  
ნევს თქვენს ცუდ თვისებად?

— შეიძლება, ცოტა სიჯიუტეს, ცოტა  
უყურადღებობასაც, რაღაც გარკვეულ მო-  
მენტებში... როცა დაუფიქრებლად და  
გაუცნობიერებლად ხდება დაქორწინება  
და ოჯახის შექმნა, ამ შემთხვევაში ამჩნ-  
ევენ ხოლმე რაღაც განსაკუთრებულად  
ცუდ თვისებებს. ჩვენ იმდენად კარგად  
გავიცანიეთ ერთმანეთი მანამდე, რომ ერთ-  
მანეთის თვისებები საკმაოდ მისაღები  
იყო ჩვენთვის.

— საოჯახო საქმეებში თუ ეს-  
მარები მეუღლეს?

— კი, როგორ არა?! როცა ჩვენი პატარა დაიბადა, გარკვეულ ასაკამდე, არ გვინდოდა ძიძის აყვანა. საკმაოდ რთულ პერიოდებში, როცა ბავშვს ცუდად სძინავს და ჭირვეულობს, ხშირად, დედაც უძინარი რჩება. ასეთ შემთხვევაში, დილით ადრე გამოიყავს ხოლმე ბავშვი და დაახლოებით ერთი-ორი საათი ჩემთანაა. ჩემი მეუღლე ამ დროს გამოძინებას ასწრებს.

**— სამზარეულოში ტრიალი თუ გენერხება?**

— კი, მეხერხება. ვერ ვიტყვი, რომ რაღაც ორიგინალური კერძების მომზადება ვიცი, მაგრამ ყველა კერძი ერთნაირი წარმატებით გამომდის — ბორშჩით დაწყებული, ლობიოთი და უფრო გემრიელი რაღაცებით დამთავრებული. მაგალითად, ჩაშუშული ხორცი, ჩაქაფული, ხინკალიც შემქმნია გავაკეთო, მაგრამ ძალიან შრომატევადია.

**— თქვენი მეუღლის კულინარიობით თუ ხართ კმაყოფილი?**

— ჩემს მეუღლეს უფრო, ევროპული და რუსული კერძები მოსწონს, ალბათ იმიტომ, რომ ქართულებს მე ვაკეთებ. ხანდახან მსაყვედურობს კიდევ — მწვადი აღარ მიყვარსო: სახლში ბუხარი გვაქვს და ძალიან ხშირად ვწვავთ მწვადს.

**— პირველ პაემანს ხომ ვერ გახსენებდით?**

— მე და ჩემს მეუღლეს ძალზე უცნაური პირველი პაემანი გვქონდა, ალბათ მსგავსი არავის ჰქონია. ლისის ტბაზე წავედით კიბორჩხალების დასაჭერად. როგორც მოგეხსენებათ, ზაფხულობით ძალიან ლამაზი საღამოებია, ფარნის შუქზე შედისარ მუხლამდე წყალში, ფარნით ანათებ ფსკერს და ჩანს, როგორ დალოდავენ კიბორჩხალები... დაახლოებით 100 ცალი დავიჭირეთ. იმ საღამოს, ხათუნა შინ მივაცილეთ. მეორე დღეს შევხვდით, მოუხარშეთ და ერთად მივირთვით კიბორჩხალები. ეს იყო ჩვენი პირველი პაემანი.

**— რამდენად კონფლიქტური ხართ ოჯახში?**

— ჯერჯერობით, არანაირი კონფლიქტი არ გვქონია. ხანდახან შეიძლება, იუმორით რაღაც ვუთხრათ ერთმანეთს.

**— რა ხნისაა თქვენი შვილი?**

— ჩვენი პატარა, 8 თვე-ნახევრისაა, ორი სახელი აქვს: ნინო-ლიზა.

**— როგორი მამა ხართ?**

— მგონი, კარგი. მაქსიმალურად ვცდილობ, დიდი წვლილი შევიტანო მის აღზრდაში. მას შემდეგ, რაც ბავშვი გაჩნდა, უმეტეს დროს, სახლში ვატარებ.

**— თქვენი მეუღლე თქვენი პირველი სიყვარულია?..**

— რა თქმა უნდა, არა. სიყვარულს ყველა ასაკში სხვადასხვა დატვირთვა აქვს. როცა პირველ სიყვარულზე ვფიქრობ, მახსენდება, რომ ბაღშიც მიყვარდა ერთი გოგონა. ამის სერიოზულად აღქმაც კი

არ შეიძლება. შემდეგ, სკოლაშიც მიყვარდა, სტუდენტობის დროსაც...

**— საჩუქრებს თუ უძღვნი ხოლმე ხათუნას?**

— დაბადების დღეს და საშობაოდ. ხშირად ვჭუქნი სუნამოს. როცა გერმანიაში ხშირად დავდიოდი, იქიდან ყოველთვის ჩამომქონდა მისთვის საჩუქრები, თვითონაც ხშირად მასაჩუქრებს. ახლაც, სანამ აქ მოვიდოდი, გასული იყო ჩემი მეუღლე და რაღაც პიჯაკი მომიტანა. ვფიქრობ,



რომ ძალიან კარგი გემოვნება აქვს.

**— ყვავილებს არ მიაერთივთ ხოლმე?**

— ახლახან ჰქონდა დაბადების დღე და ვარდები მივართვი.

**— როგორ მიიღეს ხათუნა თქვენი ოჯახის წევრებმა?**

— ძალიან კარგად. დედა მყავს, მამა — არა. ჩვენ ცალკე ვცხოვრობთ ყიფშიძის ქუჩაზე. დედაჩემი, ჩემს ძმასთან და მის ოჯახთან ერთად ცხოვრობს იმ სახლში, სადაც დავიბადე და გავიზარდე.

**— ამბობენ, დროთა განმავლობაში სიყვარული ფერმკრთალდებაო. რას იტყვით?**

— არ ვიცი, როგორ გითხრათ... დროთა განმავლობაში სიყვარულს შეიძლება, ის ვნება და ახალგაზრდული ენერჯია აკლდება, რომელიც არ შეიძლება, 70 წლის ადამიანს ჰქონდეს... გარკვეული პერიოდის შემდეგ, სიყვარული ძალიან მტკიცე მეგობრობაში გადადის. მაგალითად, ჩემს მეუღლეს, როგორც მხოლოდ ლამაზ ქალს, ისე ვვლარ აღვიქვამ. სიყვარული და მეგობრობა ისეა ერთმანეთში გადაჯაჭვული, ვთვლი, რომ სახლში უახლოესი მეგობარი მყავს, მეუღლის სახით. ბოლოს და ბოლოს, სახლში ლეკვი რომ

მოიყვანო და 10-12 წელი გყავდეს, ისიც შეგიყვარდება...

**— ეი. სიყვარული მარადიულია. მეთანხმებით?**

— კი, რატომაც არა?! თუკი დედა-შვილის სიყვარული მარადიულია, რატომ არ შეიძლება, მეუღლე გიყვარდეს მარადიულად?! ჩვენი სიყვარულის მარადიულობის საფუძველი სწორედ ის ეტაპია, რომელიც დაქორწინებამდე გავიარეთ. ხოლო რაც შეეხება იმ ურთიერთობებს, რომლებიც გოგონებთან დაქორწინებამდე მქონია, — რომელიმე მათგანი ქორწინებით რომ დამთავრებულიყო, ძალიან დიდი შეცდომა იქნებოდა და ჩვენი სიყვარული ნამდვილად არ იქნებოდა მარადიული...

**— რამდენი შვილის გაჩენას აპირებთ?**

— რამდენსაც ღმერთი მოგცემს.

**— თქვენი მეუღლე რა პროფესიისაა და რას საქმიანობს?**

— სამხატვრო აკადემია აქვს დამთავრებული. გამოფენებსაც აწყობდა ხოლმე. უფრო მოგვიანებით, როცა მე „პირველ სტერეოზე“ ვაკეთებდი საახალწლო პროექტებს, ერთ-ერთი პროექტის კოსტიუმების მხატვარი იყო. ამჟამად ბავშვის აღზრდითაა დაკავებული.

**— როგორ აფასებს თქვენს შემოქმედებას?**

— მინდა გითხრათ, რომ ქართული ესტრადის დიდი თაყვანისმცემელი არ არის. ჩემი სიმღერებიდან მოსწონს — „უღრუბლო ცა“ და „ბრძოლა წესების გარეშე“.

**— რა რჩევებს მისცემდით ახალდაქორწინებულ წყვილებს?**

— პირველ რიგში, კარგად დაფიქრებას, ვიდრე დაქორწინებას გადაწყვეტენ. მთავარი ის არის, რომ ადამიანს შეეძლოს ერთმანეთისგან გაარჩიოს ვნება, სიყვარული და გატაცება. უკვე დაქორწინებულებს კი ვეტყვი, რომ არ დაუშვან ბზარის გაჩენა ურთიერთობაში.

**— დაბოლოს: რა სახსრებია თქვენს შემოქმედებაში?**

— ამ ეტაპზე, „ვაკის პარკის“ ახალი კრებულის გამოცემაზე ვმუშაობთ. სულ 5 ალბომი გვაქვს გამოცემული, რომლებშიც 60-მდე სიმღერაა შესული. აქედან 10-12 სიმღერა შევა ახალ კრებულში, ახალი ინტერპრეტაციით. ამას მოვაყოლებთ მცირე საკონცერტო ტურს. სავარაუდოდ, ამ დროს ვწვდებით: თელავს, ქუთაისსა და ბათუმს. ამ ტურის შემდეგ კი, ახალ ალბომზე დავიწყებთ მუშაობას.

**— კლიბის გადაღებასაც ხომ არ აპირებთ?**

— კი, ვაპირებთ. სიმღერაზე ბოლო ალბომიდან, რომელსაც „ოლონდ მიყვარდა“ ჰქვია.



# განქორწინება ქუთაისურად...

## ინგა ჩაყელი

ამბავი, რომლის მომსწრეც ამ ცოტა ხნის წინ გავხდით, ისევე უცნაურად დასრულდა, როგორც დაიწყო: ქუთაისელმა ვაჟიამ სასამართლოზე ბოლო სიტყვა მოითხოვა და მოკლედ მოჭრა სათქმელი:

— ჩემი სიდედრის გადამკიდეს, საფიქრალი აღარაფერი მაქვს: არც ცოლი მინდა, არც შვილები და საერთოდ, ჩასიძებული კაცის დედა ვატირე მე!.. დროზე მორჩილ და გაათავეთ, გააფორმეთ განქორწინება!

სულ ტყუილა აღვარღვარეს ცრემლები მისმა ცოლმა და ქალიშვილებმა: ჩვენ რას გვერჩი? რეიზა გვასტორებ მინასთან და გვტიებ უპატრონოთ?!.

ქვა ააგდო და თავი შეუშვირა ვაჟიამ:

— თქვენი ბრალია სტორეთ, მინასთან რომ მასტორებდა სასიკვდილე ანიკიე (სიდედრი)! თქვენ რომ ჩემი მხარე დაგეჭირათ, ჩემს ნაწვალ-ნაშრომზე ამდენს კი არ იპარკაშებდა და ენას ასპიტრით კი არ ასარსალებდა, მზეს ჩემი წყევლით რომ ეგებებოდა და აცილებდა!..

მოანერა ხელი ყველა აუცილებელ საბუთს, დაიხურა განუყრელი „კეპკა“ და მანამდე ნელში მოხრილი რომ დადიოდა, მხრებში გაშლილი გამოვიდა ქუჩაში და პირდაპირ იმ ბირჟისკენ აიღო გეზი, სადაც სამკაცო ეგულეობდა. ბიჭები არაყსა და ხინკალზე დაპატიყუა და ცხოვრებაში პირველად ამონათხია წლობით ნაგროვები ბოლმა:

— მამაჩემს მიეცა ჩემი ცოდვა! ინვალური კაცი ვარო! — გაიძახოდა და სულ ლოგინში კოტრიალობდა, ჰოდა, აკეთა და აკეთა ბაღნები! მე მეოთხე ბიჭი ვარ და ჩემ მერე, სამი გოჭუნთა კიდო!.. ორ პატარა ოთახში სამი ნიკელის „კრაოტი“ გვედგა და რიგრიგობით ვიძინებდით. როცა ნაშევიზარდეთ და ერთად ვეღარ ვეტეოდით, თავფხშექცევით ვინევით... ჯარში სხვა რომ იტანჯებოდა, მე დევისვენე და მევიკეთე — ლოგინიც ჩემი მქონდა და მანამდე რომ არ მღირსებია — სამჯერადი კვებაც. მართალია, წყალწყალა და უცხიმო იყო ყველაფერი, მარა მე მაინც მერგებოდა და სახლში დაბრუნებულს, დემესიენ მამულები — ნაირ-ნაირ ქალებს მირიგებდენ, მაღალსაც და დაბალსაც, მსუქანსაც და გამხდარსაც... ვინ მომცა არჩევანის ნება?! აქაც მამაჩემი ჩეგრია და კატეგორიულად მომთხოვა — ანიკოს დედისერთა მარო უნდა ითხოვო, მართალია, შავიცაა და მსუქანიც, მარა სახლ-კარის პატრონია და მის იქით გზა არ გაქ, ჩვენს ქოხში ახალი წევრის შემოყვანა კი არა, თქვენც ვეღარ ეტევი-თო!..

კი არ ტყუოდა მამაჩემი, მართლა ასე იყო ჩვენი საქმე და კაი ხანს ვერ ველირსებოდი ბედს, თუ ჩასიძებას ვერ გადავწყვეტდი, მარა... ანიკოს ხელში ჩემი ჩაგდება იქნებოდა?!

ომში დაკარქვია ქმარი და ახლა რომ ვფიქრობ, ცოცხალიც იქნებოდა, სალსალათიც და ნებით დარჩებოდა საზღვარგარეთ — ანიკოს გექცეოდა, აბა, იმისგან ნასვლა მოახერხა და უკან იზამდა პირს?!. ისიც ჩემსავით ხელში ჰყოლია შეკლული. სანყალი კოლიე ლანდად იყო თურმე ქცეული ვეშაპი ცოლის ხელში, ვერ იქნა და ვერ გააძლო მისი ჩასახეთქი მუცელი — რაც უნდა ბევრი ეშოვა, მაინც გაიძახოდა თურმე — მეტი და მეტი უნდა ოჯახსო!.. მეც ამით გამომიხრა გული. დღე რომ ქერხანაში ვმუშაობდი, ღამე მალაზიის დარაჯათ ვიდექი და დღე-ღამეში სამი საათი არ მეძინა. — უჯიშო ხარ და მიტო ვერ გააკეთე ბიჭიო!.. — მეუბნებოდა. ლოგინში არ მანვენდა ცოლთან და ის გოგოებიც რაფრა მოვახლავოთ? მაროს პატიოსნებაში რო არ ვიყო დარწმუნებული, ვიფიქრებდი, სხვისი ნაკეთებები არიენ-თქვა!.. რომ მივედი ზედსიძედ, თქვენც ქე იცით, რაცხა სრასასახლებები დამახვედრა: ხის ქოხი ედგათ, მიწური „პოლით“, ერთი დიდი და გოუტიხრავი ოთახი; კაი ხანს ლამის ფეხებში გვეწვა და ქალიშვილად დამიდიოდა სანყალი მარო; რომ გვეინევდი მოსაფერებლათ და დეიჭრიალებდა ტახტი, აკვნესდებოდა მომავკვავივით ანიკო, ვითომ — მესმისო! — და რას ვიზამდი, „ქალის ხალისი“ შემრჩებოდა?! ჩემმა ბიძაშვილმა, მიშაიამ მენისხა ჩვენი მადლი: სოფელში გადაგვიპატიჟა ორი კვირა და „მევიტქვით სული“, სულ არ გამოგვიხედა საძინებლიდან გონია და იქოურებს დღემდე სალაპარაკოთ აქვთ ჩვენი ამბავი, ანეკდოტით ჰყვებიენ... იქიდან ჩამოსულმა დევისხევი ძმები, ევილე ვალი და ორ წელიწადში წამოჭიმე ის ორსართულიანი სახლი. მართალია, მის მონყობას ოც წელიწადზე მეტი მოვანდომე, მარა ჩემი სისხლი და ოფლი ჩავღვარე შიგ, სიდედრის დანახვედრები ჭნჭიკიც არ ჩამიყოლებია, მარა მაინც მამადლიდა: გამზადილზე მოგიყვანეო!.. რაის გამზადილზე? მაგის დახვედრებულ მიწურ ქოხში მანქანა მეყენა ორი წელი და ისე დალპა და დეიჟანგა, ნაწილებდაც ვეღარ გავყიდე... კაი ხანს ვუთმენდი, მარა მეც გამომელია ნებისყოფა: ბევრს ჭამო! ხვრინავო! ფეხს „პოლზე“ აბრახუნებო! არაყს რომ სვამ, მყრალი სუნი გიდის, შენს გოგოებს ვინ ითხოვს, ლოთი ხარო! შენი გაჩენის დღე დეინვაო, დეიდაგაო, ჯიში და ჯილაგი გაგინყტაო!.. — და იცოცხლე, ჯიშს და ჯილაგს მეც ვუხსენებდი და ვუგინებდი. არ მიცემია, თვარა არ



დამიკვლია აფერი... მაინც არ გევეყრებოდი, ბოლოს, უკადრებელი რომ არ ეკადრებია: მაცივარზე ბოქლომი დამიდო — ღამის თორმეტ საათზე რომ შეძვრები შიგ, მაგდონი არაფერი მოგიტანია, ჩემი ქმრის დატიებულ ქონებას შენ ვერ გამოგახრევიებო!.. ავნიე მაცივარი და გადავაგდე ფანჯრიდან ძირს, ზედ ტელევიზორი მივაყოლე და ერთი-ორი ფანჯარაც მივაღწეე... გადარეულმა ანიკომ პოლიცია დამაყენა თავზე და ნამიყვანეს განყოფილებაში. ბევრი ვხევენი, მარა ორ დღეზე მეტხანს არ გამაჩერეს იქ, სამაგიეროთ, მირჩიეს — რას აკლავ თავს? შეიტანე მამაჩის ბიუროში განცხადება და გეყვარეო!.. მეც ასე მევიქეცი და პირდაპირ მევიტხეუე — ნება მემეცით, გევეყარო სიდედრს-თქვა!.. — ამფერ რამეს ჯერ არ შევსწრებოვარო! — შეიტხადეს და ვარი მითხრეს. სამაგიეროთ, ცოლთან გაყრის ნება მომცეს და დღეს გავათავე მაი საქმე!.. ჩემი მარო და ბაღნები ქე დემენანენ, მარა ჩემს სიდედრს რომ არ გამოვცლოდი, გამისკებოდა გული, ჩამდებდნენ მინაში და სულ ვერ ვნახავდი მერე...

— ახლა რას აპირობ, სად უნდა იცხოვრო? — შეიცოდა ბიძინამ.

— რა მჭირს შესაცოდებელი, აქამდეც, დარაჯის „ბუტკაში“ არ ვეგდე ყოველ მერე დამეს?!. ახლა, სულ იქ დავსახლდები. არ მეტყვის ვარს ჩემი უმფროსი, იცის, რა გაჭირვებამიც ვარ. ისიც ჩემსავით ჩასიძებული იყო, ორი წლის წინ ეშველა და დამარხა სიდედრი... ჩემსას რა მოკლავს ასეთ მალე? კაჟის ქვასავითა! მარა, მეც ხომ ვიცოცხლებ მისგან შორს და ეგაა ახლა მთავარი! — დაამთავრა ბედნიერმა ვაჟიამ და არყით სავსე ჭიქა ასწია:

— აბა, ღმერთმა სიმწარე გაშროთ, მით უმეტეს — სიდედრთან ცხოვრება!..

დრო თითქოს ახუნებს გარდასულთა სახელებს, ან იქნებ ივინყებს... სხვა რა შეიძლება ენოდოს იმ ფაქტს, რომ ბევრი სახელოვანი წინაპრის მემკვიდრენი ჩვენგან შეუშინველად, თითქმის უჩინრად, ისე ეთხოვებიან სიცოცხლეს, რომ ვერც კი ვაცნობიერებთ, ვისი შთამომავალი ცხოვრობდა ჩვენ გვერდით...

როგორც ჩანს, სწორედ ასეთი სვედრის თანაზიარი აღმოჩნდა ქართველი რომანტიკოსის, ალექსანდრე ჭავჭავაძის ერთ-ერთი შთამომავალი ეკატერინე იაკოვლევა, რომლის შესახებაც საზოგადოებამ თითქმის არაფერი იცოდა. შესაძლოა, ვერც ვერასოდეს გაგვეგო მის შესახებ, რომ არა ქალბატონი ლიანა შარაშიძე, რომელიც დღემდე განსაკუთრებული რუდუნებით უფრთხილდება უფროსი მეგობრის სსოვნას. თავადაც შესანიშნავი წინაპრების მემკვიდრე, წლების მანძილზე მეგობრობდა ადამიანთან, რომლის არსებობა ქართველმა ერმა, ალბათ, არც კი იცოდა.

თუ სად გაცივო ქალბატონმა ლიანამ ეკატერინე იაკოვლევა, რა აკავშირებდა მასთან წლების მანძილზე და რა ცხოვრება განვლო პოეტის შთამომავალმა, — ამის შესახებ თავად ქალბატონი ლიანა მოგვითხრობს.



ეკატერინე იაკოვლევა (ეკელევე ელენე ჭავჭავაძის პორტრეტი)

# წინო ჭავჭავაძის შვილობილი შვილიშვილი ეკატერინე იაკოვლევა

## ირმა ახალაია

### რომანტიკოსი პოეტის საზოგადოებისთვის უცნობი შთამომავალი

— ეკატერინე იაკოვლევა 1980 წელს გავიცანი. მაშინ ავლაბარში, შაუმიანის მოედანზე მდებარე ბიბლიოთეკაში ვმუშაობდი. თანამშრომლებმა შემატყობინეს, რომ ჩვენს ბიბლიოთეკას სწირად სტუმრობდა ალექსანდრე ჭავჭავაძის შთამომავალი. ერთ დღესაც, არისტოკრატიული სილამაზისა და დახვეწილი მანერების მქონე ქალბატონი გვეწვია. ყვე-

ლანი გულთბილად მოიკითხა, შემდეგ მზერა ჩემზე შეაჩერა. საოცრად თბილი, ახლობლური გამოხედვა ჰქონდა... თანამშრომლებმა მითხრეს, რომ სწორედ ეს იყო ეკატერინე იაკოვლევა, თუმცა, ჩემთვის ისედაც ყველაფერი ნათელი გახდა, რადგან მას სახელოვანი წინაპრისაგან არისტოკრატიული მანერების გარდა, გარეგნული იერიც მიეღო მემკვიდრეობით. უცნაურია, მაგრამ ფაქტია: ის, რომ ჩვენ წლების მანძილზე ვიმეგობრებდით ეკატერინემ ალბათ, წინდაწინ უკვე იცოდა, რადგან პირველი შეხვედრისთანავე მითხრა: ჩვენ აუცილებლად ვიმეგობრებთ, რადგან ერთმანეთისათვის ახლობლები ვართო (ალბათ ჩვენი წინაპრების თავადურ წარმომავლობასაც გულისხმობდა). ამის ნიშნად, ეკატერინე იაკოვლევამ მეორე დღისთვის, ორ საათზე სადილზე მიმინვია.

შემორჩენილი იმ დიდი მემკვიდრეობისგან, რომელსაც მისი წინაპრები ფლობდნენ (ამ ნივთებს რა ბედი ეწია, ისიც არ ვიცი)... წლების მანძილზე, ეკატერინე იაკოვლევა ყოველდღე, ორ საათზე სადილად მელოდებოდა. ჩვენი ურთიერთობა არა მხოლოდ მეგობრულ, არამედ თითქმის დედაშვილურ დამოკიდებულებას ჰგავდა. ეკატერინეს საუბრიდან შევიტყვე, თუ რისი გადატანა მოუხდათ მას და მისი წინაპრებს მთელი ამ წლების მანძილზე.

### წინო ჭავჭავაძის შვილობილი და... გრიბოედოვის საფლავთან მიგანილი განცდა

— ეკატერინეს ბებია ელენე, ალექსანდრე ჭავჭავაძის ვაჟის — დავითის ქალიშვილი გახლდათ. თუმცა დაბადებისთანავე მისი აღზრდა თავად წინო ჭავჭავაძეს უკისრია, რადგან საყვარელი მეუღლის, ალექსანდრე გრიბოედოვის დაკარგვისგან სასონარკვეთილ წინოს ერთადერთ ნუგეშად სწორედ ბავშვის აყვანა ჩაუთვლია. ამიტომაც, ვიდრე ელენე მოველინებოდა ქვეყნიერებას, ძმისა და ფეხმძიმე რძლისთვის უთხოვია, თუ გოგონა შეეძინებოდათ, მისთვის მიეშვილებინათ. მე აღარც ქმარი მეყოლება და აღარც შვილი, თუ ქალიშვილი დაიბადება, გასაზრდელად და ნუგეშის მომცემად მე მომეცითო, — უთქვამს წინოს ძმისა და რძლისათვის. დავითს მართლაც ქალიშვილი შეეძინა, ამიტომაც წინომ ითავა მისი აღზრდა. ათ წლამდე ელენემ არ იცოდა სიმართლე მისი მშობლების შესახებ. ნამდვილ დედ-მამას, ბია-ბიცოლას ეძახდა. გამზრდელს კი — წინო-დედას. ელენეს კარგად ახსოვდა თურმე, როგორ დადიოდნენ ის და წინო-დედა ყოველდღე მთანმინდაზე, გრი-

### რა „სიმდიდრეს“ ფლობდა პოეტის შთამომავალი...

— ქალბატონი ეკატერინე ავლაბრის ერთ-ერთ ქუჩაზე, იტალიურ ეზოში, ერთოთახიან კეთილმოწყობელ ბინაში ცხოვრობდა, რომელსაც იზოლირებული სამზარეულო და საპირფარეოც კი არ ჰქონდა. ოთახის მოცულობა 25 კვმ-ს თუ უდრიდა. საოცრად ღარიბულად ცხოვრობდა ეს არისტოკრატიული წარმომავლობის ქალბატონი. პირველი, რამაც მის ოთახში ჩემი განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია, ნათელი ხისგან დამზადებული, ჩუქურთმებით მოვარაყებული ძველებური საწერი მაგიდა და ნათელივე სავერდის ჩარჩოში ჩასმული სარკე იყო. როგორც მასპინძელმა ამიხსნა, მაგიდა ჭავჭავაძეების საგვარეულო ნივთი, სარკე კი — თავად წინო ჭავჭავაძის საკუთრება ყოფილა. მხოლოდ ეს ნივთები ჰქონდა



ამ განსაცდელს ვერც მათი ერთადერთი ვაჟი, თვრამეგი წლის ალექსანდრე გაუქლავდა და... თავი მოიკლა (ალექსანდრეს ბავშვობის დროინდელი ფოტო)



ბოედოვის საფლავზე. ზამთრის სუსხიან დღეებში თბილად შემოსავდა მას წინო, საფლავის ქვაზე ჩამოსვამდა, თავად კი დიდი განცდითა და ცრემლებით დასტიროდა დაღუპულ სიყვარულს. მთელი ცხოვრების მანძილზე ელენე ამას განსაკუთრებულად იხსენებდა, რადგან ბავშვის ცნობიერებაზე დიდი გავლენა მოუხდენია ამ სურათს... 10 წლის ყოფილა ელენე, როდესაც ინფექციური სენით დაავადებული წინო ჭაჭაყაძე გარდაცვლილა. სწორედ მაშინ შეუტყობინებიათ ბავშვისთვის მისი ნამდვილი მშობლების შესახებ, რომლებსაც აღმზრდელი დედის გარეშე დარჩენილი გოგონა აღსაზრდელად წაუყვანიათ. ელენე ჭაჭაყაძე შემდგომში, ცნობილ რუს გენერალს, ასტაფიევის გაჰყოლია ცოლად, რომელიც საქართველოში ცხოვრობდა. სწორედ მათი ქალიშვილი ანა გახლდათ ეკატერინე იაკოვლევას დედა, რომელმაც ტრაგიკულად დაასრულა სიცოცხლე.



...პატარა ეკატერინეს კი 1925 წლამდე ბებია, ელენე ჭაჭაყაძე ზრდიდა

### აღვებებული ბედისწერა – ტრაგიკული პერსონაჟები ჭაჭაყაძეთა შთამომავლებიდან

— ელენე ჭაჭაყაძის ქალიშვილის, ანას ოჯახმა უდიდესი ტრაგედია განიცადა. საქართველოში ბოლშევიკების შემოსვლის გამო, ანა იძულებული შეიქნა, ოჯახთან ერთად ბათუმში გაქცეულიყო, საიდანაც საზღვარგარეთ აპირებდნენ გამგზავრებას, მაგრამ ანას მუხლემ, ალექსანდრე იაკოვლევამ ბათუმში ფრანგი ქალი გაიცნო, მეუღლეს გაეყარა და იმ ქალს საზღვარგარეთ გაჰყვა, ხოლო ცოლი და სუთი შვილი ბათუმში უპატრონოდ მიატოვა. ანამ ვერ გადაიტანა ეს განსაცდელი და გული გაუსკდა. საოცრად ლამაზი ქალი ყოფილა თურმე, მაგრამ განგებამ დიდი დარტყმა მიაყენა, რასაც მისმა გულმა ვერ გაუძლო. ამ განსაცდელს ვერც მათი ერთადერთი ვაჟი, თვრამეტი წლის ალექსანდრე გაუმკლავდა და... თავი მოიკლა. ბოლშევიკებისაგან თავი რომ დაეღწიათ, ეკატერინეს უფროსი დები გემის უბრალო მებღაურებს გაჰყოლიან ცოლად და საზღ-

ვარგარეთ გაქცეულან, თავად პატარა ეკატერინეს კი 1925 წლამდე ბებია, ელენე ჭაჭაყაძე ზრდიდა. ბებუის გარდაცვალების შემდეგ, ეკატერინე ერთ-ერთ ნათესავს ლენინგრადში (დღევანდელ სანქტ-პეტერბურგში) წაუყვანია. როდესაც 20 წელი შეუსრულდა, ეკატერინე საქართველოში დაბრუნებულა. მისი ოჯახის მთელი ქონება ბოლშევიკებს გაენადგურებინათ, ბინა სხვისთვის გადაეცათ, ავეჯის ძირითადი ნაწილი მიესაკუთრებინათ, უმნიშვნელო ნაწილი კი, ერთ სარდაფში ჩაეყარათ... წლების მანძილზე, გაუსაძლის პირობებში ცხოვრობდა ეკატერინე, ერთი პერიოდი, კვლავ ლენინგრადში გამგზავრებულა, მაგრამ იქ დიდხანს ვერ გაუძლია და უკან დაბრუნებულა.

### ერთადერთი შვილისაგან დანაგოვარი ერთადერთი ნიშანი

— პირად ცხოვრებაში ეკატერინეს, შეიძლება ითქვას, არ გაუმართლა. ლენინგრადში საქმრო ჰყოლია, შესანიშნავი ვაჟკაცი, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის დროს დაღუპულა. თბილისში დაბრუნებულს გაუცნია ერთი სომეხი კაცი, რომელსაც განათლება იტალიაში ჰქონია მიღებული. მას თავდავიწყებამდე შეჰყვარებია ეკატერინე. მიუხედავად იმისა, რომ გარეგნულად შეუხედავი მამაკაცი ყოფილა, რომანტიკოსი პოეტის შთამომავალი ქალი მოუხიბლავს მის განათლებას, ინტელექტს და ცოლადაც გაჰყოლია. მახსოვს, როგორი სითბოთი და სიყვარულით იხსენებდა მეუღლეს ჩემი უფროსი მეგობარი ეკატერინე იაკოვლევა, მაგრამ „მეკვიდრეობითი უბედურება“ აქ როდი დასრულებულა. ეკატერინეს და მის მეუღლეს მოულოდნელად გარდაცვალათ ერთადერთი შვილი, ორი თვის ბიჭი. იმდენად განიცადა ეს ტრაგედია თავად ეკატერინემ, რომ ნერვიულობისაგან ლოყაზე დიდი, ყავისფერი ლაქა გასჩენია, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე დარჩა. ხშირად მიმანიშნებდა ამ ლაქაზე და მეტყვოდა — ჩემი შვილისგან დატოვებული ეს ერთადერთი ნიშანი დამრჩაო მხოლოდ... სხვის შვილებსაც გაურბოდა თითქოს, რომ საკუთარი პირმშოს დაკარგვით განცდილ ტკივილს ხშირად არ შეეხსენებინა მისთვის თავი... მეუღლის სიკვდილის შემდეგ მარტო დარჩენილს, ერთადერთ ახლო მეგობრად ბაბო დადიანი ეგულეობდა. ბებუისა და დედის დანატოვარი ძვირფასეულობა, რომელიც ბოლშევიკებს გადაუარჩა, საქართველოს ერთ-ერთ მუზეუმში ჩააბარა თითქმის კაპიკებზე. გული მტკივა, როცა ვიხსენებ, თუ რა სიღარიბეში ცხოვრობდა და რამხელა გაჭირვებას იტანდა ღირსეულად ეს დიდებული წინაპრების მემკვიდრე ქალბატონი. თამამად შემოძლია ველიარო, რომ მის ცხოვრებას ცოტა რამ მეც შევმატე, თუკი მარტოობის დღეები ოდნავ მაინც გაუზხალის.

### სისხლის ყივილი და... დიდი ბაბუის ანარეკლი

— ეკატერინე იაკოვლევამ ქართული თითქმის არ იცოდა. შესანიშნავად ფლობდა ფრანგულ, ინგლისურ, რუსულ ენებს, მაგრამ არ იცოდა მშობლიური ენა, არც ქართულ ტრადიციებს იცნობდა კარგად. ერთხელ ვუთხარი — არ მსურს შევევუო იმ აზრს, რომ ალექსანდრე ჭაჭაყაძის შთამომავლობა ქართული არ იცის-მეთქი. იმდენად განუცდია ეს ამბავი, რომ ჩემგან მალულად, ქართულის შესწავლა დაუწყო და ერთ დღესაც, სრულიად მოულოდნელად, ქართულად დამელაპარაკა. იცით, კიდევ განსაკუთრებულად რა დამამახსოვრდა?.. ერთხელ მივეტანე პლაკატი, რომელზეც დიდი წინაპარი, ალექსანდრე ჭაჭაყაძე იყო აღბეჭდილი. სურათი რომ დაინახა — „დედუშკაო!“ — შეძახა და ტირილი დაიწყო... მე მაშინვე აღმოვაჩინე მათ შორის მსგავსება დიდი, ფართო შუბლითა და მწვანე თვალებით. სურათის გვერდით, ათრთოლებული დადგა და მკითხა, ხომ მართლა ვგვარ დიდ ბაბუასო?!

### პაოლო იაშვილის უკანასკნელი დანაგოვარი...

— ეკატერინე ხშირად იხსენებდა იმ დიდ ადამიანებს, ვისთანაც წლების მანძილზე მეგობრობდა. მას ახლო ურთიერთობა ჰქონია ელენე ახვლედიანთან, კოლაუ ნადირაძესთან, პაოლო იაშვილთან და არა მარტო მათთან... იმ ავადსახსენებელ დღეს, როდესაც პაოლომ საკუთარ თავს განაჩინა გამოუტანა, პუშკინის ქუჩაზე ეკატერინეს შეხვედრია, შუბლზე უკოცნია და რუსულად უთქვამს: მივდივარ, კატიუშო... სამუდამოდო!.. მაშინ ვერ მიმხვდარა ეკატერინე, რას ნიშნავდა მისი ეს საბედისწერო ფრაზა.

### უბეგლოდ დაკარგული საფლავები


— ჩემი ავადმყოფობის გამო, ეკატერინეს მონახულებას ვერ ვახერხებდი, თუმცა ტელეფონით ხშირად ვეკონტაქტობოდი ერთმანეთს. როდესაც ძალიან შეუძლოდ გამხდარს, მეზობლებისთვის უთხოვია, მხოლოდ მის დაკრძალვამდე ერთი საათით ადრე აცნობოთ ლიას ამის შესახებ, მეშინია, არ ინერვიულოს და რაზე არ დაემართოს, რადგან თავადაც ავად არისო... ცნობა მისი სიკვდილის შესახებ თავზარდამცემი იყო ჩემთვის. დედასავით დავიტირე. იმდენად ცუდად გავხდი, საფლავამდე ვერ მივაცილე... მის დასაფლავებას ძალზე ცოტა ადამიანი ესწრებოდა: ბატონი მერაბ კოკოჩაშვილი, მუზეუმის რამდენიმე თანამშრომელი და ახლო-მეზობლები. ეკატერინე 1992 წელს, მუხათგვერდის სასაფლაოზე დაკრძალეს. შესაძლოა, დღეს მისი საფლავიც კი „ნაშლილია“, რადგან ცოცხალს პატივი არ დასდეს და გარდაცვლილს ვინა გაიხსენებდა?! ალბათ ასეთია ამ ადამიანების ბედისწერაც, რადგან განგებამ ერთნაირად გაუზნაწილა მათ ღირსეული წინაპრის მემკვიდრეობა და უდიდესი ცხოვრებისეული განსაცდელი...



# ყველაზე მაღლაზი, ყველაზე ნორჩი, ყველაზე იღვლიანები...

## უნიკალური კიდურების პატრონი ტყუპი

ინდოელ ტყუპ ძმას — ტრიბზუვან და ტრილოკი იადავებს, რომლებიც პოლიდაქტილიზმით არიან დაავადებულნი, ორივე ხელსა და ორივე ფეხზე 6-6 თითი აქვთ.



## ყველაზე მეტი პირსინგის მქონე მამაკაცი

ელენ დევიდსონის მამაკაცი „კოლეგა“, კუბელი ლუის ანტონიო აგუერო გახლავთ. მას სახესა და სხეულზე საერთო ჯამში, 230 პირსინგი აქვს გაკეთებული, ხოლო თავის არეში 150 რგოლი დაუმარგებია.



## ყველაზე მეტი პირსინგის მქონე ქალი

1997 წლის იანვრიდან 2004 წლის 13 ოქტომბრამდე, ამერიკელმა ელენ დევიდსონმა საკუთარ ტანზე 2520 ნახვრეტი გაიკეთა. ელენის ბოლო გასინჯვისას, მხოლოდ მის სახეზე 192 ნახვრეტი დააფიქსირეს. ქალს პირსინგი მუცელზეც, გულმკერდზეც და ხელეებზეც აქვს გაკეთებული.

## ყველაზე მრავალრიცხოვანი ნაშიერი ძაღლი


2004 წლის 29 ნოემბერს ნეაპოლური მარტიფის ჯიშის ძაღლმა, ტიამ 24 ლეკვი დაყარა. უნიკალური ძუ ბრიტანელ წყვილს — დამიან უორდსა და ანი კელედპერს ეკუთვნის.



იკაროსის მამა — ცვილისაგან გააკეთა ფრთები	ნამუსი	წარწერა კადრის ქვეშ	თბილისის ერთ-ერთი გარეუბანი	კედლის შანდალი	რძის პროდუქტი	ტბა აფხაზეთში	
ე ი ე ს დ ლ ს	ი ს ი ნ დ ი ს ი მ ა მ ი ი ზ ო ნ ი რ ა ს	გ ხ ა დ ო ხ ი ნ	მ შ ო მ	ნ ყ ლ ო რ მ ო	ძ ა ლ ლ ი ს ჯ ი შ ი	მ შ ა მ	
მშობელი	ქალაქი ანჟლე-სი	ცხენოსნობა ჭოკის სროლით (ქართული)	ლონდონის საქმიანი ცენტრი	მარგალიტას მუღღლე (მხ/ფშმერეკილები)	წყლის ორმო	ძაღლის ჯიში	მშ ა მ



# ნიჰნი თავგადასავლების მოყვარულთათვის!



„მე ერთი მოგზაურობაზე თავგადაკლული კაცი ვარ...“  
— ამ სიტყვებით დაამახსოვრა თავი წიგნის ავტორმა ჟურნალ „გზის“ მკითხველს. თანაც, ამ სიტყვებს დროდადრო არა მხოლოდ ევექტის მოსახლენად იმეორებდა, არამედ მართლაც ასე იყო...

აკაკი გვენავა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში მოგზაურობის ჩანაწერებით დატვირთული მოვიდა რედაქციაში. ასე გაჩნდა რუბრიკა „მოგზაურის დღიურები“, რომელიც იმავე ითვე მოუვიდა თვალში მკითხველს. მეტიც, პუბლიკაციათა ბეჭდვა „დაგეგმილი“ ხანმოკლე ციკლის ნაცვლად, მიუღიოთინი წელიწადი გაგრძელდა. მის თითოეულ გამოშვებას მოუთმენლად ელოდნენ სათავგადასავლო უანრის მოყვარულნი, ხოლო როცა რუბრიკის „დასკვნიტი“ ნაწილი გამოქვეყნდა, გვისაყველურეს, ასე ძალე(!) რატომ დამთავრეთო.

ახლაც გვწერენ და გვირეკავენ, რუბრიკის განახლებას გვთხოვენ. აკაკის კი დღესაც აჩერებენ ქუჩაში მადლობის გადასახდელად, იმ ფოტოებით ცნობენ, მის „მძაფრთუყუტან“ ჩანაწერებს რომ ახლდა. ერთი სიტყვით, ჩვენი მოგზაური-პუბლიცისტისტი ამავდროულად ჟურნალ „გზის“ პოპულარულ სახედაც იქცა.

2002 წლის თებერვლიდან მოყოლებული, აკაკი გვენავამ მკითხველს ახალი თვალით (თანაც ძალზე ორიგინალურად) დაანახვა არგენტინა თუ ბრაზილია, პოლანდია თუ საფრანგეთი, იტალია, თურქეთი, ირანი... და ბოლოს, ამერიკის შვერთებული შტატები. გასაოცარი კომუნიკაბელობის, ინტუიციისა და მოგზაურისთვის დამახასიათებელი ხედვის წყალობით აკაკი უამრავ მეგობარს იძენს ყველგან, სადაც კი ფეხი დაუდგამს. შტატებში, რუსული სასტუმროს მეპატრონე ქლიდან დაწყებული, პრესტიჟული უნივერსიტეტის პროფესორით და ოლბანის ციხის „მეთვალყურით“ დამთავრებული. დიას, ჩვენი გმირი ამერიკულ ციხეშიც მოხვდა სრულიად უდანაშაულო და...

თუმცა, უმჯობესია, ყველაფერ ამის შესახებ თავად წაიკითხოთ. ჟურნალ „გზის“ მკითხველები კი ალბათ კიდევ ერთხელ საამოვნებით გადაავლებენ თვალს ნაცნობი მოგზაურის ერთად თავმოყრილ ჩანაწერებს. აკი, სწორედ ისინი გვთხოვდნენ, წიგნად გამოეცით აკაკი გვენავას „მოგზაურის დღიურები“...

**ნიჰნები სასლუი მიზანით ფასნაგაზის გარეშე!**  
**ტელ: 42-43-40; 33-26-73**

ერთი ... გული ცხრა ძმამ გაიყოლო	თბილელი (ლიტ. მერსონაჟ.)	გენია, ტალანტი	ჭირი იქა, ლხინი აქა, ... იქა, ფქვილი აქა	ქსოვილისგან შეკერილი პროდუქტის შესანახი	თეატრი — დგმება მუსიკალური სპექტაკლები	ლითონისსარქველიანი ჭურჭელი		
ი ს ი ი ს ა გ ლ ნ ი ქ ი ქ ა მ ო მ ო მ ა ს ხ ს ო მ ე ხ ა გ ი დ ო ნ ი	შესან-ილწყა-ნი	პორტუგალიის დედაქალაქი	მინის სასმისი	მომღერალი ... კუთუნიო	ხელის სა-გრილებელი	ა. გრიგი „... გიუნტი“	წამლის ფორმა	მდინარე რუსეთში



# ირანში ჩატარებული ქართული ლოცვისათვის და „X სოც ლან უნი!“

## ანუ ქართული სიხარული ხაილანისა და სილანისა

ლისში, რომლებმაც ფეხით გამოიარეს მთელი გზა ირანიდან საქართველომდე (სამნუსხროდ, მე გვიან გავიგე და მათთან შესვედრა ვერ მოვახერხე) და, ბოლოს — „ჩვენებურების“ კონცერტი ფილარმონიაში, რომლის შესახებ აჰმად მულიანთან (ის თურმე,

რომ ჩურჩხელები ჩემს მშობლიურ მიწა-წყალზე მომზადებული ყოფილიყო...

რადგან საკუთარი ხარჯით მივედიოდი და ქვეყნის დათვალერებაც მინდოდა, თვითმფრინავით მგზავრობაზე თავიდანვე უარი ვთქვი და ავტოტრანსპორტით მგზავრობა გადავწყვიტე.

ამონარიდი ქართული საბჭოთა ენციკლოპედიიდან: „ფერეიდანი, ფერეიდუნი შაჰრი, პროვინცია ცენტრალურ ირანში, ბახთიარის მთებში, ქ. ისპაანიდან დაახლ. 100 კმ-ზე. 1614-17 შაჰ-აბას -მა 200 ათასი ქართველი ირანში გადაასახლა და საკმაოდ დიდი ნაწილი ფერეიდანში დაასახლა. იქ შეიქმნა ქართული სოფლები: ზემო მარტყოფი, ქვემო მარტყოფი, ჩუღურეთი (ჩოლიურეთი), აფუსი (რუსისპირი), სიბაქი (ვაშლოვანი) და სხვა. ფერეიდანის ერთ უბანში (გურჯინ-ნაჰე — ქართველთა უბანი) ცხოვრობენ ქართველები, დანარჩენ 3 უბანში (ნაჰიე-ჩადეგუნი, ნაჰიე-ფარსალი, ნაჰიე-თოჰმაჰალუ) — სპარსელები, ქურთები, ლურები, ბახთიარები, სომხები. ფერეიდანში ქართველების ჩამოსახლებით შაჰ-აბას -ს მიზნად ჰქონდა დედაქალაქ ისპაანის დაცვა მომთაბარეთა (ბახთიარები, ლურები, ქურთები და სხვა) თავდასხმისაგან. ფერეიდანში მცხოვრები ქართველები პირველ ხანებში ინარჩუნებდნენ რჯულს და ზნე-ჩვეულებებს, მაგრამ შემდეგ მათ იძულებით შეუცვალეს სარწმუნოება, რამაც გარკვეულად შეცვალა მათი ზნე-ჩვეულებები, თუმცა დღემდე შეინარჩუნეს ქართული ენა და ზოგიერთი ქრისტიანული ჩვევა. უკანასკნელ წლებში გამოქვეყნებული მასალებით, ქართველობა 12-14 ათას კაცს შეადგენს“. (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, X ტომი).

...თბილისიდან ბაქომდე მატარებლით

### გიორგი ალავერღაშვილი

ყველაფერი დაიწყო იმით, რომ შარშან ერთ-ერთ გაზეთში წავიკითხე ინტერვიუ ბატონ ზურაბ კაპანაძესთან — „კავკასიონზე ახალი მწვერვალია „ფერეიდნელი ქართველი“ („რა ანუხებთ ირანში მცხოვრებ გურჯებს?!“), რომლის ნანამძღვარში ვკითხულობთ: „ზურაბ კაპანაძე მოყვარულ მთაშველელთაგან ერთ-ერთი პირველია, რომელმაც საქართველოდან ირანში ალპინიზმის ფანჯარა გაჭრა და ფერეიდნელ კოლეგებს დაუშვებდა... როგორც თვითონ ამბობს, ამ ლაშქრობას სპორტული კი არა, კულტურული ხასიათი ჰქონდა, რომელსაც თან ნოსტალგია ახლდა...“ შემდეგ, ბატონი ზურაბი აღნიშნავს: „ახლა მათ ტრადიციებზე საუბარი აღარ აკმაყოფილებს, უფრო მეტ სიხარულს ითხოვენ... არსებობენ ადამიანები, რომლებიც ქართულ ენას საკუთარი ინიციატივით ასწავლიან, მათ შორის ერთ-ერთი ჩემი ნაცნობი, ნიკოლოზ ბათუაშვილი გახლავთ“.

ეს ინტერვიუ აღმოჩნდა ის ბოლო წვეთი, რომელმაც ჩემი მოთმინების ფიალა აავსო და მტკიცედ გადავწყვიტე, მემოქმედა.

ფერეიდნელი ქართველების თემასთან პირველი შეხება, ჩემთვის ბატონ რევაზ თაბუკაშვილის დოკუმენტურ ფილმს — „შორია გურჯისტანამდე?!“ — უკავშირდება. როგორც ყველა ქართველზე, ჩემზეც ამ სურათმა უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. მას შემდეგ, ხშირად მიფიქრია იმაზე, თუ როგორ შემეძლო რაიმე სიკეთე გამეკეთებინა ამ ხალხისთვის და გადავწყვიტე, რაღაც არ უნდა დამეფიქროდა, ჩავსულიყავი ფერეიდანში, გამელო იგივე გზა, რომელიც იქ მცხოვრებთა წინაპრებმა ფეხით გაიარეს 400 წლის წინ, ფეხი დამედა იმ მიწაზე, სადაც ჩემი „თანაფესვლები, ძმები და თანაერი, თბილისისხლიანი ქართველები“ (ახალგაზრდა ფერეიდნელი ქართველის, პატრიოტი-მასწავლებლის საიდ მულიანის, იგივე გიორგი მულიაშვილის სიტყვები) ცხოვრობენ... შემდეგ იყო ორი ფერეიდნელი ქართველის სტუმრობა თბი-

გიორგი მულიაშვილის ძმა, იგივე კახა მულიაშვილი აღმოჩნდა) ინტერვიუდან შევითქვე. თავდაპირველად, დავეუკავირდი ბატონ ზურაბ კაპანაძეს, რომელმაც ბევრი საინტერესო რამ მითხრა, დამავალიანა და თავისი მეგობრის, ფერეიდანში მცხოვრები ბატონი რევაზ ბათუაშვილის ტელეფონის ნომერიც მომცა. მას იმ საღამოსვე დავეუკავირდი, გავანდევ ჩემი მიზანი, რაც სიხარულით მიიღო და აღმოთქვა, რომ დამეხმარებოდა ნიკოლოზ ბათუაშვილის (იმამყული ბათუანის) კოორდინატების მოძებნაში. მეორე დღესვე, ბატონ ნიკოლოზსაც დავეუკავირდი. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ბატონი რევაზიც და ბატონი ნიკოლოზიც ქართულ ენაზე შელაპარაკებოდნენ...

ყოველივე ამის შემდეგ, ვესტუმრე ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს, ამ ქვეყანაში წასასვლელად საჭირო პირობების დასადგენად. კონსულმა, ბატონმა რეზა ქეშავარზმოჰამადიანმა და საკონსულოს თანამშრომელმა, ქალბატონმა სოფიკომ გულლიად მიმიღეს და ყველა კითხვაზე ამომწურავად მიპასუხეს. 2-3 დღეში კი, ჩემდა გასაკვირად, ვიზა უკვე მზად იყო... შევიძინე წიგნები, ძველი თბილისის მოტივებზე შექმნილი სუვენირები, სპეციალურად კახური ჩურჩხელების შესაძენად, წავედი ბოდბისხევის ბაზარზე, მინდოდა,



ფერეიდნის მარტყოფი ჩასულს, თავად ბატონი ნიკოლოზი მინ არ დაგვხვდა, მხოლოდ მისი მეუღლე იყო...



გავემგზავრე. ბაქოში ჩასვლისთანავე, ვალუტის გადამცვლელთა და ტაქსის მძღოლთა გარემოცვაში აღმოჩნდი. ბატონი ზურაბის რჩევები ძალზე გამოამადა და მალე, ავტოსადგურში ვიპოვე ტაქსი, რომელიც პირდაპირ სასაზღვრო ქალაქ ასტარამდე ჩამიყვანდა.

მე და ტაქსის მძღოლი, ელცინ მურადოვი ისე დავმეგობრდით, რომ გზაში, მონადირეული გადამფრენი ფრინველები იყიდა და სახლში მეპატიჟებოდა სადილად, თან მხიარულად მეუბნებოდა — მე ხშირად ვყიდულობ ამ ფრინველებს და ქათმის გრიპის ნუ შეგემინდებაო. ეს მისმა მეუღლემაც დაადასტურა, როცა მის სახლთან, ცოტა ხნით, მაინც გავეჩერდით.

ბაქოდან ასტარამდე მგზავრობას 4 საათი მოვანდომეთ. ასტარაში დღის მეორე ნახევარში ჩავედით. ელცინმა საზღვრამდე მიმიყვანა და პირობა ჩამომართვა, უკან დაბრუნებისას, უეჭველად დავურეკავდი. საზღვარი დაუბრკოლებლად გადავლახე და ისევ ტაქსით გავემგზავრე.

გზაში მძღოლი „ტაქსუს“ სიმღერებს მასმენინებდა, თან ბოდიში მომიხადა — ქართული არაფერი მაქვს და რუსული ხომ გესმისო?... ავტოსადგურში შეუსვლელად გამიყვანა ტრასამდე, თან ამისხნა — იქ საათობით ლოდინი მოგიწევს, ტრასაზე გამვლელი ავტობუსი კი, უფრო ადრეც მოვა და უფრო იაფიც დაგიჯდებაო. მართლაც, რამდენიმე წუთში, უკვე ავტობუსში ვიჯექი და თეირანისკენ მივემგზავრებოდი. საღამოვდებოდა, თან პეიზაჟებიც დიდად თვალწარმტაცი არ იყო. სამაგიეროდ, გარე განათებების ჩართვის შემდეგ, გაბრდვლილად გზისპირა დასახლებები და ქალაქები...

ღამის თეირანიც დღესავით განათებული დამხვდა. შორიდანვე ვხედავდი მანათობელ ვერტიკალურ ნრფებს, რომლებიც მრავალსართულიანი სახლების აივნების ქვეშ დამონტაჟებული ნათურები ყოფილა...

თეირანში სხვა ავტობუსზე გადავჯექი და ისპაჰანში გავემგზავრე. ჩემ გვერდით იჯდა ხანში შესული მამაკაცი, რომელიც მალე გავიცანი, მას მანაზელ თაჰაბური ერქვა. თაჰაბურმა საუბარი გამიბა ჩვენ წინ მჯდომი, სტუდენტის დახმარებით, რომელმაც ინგლისური იცოდა. როდესაც ჩემი მოგზაურობის მიზანი შეიტყო, ძალიან მომიწონა, უახლოეს გაჩერებაზე ყურძნის წვენზე დამპატიჟა. სამწუხაროდ, ჩემი ჩანთა საბარგულში იყო ჩაკეტილი, ამიტომ საქართველოდან წაღებული სუვენირიც ვერ ვუსახსოვრე. სამაგიეროდ, ჯიბეში შემთხვევით დარჩენილი ქართული ხურდა ფული აღმომაჩნდა, ახლომახლო მსხდომ სხვა მგზავრებსაც ვაჩუქე, თან ავუსხენი მონეტებზე გამოსახული შზის სიმბოლოს — ბორჯღაღის მნიშვნელობა. როცა ვუსხნიდი, რომ ძველად, საქართველოში ყველა მცხოვრები თავისი სახლის შესასვლელში ან ხის თაღებზე გამოსაჩენ ადგილზე ბორჯღაღალს, როგორც ხვავისა და ბარაქის სიმბოლოს, ამოჭრიდა, დიდი ინტერესით მისმენდნენ. ყველამ დამპატიჟა

თავის სახლში, გაცვალეთ მისამართები და ბოლოს, თბილად დავემშვიდობეთ ერთმანეთს.

ისპაჰანში დღის 7 საათზე ჩავედი. მაშინვე დავინყე მარტყოფისკენ მიმავალი ავტობუსის ძებნა, მაგრამ ვერაფერი გავარკვეე. ჩემდა საბედნიეროდ, შემხვდა პიროვნება, რომელიც გამართულად ლაპარაკობდა ინგლისურად. მან მიჩნია, რომ ჩავსულიყავი ფერეიდანში და იქ გამეჩვენა მარტყოფის ამბავი. მევე ტაქსის მძღოლს აუხსნა, სად მივდიოდი. სამწუხაროდ, ამ გულისხმიერი ადამიანისთვის სახელი და გვარი არ მივითხვას...


ისპაჰანიდან ფერეიდანამდე, 4 საათი ვიმგზავრეთ. გზები იქაც კარგად გაკეთებული იყო. პეიზაჟები კი — ნაცრისფერი. შეიძლება ითქვას, რომ გზად არც ერთი ხე, ბუჩქი, ბალახიც კი არ მინახავს. შიგადაშიგ სათბურები გვხვდებოდა, სადაც თურმე, ვარდს ახარებენ.

ფერეიდანში რომ ჩავედი, გზაზე ორი ახალგაზრდა შეგხვდა. ტაქსის მძღოლი მანქანიდან გადავიდა და სპარსულად ჰკითხა, როგორ მივსულიყავით მარტყოფამდე და იცნობდნენ თუ არა ბათვანს. ხანმოკლე დიალოგის შემდეგ, ტაქსის მძღოლი გალიმებული მობრუნდა და მანიშნა, ყველაფერი კარგად არისო. მეც მივბრუნდი ახალგაზრდებისკენ და ანგარიშ-მიუცემლად, ქართულად გადავუხადა მადლობა. მათ უცებ შეეცვალათ სახეები და მაშინვე ჩემთან მოვიდნენ. მკითხეს — თქვენ ეს სიტყვა საიდან იცითო? მეც სიხარულით ავუხსენი, რომ საქართველოდან ვიყავი სპეციალურად მათ გასაცნობად და მათთან დასამეგობრებლად ჩამოსული, რომ საქართველოში ყველამ იცის მათი ტკივილიანი ისტორია და ბევრს აქვს მათი გაცნობის სურვილი...

ახალგაზრდებმა ამისხნეს, რომ ფერეიდანი — იგივე მარტყოფია და ისიც მითხრეს, თუ როგორ უნდა მიმეგნო ბათვანის სახლისთვის. აი, ასეთი იყო ჩემი პირველი შეხება ფერეიდანელ ანუ მარტყოფელ ქართველებთან...

ფერეიდნის ქუჩებში პირველი ქართული აბრები დავინახე: „მობრძანდით“, „ყვავილების მალაზია“, „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება“ და სხვა. ბათუაშვილის სახლი ადვილად ვიპოვე, მაგრამ სამწუხაროდ, თავად ბატონი ნიკოლოზი შინ არ დაგვხვდა, მხოლოდ მისი მეუღლე იყო. იქაური ნესები უნებლიეთ რომ არ დამერღვია, მას არ დავლაპარაკებოვარ (იქნებ, არ შეიძლებოდა, მამაკაცი მასპინძლის არყოფნისას ქალბატონთან დალაპარაკება). ვიფიქრე, ისპაჰანში დავბრუნდები და ბატონ რევაზ დავითაშვილი დავუკავშირდები-მეთქი. როცა თბილისიდან ტელეფონით ვრეკავდი, დავითაშვილს 13-ნიშნა ნომრით ვუკავშირდებოდი, ხოლო ბათუ-

აშვილს — 14-ნიშნა ნომრით, ამიტომ მეგონა, რომის ისპაჰანში ცხოვრობდა. ჩანთიდან ამოვიღე გაზეთი, რომლის ფურცელზეც, ზემოთ დასახელებული სტატიის გვერდით, ტელეფონის ნომრები მეწერა. ამ სტატიასთან ერთად დაბეჭდილი იყო ფოტო, გადაღებული კავკასიონის ახალმწვერვალზე, რომელსაც „ფერეიდნელი ქართველი“ ეწოდა. გაზეთის დანახვისას, იქ მყოფები ძალზე დაინტერესდნენ, ერთერთმა ახალგაზრდამ მითხრა — ამ ფოტოზე ჩემი ქვისლი, რევაზ დავითაშვილია აღბეჭდილი და თუ სურვილი გაქვთ, შემიძლია დავურეკო და აქ მოვიყვანო, ისიც ფერეიდანში ცხოვრობს და 200 მეტრში საკუთარი ავტომალაზია აქვსო... ასე, უცებ, ყველაფერი ჩემდა სასიკეთოდ შეიცვალა. ტაქსის მძღოლი ჯერ გასტუმრებულიც არ მყავდა, რომ ბატონი რევაზიც მოვიდა საკუთარი მანქანით. მან მაშინვე წამიყვანა თავის სახლში. გზაში რევაზს წინასწარ ვკითხე, რაიმე განსაკუთრებული წესები ხომ არ არსებობდა, რომლებიც შეიძლება, უცოდინრობის გამო დამერღვია? — შენ მხოლოდ ფესსაცმელი გაიხადე და ისე შედი ოჯახში, დანარჩენი პრობლემა




ბატონ რევაზ დავითაშვილის ოჯახი — ქალბატონი თაჰერე, ქალიშვილები — ელნაზი, მითრა და ანაიდა

არ იქნებოა. მეც, ასეც მოვიქციე. კართან მისი მეუღლე — ქალბატონი თაჰერე და უფროსი ქალიშვილი — ელნაზი შემოგვეგებნენ. გაცნობისა და სასიამოვნო საუბრის შემდეგ, ცხელი შაბი მიმალეხინეს, პიჟამაც კი შემომთავაზეს. ხანმოკლე დასვენების შემდეგ, სუფრასთან მიმინვიეს და ამ დროს, ორი პატარა გოგონა — მითრა და ანაიდა — მათი ქალიშვილები დაბრუნდნენ სკოლიდან (აღსანიშნავია, რომ სკოლებში გოგონები და ბიჭები ცალ-ცალკე სწავლობენ). გემრიელი სადილის შემდეგ, საუბარი გავაგრძელებთ. პატარა ანაიდამ თავისი სიმდიდრე — იაკობ გოგებაშვილის „დედაუნა“ მჩვენა. მე უფროს ქალიშვილს, ელნაზს, მისი ზიჩის მიერ დასურათებული, „ვეფხისტყაოსნის“ საიუბლეო გამოცე-

მა ვაჩუქე, მითრას და ანაიდას — გზირ-  
იშვილის „ქველი თბილისის ნახატები“ (სხ-  
ვათა შორის, სასტუმრო ოთახს მითრას  
მიერ შესრულებული, ორი მშვენიერი  
ნახატი ამშვენებდა), ბატონ რევაზსა და  
ქალბატონ თავერეს კი — ქართული  
სუვენირები.

სალამოს, რევაზმა თავისი ერთ-ერთი  
მეგობარი, საიდ მულიანი, იგივე გიორგი  
მულიაშვილი გამაცნო. იგი ისტორიკოსია,



რევაზ დავითაშვილი და  
საიდ მულიანი (გიორგი მულიაშვილი)

კარგად ერკვევა როგორც ირანის, ასევე  
საქართველოს ტოპონომიკაში.

როდესაც მათ შეიტყვეს, რომ მე სილ-  
ნალიდან ვარ, მაშინვე მანქანაში ჩამსვეს და  
რომელიღაც მთის წვერზე ამიყვანეს. მი-  
უხედავად იმისა, რომ უკვე საკმაოდ ბნელო-  
და, მთის წვერზე აშკარად ჩანდა სანგრები  
და ქვებით ამოყვანილი კედლები, საიდან-  
აც წინათ, ფერეიდნელი ქართველები მტერს  
იგერიებდნენ. თითქოს მოქნეული ხმალი  
მომხედდა, ამ ადგილის სახელი რომ მითხრეს  
— „სილნალის კედლები“...

„სილნალის კედლების“ მოპირდაპირე  
მხარეს, კიდევ ერთი ვებერთელა მთაა  
აზიდუღი, რომლის ფერდობზეც ფერე-  
იდანია შეფენილი. ამ მთას ადგილობრივი  
მცხოვრებლები „ციხეთას“ უწოდებენ. მას  
ძალზე ტყვილიანი ამბავი უკავშირდება:  
ციხემთის თავზე, ვაკე ადგილია, სადაც  
ბუნებრივი წყარო მოჩუჩხუხებს  
— ერთი სიტყვით, სამოთხის  
მსგავსი ადგილია. მისასვლელი  
ბილიკი მხოლოდ ერთი მხრი-  
დან აქვს, ყველა სხვა მისადგო-  
მი, სალი კლდეა. ამის გამო,  
მტრის შემოსევის დროს, ეს მთა  
ხშირად ქცეულა ადგილობრივ  
მკვიდრთა თავშესაფრად,  
უფრო სწორად — მოხუცების,  
ქალებისა და ბავშვების სამა-  
ლაჟად, მაშინ, როდესაც მამაკა-  
ცები თავიანთ სოფლებს იცავდ-  
ნენ. ერთ-ერთი შემოსევის  
დროს, ქართველ კაცს(!) გაუცია  
ციხემთის საიდუმლო. ქალებს,  
მტერს რომ არ ჩავარდნოდნენ

ხელში, ჯერ ბავშვები გადმოუყრიათ კლ-  
დიდან, შემდეგ კი, თვითონაც გადმოშტ-  
არან. მეცხვარეები ციხემთის ძირში ახლაც  
კი პოულობენ მძივებს...

ფერეიდანში ჩემი ყოფნის დროს, რე-  
ვაზმა ბევრი თავისი მეგობარი გამაცნო:  
ბეჟანი, ეჰსანი, ალია, მამუკა და სხვები.  
მათ ჩვენ შესახებ ბევრი რამ იციან, თითქ-  
მის ყველაფრის საქმის კურსში არიან, რაც  
ჩვენთან ხდება. მაგალითად, მეკითხებოდ-  
ნენ — დავით აღმაშენებლის ძეგ-  
ლი სად გადაიტანეთ? ალექსან-  
დრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის  
ბედიც აინტერესებდათ და ზუგ-  
დიდში დადიანების სასახლეს მი-  
ურატები რომ გვედავებინ, ისიც  
იციან. მე ხუმრობით „გაფუშნილ“,  
რომ ჩემი იქ ჩასვლის ნამდვილი  
მიზანი იყო, ისპაჰანში ალავერ-  
დი-ხანის მიერ აშენებულ ხიდზე  
სურათების გადაღება და შემ-  
დეგ, სასამართლო პროცესის  
დანყება, მემკვიდრის უფლების  
ალიარების მოთხოვნით... თვი-  
თონაც ამყენენ ხუმრობაში და  
გამიხილეს, რომ მდინარე ზე-  
ნდერუდი, რომელზეც ეს ხიდია  
აშენებული, სწორედ ფერეიდან-  
ში იღებს სათავეს. გამოდის, რომ  
მდინარეც ქართველებისა იყო და  
ხიდიც.

აუცილებლად აღნიშნის ღირსია ის  
ფაქტი, რომ თანამედროვე ირანში და  
თავისთავად ცხადია, ფერეიდანშიც ყველა  
ქალბატონი და გოგონა ჩადრით დადის.  
ერთ საღამოს, მასპინძლებს გაფუშნილ, რომ  
ჩემმა ქალიშვილმა სოფიკომ მთხოვა,  
ირანიდან მისთვის ჩადრი ჩამეტანა. ქალ-  
ბატონმა თავრემ მაშინვე გამოიტანა სხვა-  
დასხვა ზომის ახალთახალი ჩადრი და  
მთხოვა, რომ შემერჩია საჭირო ზომის,  
რომელსაც საჩუქრად გაუგზავნიდა სოფი-  
კოს. მაგრამ მე ვიუარე: ჩემი ქალიშვილი  
თბილისში ჩადრით არ ივლის, მათთვის  
კი, ეს აუცილებელი ატრიბუტია...

დაკვირვებული ვიყავი, რომ რევაზი  
გარშემო მყოფებთანაც და მობილურ  
ტელეფონზეც სულ ქართულად ლაპარა-  
კობდა. ვფიქრობდი, რომ ამას მასპინძ-



„სილნალის კედლები“

ლის პოზიციიდან გამომდინარე აკეთებდა,  
საუბრის დროს თავი უხერხულად რომ  
არ მეგრძნო. მაგრამ რევაზმა დამამშვიდა  
— საერთოდაც, სულ ქართულად ვლა-  
პარაკობთო. თან, მათი ქართული ცოტა  
განსხვავებულია, ბევრად სუფთა ქართუ-  
ლით მეტყველებენ, ვიდრე ჩვენ. საუბრების  
დროს, ისეთი შეგრძნება მეუფლებოდა,  
თითქოს დროის მანქანის ძალით, 4 საუკუ-  
ნით უკან დავბრუნდი... ჩემდა სამარცხი-  
ნოდ, საუბრისას რამდენჯერმე ისეთი სი-  
ტყვა წამომცდა, რომლის მნიშვნელობაც  
რევაზმა ვერ გაიგო და მაშინვე მკითხა —  
რას ნიშნავდა სიტყვა „დაჟე“? მე ავუსხენი,  
რომ ეს, უარგონი, რუსულიდან ნასესხები  
სიტყვა იყო და ბოდიშიც მოვიხადე.

დავითაშვილებს ოჯახში 3 დღე  
დავყავი. დადგა ჩემი ფერეიდანიდან გა-  
მომგზავრების დროც. რევაზმა მარტო არ  
გამომიშვა და ისპაჰანამდე ჩემი წაყვანა  
იკისრა. თან, მისი მშობლები იქ ცხოვრობდ-  
ნენ და უნდოდა, სანამ საქართველოში  
დავბრუნდებოდი, მათაც შეხვედროდი.

ქალბატონ რევაზთან და მათ ქალ-  
იშვილებთან დამშვიდობების შემდეგ, კვ-  
ლავ გიორგი მულიაშვილს ვესტუმრეთ.  
ბატონმა გიორგიმ თავისი წიგნი —  
„ქართველთა როლი ირანის ისტორიაში,  
კულტურაში და ცივილიზაციაში“ — მაჩუქა  
წარწერით. ერთი ეგზემპლარი კონსულის  
— ბატონი რეზასავის გადასაცემად გა-  
მომატანა და კიდევ, ცელოფანის პაკეტი —  
თავისი ძმის, აჰმად მულიანის — იგივე  
კახა მულიაშვილისთვის, რომელიც თურ-  
მე, თბილისში, მეტეხის ტაძრის მიდამოებ-  
ში ცხოვრობს; თან დასძინა — თუ მისი  
მონახვა გამიჭირდებოდა, ფერეიდანის  
ეკლესიაში დედა პარასკევასთვის მიმეკითხა  
და ის დამეხმარებოდა. ეს იმდენად მოუ-  
ლოდნელი იყო ჩემთვის, რომ ვიფიქრე —  
მარტო დროში კი არა, სივრცეშიც სასწაუ-  
ლებრივ გადაადგილებები ხდებოდა... ცოტა  
დაბნეულმა, მეც გადავეცა სამასხოვრო  
საჩუქრები: „დედაენა“, მომცრო ფორმა-  
ტის „ვეფხისტყაოსანი“ და თიხის ფიალა...

გზა ისპაჰანამდე შეუშინეველად „გავირ-  
ბინეთ“. რევაზი დროდადრო, მანქანას  
აჩერებდა და ღირსშესანიშნაობებს მათვა-  
ლიერებინებდა. ვნახეთ გზისპირა მეჩეთი  
— მენარ ჯონბანი („მომბრავი სვეტები“),  
რომელიც პირდაპირი მნიშ-  
ვნელობით შეესაბამება ამ სახ-  
ელს: საქმე ის გახლავთ, რომ  
შესასვლელში მდგარი ორი  
სვეტი ცალკე ნაგებობასაც წარ-  
მოადგენს, რომელსაც ვიწრო  
შესასვლელი აქვს; თუ შიგნიდან  
სვეტის თავზე ახვალთ, იგ-  
რძნობთ, რომ ის მართლაც  
ირხევა. ეს ეფექტი გარედან შე-  
უშინეველი რჩება — სვეტები  
საკმაოდ მყარად დგას. საინ-  
ტერესოა, რომ ერთხელ, გამოკვ-  
ლევის მიზნით, ერთ-ერთი სვეტი  
დაუშლიათ და თავიდან აუ-  
გიათ, რის შემდეგაც, მან რხევა  
შენწყვიტა. საიდუმლო საიდუმ-



ლოდ დარჩა... ერთ ადგილას, მაღლა მთაზე, ცეცხლთაყვანისმცემლობის დროინდელი სამლოცველოც ვნახეთ.

მგზავრობის დროს, მე ქართულ ლეგენდებს ვუყვებოდი: თბილისზე, ნარიყალაზე, მეტეხზე. განუუმარტე, თუ საიდან მოდის სახელები: თბილისი, ვარძია, სიღნაღი, ასანური, არაზიდო და სხვა. ბატონი რევაზი განსაკუთრებით დაინტერესდა „ხოდაშნის“ წარმოშობით, რომელსაც ჩვენს მკითხველსაც შევასხენებ; იმ სოფლიდან, რომელსაც ახლა ხოდაშენი ჰქვია, ერთ დროს, მტერს ბევრი ქართველი ტყვე წაუყვანია. რამდენიმე წლის შემდეგ, ქართველთა რაზმს ის ხალხი ტყვეობიდან დაუხსნია და ისევ სოფელში დაუბრუნებია. სოფლის ცენტრში, მოედანზე მხოლოდ ერთი ულამაზესი ქალიშვილი დარჩენილა, რომელსაც პატრონი არ გამოსჩენია. მაშინ ერთ-ერთ ვაჟკაცს, რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეუტანია ამ ხალხის გათავისუფლებაში, სოფლის უხუცესთა თანხმობით, ქალიშვილი თავის საცოლედ გამოუცხადებია. სახელდახელო ქორწილიც გამართულა. სასიძოს საცეკვაოდ, საპატარძლო გამოუწვევია, ცეკვის დროს, ვაჟის დედას ჯერ სახე შესცვლია, შემდეგ, გულგანმგმირავად უკვივლია: „ეგ ხომ დაა შენი!“ — და გულნასული



**ბატონი რეზო დავითაშვილის ოჯახი: ქალბატონი თურანი, რძალი – ქეთევან ფანიაშვილი, ვაჟიშვილები – დავითი და რევაზი**

გარი თვალებით გვიმზერდა და წარმოიდგინეთ, უფრო სუფთად ლაპარაკობდა ქართულად, ვიდრე რევაზი... ბატონმა რეზომ შემოგვთავაზა, ჯერ ისპაჰანი დაგვეთვლიერებინა, შემდეგ კი, მას ოჯახში ვწვეოდი.

ისპაჰანი მშვენიერი ქალაქი აღმოჩნდა — მწვანეში ჩაფლული, ძველი სატახტო ქალაქი. პირველ რიგში, შაჰ-აბასის სასახლე დავათვლიერეთ, საქვეყნოდ ცნობილი, ლურჯი მეჩეთით, რომლის ვეებერთელა გუმბათი სვეტებს არ ეყრდნობა, შიგნით კი, თითოეული სიტყვის ექო შვიდჯერ მეორდება. სასახლის შიდაეზო ტურისტებისთვისაა განკუთვნილი. სადაც ადრე, ქარვასლები იყო, ახლა ბაზრობებია გაშლილი...

შაჰ-აბასის სასახლის შემდეგ, ალავერდი-ხანის მიერ აგებული ხიდის სანახავად წავედით. ნანახმა

ამონარიდი ქართული საბჭოთა ენციკლოპედიიდან: „ალავერდი-ხანი, ირანის სარდალი და პოლიტიკური მოღვაწე, გამაჰმადიანებული ქართველი (საქართველოდან ტყვედ წაიყვანეს ბავშვობაში), გვარად უნდილაძე, ირანის ჯარის პირველი ყულარალასი (ყულის ჯარის — გვარდიის სარდალი), ფარსის პროვინციის ბეგლარბეგი, აბას -ის სამხედრო რეფორმების ერთ-ერთი აქტიური გამტარებელი; როგორც სარდალმა, განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ოსმალეთთან ომში (1603-12). ისპაჰანში ააშენა ხიდი მდინარე ზენდერუდზე, რომელსაც დღესაც მისი სახელი ჰქვია. ალავერდი-ხანი მოულოდნელად გარდაიცვალა აბას -ის საქართველოში ლაშქრობის წინ. არსებობს ვერსია, რომ იგი მოკლეს შაჰის მითითებით. აბას -ის ბრძანებით, ალავერდი-ხანი დიდი პატივით დაკრძალეს მემშენი. ირანში ალავერდი-ხანის შვილებიც დანიშნაურდნენ. უფროსმა — იმაყული-ხანმა მამის სიკვდილის შემდეგ, ფარსის ბეგლარ-ბეგობა მიიღო, ხოლო უმცროსმა — დაუდ-ხანმა — ყარაბაღისა“.

ხიდის დათვალიერებისა და სურათების გადაღების შემდეგ, ბატონმა რეზომ თავის ოჯახში მიმინვია. გამაცნო თავისი საოცრად სათნო და კეთილი მეუღლე — ქალბატონი თურანი, ვაჟიშვილი დავითი და რძალი, ქეთევან ფანიაშვილი. მათი სახლი ქართული სულით იყო გაჟღენთილი, თაროებზე ქართული წიგნები ეწყო, კედლები ქართულ ენაზე ამოქარგული აფორიზმებით დამშვენებული ხალიჩებით იყო დაფარული. ბატონმა რეზომ მითხრა, რომ აფორიზმები

**შაჰ-აბასის სასახლის შიდაეზო**



დავარდნილა. როდესაც დედა მოუსულიერებიათ, უთქვამს, რომ ეს ქალიშვილი, მისი დაკარგული გოგონა ყოფილა, რომლისთვისაც პატარაობისას, აკვანში წოლისას, ღორს ნეკა თითი მოუჭამია და ეს მხოლოდ „ქართულის“ ცეკვის დროს გამოჩნდა...

ისპაჰანში ჩასვლისთანავე, ჯერ რევაზის ძმის, დავითის ოფისში მივედით, სადაც დავითის მამა — ბატონი რეზო დაგვხვდა (მათი ფირმა — „სანათგარან“ — მსხვილ ფაბრიკა-ქარხნებში ელექტროგაყვანილობას ამონტაჟებს, ისპაჰანის აეროპორტშიც მათი დამონტაჟებულია). ბატონმა რეზომ უზომოდ გაიხარა ჩვენი სტუმრობით. იგი ცრემლჩამდ-




**ალავერდი-ხანის ხიდი**

ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ხიდი ორსართულიანია, განკუთვნილია ფეხით მოსიარულეთათვის. მას 33 თალი აქვს. ერთ ადგილზე ვნახეთ წარწერა METALLIKA, რაც ძალზე უსიამოვნო იყო — როგორც ჩემთვის, ასევე ჩემი მასპინძლებისთვისაც.

და ამონარიდები მისი შერჩეულია და ჯერ შაბლონზე წერს, შემდეგ კი, მისი მეუღლე დაზგაზე ქსოვს. აღსანიშნავია, რომ ირანში ჩატარებული ნებისმიერი ღონისძიება, რომელიც საქართველოსთანაა დაკავშირებული, მათ მიერ დამზადებული ექსპო-

ზიციებიტა გაფორმებული და მნახველებში დიდ მოწონებას იმსახურებს. მინდა მაგალითად მოვიყვანო რამდენიმე მათგანი: „დედა ენის დამზინებელ წყალზედ დედა გეტირება ქართველო“; „შენგონია გაჩენილხარ მარტო ჭამა სვიმისათვის“; „სუყველანი მგზავრები ვართ ამ ქვეყანაში ერთი მუჟა და სხვა ნავა“; „სახელითა ალაჰისა მოწყალისა მწყალობელისა“ და სხვა (სტილი დაცულია).



კონდრათ თავაძე

ამ ქმშარიტად პატრიოტულმა ქართულმა გარემოცვამ გამახსენა ჩემ მიერ შეკრებილი ლექსებისა და სხვადასხვა წიგნიდან გაკეთებული ამონარიდების კრებული, რომელსაც წამალივით, სულ ჯიბით დავატარებ, როცა ცუდ ხასიათზე ვარ, ვკითხულობ და სტრეეს მისხნის...

კარგა ხანს ვუკითხავდით ერთმანეთს ციტატებს ქართველ კლასიკოსთა ნაწარმოებებიდან და ალბათ, მკითხველისთვის ნათელია, თუ რა განწყობილებაზე ვიყავით ყველანი... შემდეგ, ბატონმა რეზომ სუფრასთან მიგვიწვია, სადაც კიდევ ერთი სიურპრიზი მელოდა — ეს გახლდათ მის მიერ დაყენებული ღვინო.

სადილის შემდეგ, დავითმა მაჩვენა CD-ზე ჩანწერილი, „ქართული ენის პირველი ყრილობა“, რომელიც 2005 წელს, „დედაენის“ დღეს ჩატარდა. ერთი ეგზემპლარი მეც მაჩუქა. ამ საუბრის დროს შევიტყვე ისიც, რომ დავითი და ქეთევანი სულ ერთი თვის დაქორწინებულები ყოფილან. მაჩვენეს ქორწილის მოსაწვევიც: „სახელითა გულის შეერთებლისა ღვთის წყალობით ქორწინდებიან დავითი და ქეთინო. ქთხოვთ თქვენი მობრძანებით ამ საქორწინლო ზეიმში გაგვახაროთ ჩვენ და მონაწილეობა მიიღოთ ამ ზეიმში. რეზო დავითაშვილი, ჰაიდარალი ფანიაშვილი“ (სტილი დაცულია). წარმოიდგინეთ, თუ რაოდენ გავოცდებოდი, როცა ქალბატონმა თურანამა მითხრა, რომ ეს მოსაწვევი განკუთვნილი იყო დედა პარასკევასთვის და რადგან მაშინ, ფიზიკურად ვერ მოახერხეს მისთვის გაგზავნა, მთხოვა, ახლა მაინც გადამეცა მისთვის, სამახსოვროდ.

დამშვიდობებისას, ქალბატონ თურანს ვაჩუქე ჩემი თილისმა — წმინდა გიორგის მინიატიურული ხატი, რომელსაც ყოველთვის თან დავატარებდი.

რევაზმა ავტოსადგურში შესვლამდე, კიდევ ერთი ქართველი, თავისი სიძე — კონდრათ თავაძე გამაცნო, რომელსაც ისპაჰანში საკუთარი საბურავების მაღაზია აქვს. ბატონმა რევაზმა ასტარამდე ავტობუსის ბილეთიც თავად მიყიდა და დამემშვიდობა...

ასე დამთავრდა ჩემი მოგზაურობა ფერეიდანში. თბილისში ჩამოსვლის შემდეგ, მეორე დღესვე მივედი ირანის საკონსულოში, ბატონ რეზას გადავეცი გიორგი მულიაშვილის გულთბილი მოკითხვა და წიგნი, აგრეთვე CD-ზე ჩანწერილი, დავით სონღულაშვილის „მოლაპარაკე ანბანი“, რომელსაც ადრე, თბილისში ვერ მივაკვლიე და ფერეიდანში მაჩუქა ერთმა ქართველმა — მამუკა კონიკაშვილმა, რომელსაც საკუთარი კომპიუტერული მომსახურების მაღაზია აქვს. ბატონ რეზას მოვუყევი, თუ როგორი ყურადღებით მექცეოდნენ არა მარტო ფერეიდნელი ქართველები, არამედ სხვა ირანელი მოქალაქეებიც.

საღამოს კი, ფერისცვალების ეკლესიას ვესტუმრე. სამწუხაროდ, დედა პარასკევა ვერ ვნახე, მაგრამ მითხრეს — ეკლესიის გვერდით, ირანიდან ჩამოსული ახალგაზრდები ცხოვრობენო. სახლში ერთ-ერთი მათგანი — ნიკოლოზ მამულაშვილი (ქალაქ თორის მკვიდრი) დამხვდა, რომელიც სამშობლოდან სულ ერთი კვირის ჩამოსული ყოფილა. ნიკოლოზი ქართულად ვერ ლაპარაკობდა. საბედნიეროდ, მალე შემოგვესწრო თორნიკე ფანიაშვილი, რომელიც საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის კურსის სტუდენტია და უკვე წელიწად-ნახევარია, თბილისში ცხოვრობს. საუბრის დროს, თორნიკე დაინტერესდა, თუ როგორ მოხვდა ჩემს ხელში მოსაწვევი, რომლის ტექსტიც მისი შედგენილი და დაწერილი ყოფილა? გაირკვა კიდევ, რომ დავითის მეუღლე — ქეთინო, თორნიკეს დაა, ხოლო ბატონი ზურაბ კაპანაძის ინტერვიუსთან ერთად გაზეთში დაბეჭდილი სურათი, მისი გადაღებული ყოფილა.



მამუკა კონიკაშვილის კომპიუტერულ მაღაზიაში

ბოლოს, მინდა, კიდევ ერთი ამბავი მოგიტხროთ, რომელიც არა ფერეიდანთან, არამედ „საფრანგეთის საქართველოსთან“ არის დაკავშირებული. პატარა შესავალსაც გაუყუებთ: სამუალო სკოლა სილნალის რაიონში, ქ. წნორში მაქვს დამთავრებული, ქართულ ენას მასწავლიდა ნამდვილი მასწავლებელი, მარიამ მოლაშვილი — საოცარი ენერჯისა და ენთუზიაზმის მქონე ქალბატონი. მისი დამსახურებაა, რომ ჩემი სკოლის კურსდამთავრებულები, თითქმის ყველა, გამართულად ვწერდით. შემოდებული გვექონდა საერთო რვეულები, სადაც ქალბატონი მარიამი თავიდანვე გვასწავლიდა ქართულ მართლწერას. ამის გარდა, სათავეში ედგა „ვეფხისტყაოსნის“ შემსწავლელთა წრეს. კარგად მახსოვს, დიდ დასვენებაზე სამასწავლებლოში რიგში ვიდექით, რომ „ვეფხისტყაოსნიდან“ 3-3 სტროფი ჩაგვებარებინა მისთვის... ამ წრის წევრები ყოველთვის დავდიოდით იყალთოს აკადემიაში „შოთაობაზე“. ერთხელაც, იყალთოში ყოფნისას, ქალბატონმა მარიამმა შეგვარჩია რამდენიმე მოსწავლე და გვითხრა — ცნობილი ბალერინა, ნოე ჟორდანიას შვილიშვილი, ქალბატონი ეთერ ფალავა ამჟამად აქ არის და მასთან გასაცნობად მიმეყვართო. ქალბატონი ეთერი ყელმოღერებულ თეთრ გედს ჰგავდა. მას ძალზე გაუხარდა ჩვენი გაცნობა და სამახსოვრო სურათის გადაღებაზეც დაგვთანხმდა... მას შემდეგ, 20 წელი გავიდა. ერთხელაც — 1989 წლის 31 დეკემბერს — რადიოთი მოვისმინე ბატონი ლევან ფალავას ნოსტალგიით სავსე წინასახალწლო მილოცვა ქართველი ხალხისადმი. მამწივე დაუჟავშირდი რედაქციას და ეთხოვე, ბატონი ლევანის მისამართი მოეცათ ჩემთვის. ამრიგად, დიდი ხნის დავიანებით, ქალბატონ ეთერს გაუგზავნე იყალთოში გადაღებული სურათი, რომელსაც ჩემი ოჯახის ფოტოც დაეურთე. ერთი თვის შემდეგ მივიღე ბატონი ლევან ფალავას პასუხი: „პარიზი 28 თებერვალი 1990 წელი. დიდად პატივცემულო ჩემო უცნობო თანამემამულე ბატონო გიორგი! გთხოვთ მიიღოთ ჩემი უმორჩილესი მადლობა სურათისა და წერილისათვის, ამ ჩემი ცხოვრების მინურულში ძალიან გამახარეთ ყურადღებისა და მოგონებისათვის. ამ მშვენიერ სამახსოვრო სურათმა ძალიან გაახარა ჩემი ქალიშვილი ეთერიც. გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და დოვლათს უღვევლს თქვენ საყვარელ, დიდებული ცოლშვილით. ამ გარდაქმნის ხანაშიდ შეიძლება მედიროსო ჩემი მუდამ საგონებელი ღვთიური სამშობლოს კვლავ ხილვა, რომელსაც იძულებით დავმორდი ამ 6 წლის წინათ. საუკეთესო სურვილებით ლევან ფალავა“.

სამწუხაროდ, ბატონი ლევანი ისე აღესრულა 1990 წლის მიწურულს, რომ არ ეღირსა საქართველოში ჩამოსვლა.



## ჩივი მიფრინავდა და დაასჯინა...

**რუმბრიკას უძღვება ექიმი  
თამარ მამაცაშვილი**

რამდენი ადამიანი დაიღუპება ფრინველის გრიპისაგან? შეიძლება თუ არა მისი მკურნალობა? როდის იქნება მზად ვაქცინა ამ გრიპის წინააღმდეგ? ეს კითხვები დღეს მსოფლიოს ყველა ქვეყანაშია აქტუალური.

მედიკოსები სხვადასხვაგვარ პროგნოზს აკეთებენ. ინფექციისაგან სიკვდილიანობა (სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში) საკმაოდ მაღალია — 50-60%.

გასული წლის შემოდგომაზე, ფრინველის გრიპის ეპიდემიასთან ბრძოლაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კოორდინატორმა, დევიდ ნაბარომ განაცხადა — ეს ეპიდემია 5-დან 150-მდე მილიონი ადამიანის სიცოცხლეს შეინირავსო. უფრო ტრაგიკული იყო რუსეთის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ვირუსოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის, დიმიტრი ლვოვის განცხადება. ის არ გამოორიცხავს, რომ ფრინველის გრიპის პანდემიისას, 4 მილიარდამდე ადამიანი დაიღუპება. ჩვენი ჟურნალის მკითხველს ალბათ ახსოვს საქართველოს ჯანდაცვის მინისტრის არანაკლებ ტრაგიკული პროგნოზი...

ნაკლებად პანიკურია ამერიკელთა მონაცემები. ისინი ვარაუდობენ, რომ აშშ-ში საავადმყოფოებში 1-2 მილიონამდე ადამიანი მოხვდება და მათ სტაციონარულ



რულ მკურნალობას ჩაუტარებენ. რომელიც სასურველ შედეგს გამოიღებს. ახლა, 1918 წელი ხომ არ არის, როცა „ისპანკის“ პანდემიისას, სამკურნალო საშუალებები არ არსებობდა!.. ახლა საჭიროა, დეტალურად გაანალიზდეს სიკვდილის თითოეული შემთხვევა. როცა ეს კეთდება, ჩანს, რომ მისი მიზეზი სამედიცინო დახმარების დაგვიანებით დაწყებაა. მკურნალობა რომ დროულად დაწყებულიყო, იმ ავადმყოფთა შველა შეიძლებოდა. ერთი სიტყვით — სიკვდილიანობის შემცირება შესაძლებელია და ასეთი პრეცედენტები ცნობილია სხვა ვირუსული ინ-

ფექციების მაგალითზე. აშშ-ში ძალზე საშიში სნეულებისგან — ატიპური პნევმონიისაგან არავინ დაღუპულა. ეს სწორი მკურნალობის შედეგი იყო. შეიძლება, იმედი ვიქონიოთ, რომ ქათმის გრიპის ეპიდემიის დროსაც, სიკვდილის შემთხვევა არცთუ ისე ხშირი იქნება, როგორც ამას ზოგიერთები ვარაუდობენ. ფრინველის გრიპის პროფილაქტიკა მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ჩვეულებრივი, ადამიანის გრიპის პროფილაქტიკისაგან. მთავარია, იმუნური სისტემის მომძლავრება. გრიპი, რომელი ვირუსიც არ უნდა იწვევდეს მას, მაინც გრიპია. ამიტომ, მის საწინააღმდეგოდ გამოიყენებენ ანტივირუსულ პრეპარატებს: არბიდოლს, რემანტადინს, ალგირემს, ოზელტამივირს (ტამიფლუს). დაავადების განვითარებისას კი, დაინიშნება ინტერფერონის ინდუქტორები (ციკლოფერონი და ამიქსინი). ყველაზე მთავარი კი ის გახლავთ, რომ ადამიანებს უნდა ახსოვდეთ: გრიპის პირველი ნიშნების გაჩენისთანავე, ექიმს მიმართონ. ბევრი პრეპარატი, თუ მას დაავადების პირველსავე სტადიაზე არ გამოვიყენებთ, შემდეგ უკვე უშედეგო ხდება.

რაც შეეხება ვაქცინას, ბევრ ქვეყანაში მიმდინარეობს მუშაობა მის შესაქმნელად. რუსეთში აცხადებენ, რომ უკვე თებერვლის ბოლოს დაიწყებენ მის გამოცდას და შედეგი 3 კვირაში იქნება ცნობილი. ე.ი. გაზაფხულზე ასეთი ვაქცინა შეიძლება გვექონდეს — მის წარმოებას ბევრი დრო არ სჭირდება.

### ჩივი განსხვავდება ჩვეულებრივი გრიპის ფრინველის გრიპისგან?

ნიშანი	გრიპი	ფრინველის გრიპი
საინკუბაციო პერიოდი	რამდენიმე საათიდან 1-2 დღემდე	1-7 დღე, საშუალოდ 3 დღე
დაავადების დაწყება	მწვავე	მწვავე
ძირითადი სიმპტომი	ინტოქსიკაცია (თავისა და კუნთების ტკივილი, შემცივნება, ცხელება, ტანში მტკრევა) გრძელდება 2-5 დღე	იგივე ნიშნები, პლუს სუნთქვითი უკმარისობა. გრძელდება 7-12 დღე
სხეულის ტემპერატურა	ხშირად 39 გრადუსი და მეტი, თუმცა შესაძლოა 37,2-37,5 გრადუსიც იყოს	38 გრადუსი და მეტი
სურდო	ცხვირით სუნთქვის გაძნელება, ცხვირის გაჭედვა, ლორწოვანი გამონადენი	არ აღინიშნება
ხველა	ან ძლიერი, ან მშრალი, თან ახლავს ტკივილი მკერდის ძვლის უკან, მესამე დღეს იწყება სველი ხველა	ძლიერი
ფილტვების დაზიანება	იშვიათად აღინიშნება (გართულების შემთხვევაში)	გამოხატულია დაავადების მე-2 ან მე-3 დღიდან
შინაგანი ორგანოების დაზიანება	იშვიათია	ფალარათი, პირღებინება, შესაძლებელია თირკმლების და ღვიძლის დაზიანება



# როგორ ღავნივართ თავი რევმატიზმისაგან

გულის შეძენილი მანკების ყველაზე ხშირი მიზეზი, რევმატიზმია. ეს საკმაოდ გავრცელებული დაავადება თავდაპირველად, სახსრებს აზიანებს, ხოლო შემდეგ გულზე მიდგება ჯერო.

მძიმე გართულებების თავიდან ასაცილებლად, რევმატიზმთან ბრძოლა რაც შეიძლება ადრე უნდა დაიწყოს. უკეთესი იქნება, თუ დროულად დავიწყებთ პროფილაქტიკას. რეკომენდაციები ყველასთვის კარგად ნაცნობია. გაკაჟება, ვარჯიში და ორგანიზმის მომაგრება.

**რევმატიზმის პირველი ნიშნებია** — უსიამოვნო შეგრძნებები სახსრებში (განსაკუთრებით უამინდობისას), სახსრების შეშუპება — სახსრების რევმატიზმისას, ხოლო გულის ფორმის დროს — გულის ფრიალი, ქოშინი, ტკივილი გულის არეში. ჩვეულებრივ, რევმატიზმი ანგინის განმეორებით გადატანისა და გრიპის „ფეხზე მოხდის“ შემდეგ ვითარდება. ამიტომ რევმატიზმის პროფილაქტიკა გაცივების, უფრო ზუსტად კი ნუშურა ჯირკვლების ინფექციური წარმოშობის კატარის პროფილაქტიკით უნდა დაიწყოს. ეცადეთ, თავიდან აიცილოთ ორგანიზმის გადაცივება. ერთდღე ორპირ ქარს, ფეხების გაყინვას, ცივი სასმელების სმას; მოერიდეთ ირგვლივ მყოფებს, რომლებიც აცემინებენ ან ახველებენ.

რევმატიზმის მკურნალობის ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა იმუნიტეტის გაძლიერება. იმუნიტეტს ასტიმულირებს ისეთი სამკურნალო მცენარეები, როგორებიცაა: მრავალძარღვა, ასკილი, ქრისტესისხლა, კალენდულა. ამ მცენარეებისგან ამზადებენ იმუნურ ჩაის: 1 ჩ/ჭ ამა თუ იმ მცენარის ნედლეულს ასხამენ ერთ ჩ/ჭ მდულარე წყალს, დააყოვნებენ 10 წთ და სვამენ თბილს, 1/3 ჩ/ჭ-ს 3-ჯერ დღეში



ჭამამდე.

ქრისტესისხლა შხამიან მცენარედ ითვლება, მაგრამ არაჩვეულებრივი იმუნომასტიმულირებელი თვისებები აქვს. მისგან იმუნიტეტის ასამაღლებელ ნაყენს ამზადებენ. ამ მიზნით იღებენ 1 ს/კ გამხმარ ბალახს, ასხამენ 1 ჩ/ჭ არაყს, დგამენ ბნელ ადგილას 15 დღის განმავლობაში, გადაწურავენ და იღებენ წვეთობით, 1 ჩ/ჭ ცივ წყალში გახსნილს. მიღების წესი ასეთია: პირველი დღე — 1 წვეთი, მეორე დღე — 2 წვეთი, მესამე დღე — 3 წვეთი და ა.შ.

— 10 წვეთამდე. მხედველობაში იქონიეთ, რომ ორგანიზმი უნდა მიეჩვიოს ამ პრეპარატის მიღებას. თუ მე-4, მე-7 წვეთზე თავს შეუძლოდ იგრძნობთ (როგორც გაცივების ან გრიპის დროს), ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენი იმუნური სისტემა დასუსტებულია. ნუ შეწყვეტთ ნაყენის მიღებას — 2-3 დღე მიიღეთ იმდენივე წვეთი, რამდენზეც სისუსტე იგრძენით. როცა მდგომარეობა გამოგისწორდება, ისევ განაგრძეთ წვეთების მომატება.

თუ იმუნიტეტი მნიშვნელოვნადაა დაქვეითებული, შეიძლება, ადამიანს განუვითარდეს უსიამოვნო შეგრძნებები: ძლიერი სისუსტე, თავბრუსხვევა, გაძლიერებული ოფლდენა, ტკივილის შეგრძნება გულის არეში, ტემპერატურისა და წნევის მატება. ასეთი სიმპტომების გაჩენისთანავე, პრეპარატის მიღება უნდა შეამციროთ 1-2 წვეთამდე და ასეთი რაოდე-

ნობით უნდა სვით 7 დღის განმავლობაში. თუ მდგომარეობა გაუმჯობესდება, შეგიძლიათ, კვლავ განაგრძოთ წვეთების მატება 10-წვეთამდე.

წლის ნებისმიერ დროს, ორგანიზმის მომაგრებას ხელს უწყობს სუფთა ჰაერზე ყოფნა, ფიზკულტურა, ამინდის ცვლილებებთან ორგანიზმის შეგუება. რევმატიზმის წინააღმდეგ ორგანიზმის თავდაცვისუნარიანობის ზრდას ხელს უწყობს ვიტამინებიც, განსაკუთრებით ისეთი, რომელსაც ახალშემოსული მწვანილი შეიცავს. მიიღეთ მეტი რაოდენობით: მწვანე ხახვი, ოხრახუში, ქინძი, ნიახური.

ნატუროპათები რევმატიზმის დროს გვთავაზობენ სველ გადახვევას, რომელიც ხსნის ფეხების ტკივილს. ამ პროცედურის შესასრულებლად, საჭიროა 1,5 მ სიგანისა და 3 მ სიგრძის პირსახოცი. პირსახოცის დიდ ნაწილს ბინტივით დაახვევენ, გაშლილ მდგომარეობაში მხოლოდ 80 სმ-ს ტოვებენ; ამ ნაწილს დაასველებენ თბილ ნარევეში, რომელსაც წინასწარ ამზადებენ წყლისა და ვაშლის ძმრისგან (250 გ ვაშლის ძმარს ურევენ იმავე რაოდენობის წყალში); დასველებულ ნაწილს კარგად წურავენ და შემოიხვევენ ფეხებსა და წელზე; შემოხვევა, ფეხზე მდომმა უნდა გაიკეთოთ. სველ ნაწილს ზემოდან შემოახვევენ პირსახოცის მშრალ ბოლოს; ამ სარტყელს მანამდე არ მოიხსნიან, ვიდრე არ გაშრება; ამ ნახვევით შეგიძლიათ დაძინოთ კიდეც.

გაზაფხულზე, ასეთი სარტყელი შეგიძლიათ გაიკეთოთ ფიჭვის ან არყის კვირტების ნაყენით (0,5 ჩ/ჭ ნედლეული 1 ლ წყალზე), ზაფხულში — აბზინდით (1 ჩ/ჭ ბალახი 1 ლ წყალზე), შემოდგომაზე — ყვავისკუდაით (0,5 ჩ/ჭ 1 ლ წყალზე), ზამთარში — ნაძვისა და ფიჭვის წინწებითა და სვიის გირჩებით (თითო ჭიქა ნედლეული 1 ლ წყალზე).

## ხახვის პროსედურები


ზამთრის პერიოდში, ყოველ ფეხის ნაბიჯზე თან გვდევს გაცივება, რესპირატორული დაავადებები, რომელთა დროს, ექიმის მიერ გამოწერილ წამლებთან ერთად, აუცილებლად გამოგადგებათ საუკუნეების განმავლობაში გამოცდილი, ხალხური საშუალებები. ერთ-ერთი ეფექტური ბუნებრივი წამალია ჩვეულებრივი ხახვი, რომელიც ყოველთვის მოიპოვება ყველა ოჯახში. ეცადეთ, გამოიყენოთ ხახვის ასეთი პროცედურები:

● ერთი ცალი საშუალო ზომის ხახვი გაფაქვით, გახეხეთ წვრილ სახეხზე, დაასხით ერთი ჩ/ჭ ადუღებული რძე, კარგად მოუ-

რიეთ, დააყოვნეთ 10 წთ და დალიეთ ყლუპ-ყლუპად;

● გახეხეთ ხახვი სახეხზე, დაასხით 0,5 ლ მდულარე რძე (რძე მიიყვანეთ ადუღებამდე, მაგრამ არ ადუღოთ), დადგით თბილ ადგილას; ნაყენის ნახევარი დალიეთ ძილის წინ, ხოლო მეორე ნახევარი — დილით (დალევაზე შეათბეთ);

● გრიპის დროს იყენებენ ხახვის ტამპონებს: ხეხავენ ხახვს, გახეხილ მასას მოათავსებენ 3X3 სმ ზომის დოლბანდის ნაჭერში, გადაახვევენ და გააჩერებენ ნესტოებში 15 წთ-ით, დილით, შუადღისას და საღამოს;




● ძლიერი სურდოს დროს, ცხვირის ნესტოებზე დაიფინეთ სველი ქსოვილი, მასზე დაიდეთ მცირე რაოდენობით გახეხილი ხახვი; კომპრესი გაიჩერეთ 10 წთ. სუნთქვა გაგიადვილდებათ, თავი აღარ ატკივდებათ;

● სასარგებლოა ცხვირსა და ხახაში თავფლისა და ხახვის (1:1) ნაყენის გამოვლება; შეგიძლიათ გამოიკეთოთ ასეთი ნარევიც: 1 ჩ/ჭ ანადულარე წყალში ჩაყარეთ 0,5 ჩ/კ სოდა და ჩაანწვეთ 4 წვეთი 5%-იანი იოდი; ნარევი შეისრუტეთ ცხვირით და გადმოღვარეთ პირიდან.



# ორლანდო ბლუმი ყოველშეიშველი იქნება



ორლანდო ბლუმი პოლიუდის ახალი სექსისმბოლოს წოდებას ყოველ ახალ ფილმში ამართლებს („ზეციური სამეფო“)

◆ მომავალ ვარსკვლავს ეს სახელი მამამ, მოჰიპო დისიდენტმა მწერლმა ექსცენტრიკული ვირჯინია ვულფის (მან XX საუკუნის დასაწყისის პურიტანულ ინგლისში პირველმა გაბედა და საქვეყნოდ აღიარა, რომ ლესბოსელი იყო) რომანის — „ორლანდო“ — გმირის პატივსაცემად დაარქვა. ნაწარმოებში ორლანდოს მამაკაცისგან ქალად გადაქცევა აღწერილი.

◆ 29 წლის ორლანდომ (დაიბადა 1977 წლის 13 იანვარს) უკვე მოასწრო, რომ ნეკნების, ცხვირის, ყბის, ხელის, მაჯის, ორივე ფეხის და თითების მოტეხილობები მიეღო. 1998 წელს, ორლანდო ბლუმმა მეგობრის ბინაში ფანჯრიდან შესვლა სცადა, მესამე სართულიდან ჩამოვარდა და ხერხემლის ტრავმა მიიღო. ორლანდოს სამუდამო ინვალიდობა ემუქრებოდა, მაგრამ ექიმებმა სასწაული მოახდინეს და რამდენიმე კვირის შემდეგ, ბლუმი საავადმყოფოდან საკუთარი ფეხით გამოვიდა. ორლანდოს ამის შემდგომაც არ დაუშლია თავისი — გადაღებებზე კასკადირობას ცდილობს, ცხენებს დააჭენებს, კანოეთი დაცურავს და ფარიკაობს.

◆ მაროკოში, ფილმის — „ზეციური სამეფო“ გადაღებებზე, ორლანდომ ნამდვილი მეგობარი შავი ლაბრადორი — სიდი (სიდი — არაბულად მბრძანებელს ნიშნავს) იპოვა. ორლანდომ ძალღიმიანი შეიფარა, მოუარა და ახლა მის გარეშე ერთ დღესაც ვერ ძლებს.

◆ მსახიობს საქვეყნო დიდება ფილმმა — „ბეჭდების მბრძანებელი“ მოუტანა (2003), სადაც ბლუმმა ელფი ლეგოლასი განასახიერა.

◆ თუმცა, იგი ჯერ მხოლოდ 29 წლისაა, მაგრამ მთელი მსოფლიო და პოლიუდელი ლამაზმანები უკვე მის ფეხქვეშ არიან განრთხმულნი. ორლანდომ მათგან კეიტ ბოსუორტი გამოარჩია; წყვილმა დაქორწინება გადაწყვიტა.

გასული წლის დეკემბერში შეყვარებულებს ჟურნალისტები თავზე მაშინ დაადგინენ, როდესაც ისინი საიუველირო მაღაზიაში ბეჭდებს არჩევდნენ. მას შემდეგ, ბლუმი პრესისა და თაყვანისმცემელთა შემოტყვევებს იგერიებს და ქორნილის თარიღის შესახებ დასმულ შეკითხვებს ჯიუტად თავს არიდებს.

უკვე დიდი ხანია, რაც პაპარაცები ამ წყვილზე ნადირობენ... „2003 წლიდან მოყოლებული, ერთად აღარ ვყოფილვართ. ამ ხნის მანძილზე, მუდამ დედამინის სხვადასხვა წერტილში ვიყავით გადაღებებზე“, — გაულდანყვეტით ამბობს კეიტ

ვიდრე მასზე და სწორადაც მოიქცა: ქალები ორლანდოს ბუზებივით ეხვეოდნენ და

**კეიტ ბოსუორტი, ორლანდო ბლუმი და მათი საყვარელი ძაღლები. ამ შემადგენლობით ისინი ხშირად მოგზაურობენ**




მის მკლავებში მოხვედრას ლამობდნენ. მიზანს პირველმა კრისტიანა რიჩიმ („მთვლემარე დაბლობი“) მიაღწია, მეორე სინეა მილერი იყო, რომელიც ორლანდომ მოგვიანებით მეგობარს, ჯად ლოუს გადაულოცა. ხოლო როდესაც მშვენიერმა კირა ნაიტლიმ ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, ბლუმის კოცნას სულ სხვა გემო აქვსო, ფრანგმა მსახიობმა ევა გრინმა კი პრესას შესჩივლა, რომ რეჟისორმა მისი და ორლანდოს სასიყვარულო სცენები ამოჭრა ფილმიდან („ზეციური სამეფო“), კეიტ ბოსუორტმა გადაწყვიტა, სახ-

ბოსუორტი („სექსის წესები“). ერთი წლის წინ, წყვილმა განაცხადა, რომ დაძაბული გრაფიკის გამო ერთმანეთს დამორდნენ, მაგრამ ახლა, როგორც ჩანს, ისევ შერიგდნენ. ფილმის — „ბეჭდების მბრძანებელი“ გადაღებების დროს, ორლანდო ბლუმი ახალ ზელანდიაში მართლაც თვეობით იკარგებოდა. სამაგიეროდ, მოგვიანებით, „კარიბის ზღვის მეგობრებისა“ და „შავი მარგალიტის წყევლის“ გადაღებების დროს, შეყვარებულები ბაჰამის კუნძულებზე ნებივრობდნენ. „ორლანდო თვითმფრინავის ბილეთებს მიგზავნიდა და მევედრებოდა, მასთან ჩავსულიყავი. ეს ძალზე რომანტიკული იყო! ორლანდო ჭეშმარიტი ჯენტლმენივით იქცეოდა“, — ამბობს ბოსუორტი. კეიტი დროულად შეეგუა იმ აზრს, რომ კინოს სამყაროში მის შეყვარებულზე უფრო დიდი მოთხოვნა იყო,

ელგანთქმული შეყვარებულის გრძნობები აღარ გამოეცადა. მის ამ გადაწყვეტილებას ორლანდოც სიამოვნებით შეეგება. მისთვის ხომ ბავშვობიდანვე კარგად არის ცნობილი, თუ რა სურთ ქალებს.

ინგლისის ქალაქ კენტერბერში დაბადებული ორლანდო ბლუმი, დედამ და უფროსმა დამ აღზარდეს (ორლანდო 4 წლის იყო, როდესაც მამა გარდაეცვალა). ჯერ კიდევ ბავშვი იყო, როდესაც ერთი უმნიშვნელოვანესი აღმოჩენა გააკეთა: მიხვდა, რომ მისი უსაყვარლესი გმირი — სუპერმენი, სრულიად ჩვეულებრივი ადამიანი — მსახიობი კრისტოფერ რივი იყო... და მას მიზანი გაუჩნდა. 16 წლის ორლანდო ლონდონში გადავიდა საცხოვრებლად, რამდენიმე წელი თეატრალურ სტუდიაში სტანისლავსკის სისტემას ეუფლებოდა და მალე ტელეკარიბებში



მსახიობს საქვეყნო დიდება ფილმმა — „ბეჭდების მბრძანებელი“ მოუტანა (2003), სადაც ბლუმმა ელფი ლეგოლასი განასახიერა



პირველი როლებიც გამოჩნდა. სერიალში — „წმინდა ინგლისური მკვლელობები“, ორლანდო პიტერ ჯექსონმა შეამჩნია და ფილმში — „ბეჭდების მბრძანებელი“ მიიწვია. არამინიერი სილამაზის მსახიობმა ელფების პრინცი ლეგოლასი დამაჯერებლად განასახიერა. მისთვის ეს პოპულარული ბლოკბასტერი შესანიშნავ ტრამპლინად იქცა. „ოდესღაც, ჭაბუკობაში“ ტოლკიენის წაკითხვას ვცდილობდი, მაგრამ შემდეგ, სპორტმა და გოგონებმა გამიტაცეს“, — ამბობს ორლანდო. — მანამ წიგნის ბოლომდე წაკითხვა მხოლოდ 22 წლის ასაკში შეძლო, მაშინ, როდესაც



„კარიბის ზღვის მეკობრეები“ (ჯონი დეპთან ერთად)




„ტროა“

უკვე სუპერვარსკვლავი იყო და უამრავი ქალი გულწრფელად აღიარებდა, რომ მისი ერთადერთი კოცნის საფასურად, ყველაფერს გაიღებდა. საინტერესოა, როგორ ხდებიან ორლანდოს მსგავსი მიზანდასახული ბიჭები სექსსიმბოლოები? 8 წლის ბლუმში სკოლაში გოგონებს ქვედაბოლოებს

უწევდა (რისთვისაც არაერთხელ დასჯილა კიდევ); 12 წლისამ, გოგონას პირველად აკოცა და როგორც თავად ამტკიცებს, უმანკოება 14 წლის ასაკში დაკარგა. უცნაურია, მაგრამ ორლანდოს ქალებით გატაცება პრესამ ეჭვქვეშ მრავალჯერ დააყენა: „ის ძალზე ლამაზია. კაბა რომ ჩააცვავთ, ქალისგან ვერაფრით გაარჩევთ“, — ირწმუნებიან ზოგიერთები და მართლაც, ძნელია, მათთან შეკამათება. საკუთარი იმიჯის შელახვას ხომ თავად ორლანდომაც შეუწყო ხელი. მსახიობი „ფასიანი ბიჭის“ როლში ეკრანებზე პირველად ჰომოსექსუალისტი მწერლის, ოსკარ უაილდის ცხოვრებისადმი მიძღვნილ სურათში — „უაილდი“ გამოჩნდა და ცისფერი სამყაროც საკუთარ რიგებში ახალგაზრდა მსახიობის მისაღებად სიხარულით გაემზადა. ორლანდო სპეცჟურნალების მიერ

გამოქვეყნებულ სასურველ მამაკაცთა რეიტინგებში, რეგულარულად ლიდრობდა. ორლანდომ პრესაში თავის მართლება დაიწყო: „კინოში მხოლოდ ქალების გამო ვთამაშობ. ოლონდაც კადრში ვინმეს ვკოცნიდე და გასამრჯელო სულაც არ მინდა“. ამბობდა ბლუმში, მაგრამ ფულის შესახებ ამკარად ტყუოდა. ამ ცოტა ხნის წინ, მან ინგლისში მშენიერი სახლი იყიდა და ახლა უკვე ლოს-ანჯელესშიც აპირებს უძრავი ქონების შექენას, მაგრამ როგორც ჭეშმარიტი ბუდისტი, ფულიდან კულტს არ ქმნის. ორლანდო არ მალავს, რომ ბევრ ფულს შოულობს, მაგრამ გულდან-ყვეტილი ამბობს: „ფულის დასახარჯავად დრო არ მაქვს! გჯერათ?“ — ნამდვილად გჯერათ. ■



მშვენიერი ორლანდო ბლუმით ლიგ გაიღვივებ... აღფრთოვანებულია...



კირა ნაიგლიმ (ორლანდოს პარტნიორი ფილმში „კარიბის ზღვის მეკობრეები“) ორლანდოს კოცნის ხელოვნებას მაღალი შეფასება მისცა

## ბრიტნი სპინსი ისეუ თბსულადაა?


პოპსცენის ყოფილმა პრინცესამ, ბრიტნი სპინსმა 6 თვის წინ, პირველი ბავშვი გააჩინა და როგორც ჩანს, შეჩერებას აღარ აპირებს. ბედნიერმა დედამ განაცხადა, რომ ისეუ ორსულადაა და მეორე ბავშვს ელოდება. ეს სენსაციური განცხადება ბრიტნიმ მალიბუშ სავაჭრო ცენტრში გააკეთა. მომღერალი ავეჯის მაღაზიის ასორტიმენტს ათვალერებდა, უსაქმურთა ბრბო კი მისი ცქერით ტვებოდა. ბოლოს, ხალხის ყურადღებით თავგაბებრებულმა ბრიტნიმ მუცელზე ხელი მიიღო და ბრბოს გამოეწვევად მიმართა: „დაიხაც, სწორედ ასეა, ნომერი ორი!“ პოპვარსკვლავის ორსულობა



ბა ოჯახის ერთ-ერთმა ახლობელმაც დაადასტურა, რომელმაც ჟურნალ In Touch-ს განუცხადა: „ბრიტნი ნამდვილად ორსულად არის! ის ზუსტად ისევე იქცევა, როგორც მაშინ, როდესაც პირველ ბავშვს ელოდა“. მკითხველს შეეხსენებთ, რომ ბრიტნი სპინსს პირველი შვილი გასული წლის სექტემბერში შეეძინა. ბავშვი საკეისრო კვეთით გაჩნდა, რადგან მომღერალს ტკივილების ძალზე ეშინოდა. თავდაპირველად, მშობლებს სურდათ, ჩვილისთვის სახელად ლონდონი ან ვეგასი დაერქმიათ, მაგრამ ახალშობილის საბედნიეროდ, გადაიფიქრეს და საბოლოოდ, პირმშოს ნაკლებად ექსტრავაგანტური სახელი — შონ პრესტონი დაარქვეს. ბრიტნი ამბობს, რომ დედობა უდიდეს ბედნიერებას ანიჭებს და ეს ამჟღავნებს უწინდელზე მეტად მოსწონს. მართლაც, მომღერალი ძველი ფორმის აღდგენას და სცენაზე დაბრუნებას სრულებითაც არ ჩქარობს. უნდა ითქვას, რომ ორსულობამ მის სხეულზე სავალალო კვალი დატოვა. თინეიჯერთა კერპი, მომზიბვლელი სხეულის მქონე ქერთიანი ანგლოზი, ფაშფაშა, ფეთხუმ ქალს დაემსგავსა, რომელსაც საკუთარი გარეგნობა ფეხებზე ჰკიდია. გააფთრებული ბრიტნი ოჯახის დედად იქცა, რომლის უმთავრესი საზრუნავი ქმარ-შვილია. ბრიტნის გარდასახვა ალბათ იმითაც აიხსნება, რომ ის მეორე ბავშვს ელოდება. ექსტრასენსმა ხომ ჯერ კიდევ შემოდგომაზე უწინასწარმეტყველა, რომ სულ მალე მეორე შვილიც გაუჩნდებოდა. ■



# ღვიძ კბთენშეტი ჰბლიუდს დასცინის



საკულტო რეჟისორმა დევიდ კრონენბერგმა განაცხადა, რომ ახალ პროექტზე მუშაობას იწყებს. სურათის — „ვარსკვლავებისაკენ მიმავალი გზა“ — სცენარი ბრიუს ვაგნერს ეკუთვნის. ამჯერად, რეჟისორის კინოკამერის სამიზნე, ჰოლივუდელი მსახიობები, მათი აგენტები და მენეჯერები აღმოჩნდნენ... მაგრამ სურათში, „მოთამაშის“ მსგავსი მძაფრი სატირა როდი იქნება გამოყენებული. თუ რე-

ჟისორის ბუნდოვანი მინიშნებების მიხედვით ვიმსჯელებთ, ახალი ფილმი უანრობრივად შავი კომედიის რიგებს უფრო მიეკუთვნება. კრონენბერგის ახალი პროექტის პროდიუსერი რობერტ ლანტოსია, რომელთან ერთად რეჟისორმა უკვე ორი სურათი — „ავტოკატასტროფა“ და „ეგზისტენცია“ შექმნა.

# ბპტა უინტბი — აშშ-ის საუკეთესო ფელქამყვანი


კომპანია Harris Poll-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით, მაყურებელმა ამერიკის საუკეთესო ტელენამყვანად ცნობილი ამერიკელი ტელენამყვანი ოპრა უინფრი დაასახელა. „ტოქშოუს დედოფალმა“ ბოლო მწლის მანძილზე ეს საპატიო წოდება ხუთჯერ მოიპოვა. მეორე ადგილი წილად ხვდა კომედიური შოუს ნამყვანს — ჯონ სტიუარდს, მესამე პოზიცია კი, „სალამოს შოუს“ ნამყვანმა, ჯეი ლენომ და დევიდ ლეტერმანმა გაიყვეს.



ოპრა უინფრი ძირითადად, საშუალო ასაკის ქალბატონებშია პოპულარული, დევიდ ლეტერმანი მამაკაცთა სიმპათიებით სარგებლობს. 18-25 წლის ასაკის ტელემყურებელი კი, ახალგაზრდული გადაცემების ნამყვანს, კონან ო ბრაიენს ანიჭებს უპირატესობას. თავ-თავიანთი რჩეულები პოლიტიკური პარტიების მხარდამჭერთაც ჰყავთ. ასე მაგალითად, კონსერვატიულად განწყობილი ტელემყურებელი ბილ ო რეილის უჭერს მხარს, ლიბერალთა საყვარელი ტელენამყვანი კი, ჯონ სტიუარდი აღმოჩნდა.

# ვინ დიგული — მამილბნული ჩვილი

ფილმის — „მეხუთე ელემენტი“, გადაღების შემდეგ, საფრანგეთი და ამერიკა კიდევ ერთხელ გაერთიანდებიან, რათა მაყურებელს მაღალბიუჯეტოანი ფანტასტიკური ტრილერი — „ჩვენი წელთაღ-



რიცხვის ბაბილონი“ (Babylon A.D.) უჩვენონ, რომელსაც ფრანგი რეჟისორი მათიე კასოვიცი („მენამული მდინარეები“, „გოტიკა“) საკუთარი სცენარის მიხედვით გადაიღებს.

კინოსტუდია 20th Century Fox და Canal Plus ფილმის შესაქმნელად მორის დანტეის წიგნმა — „ბაბილონი ჩვილები“ შთააგონა, სადაც ახლო მომავლის გენეტიკური დანაშაულებანია აღწერილი, რომელშიც დაქირავებული საერთაშორისო აგენტია ჩარეული. თავდაპირველი ჩანაფიქრის მიხედვით, მთავარი როლი ვენსან კასელს უნდა ეთამაშა, მაგრამ შემდგომ, კასელი ვინ დიზელმა შეცვალა. ფილმის გადაღება კანადასა და ალმოსავლეთ ევროპაში ივნისში დაიწყება.

# ალსუს ძბბწილში საპაფიბ სფუბბეპად მუბაია ძები და სელინ დიბნი ჩავლინ



ალსუსა და იან აბრამოვის ქორწილი მარტის შუა რიცხვებშია დაინშული. ცერემონიისათვის მზადება უკიდურესად გასაიდუმლოებულ ატმოსფეროში მიმდინარეობს, მაგრამ ურნალისტებმა ზოგიერთი დეტალის გაგება მაინც მოახერხეს. როგორც გაირკვა, ალსუ საზეიმო ცერემონიის ზოგიერთი მნიშვნელოვანი მომენტის გადანყვეტაზე დიდხანს ჭოჭმანობდა, მაგრამ საბოლოოდ, ყვე-

ლაფერი მოგვარდა. საქორწინო კაბა ალსუმ რძლის (ალსუს ძმის — იული საფინის მეუღლის) ატელიეში შეუკვეთა. კაბა კლასიკური მოდელის იქნება, ფერი კი — არა! პატარძალმა ტრადიციულ თეთრ ფერს კრემისფერი ამჯობინა. უცნობია, დაამშვენებს თუ არა დედოფალს ფატა, ეს მნიშვნელოვანი დეტალი გადანყვეტილი ჯერაც არ არის. რაც შეეხება საქორწინო ბეჭდებს — ბეჭდების დამზადება თითქოს ალსუს საყვარელ ოქრომჭედელს — ვებსტერს დაევალა, რომელმაც თავის დროზე მადონასა და გაი რიჩის ბეჭდებიც დაამზადა, მაგრამ საიუველირო სახლის წარმომადგენელი ამ ინფორმაციას არ ადასტურებს. ჯერჯერობით, ალსუს არც ის გადაუწყვეტია, შეიცვლის თუ არა ქალიშვილობის გვარს. უამრავი მოწვეული სტუმრის გამო, ქორწილი ორ დღეს გაგრძელდება. ყოველი დღის პროგრამა და მენიუ განსხვავებული იქნება, მაგრამ სავარაუდოდ, უპი-

რატესობა ევროპულ და ეროვნულ სამზარეულოს მიენიჭება. ქორწილის პირველი დღე — 18 მარტი — ცნობისმოყვარე პუბლიკას განსაკუთრებულ სიურპრიზებს ჰპირდება, რადგან ცერემონიაზე მრავალი სახელგანთქმული ადამიანია მიწვეული, რომელთა ვინაობაც უკიდურესად გასაიდუმლოებულია. მაგრამ ჭორად ამბობენ, რომ პროგრამის მთავარი მოვლენა რომელიც ვარსკვლავის სტუმრობა იქნება და ამ სტუმარს სასიძო ალსუს საჩუქრად უმზადებს. კანდიდატურებს პრესა აქტიურად განიხილავს. როგორც ჩანს, ეს პატივი ალსუს უსაყვარლეს მომღერლებს მერაია ჭერისა და სელინ დიონს ერგებათ. ყვითელი პრესა ირწმუნება, რომ მამავალ მეუღლეთაგან ერთ-ერთს სარწმუნოების შეცვლა მოუწევს, რადგან პატარძალი მაჰმადიანია, სასიძო კი იუდეველი, მაგრამ ღვთისმსახურობი აცხადებენ, რომ აღმსარებლობა ბედნიერი ოჯახის შექმნას ხელს არ შეუშლის.

რუსულან ბერიძე

(დასაწყისი ის. გზა №42-6)

ახალგაზრდა ექიმი ლანა მესხი კოლეგის, გიზო ვაშაკიძის მეგობროს, გივი გიგაურის ფარმაცევტულ ფირმაში მუშაობს. გივის სურს, ლანას ბებიის, რაჭაში ცნობილი სახალხო მკურნალის რეცეპტებით დამზადებული წამლები გამოუშვას. ლანა სოფელში ბებიის სანახავად მიდის... მანამდე, მის ცხოვრებაში ახალგაზრდა ბიზნესმენი ლევან ქართველიშვილი გამოჩნდება, რომელიც მალე გერმანიაში სტაჟირებაზე მიდის. ლევანი ქვრივია და 6 წლის ქალიშვილი ჰყავს... სოფელში ლანას მოულოდნელად, გიზო მიადგება კარზე, მაგრამ ვერც ლანას და ვერც ბებია-მისს გივის წინადადებაზე ვერ დაითანხმებს...

ლანასა და გივის მდივანს, თინკოს ეჭვი აქვთ, რომ გიგაური ნარკოტიკებით ვაჭრობას მისდევს და ფიქრობენ, რომ ის მალე მახეში გაეგებება, მაგრამ მოვლენები სულ სხვაგვარად განვითარდება: გიგაურის კვალში ჩამდგარი პოლიციელები ნარკოტიკებს რატიმლაც, მის კაბინეტში შემთხვევით დარჩენილ ლანას პოჯაკში იპოვიან... საკანში ლანას, სხვადასხვა დანაშაულში ეჭვმიტანილი სამი ქალი ხვდება. ერთ-ერთ მათგანს — ლიზის, ლანა უმაღლეს დაუახლოვდება. ლევანის ფირმის ადვოკატის, ირაკლი იაშვილისა და თინკოს საქმროს, ლაშა ინკორველის მონადინებისა და ლევანის მიერ გირაოს გადახდის შემდეგ, ლანას მალევე გამოუშვებენ. თუმცა, პატიმრობაში გატარებული რამდენიმე დღე, განსაკუთრებით, ლიზის მიერ ჩადენილი თვითმკვლელობა, მის სულს იმდენად მძიმე დაღს დაასვა, რომ ყველაზე ახლო და ერთგულ ადამიანებთან ურთიერთობაც კი აღარ სურს. თამარი შვილს ცოტა ხნით რაჭაში, ბებიასთან წასვლას ურჩევს... მანამდე, ლანა ლიზის მეზობელ მარი მეტრეველს მოძებნის და მის წერილებს გადასცემს. უკან წამოსული, აცრემლებული ლანა ლიფტთან შემთხვევით გადაეყრება ლევანს, რომელიც თურმე, იმავე კორპუსში ცხოვრობს. კაცი ლანას თავისთან ასვლას შესთავაზებს. ყოყმანის შემდეგ, ლანა დათანხმდება და ქალ-ვაჟი პირველ სასიყვარულო ღამეს გაატარებს...

დილით ლანა ოთახში შემოჭრილმა მზის სხივმა გამოაღვიძა, რომელიც პირდაპირ მის



სასთუმალს ეცემოდა და თვალბეჭეში ეშმაკურად უჭყიტინებდა. ლანამ უამისოდაც საკმაოდ დამძიმებული ქუთუთოები ძლივს ასწია და სხივს თვალბეჭეში გაუსწორა. თუმცა, ეტყობა, მზე მალევე მიეფარა ღრუბელს და მისი სხივიც ოთახიდან უკვალოდ გაქრა. ლანამ კი, ჯერ საძინებლის ფანჯარაზე ჩამოკიდებული ლამაზი ფარდა შეათვალღერა, შემდეგ, მზერა ოთახსაც მოაქცია.

უეცრად, სანოლი შეირხა. ლანამ მამინევი გვერდზე მიიხედა და დაინახა მანამდე ზურგით მწოლი ლევანი ნელ-ნელა როგორ გადმოზოზუნდა, ლანას ხელი თვალდახუჭულმა მოძებნა, ჯერ ნახად აკოცა, შემდეგ ლოყაზე მიიხუტა და ძილი ბავშვით უდარდელად განაგრძო. ლანა მძინარე მამაკაცს კარგა ხანს ინტერესით აკვირდებოდა, შემდეგ მისგან ხელი ფრთხილად გაითავისუფლა და სანოლზე უხმაუროდ წამოვიდა. უეცრად, სანოლის გვერდით ტუმბოზე გამჭვირვალე ჩარჩოში ჩასმული, ქალის სურათი შეჩინა. „ეს, ალბათ, ლევანის ცოლია“, — გაიფიქრა მან და ტუმბოდან სურათი აიღო. ფოტოდან საკმაოდ სიმპათიურმა ახალგაზრდა ქალმა შემოსცინა. „ლამაზი ცოლი ჰყოლია“, — დაასკვნა ლანამ და ის იყო, სურათი ისევე თავის ადგილზე უნდა დაეზოზუნებინა, რომ ლევანის ნამძინარევი ხმავე გაისმა:

— ეგ ფოტო განსაკუთრებით მიყვარს... პირველად, ნანა სწორედ მაგ კაბაში ვნახე...

— ლამაზი ცოლი გყოლია, — ტუმბოზე დადგმის მაგივრად, სურათი რატიმლაც ლევანს გაუწოდა ლანამ.

— მე ახლაც ლამაზი ცოლი მყავს... — სურათი მშვიდად გამოართვა და თავის მხარეს, მეორე ტუმბოზე დადგა ლევანმა.

— მართლა? — ქვემო-ქვემო გამოხედა მას ლანამ. — თუ საიდუმლო არ არის, როდის მოიყვანე?

— ნუხე. თუმცა, ისეთი განცდა მაქვს, თითქოს მთელი ცხოვრება, გვერდით მყავდა და მაინც მენატრებოდა... — ქალს ნდომით სახე თვალბეჭეში ააყოლა-ჩააყოლა ლევანმა.

— შენს ცოლს რა ერქვა? — არაფერი შეიძინა ლანამ.

— ნანა, — უხალისოდ დაუბახუხა ლევანმა.

— ძალიან გიყვარდა?

— მოდი, რა, მოვეშვით ამაზე ლაპარაკს... — ლანასკენ მიინია და თავი მის მხარ-

ქვეშ შემალა ლევანმა.

— რატომ უნდა მოვეშვით? — გაჯიუტდა ქალი.

— იმიტომ, რომ ნანა უკვე ჩემი წარსულია, თანაც — ძალიან ტრაგიკული, რომლის გახსენება ახლა ნამდვილად არ მინდა.

— ისე, შენც მართალი ხარ... — მოულოდნელად დაეთანხმა ლანა. — როგორც ასეთ დროს იტყვიან ხოლმე, წარსულმა იკითხოს წარსულისა... თანაც, აბა, მე ვინ ვარ, სულში რომ გიდვრები?! — ხმა გაუბზარა მას შემდეგ.

— ვინ ხარ და — ჩემი ანწყო და მომავალი, უკვე ჩემი ყველაფერი ხარ, შე სულელო! — ქალი გულში გამეტებით ჩაიკრა ლევანმა.

— გამიშვი! — ერთი მაინც გაიბრძოლა ასლუკუნებულმა ლანამ...

— კიდევ მიბრაზდები? — თმაზე ხელი ნახად გადაუსვა მის მხარეზე მორცხვად შეყუჟულ ლანას, ვნებანიმცხრალმა და აშკარად კმაყოფილმა ლევანმა.

— ნელანდელზე უფრო მეტადაც... — თავისი მაინც არ დაიშალა ლანამ.

— კარგი... — ქალის ნატიფი ხელი ტუჩებთან მიიტანა და ნახად ეამბორა ლევანი. — მგონი, შექსპირს აქვს, ხომ, ნათქვამი: როცა სისხლი ღელავს, ენა ფიცით არ იღლებათ?..

— შექსპირი რა შუაშია?! — ვერ მიუხვდა ლანა.

— იმ შუაშია, ჩემო საყვარელო, რომ პირადად მე, ამ წუთში სისხლი საკმოდ მაქვს ჩანყნარებული და ტყუილი ფიც-მტკიცეც არაფერში მჭირდება. ამიტომ, ჩათვალე, რომ ძალიან გაგიმართლა, რადგან ჩემგან სრულ სიმატრულეს, პრაქტიკულად აღსარებას მოისმენ.

— მაშინ, გულისყურით გისმენ...

— ესე იგი, ძალიან გაინტერესებს, ნანა მიყვარდა თუ არა, ხომ?

— ძალიან კი არ მაინტერესებს — მაინტერესებს, ძალიან თუ გიყვარდა-მეთქი... — შეუსწორა ლანამ.

— ჰოდა, მეც გაბახუხობ: ალბათ, არა...

— რა თქვი? — სასწრაფოდ თავი წამოყო გაოცებულმა ლანამ. — მამ, რატომღა შეირთე და შვილიც გაჩენინე?

— მგონი, მთლად სწორად ვერ გამიგე... როგორც ცოლი და ჩემი შვილის დედა, რა თქმა უნდა, მიყვარდა და უდიდეს პატივსაც ვცემდი, მაგრამ როგორც ქალი...

— აღარ გააგრძელო! — განიწმამდა ლანა. — შენც ისეთი ყოფილხარ, როგორც ყველა... ქართველი კაცი ხომ ცოლს ქალად არ თვლის... ამიტომ, ის სახლში ჰყავს გამოკეტილი, ქალს და გართობას კი, გარეთ ექვს და ამით თავს უსინდისოდაც ინონებს...

— მართალი ხარ... — მშვიდად დაეთანხმა ლევანი. — თავმონონებისა რა გითხრა, მაგრამ ჩვენში მართლაც ბევრი კაცი ფიქრობს ასე...

— და მათ შორის შენც, ხომ?! — ვერ მოითმინა ლანამ.

— თუ დამაცლი, გეტყვი, რასაც ვფიქრობ... — ლანა გულზე თითქმის ძალით მიიხუტა ლევანმა და პატარა ბავშვით, თავზე ხელის გადასმით დაუწყო დამშვიდება —



სიყვარულში ხომ ყოველთვის ორი ადამიანი მონაწილეობს... — შორიდან დინყო მან შემდეგ.

— სიყვარულს გააჩნია...

— ამ ორი ადამიანიდან, — ლანას სიტყვებისთვის ყურადღება აღარ მიუქცევია, ისე განაგრძო ლევანმა, — როგორც წესი, ერთს მართლა უყვარს, მეორე კი, ნებას აძლევს რომ უყვარდეს...

— ჩვენს შემთხვევაში, რა თქმა უნდა, შენ მძღვე ნებას, რომ მიყვარდე, ხომ?.. — ბოლმინად ჰკითხა ლანამ.

— არა... — თმაზე ნაზად აკოცა მას ლევანმა. — ჩვენი შემთხვევა ჯერჯერობით, საერთო წესიდან ამოვარდნილია.

— რატომ ჯერჯერობით?

— იმიტომ, რომ ჩვენ ჯერ მაინც ერთმანეთს ვზვერავთ, ერთმანეთის გრძნობას ვცდით, გვანტერესებს, რომელს უფრო მეტად შეგვიყვარდება...

— ჰმ... — ჩაფიქრდა ლანა. — პრინციპში, საინტერესო თეორიაა...

— ჯერ სადა ხარ?! — ეშმაკურად გაელიმა ლევანს და ქალს წელზე ხელები ვნებინად შემოხვია. — ჩვენს ცხოვრებაში საერთოდ, ახლა ინყება ყველაფერი საინტერესო...

უეცრად, კარზე ხარი დაირეკა, რაზეც ლანა ისე შეხტა, რომ გული კინაღამ საგულდიდან ამოუვარდა.

— ასე რამ შეგაშინა? — აკანკალებული ქალი გულში ჩაიკრა ლევანმა. — ხარი იყო, მენი ხომ არა!

ხარი ისევ განმეორდა, მაგრამ ლევანს ლანას აღერსი არც ამჯერად შეუწყვეტია.

— არ გახედავ? — ჰკითხა ლანამ.

— რა თქმა უნდა, არა, — თავისას განაგრძობდა ლევანი.

— იქნებ, ვინ არის?

— მამაზეციერიც რომ იყოს, ახლა იმისთვისაც ვერ მოვიცილი...

— მე ასე არ შემძლია... — საკოცნელად დახრილ ლევანს ტუჩებზე ორივე ხელი ააფარა ლანამ.

— კარგი, — ლოგინზე უხალისოდ ნამოჯდა ლევანი. — თუ კიდევ დარეკა, გაჭედავ.

ხარი მალევე განმეორდა.

— თუ თემურაა, დინგს გავუნგრევ! — ლოგინიდან ისკუბა ლევანმა და იქვე, სკამზე მიგდებულ პირსახოცის ხალათში ხელი ცოფიანივით გაუყარა.

— თემურა ვინ არის? — ლოგინში ბოლომდე ჩაძვრა ლანა.

— მეზობელია... — ჩაიბურტყუნა ლევანმა. — დილაობით დაბლა ჩასვლა ეზარება და სიგარეტს მე მთხოვს ხოლმე...

ლევანი საძინებელში მალევე შემობრუნდა.

— ის იყო? — ჰკითხა ლანამ.

— ვინ? — უცბად ვეღარ მიუხვდა ლევანი.

— სიგარეტს რომ გთხოვს ხოლმე, ის მეზობელი...

— აა... არა, ილია იყო, მეორე მეზობელი...

— ილიასაც სიგარეტი უნდოდა? — ლანა თავად ვერ ხვდებოდა, მსგავსი წერილობები რაში აინტერესებდა.

— არა, — ამოიოხრა ლევანმა. — ორი ლარი მთხოვა, ოჯახში პურის ფულიც გამოგვლიაო...

— საწყალი, — შეებრალა მეზობელი ლანას. — ალბათ, უმუშევარია, ხომ?

— ჰო... თანაც, ინვალიდია... აფნაზეთის ომში ხელუშვებარა აუფეთქდა და ორივე მტევანი ძირში წააცალა.

— მერე ამისთანა უბედურ კაცს მხოლოდ ორი ლარი მიეცი? — შენუხდა ლანა.

— ორი კი არა, ოცი ლარი მივეცი, — თავი ნერვიულად გადააქნია ლევანმა, — მაგრამ ეს მაგის უბედურებას მაინც ვერ უშველის.

— მართალი ხარ... — ამოიოხრა ლანამ. — ხანდახან რომ წარმოვიდგენ, რამდენი გაუბედურებული და სასონარკვეთილი ადამიანი დადის ამქვეყნად, საკუთარი თავის მრცხვენი: მათ უბედურებასთან ჩემი სადარდებელი რა მოსაბანია-მეთქი!...

— სწორადაც იქცევი! — შეაგულიანა ლევანმა. — შენთან დარდს რაღა უნდა, ამისთანა კაცი ჩაიგდე ხელში!

— რა-ა?.. — გოცებისგან თვალები გაუფართოვდა ლანას. — შენ ამას სერიოზულად ამბობ?

— იცი, ახლა ვის ჰგავხარ?.. — სიცილი ვეღარ შეიკავა ლევანმა.

— ვის? — ნერწყვი ძლივს გადაყლაბა ლანამ.

— ჩემს თამუნას... ისიც ხომ რაჭველია და ხანდახან, ხუმრობას რომ უცბად ვერ იგებს, ატირებს შენსავით აღარაფერი უკლია ხოლმე...

— იქნებ, შენ ესუმრები უკბილოდ და გაუგებრად და იმიტომაც ვერ გიგებს? — ხმაში აშკარა წყენა დაეტყო ლანას.

— არ გამოვირცხავ. — უცბად დასერიოზულდა ლევანი, თან, სანოლზე ჩამოჯდა: — მოდი ახლა, იცი, რა ვქნათ?..

— რა? — უნდოდ ჰკითხა ლანამ და ინსტინქტურად, საბანი ნიკაპამდე აინია.

— ნუ გეშინია, „ის“, არ მიგულისხმია... — გაელიმა ლევანს.

— არც მე მიგულისხმია ის, შენ რომ გგონია... — ყურებამდე განითვდა ლანა.

— კარგი! — საბანი გვერდებშიც გულმოდგინედ ამოუკეცა მას ლევანმა. — მაშინ, შენ ცოტა ხანს ლოგინში მარტომ ინებივრე, მე კი საუზმეს მოვახაზირებ, თორემ, უნდა ვალიარო, რომ, მიუხედავად ყველაფრისა, კუჭი მაინც ნულს მიჩვენებს...

— მე კი საჭმლის გახსენებაზეც კი გული მერევა... — თავისთვის ჩაილაპარაკა ლანამ.

— ჰო-ო... — თვალები ეშმაკურად მოწკურა ლევანმა. — ეგ კი ვეღარ მოგტვინე.

— რა? — მამაკაცის ანკესს ისევ გულუბრყვილოდ ნამოეგო ლანა.



— რა და ჯერ ხომ ერთი დღეც არ გასულა, რაც ქალი გახდი და ვინ იცის, შენს ორგანიზმში რომელი ორგანო „რა ჭკუაზე“ დადგა...

— ლევან! — იკვილა უცბად ლანამ.

— ცოტა ჩუმად, გოგო, მეზობლები არ შემიყარო! რა ვიცი, რას იფიქრებენ?! — ანგლობას განაგრძობდა ლევანი.

— გაჩუმდი, თორემ, არ ვიცი, რას გიზამ! — ხმას კიდევ უფრო აუნია ლანამ.

— კარგი, კარგი, — ორივე ხელი ასნია ლევანმა, — გნებდები!.. მოდი, ახლა, მე სამზარეულოში გავეთრევი, შენ კი, თუ გინდა, სააბაზანოში განძანდი და ერთი „გემრიელი“ შხაპი მიიღე!

— მოვიფიქრებ, — მოკლედ მოუჭრა მას გაგულისებულმა ლანამ.

ოთახიდან გააშრნული ლევანი ცოტა ხანში, ისევ შემობრუნდა. მას უკვე ჯინსი და მისიური ეცვა, ხალათი კი ხელში ეჭირა:

— აი, შენ — ხალათი. სუფთა პირსახოცები კი, კარადაშია... მიაგნებ თუ?..

— მივაგნებ, — სიტყვის დასრულება აღარ აცალა ლანამ.

როგორც კი ლევანი ოთახიდან გავიდა, ლანა ხალათს დასწვდა, ლოგინშივე შემოიკცა და სახელოებიც გულმოდგინედ გადაიკეცა. სანოლიდან გადმოსვლისას, წამით თავბრუ დაეხვა:

— ეს რაღა უბედურებაა?! — ისევ სანოლზე ჩამოჯდა ლანა და ირგვლივ შიშით მიიხედ-მოიხედა.

ლანას თავბრუსხვევამ მალევე გაუარა, მაგრამ ამჯერად, ფეხზე მაინც წელ-წელა წამოდგა და კარადის ერთ-ერთი კარი გამოალო. იქ, მხოლოდ ლევანის ტანსაცმელი ეკიდა, კარს კი შიგნიდან, მთელ სიგრძეზე, სარკე ჰქონდა მიმაგრებული. სარკეში არცელილ საკუთარ თვალეზამოლამებულ ორეულს ლანამ თვალი მხოლოდ წამით შეავლო და მაშინვე მეორე კარი გამოალო, სადაც თარობზე აკურატულად დაწყობილი, მამაკაცის საცვლები და პირსახოცები დახვდა. „არა, რა, ამ კაცს ნამდვილად ვილაც ჰყავს... — გაიფიქრა მან და თარობი გულმოდგინედ ათვალიერ-ჩაათვალიერა. — აბა, როგორ შეიძლება, რომ მარტოხელა კაცის სახლში ასეთი ნესრიგი იყოს?!. თუმცა, შეიძლება, დედამისი ულაგებს ხოლმე აქაურობას“... — ბოლოს და ბოლოს, გული დაიმშვიდა ლანამ და თაროდან ერთ-ერთი

პირსახოცის ალება დააპირა.

— ეგ — არა, ქვემოთა აიღე! — მოესმა უეცრად ლევანის ხმა. — ის უფრო ფაფუკია.

— ყველა შენს ქალს ასე აფეთებ ხოლმე?!

— კარში მდგარ ლევანს უკმაყოფილოდ გახედა ლანამ.

— არა, მხოლოდ ერთადერთს და განუ-მეორებელს, — უპასუხა ლევანმა. — ჰო, მართლა, ცოტა დაუჩქარე, თორემ, დენი ნავიდა და შეიძლება, „ბაკში“ წყალი გაცვიფდეს, — დაუმატა მან შემდეგ და ისევ სამზარეულოში გავიდა.

ლანამ თაროდან ლევანის შეთავაზებუ-ლი, მუქი ლურჯი პირსახოცი აიღო და ფრთხილად გამალა. მისი გამლა და იატაკზე რალაცის დავარდნა ერთი იყო. ლანამ ძირს დაიხედა და ლიფი დაინახა.

— ჰმ! — თავი უკმაყოფილოდ გადა-აქნია მან და ლიფის ასაღებად დაიხარა. — დროზე უნდა დაეხურო ამ კარადის კარი, თორემ, ვინ იცის, თავზე კიდევ რა დამეცე-მა!.. ე..ე.. — ნელში სწრაფად გასწორდა ის შემდეგ და იატაკიდან აღებული ლიფი საგულ-დაგულად შეათვალიერა: — ეს ხომ ჩემი ლიფია!.. სწორედ ის, გიგაურის კაბინეტში რომ დამრჩა და სადღაც უკვალოდ გაქრა...

ლანამ ლიფი ერთი-ორჯერ კიდევ გადა-აბრუნ-გადმოაბრუნა და შემდეგ, სანოლზე ჩამოჯდა და ჩაფიქრდა: „ნამდვილად ჩემია, მაგრამ ლევანთან საიდან მოხვდა ან რისთვის ინახავს?!“

— დაუჩქარე, წყალი ცვივდება! — ახლა უკვე სამზარეულოდან გამოსძახა ლანას ლე-ვანმა.

— მოვდივარ... — საკუთარი ხმა თავა-დაც ვეღარ იცნო გაოგნებულმა ლანამ, ფეხზე წამოდგა და ხალათზე გულმოდგინედ შემოჭ-ერილი ქამარი სწრაფად შეისხნა...

— ასე უტბად იბანავე? — ჰკითხა სამზა-რეულოში შესულ ლანას ლევანმა.

— არა, ბანაობა საერთოდ გადავიფიქრე, — ცივად უპასუხა ლანამ.

— რატომ, წყალი გაცივდა?

— შეიძლება, გაცივდა კიდევ, მაგრამ მე არ მინახავს.

— ასე საგანგებოდ რატომღა გამოეწყე? სადმე მივდივარ? — დაკვირვებით აათვალ-ჩათვალავდა ლევანმა მართლაც, საგანგე-ბოდ გამოწყობილი ლანა, რომელსაც უკვე პალტოს ლილვისი შეკვრაც მოესწრო.

— შენ — არა, მე მივდივარ.

— სად?

— ჩემს სახლში.

— მოხდა რამე?

— ჰო, მოხდა...

— არ მეტყვი, მაინც — რა?

— რატომაც არა!.. გეტყვი კი არა, ფაქტებ-საც გირჩვენებ?

— რა ფაქტებს?

— შენს კარადაში რომ აღმოვაჩინე.

— კარადაში?.. — ნამით ჩაფიქრდა ლე-ვანი, შემდეგ ერთბაშად გადმოსალეზად გამზადებული თევზი მაგიდაზე უხმაუროდ დადგა და ლანას მიუახლოვდა: — მოდი, ჯერ ეს პალტო გაიხადე.

— არ მომეკარო! — ფეთიანივით გახტა განზე ლანა.

— კარგი, კარგი!.. — ორივე ხელი მორ-

ჩილად ასწია ლევანმა. — დანყნარდი და მშვიდად ამისხენი, რა მოხდა.

— რა მოხდა და აი, ეს! — პალტოს ჯიბეში აკანკალებული ხელი ჩაიყო, ლიფი ამოიღო და მაგიდაზე ისროლა ლანამ.

თითქოს, საგანგებოდ დაუმიზნესო, ლიფი პირდაპირ თევზზე დაეცა. მის დანახავზე, ლე-ვანმა სახეზე ხელები ერთი ნერვიულად ჩამ-ოისვა და შემდეგ დინჯად მიუჯდა მაგიდას.

— ეს ლიფი შენთან საიდან გაჩნდა? — მაშინვე ეცა მას ლანა.

— თაროზე იდო, ხომ? — კითხვა იქით შეუბრუნა ქალს ლევანმა.

— ჰო, შენს ნაქებ პირსახოცში იყო გახ-ვეული... ალბათ, იცი, ეს რა „ისტორიული“ ნივთიცაა!..

— ვიცი, — მშვიდად უპასუხა ლევანმა.

— მაშინ, ისიც გეცოდინება, შენთან როგორ გაჩნდა.

— გიგაურს ნავართვი.

— სტყუი! — ხმას აუნია ლანამ. — გი-გაურმა ჩემს ადვოკატებს უთხრა, ლანას ჯიბეში არანაირი ლიფი არ მინახავსო.

— გიგაურმა ისიც თქვა, ლანას ჯიბეში ნარკოტიკიც არ ჩამიღვიაო, მაგრამ მერე, ნარკოტიკის ჩადებაც აღიარა და ლიფის ქურდობაც...

— კიდევ რა აღიარა შენმა ძვირფასმა გიგაურმა?

— მეტი რაღა უნდა ელიარებინა?!

— ძალიან კარგად იცი, რაც!.. ახლავს ვხვდები, სასამართლო სხდომის დღეს, გი-გაურთან რის გასარკვევადაც მიხვდი!..

— რის გასარკვევად?

— ამ ლიფის ამბის, უფრო ზუსტად — იმის გასარკვევად, მართლა შემთხვევით დამე-რჩა ის გივის კაბინეტში თუ მე და გივი... კი, კი!.. ამ სახლშიც იმიტომ შემომიტყე, რომ ამაში პირადად დარწმუნებულიყავი!..

— ახლავს გაჩუმდი! — უეცრად გამეტე-ბით დაჰკრა მუშტი მაგიდას ლევანმა. — ამ ერთხელ აგისხნი და იცოდე, აღარასოდეს გამამეორებინო: შენს წესიერებასა და პა-ტიოსნებაში ერთი ნამითაც რომ შემპარვო-და ეჭვი, შენ ახლა აქ არ იქნებოდი!.. იმიტ-ომ, რომ რა-რა და, ერთი ღამით სახმარი ქალები ჯერ არ შემომკლებია!..

— რა მითხარი? — ძლივსლა ამოილ-ულულა ლანამ.

— მაპატიე... — სახეზე ხელები ისევ ნერვ-იულად ჩამოისვა ლევანმა. — ამ საზიზღ-რობის თქმას ნამდვილად არ ვაპირებდი, მაგრამ გამომიწვიე... — თავი დამნაშავესა-ვით ჩაქინდრა მან.

— კარგი... — თითქოს, ვილაცის საცე-მად ემზადებო, ხელები ისე მომუშტა ლანამ და კარისკენ შებრუნდა: მე ნავედი!..

— მოიცა!.. — თავი ნელ-ნელა ასწია ლევანმა. — გაგაცილებ.

— გმადლობ, არ მჭირდება! — იუარა ლანამ. — როგორმე უშენოდაც გავიგნებ გზას...

— ხომ იცი, რომ მარტოს არ გაგიშვებ! — კარის გამოღება არ დააცალა ლევანმა ლანას, შემდეგ, ორივე ხელი მხრებში გამე-ტებით ჩაავლო, თავისკენ შემოაბრუნა და თვალი თვალში ჯიქურ გაუყარა: — და საერთოდაც, დღეიდან უჩემოდ ნაბიჯსაც

ვეღარ გადადგამ!

— ხუმრობ? — თვალი არც კი დაუხამ-ხამებია ლანას.

— არა, — უარის ნიშნად თავი გაიქნია ლევანმა. — ასეთი სერიოზული ჯერ არას-დროს ვყოფილვარ...

ის იყო, ჰოლში გავიდნენ და ლევანმა საკიდრიდან საკუთარი ქურთუკი ჩამოსხნა, რომ იქვე, ტელეფონის პატარა მაგიდაზე დადებული მისი მობილური ტელეფონი აწკრილდა. ლევანმა აპარატი აიღო, მაგრამ მასზე დაფიქსირებული ნომერი ვერ იცნო:

— უცხო ნომერია, — აპარატი ლანას გაუწოდა მან. — ნახე ერთი, შემთხვევით დედაშენი ხომ არ გირეკავს?

ლანამ ნომერს დახედა და პირკატა ეცა: — ჰო, დედაჩემის მობილურის ნომერ-ია!..

— მაშინ, შენ უპასუხე!

— ჰო, მაგრამ რა ვუთხრა, ნუხელ სად ვიყავი-მეთქი?

— შენს ადგილზე მე სრულ სიმართლეს ვეტყვი და სიძესაც დღესვე წარვუდგენ-დი.

— რას ამბობ?! — აპარატი კი არ გამო-ართვა, ხელიდან გამოჰგლიჯა მას ლანამ. — გინდა, გამიგოდე?! ჰო, დედა, გისმენ! — რამდენადაც შეეძლო, მშვიდად ჩასძახა მან ყურმილში. — არა, ნუხელ შინ არ ვყო-ფილვარ... იმიტომ, რომ ძალიან შემაგვიანდა და მასპინძლებმა მარტო აღარ გამომიშვეს... ვინ გამომახილეს? — აღიზნა დედა თუ თითისტოლა ბიჭი?! კარგი, ამაზე, რომ მოვალ, მერე ვილაპარაკოთ... რა მოხდა?.. ქეთოს რაღა მოუვიდა?.. როდის?.. „ისტ-ერიჩკა“ ბიცოლაჩემმა რომ ყველაფრის გაზ-ვიადება იცის, ახლა გაიგე?! ამას წინათაც ასე არ აგვიკლო — არიქა, ამოუსწარით, თორემ, უთქვენოდა მოკვდება სანყალი ქალიო?.. მაშინ, დამელოდე და ერთად მაინც ნავიდეთ... სადა ხარ?.. კი, მაგრამ სანამ იგ-ოეთამდე არ ჩახვედი, ჩემი არსებობა საერ-თოდ არ გაგახსენდა?! ჰო, აბა, რა!.. მთა-ვარია, რეზიკო გყავდეს კარგად... კარგი, ბატონო, შეუარე!.. არ იქნება, ნაყოლაზე უარი გტკიცოს?.. კაცს საყვარელი სიმამრი ჰყავს გადადებული და ბებიისთვის სცხე-ლა?.. კარგი, კარგი, რამეს მოვიფიქრებ და დღეს თუ არა, ხვალ დილით მაინც აუცი-ლებლად წამოვალ, — როგორც იქნა, ლაპარ-აკიც დაამთავრა ლანამ და აპარატი ლევანს დაუბრუნა.

— რას ხდება? — მაშინვე ჰკითხა მან.

— ბებიჩემი ყოფილა ძალიან ცუდად.

— მაგას უკვე მიხვდი. რაჭმში რომ ბები-ა გყავს, ის?

— ჰო... — ამოიხორა ლანამ. — ბიცო-ლაჩემს ისე დაუფეთებია დედა, რომ მაშინვე „მარშრუტკით“ გაქცეულა და ახლა უკვე იგოეთთან არის...

— არა უშავს, მაინც დაეწვიე! — ქურ-თუკი სწრაფად ჩაიცვა ლევანმა.

— არა, რას ამბობ?.. — მიუხედა ჩანაფიქრს ლანა. — ასე ნამდვილად ვერ შეგანუხებ...

— შენ თუ გკითხე, კი! — მხარზე ხელი გადახვია ლევანმა და ყურში ისე უჩურჩუ-ლა: — ხომ დაგემუქრე, უჩემოდ ნაბიჯსაც



ველარ გადადგამ-მეთქი!..

ლანამ და ლევანმა სოფელში რომ ააღნიეს, უკვე კარგად შებინდებული იყო, მაგრამ ქეთოს ეზოში ლანდებივით მოსიარულე ადამიანები ლანამ მაინც მაშინვე შენიშნა და გულმა რეჩხი უყო:

— ვაი, მგონი, ბებიამე მართლა რაღაც დაემართა... — შიშით გადაულაპარაკა მან ლევანს.

— რა წინასწარ ითარსები? — ზედჭიშკართან დაამუხრუჭა მანქანა ლევანმა. — იქნებ, მეზობლები უბრალოდ, ბებიამენის სანახავად არიან მოსულნი. ხომ იცი, სოფელში როგორი წესი აქვთ?.. ავადმყოფ თანასოფელელებს რიგრიგობით უთევვენ ღამეს...

მაგრამ ლანას, ლევანის სიტყვებისთვის ყური აღარ დაუგდია, მანქანიდან გიჟივით გადახტა და ჭიშკართან ობოლი ბავშვივით ატუზულ ახალგაზრდა კაცს ეცა:

— იონა, როგორ არის ბებიამე?

— აღარ არის... — თავი დამნაშავესავით ჩაქინდრა იონამ და აქვითინდა...

გამხდარ-გალეული ქეთოს ნეშტი მეორე დღეს, შუა ოთახში დაასვენეს და სოფლის ცნობილი მოტირლები მაშინვე საქმეს შეუდგნენ: საყვარელი მკურნალი ისე გულბრუნით დაიტირეს, რომ თანასოფელეები კი არა, რომ შესძლებოდათ, ალბათ, ქეთოს ეზოში საიდნალაც საგანგებოდ მოზიდული რიყის ქვებიც ატირდებოდნენ... ჭირისუფლად მჯდარი, გაფითრებული თამარი დედის ხმამაღლა დატირებას ვერაფრით ახერხებდა და მხოლოდ უხმოდ იცრემლებოდა. ლანას კი ცრემლიც გაშრობოდა, ბები-

ის ცვილისფერ სახეს გაშტერებული დაჰყურებდა და სკამზე უცნაურად ირხეოდა...

შემოსასვლელთან, ჭირისუფალ მამაკაცებთან ერთად მდგარი ლევანი ლანას თვალს წამითაც არ აშორებდა. მოგვიანებით, გოგამ ის სადღაც წაიყვანა და საღამომდე არც ერთი აღარ გამოჩენილა...

შებინდებულზე, როცა თანასოფელეები ქეთოს სახლიდან თავ-თავიანთ საქმეებზე ნელ-ნელა გაიკრიფნენ, თამარმა ლანა ქეთოს სამუშაო ოთახში გაიხმო, ათასნაირი ბოთლითა თუ ქილით გადავსებულ მაგიდასთან დასვა და მკაცრად ჰკითხა:

— წესიერად ამისხენი, ეს კაცი ვინ არის?

— ვინ არის და ლევანი, — უხალისოდ უპასუხა ლანამ.

— ლევანი რომ ჰქვია, უკვე ვიცი... — წარბი შეიკრა თამარმა.

— აბა, რას მეკითხები?

— შენგან რა უნდა-მეთქი? — დაუკონკრეტა შეიღს თამარმა.

— რა უნდა უნდოდეს... გაიგო, რომ სოფელში ვერაფრით მოვდიოდი და თავისი მანქანით წამომიყვანა.

— მერე?... უკან წასასვლელ გზას თუ ველარ აგნებს, ვეჭყვი ავერ, ჩვენს კაცებს და სოფლის ბოლომდე ჩააცილებენ...

— დედა!..

— რა დედა, რა?! — ხმა აღარ ამოაღებინა შვილს თამარმა. — შენ აქ ქალაქი ხომ არ გგონია?... აქ ქვებსაც კი თვალები და ყურები აქვს.

— სულ არ მენაღვლება, ვინ რას იტყვის... მე აქ ბებიამემის დასატირებლად ვარ ამო-

სული და არა ვინმესთვის ანგარიშის ჩასაბარებლად!..

— მეც ვინმე ვარ?

— შენზე არ ვლაპარაკობ.

— ჰოდა, მე ამისხენი, ეს კაცი აქ რას აკეთებს.

— კარგი, ბატონო! — ფეხზე წამოსტა და ოთახში ნერვიულად გაიარ-გამოიარა ლანამ. — ამ წუთში, ხომ იცი, რომ აქ არ არის... შენმა გადარეულმა ძმისშვილმა წაიყვანა სადღაც... როგორც კი დაბრუნდებიან, მაშინვე ვეჭყვი, რომ მანქანაში ჩაჯდეს და აქედან წავიდეს.

— აქედან კი წავა, მაგრამ — შენი გულბინა?

— ჩემს გულს მე თვითონ მოვუვლი.

— სიმართლე მითხარი, გიყვარს?

— მიყვარს არა, კიდევ ის... — ყურებამდე განითლდა ლანა.

— გიყვარს, გიყვარს... — თავი დანანებით გადააქნია თამარმა და შემდეგ დაუმატა: — მაინც წამართვა, ხომ, შენი თავი?

— დედა!.. — ხმას აუწია ლანამ. — რა დროს ჩემ გამო წუნუნი და ვაი-ვიშია?! დაგავინწყდა, რომ მეორე ოთახში მკვდარი დედა გისვენია?

— მე არაფერი მავინწყებდა! — ფეხზე წამოდგა თამარიც. — საწყალ დედაჩემს აღარაფერი ეშველება, ამიტომ ახლა, პირველ რიგში, შენ უნდა გიპატრონო, რომ ბოლომდე არ წაიტეხო კისერი.

— უკვე წავიტყვი. — წამოსცდა უეცრად ლანას და მაშინვე ენაზე იკვნა.

— რა თქვი?! — მობრუნდა კართან მისული თამარი და შვილი გაკვირვებით აათვალიერ-ჩაათვალიერა: — შენ... შენ იმ ღამეს ვილაც ლიზის დედასთან კი არა, ამ ღვთის პირიდან გადავარდნილთან იყავი, ხომ?! — ჰო, ლევანთან ვიყავი, — აღიარა ლანამ და თამარს თვალი ჯიქურ გაუსწორა...

— ვაი, ვაი! — გულზე ხელი იტაცა თამარმა და სკამზე მოცელივით დაეცა. დაფუთებული ლანა მაშინვე მასთან გაჩნდა. ამასობაში ოთახის კარი ლანას ბიძაშვილმა გოგამ შემოაღო, უფრო სწორად — შემოგლიჯა და ხმამაღლა იყვირა:

— მამიდა, სადა ხარ?

— რა გაღრიალებს?! — შეუღრინა მას ლანამ.

— რა მოუვიდა? ცუდად ხომ არ გახდა? — თამარს თავზე წამოადგა გოგა.

— ჰო... — თამარს პუღსი მოუსინჯა ლანამ.

— მერე, „კაპლი“ ვერ დალევინე?! შენც ექიმი გქვია, რაღა!..

— არაფერი არ მინდა... — როგორც იქნა, ხმა ამოიღო თამარმა.

— მოიხედე, მამიდა? — ისევ თამარს ეცა გოგა. — აგაშენებს ღმერთი!.. აბა, ახლა სამახარობლო შენზე!

— რა უნდა მახარო, შე გადარეულო?! — შეუტია ძმისშვილს ოდნავ მოსულიერებულმა თამარმა. — ჭირი შენ არ იცი და ლხინი...

— სიძე გიშოვ, მამიდა, სიძე!.. — ხელები დარდმანდულად გაშალა გოგამ...



# და-ძმა, სოც-ქმარი თუ უპირობო პაპოზური წყვილი?..

მისეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობის თეატრის მსახიობები, რუსუდან ბოლქვაძე და შინა აბესალაშვილი დიდი ხნის განმავლობაში, ზოგს ცოლ-ქმარი, ზოგს კი — და-ძმა ეგონა. ისინი ამის გამო სშირად, კურორტულ სიტუაციაში სვდებოდნენ: „ასეთ ქორეზზე გვეცინება და ვხუმრობთ ხოლმე, მაგრამ ყველაზე მთავარი ისაა, რომ ამ ყველაფერზე მაიკოს (გია აბესალაშვილის მეუღლე. — ავტ.) სწორი რეაქცია აქვს“, — ამბობს რუსუდან ბოლქვაძე. მსახიობების აზრით, თუ ადამიანებს ნამდვილი მეგობრობა აერთიანებს და ის სიყალბეზე არ არის აგებული, მაშინ მათ ურთიერთობებს ვერაფერი მოერევა.



## ლიპა ქაჩია

### რუსუდანი:

— მეგობრობა იმავე მნიშვნელობის ცნებაა ჩემთვის, რაც სიყვარული. იმიტომ, რომ მეგობრობა არ არსებობს სიყვარულის გარეშე და სიყვარული — მეგობრული გრძნობის გარეშე ცარიელ ვნებად რჩება.

### შინა:

— მეგობარს ვეთანხმები, რადგან მეგობრობა თანამოაზრობასაც ნიშნავს. შეიძლება, ჩვენი აზრი ყველა საკითხში ერთმანეთს არ ემთხვეოდეს, მაგრამ ძირითადად, ერთი ჭკუისანი ვართ.

### რუსუდანი:

— მეგობრობა ეს არის — თავგანწირვა, დათმობა, ურთიერთგატანა და ა.შ. — ისევე, როგორც სიყვარული.

### შინა:

— Не имей сто рублей, а имей 100 друзей.

### რუსუდანი:

— მე ეს ქართულად ვთარგმნე, მას შემდეგ, რაც ლარები შემოვიდა: ნუ გეცნება 100 ლარი, გყავდეს 100 მეგობარი. როცა ჩვენს ვალუტას მანეთი ერქვა, მაშინ არ ირითმებოდა.

— როგორ მოხდა თქვენი დამეგობრება?

### შინა:

— ეს თავისთავად მოხდა, ცხოვრებამ მოიტანა, თორემ, ნეკა თითები არ ჩაგვიჭრია... წარმოიდგინე, თეატრში უფრო მეტ დროს ვატარებთ, ვიდრე ოჯახში, სადაც ფაქტობრივად, მხოლოდ დასაძინებლად და რალაც პატარა-პატარა საქმეების მოსაგვარებლად მივდივართ.

### რუსუდანი:

— ერთმანეთი თეატრში გავიცანი. მე უკვე მსახიობი ვიყავი. გიას ჯგუფს, რადგან მათი პედაგოგი, ბატონი მისეილ თუმანიშვილი იყო, კინოსტუდიაში უტარდებოდათ

ლექციები და ისინი სულ ჩვენთან იყვნენ.

### შინა:

— რუსიკოს, როგორც მსახიობს, მანამდეც ვიცნობდი — „რომეო და ჯულიეტაში“ ძიძის როლს ასრულებდა.

— როგორც მსახიობი, მოგწონათ?

— გადავირიე, გავგიჟდი — ეს რა ვნახემეთქი!.. ისეთი პედაგოგები ჰყავდა, ცუდი რომ გამოსულიყო, არ შეიძლებოდა.

— იმიტომ ხომ არ აქვთ, რომ თქვენი მეგობარია?..

— სულ მის ქებაში არ ვარ ხოლმე (იცინის)?!

### რუსუდანი:

— ერთმანეთს უფრო მეტად გასტროლებზე დავუხსლოვდით. ამბობენ — ადამიანი მოგზაურობის დროს გამოიცნობაო...

### შინა:

— საზღვარგარეთაც ბევრი მეგობარი შევიძინეთ. ადრე, ისინი სშირად ჩამოდიოდნენ ჩვენთან. ასლა კი, ერთმანეთს ტელეფონით თუ ვეკონტაქტები.

### რუსუდანი:

— სხვათა შორის, სანამ აქ მოვიდოდი, ფოსტალიონმა წერილი მომიტანა. იცი, ვისგან მომივიდა ბარათი?... 1989 წელს, გასტროლის დროს, ლონდონში გავიცანი ოჯახი. იმ ოჯახში, ცოტა ხანს ვცხოვრობდით: მე, ნინო ბურდული და ნატო შენგელაია (მსახიობების 2-3-კაციანი ჯგუფები სხვადასხვა ოჯახში იყვნენ განაწილებულნი). ინგლისელები ისეთი ხალხია, რომ ერთმანეთთან ურთიერთობით, მეგობრობით თავს არ იკლავენ, მაგრამ როცა ნახეს ჩვენი მსახიობების ურთიერთობა, გვითხრეს — მოიყვანეთ თქვენი მეგობრებიო. დაპატიჟეს გია აბესალაშვილი და თემურ გვალია და გაშალეს პურმარლი, თავისებურად დააცხვეს ხაჭაპურები... მოკლედ, ამ ადამიანები-

სგან მომივიდა საშობაო მისალოცი ღია ბარათი.

### შინა:

— იქ უამრავი ასეთი ოჯახი იყო...

### რუსუდანი:

— ერთხელ, ედინბურგში წავედი ფესტივალზე და წავიღეთ სპექტაკლი „დონ ჟუანი“. 3 წლის შემდეგ, იმავე ფესტივალზე მიგვიწვიეს. ერთ დღეს, მე და გია ქუჩაში მივდიოდით. ვილაც ახალგაზრდა წყვილმა გაგვაჩერა. გვეითხეს — თქვენ ის ქართველი მსახიობები არა ხართ, 3 წლის წინ „დონ ჟუანი“ რომ ითამაშეთო? წარმოგიდგენიათ, 3 წლის მერე, უცხოეთში ქუჩაში გაჩერებენ, როცა თბილისში ველარავინ გცნობს?!.. იმ დღეს, წვეულებაზე დაგვაპატიჟეს, სადაც ვილაც მსახიობებიც დაგვხვდნენ. გია, ზანგი გახსოვს?!

### შინა:

— ჰო, ერთი ზანგი, ედი მერფის ჰგავდა.

### რუსუდანი:

— მერე, ამ უცხოელებს „სულიკოც“ კი ვასწავლეთ.

— თქვენ სშირად, ერთმანეთს გამსგავსებენ...

— ჰო — დიდი ცხვირებით, ქერა თმით, ცისფერი თვალებით ვგავართ ერთმანეთს... ესპანეთში ვიყავით გასტროლებზე და ვხუმრობდით — ჩვენ და-ძმა ვართ-თქო. რალაც წვეულება იყო. მე და გია ცალ-ცალკე ვისხედით. ჩემთან ერთი გოგო მოვიდა ჭიქით ხელში. მუუბნება — გაგიმარჯოსო! — და გიაზე მეკითხება: ეს ვინააო? ვუპასუხე: ჩემი ძმა-მეთქი...



**ზია:**

— ჰო, თაზო (თოლორაია. — ავტ.), ალბათ, მამაო...

**რუსუდანი:**

— კარგი, რა, გაჩერდი (იციინან).. ამ გოგომ გაიკვირვა: ძმა? მერე, ორივე ერთ თეატრში ხართო? ვუპასუხე — ჩვენ ოჯახური თეატრი ვართ, მამაჩვენიც ამ თეატრში მუშაობს-მეთქი. იმან გამაჩერა: მოიცა, მე თვითონ გამოვიცნობ, რომელია მამათქვენიო... — დარბაზს თვალი მოავლო და ხელი თაზო თოლორაიასკენ გაიშვირა: აი, ეს იქნებო. მეც დავეთანხმე...

**ზია:**

— ერთ-ერთი სპექტაკლის შემდეგ (რომელშიც მე არ ვმონაწილეობდი), პურმარილი გამაღეს და მეც მიმინვიეს. ყველა კითხულობდა: ეს ვინააო? მათ გასაგონად ვთქვი: სპექტაკლის კომპოზიტორი ვარ-მეთქი. ჩვენი მსახიობები კარგად მღეროდნენ, და რაც კი კარგი სიმღერები ვიცოდით, ყველა შევასრულეთ. მასპინძლები აღფრთოვანდნენ: ეს რა მაგარ სიმღერებს წერსო!...

— **თქვენზე იმასაც ამბობდნენ — ცოლქმარიო...**

— სულ ერთად გვხვდავდნენ, სპექტაკლებშიც შეყვარებულების როლებს ვთამაშობდით და ალბათ, ამიტომაც ეგონათ ასე.

— **ასეთ ჭორებზე როგორი რეაქცია გაქვთ?**

— ეგონოთ, რა!...

**რუსუდანი:**

— რა რეაქცია უნდა მქონდეს? მთავარი ისაა, რომ გიას მუღღლეს, მაიკოს აქვს სწორი რეაქცია. ის არაჩვეულებრივი ადამიანი და გადასარევი იუმორის გრძნობაც აქვს... აბა, ისე, გიას როგორ გაჰყვებოდა?!

**ზია:**

— ზესტაფონში ვიყავით სტუმრად ჩასულები, სადაც გია როინიშვილი მუღღლესთან, თამრიკოსთან ერთად ადღეგრძელეს, გია ბურჯანაძე — ნინოსთან, ზაზა მიქაშვიძე ნინელისთან ერთად. უკვე ძალიან ვჩქარობთ, უნდა წამოვიდეთ. ავდექით და უეცრად, ერთმა იყვირა: უჰ, ჩემი სიკვდილი, ბატონო გია, თქვენ რუსიკოსთან ერთად გადაღვრძელებთო!... მინდოდა მეთქვა: კი, ბატონო, მაგრამ მე და რუსიკო ცოლქმარი არა ვართ-მეთქი, — მაგრამ ბიჭებმა გამაჩერეს: სანამ შენ ამას რამეს აუხსნი, მერე შენ და რუსიკოს ცალ-ცალკე გადაღვრძელებენ, ბევრი დრო გავა და შეეშვიო... მოკლედ, შევიფერე რუსიკოს მუღღლეობა და მადლობა გადავუხადე...

**რუსუდანი:**

— გიას დედა შეუძლოდ იყო და საავადმყოფოში დააწვინეს. რამდენიმე დღის შემდეგ, მის სანახავად გიას დას — ლალის გაყვივი. მივხვდი, რომ ექიმებმა ჩათვალეს, რძალ-მული ერთად მოვიდაო; ერთ-ერთმა, „კეთილისმსურველმა“ გვერდზე გამიყვანა და მეუბნება — უკაცრავად, მაგრამ რომ არ გითხრა, არ შემძლია: ამას წინათ, თქვენი მუღღლე იყო მოსული ვიღაც სიმპათიურ, მაღალ ქალთან ერთადო... გია ჩემთან ჩაუშვა, გესმით?! კაცი თავის ცოლთან ერთად მივიდა დედამისის სანახავად და ჩემთან ჩაუშვეს — გლალატობსო!... ასეთ ჭორებზე

არანაირი რეაქცია აღარ მაქვს. თავიდან ვცდილობდი, ხალხისთვის ამესხნა — იგი ჩემი მეგობარია-მეთქი და იცით, რას მეუბნებოდნენ? — რატომო?.. გული სწყდებოდათ...

— **ერთმანეთს რჩევას ხშირად აძლევთ?**

— რა თქმა უნდა. მე განსაკუთრებით „ვებრაე“ ხოლმე რჩევებით და ამაზე ხშირად შაყირობენ. აქეთაც ვეკითხები ხოლმე რჩევას, მაგრამ რაჭველია და როდის რა გაახსენდება, ვინ იცის (იციინის)..

**ზია:**

— თუ მოცემული რჩევა თავიდან ვერ მომდის თვალში, მას მაშინვე ვივინყებ.

**რუსუდანი:**

— როცა მეგობარი ჭკუას დაგარიგებს, მას რომც არ ეთანხმებოდე, მაინც მაღლობელი უნდა იყო, რადგან თუ ის რაღაცას გირჩევს, ე.ი. შენზე ფიქრობს, ზრუნავს, მისთვის სულერთი არ ხარ. „გონიერსა მწვრთნელი უყვარს, უგუნურსა გულსა ჰპრიდეს“, — ტყუილად კი არ თქვა დალოცვილმა შოთა რუსთაველმა!..

**ზია:**

— თუ რჩევა შენთვის მისაღებია, ის აუცილებლად უნდა მიიღო, რადგან შენ მიერ დამწვეულ შეცდომებს სხვისი თვალი უფრო ხედავს.

— **როგორი პარტიორია ქალბატონი რუსუდანი სცენაზე?**

— შეიძლება ითქვას, რომ კარგი (იციინის).. ჩვენ ხშირად მივმართავთ იმპროვიზაციას. ამ დროს, პარტნიორი არ უნდა დაიბნეს, ხანდახან ვჭულიგნობთ, ერთმანეთს „ვაფუჭებთ“. ზოგი ყოჩაღად ძვრება სიტუაციიდან, ზოგი კი...

— **ერთმანეთის „ვაფუჭება“ თუ გიცდიათ?**

**რუსუდანი:**

— სპექტაკლი — „ზაფხულის ღამის სიზმარი“ — არის ასეთი სცენა: შეყვარებულ წყვილებს გაჯადოებენ, გაძინებენ. სცენის ერთ მხარეს მე და გია „ცყრივართ“, მეორე მხარეს — გოგა პიპინაშვილი და ნინელი ჭანვეჭავაძე. მიზანსცენის მიხედვით, ჯერ გია აძინებენ, მერე — მე... როცა ომი იყო, თეატრში საშინლად ციოდა. მშვირებ-სა და გაყინულებს, უნდა გვეთამაშა, ამიტომ, უფრო მეტად ვცდილობდით ერთმანეთის გამხნეებას, გამხიარულებას. ჯერ გია უნდა წაქცეულიყო, მერე მასზე მე ვცემოდი. თავი მის მკერდზე მედო და სახე მაყურებლისკენ უნდა მქონოდა მიზრუნებული. გია ამ დროს, ხან ლილინებდა, ხან რაღაც უცნაურ ხმას უშვებდა, ხან სლოკინებდა — მოკლედ, ჩემს გაცინებას ცდილობდა. მე კი ამ დროს, უნდა „მძინებოდა“, მაგრამ თავს ვერ ვიკავებდი, სიცილისგან ღამის პირი მეხეოდა, ჩუმიად ვხითხითებდი; მაყურებელი ამას ისე აღიქვამდა, თითქოს ძილში ვარგ სიზმარს ვხედავდი... იმ პერიოდში, ფილტვების ანთებაც დამემართა — სიფრიფანა კაბა მეცვა, ფაქტობრივად, შიშველი ზურგით ვვადე იატაკზე და ვცდილობდი, ისე დავწოლილიყავი, რომ გია ლეიბად გამომეყენებინა. მერე ვიციინოდი — მუსიკალური ლეიბი მაქვს-მეთქი...

— **რას ვერ აპატიებთ მეგობარს?**

— საერთოდ, ადამიანს ყველაფრის პატიება უნდა შეეძლოს. მეც ვცდილობ, ასეთი ვიყო, მაგრამ ჯერჯერობით, სულიერად ისე ვერ ავმაღლდი, რომ მეგობარს ლალატი ვაპატიო...

**ზია:**

— შეიძლება აპატიო, მაგრამ აღარ იმეგობრებ.

**რუსუდანი:**

— კი, მაგრამ გული მეტკინება, მოკვდება.

— **თქვენთვის უღალატია?**

— კი, როგორ არა და დღეს მათ მეგობრებს არ ვესხნი... ყველა ახალგაზრდა ემოციურია, ყველას, მეგობარს ეძახის, მაგრამ დრო ამ მეგობრობას კარგად ცხრილავს: შენ გვერდით მარტო ნამდვილ მეგობარს ტოვებს, დანარჩენები თავ-თავიანთი გზით მიდიან.

**ზია:**

— სხვათა შორის, „არ აპატიო“ — „არ იმეგობროს“ არ ნიშნავს...

**რუსუდანი:**

— თუ ეს ადამიანი ამაღ ღირს — კი. მე მყავს ერთი ამხანაგი, რომელსაც საშინელი ხასიათი აქვს, მაგრამ ვიცი, მაგრამ იმაზე მეტად მხოლოდ დედაჩემს და ოჯახის წევრებს ვუყვარვარ. მას შეუძლია, ჩემი გულისთვის მოიჭრას ხელი, ფეხი... ამ ფონზე სისულელეა, რომ რაღაც წვრილმანზე გაუბრაზდე. მას ფეთქებადი ხასიათი აქვს. შეიძლება, უეცრად, ძალიან მწარედ გითხრას რამე, მაგრამ იცი, რომ ეს გულიდან არ მოდის.

**ზია:**

— **უშეცდომო ადამიანი არ არსებობს. რუსუდანი:**

— ალბათ, მეც ბევრჯერ მიტყენია უფლი მეგობრისთვის, მაგრამ მთავარია, ამას მიხვდე და ზოდში მოიხადო. როცა ადამიანი გიყვარს, მისგან გწყინს ხოლმე რაღაცები, თორემ, ვირისგან წიხლი რა სანწყინია?!

— **ამბობენ: ქალსა და მამაკაცს შორის მეგობრობა არ არსებობსო...**

— თუ მეგობრობა ნამდვილია, მას ვერაფერი მოერევა და თუ ნამდვილი არ არის, მაშინ პატარა მიზეზიც საუკმარისია იმისათვის, რომ ყველაფერი გადააყრიო. რაც უფრო დიდია განსაცდელი, მით უფრო მეტად გამოცდი მეგობარს. თუ მეგობრებს შორის ლალატს აღმოაჩენენ, ზოგი ამას ცხოვრებას აბრალებს: რას იზამ, ასეთი ცხოვრება მოვიდაო...

**ზია:**

— ცხოვრება კი არ მოვიდა, არამედ დრო ამჟღავნებს ადამიანს. ღვთის წყალობით, ჯერჯერობით, არც ერთი ადამიანი არ დამიკარგავს.

— **რას ურჩევდით მეგობრებს? რუსუდანი:**

— მოთმინებას. ერთმანეთი რაღაც წვრილმანებს არ გადააყოლონ. მეგობარი უნდა გიყვარდეს ისეთი, როგორიც არის და არა ისეთი, როგორიც გინდა, რომ იყოს.

**ზია:**

— რად უნდა მეგობრობას ჩემი ბრტყელ-ბრტყელი სიტყვები?! მთავარია, მეგობრებმა ხშირად ნახონ ერთმანეთი და რაღაც-რაღაცების დათმობა ისწავლონ.

### სანტარელი „რენოს“ სხვა გახდა

უკვე დიდი ხანია, რაც ქერათმიანი ლამაზმანი ელენა სანტარელი ფუფუნების სიმბოლოდაა ქცეული. განსაკუთრებით ეს მამაკაცებს ეხებათ — მისი კავალრები ხომ მხოლოდ მდიდარი და პოპულარული ადამიანები არიან! რამდენიმე დღის წინ, ცნობილი გახდა, რომ იგი „რენოს“ ბოსის, ფლავიო ბრიატორეს ყურადღების ცენტრში მოქცეულა. ელენა, ფლავიოს ახალი, 2006 წლის პროექტის სახე იქნება. წინასწარვე უნდა ვივარაუდოთ, რომ სანტარელი 55 წლის ლოველასის ახალი საყვარელიც გახდება. ელენა მხოლოდ იტალიაში როდია პოპულარული. ის ათასობით მამაკაცის საოცნებო ქალია. ადრე ხომ მას კრისტიან ვიერისთანაც ჰქონდა რომანი. 180 სმ სიმაღლის 24 წლის მოდელს ძალიან უყვარს სპორტი. ფორმის შესანარჩუნებლად, ის სისტემატურად ვარჯიშობს და ცეკვავს. ბოლო დროს, მომხიბვლელმა ელენამ მასხიობობაშიც მოსინჯა საკუთარი ძალები. გარდა ამისა, 2006 წლის კალენდრისთვის ყურნალ Max-ის ფოტოსესიამაც მიიღო მონაწილეობა. ამიერიდან კი, სანტარელი „რენოს“ სხვადასხვა აქციაში გამოჩნდება, ამიტომ მისი შესანიშნავი გარეგნობის ხილვის შესაძლებლობა ტელემყურებელს ხშირად მიეცემა. რაც შეეხება ბრიატორეს — ცოტა ხნის წინ, მან გააბა რომანი 26 წლის მოდელ ელიზაბეტ გრეგორაჩისთან, რომელმაც ურნალისტებს უკვე გაანდო, რომ მათი ურთიერთობა ათი თვეა გრძელდება, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს: სინიორ ფლავიოსთან სარეცე-ლი ხომ თვით ნაომი კემბელსა და ჰაიდი კლუმსაც გაუყვიათ!..



შემდეგ, მას სხვა ქალთან ინტიმური ურთიერთობა აღარ ჰქონია, მაგრამ ახლა ამას აღარავინ დაიჯერებს. ალბათ, აღარც მისი ფეხმძიმე მეუღლე..

### ადრიანო ცოლს დაუბრუნდა


ვიდრე ადრიანოს მეუღლე, დანიელა სამ-შობლოში მშობიარობისთვის ემზადება, თავად ფეხბურთელი მილანში დროს უქმად არ კარგავს და დისკოთეკებსა და ლამის კლუბებში ერთობა. „ინტერის“ ფორვარდის ნაცნობთა თქმით, ის საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ხშირად ჩნდება უცნობ გოგონასთან ერთად. ცოტა ხნის წინ კი, გაირკვა, რომ ეს „უცნობი“ — ცნობილი იტალიელი ფრენბურთელი, ვერონიკა ანჟელინი ყოფილა, რომელთანაც ფეხბურთელს ერთ დროს რომანი ჰქონდა. წყვილი პაპარაცებს გაურბის, მაგრამ მათი ურთიერთობის შესახებ მაინც ყველამ შეიტყო. თავად ადრიანო ამტკიცებს, რომ დანიელასთან დაქორწინების შემდეგ, მას სხვა ქალთან ინტიმური ურთიერთობა აღარ ჰქონია, მაგრამ ახლა ამას აღარავინ დაიჯერებს. ალბათ, აღარც მისი ფეხმძიმე მეუღლე..

### ლესა, ვიერის დაუბრუნდა

ბრაზილიელმა ფოტომოდელმა, ფერნანდა ლესამ, კრისტიან ვიერის სულიერი სიმშვიდე დაუბრუნა. ამას წინათ, ლესა მონაკოში იმყოფებოდა და ბოზოსთან რამდენიმე დღე გაატარა. მათ ერთ-ერთი რესტორნის სახურავზე მდებარე ვერანდაზე ისადილეს, ცოტა ხანს კაზინოშიც გაერთნენ, რის შემდეგაც, ფორვარდის სახლში მისატანად, პიცა და ლუდი შეუკვეთეს, დილით კი, სასაერნოდ გამოსულებს, სახეზე ღიმილი დასთამაშებდათ. თვითმხილველები ამბობენ, რომ ბოზო და ფერნანდა ასე ბედნიერად მაშინაც არ გამოიყურებოდნენ, როდესაც მათი რომანი იწყებოდა. უფრო მეტიც, არცთუ ისე დიდი ხნის წინ, მათ ურთიერთობაში კრიზისული პერიოდიც იდგა. ბოზომ ისე აწყენინა ფერნანდას, რომ ამ უკანასკნელმა შურნალისტებთან საუბრისას ასე მიმართა მას: — „მშვიდობით, ბოზო. მე ჩემი ჭეშმარიტი სიყვარული ვიპოვე. შეგიძლია, არც დაამრეკო და არც ინტერნეტით შეემხიანო. — შემდეგ დასძინა: — ნამდვილად არ მესმის, რა უნდა — ის ჩემთანაცაა და თან არც არის... მირეკავს, მაგრამ არ ვპასუხობ...“ შემდეგ, ფერნანდა ბიზნესმენს ხვდებოდა, მაგრამ ახლა, ბოზოს დაუბრუნდა. როგორც ამბობენ, დრო ყველაფრის მკურნალია.

### Destiny`s Child - ყალბა პარსკვლავის გაბრუნება

19 თებერვალს, ჰიუსტონში NBA-ის 2006 წლის „ყველა ვარსკვლავის“ მატჩი ჩატარდება. საკალათბურთო შოუს საინტერესო თავისებურებად იქცევა გოგონათა ჯგუფის — Destiny`s Child — გამოსვლა: როგორც ცნობილია, ამ ჯგუფმა დაშლის შესახებ გასული ზაფხულს გამოაცხადა. თამაშის დაწყების წინ, „გრემის“ რვაგზის მფლობელები აშშ-ის ჰიმნს შეასრულებენ. ამ ღონისძიებაზე მათი გამოჩენა მოულოდნელი სულაც არ არის. პირველ რიგში, იმიტომ, რომ ჰიუსტონი მათი მშობლიური ქალაქია. გარდა ამისა, პოპმოღერალ ბენისოს, რომელმაც რეპერ ჯეი-ზისთან ქორწინებაზე უარი თქვა, ძალიან სურს, ესპანელ კალათბურთელ პოუ გაზოლთან („მემფისი“) ურთიერთობის დაწყება. Destiny`s Child-მა მეოთხე სტუდიური ალბომის, Destiny Fulfilled-ის გამოშვების შემდეგ შეწყვიტა არსებობა. გამოსათხოვარი ტურნეს ბოლო გამოსვლა შარშან სექტემბერში შედგა. ამის შემდეგ, ტრიოს მონაწილეებმა სოლო კარიერა გააგრძელეს. ამასთან, ბენისოსმა ერთდროულად ორი ფილმის გადაღებაში მიიღო მონაწილეობა: The Pink Panther-ის რიმეიქში და მიუზიკლში — Dreamgirls, რომელშიც, მთავარ როლს ჯეიმი ფოქსი ასრულებს.



### ბრაზი გელაყენას

გერმანული „მტუტგარტის“ მთავარი მწვრთნელი, ცნობილი იტალიელი ფეხბურთის სპეციალისტი, ჯოვანი ტრაპატონი თანამდებობიდან გადააყენეს. „ჯოვანი ტრაპატონი თხემით ტურფამდე ჯუნტლმენი და მსოფლიოში ერთ-ერთი წარმატებული მწვრთნელია, — ამბობს „მტუტგარტის“ პრეზიდენტი, ერვინ სტოდტი, — მაგრამ ჩვენს გუნდში მან ვერ მიიღწია ისეთ შედეგებს, როგორსაც მოველოდით...“ ტრაპის გარდა, მთელი სამწვრთნელო შტაბიც გადადგა, რომელშიც გერმანიის ნაკრების შემაღველობაში 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონი, ანდრეას ბრემეც შედიოდა. არდადეგების შემდეგ, „მტუტგარტმა“ 3 მატჩში მხოლოდ ერთი ქულის მოპოვება მოახერხა. სწორედ ამის გამო, ცოტა ხნის წინ, კლუბის ხელმძღვანელობამ მთელი სამწვრთნელო შტაბი თათბირზე დაიბარა, სადაც მისი გადაყენების გადაწყვეტილებაც მიიღო. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე სეზონში „მტუტგარტი“ ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძოდა, მაგრამ ამჟამად, ამ მიზნის მიღწევა უკვე ძალზე გაძნელებულია.



## ჩს ფიქობს ხაბი...

Audi-ს მარკის ავტომობილებმა ზედიზედ სამჯერ გაიმარჯვა ჟურნალის — Auto Motor und Sport — მკითხველთა გამოკითხვის შედეგად. უკვე მეოთხე წელია, რაც გერმანიაში ამ პოპულარული საავტომობილო გამოცემის მკითხველები, წარმომადგენლობითი კლასის მანქანებს შორის საუკეთესოდ აღნიშნული მარკის სედას — A8-ს ასახელებენ.

ამ მოდელმა უმაღლესი შეფასება მიიღო ისეთი მონივნე ტექნოლოგიების გამოყენების წყალობით, როგორცაა ალუმინის ძარა, აგრეთვე — სავალი თვისებების, მიმზიდველი გარეგნობისა და შთაბეჭდავი დიზაინის გამო.

ალსანიშნავია, რომ წლევედელი წლის შუა პერიოდიდან, კომპანია, A8-ის ახალი მოდიფიკაციის გაყიდვას დაიწყებს. ახალი „აუდი“ აღჭურვილი იქნება ძრავათი V10, რომლის სამუშაო მოცულობა 5,2 ლ იქნება და 100 კმ/სთ სიჩქარეს 5,1 წმ-ში განავითარებს. გერმანიაში ამ მოდელს მომხმარებელს 97.600 ევროდ შესთავაზებენ.

რაც შეეხება დასახელებულ გამოკითხვას: ბიზნესკლასის მოდელებს შორის, ასევე „აუდის“ მარკის მანქანამ — A6-მა გაიმარჯვა, რომელიც სხვათა შორის, შარშან გერმანიაში, რეალიზაციის მაჩვენებლით ამ კლასში პირველ ადგილზე გავიდა. ელევანტურ სპორტულ Audi A6-ს მომხმარებელს სედანისა და უნივერსალის მოდიფიკაციებით სთავაზობენ. აქვე უნდა ითქვას, რომ „აუდის“ ბიზნესსედიანი არაერთი საერთაშორისო ჯილდოთა აღნიშნული, მათ შორის „ტიტულით“ — „2005 წლის ავტომობილი“ კონკურსში — World Car of the Year.

ჟურნალის — auto Motor und Sport — მკითხველთა ფავორიტებს შორის აღმოჩნდა აგრეთვე, Audi A3, რომელიც პირველ ადგილზე კომპაქტ-კლასის მანქანებს შორის გავიდა. მომცრო ზომის ამ მანქანაში ფირმის სპეციალისტებმა მოახერხეს, მაქსიმალურად ამოეწურათ ე.წ. პრიმიუმ-სედიანის პოტენციური შესაძლებლობები. შეგახსენებთ, რომ A3-ს სამკარიანი მოდიფიკაციის და Sportback-ის ვარიანტებში აწარმოებენ.

## Porsche Cayenne Turbo S



ფირმა „პორშე“ გამოუშვა სპორტული ყველაგნმავლის — Cayenne — ე.წ. ტოპმოდელი, რომელსაც Turbo S ეწოდება. „კაინის“ ახალი მოდიფიკაცია 521 ცხ.ძ. სიმძლავრის ძრავათა აღჭურვილი და ამის წყალობით, „პორშეს“ აღნიშნულ სამოდელო რიგში მეორე ადგილი უკავია, სპორტული Carrera GT-ის შემდეგ, რომლის სიმძლავრე 612 ცხ.ძ-ა. Turbo S-ის მაქსიმალური სიჩქარე 270 კმ/სთ-ია, 100 კმ/სთ-ს კი ის 5,2 წმ-ში ავითარებს. ამასთან, სანავის ხარჯი 100 კმ გარბენზე 15,7 ლ-ს არ აღემატება.

გარეგნულად ახალი მოდიფიკაცია 20-დუიმიანი საბორბლე დისკებით გამოირჩევა. მისი სალონი ტყავითაა განწყობილი, სავარძლებს ინდივიდუალური გამათბობლები და რეგულირების ინდივიდუალური სისტემა ახლავს. ევროპულ ბაზარზე Porsche Cayenne Turbo S-ის საწყისი ფასი 117.573 ევრო გახლავთ.

## Renault — სპოხტეცი ენივეხსაი

მარტში დაგეგმილი, ჟენევის საერთაშორისო ავტოსალონის დამთვალეერებელთა სამსჯავროზე ფრანგული ავტოგიგანტი წარმოადგენს კონცეპტუალურ მოდელს — Altica. სპორტული უნივერსალის პარამეტრებია: სიგრძე — 4,27, სიმაღლე — 1,36, სიგანე — 1,83 მ, საბორბლე ბაზა — 2,62 მ. „ალტიკას“ საკმაოდ გრძელი კაპოტი აქვს და კარები, რომლებიც არა გვერდზე, არამედ ზემოთ აწევიტ იღებთ. წინა საქარე მინა პანორამული ფორმისაა, უკან კი, ფაქტობრივად, ვერტიკალურია, რაც მანქანას დინამიკურ იერს ანიჭებს. ე.წ. დიოდურ მამუქებში ინტეგრირებულია როგორც შორი და ახლო განათება, ასევე ე.წ. „გაბარტიები“.

მანქანის სალონი 4 ინდივიდუალური სავარძელია. ხელსაწყოთა პანელი და საბედლე კვანძი ელექტროამძრავითაა აღჭურვილი, რაც მძღოლის სიმაღლესა და კომპლექციასთან ადაპტირებას ემსახურება. საბარგო დანაყოფის მოცულობა, უკანა სავარძლების დაკეცივის შემთხვევაში, 1300 ლ-ს აღწევს.

მანქანა 2 ლ მოცულობის 177 ცხ.ძ. სიმძლავრის ძრავათა აღჭურვილი. 100 კმ/სთ სიჩქარეს ის 7,5 წმ-ში განავითარებს. კომპანიის ინფორმაციით, სანავის საშუალო ხარჯი ყოველ 100 კმ-ზე 5,3 ლ-ს არ აღემატება.



## ჰიესეუხანტი Jaguar-ისაგან



ამ დღეებში კომპანიამ გამოაცხადა თავისი ორი ახალი მოდელის — Jaguar XK მარკის კუპესა და კაბრიოლეტის ფასები. ამ მანქანებს ევროპელი დილერები უკვე მარტის დამლევითვის მიიღებენ. 298 ცხ.ძ. სიმძლავრის, V ტიპის 8-ცილინდრიანი, 4,2 ლ მოცულობის ძრავათა აღჭურვილი კუპე, რომელსაც 6-საფეხურიანი ავტომატურ გადაცემათა კოლოფი აქვს, 81.500, კაბრიოლეტი კი — 89.500 ევრო ღირს. ორივე მოდიფიკაციის საბაზო კომპლექტაციაში შედის: ტყავის სავარძლები სამსაფეხურიანი გამათბობლით, ნატურალური ხისა და ალუმინისგან დამზადებული დეკორატიული დეტალები, 18-დუიმიანი საბორბლე დისკები, კლიმატ-კონტროლი, სანავიგაციო სისტემის სამართავად განკუთვნილი, 7 დუიმი დიაგონალის დისპლეი, სტერეოკომპლექტი, 6 დისკისთვის გათვალისწინებული CD-ჩეინჯერი.

# წმინდა მარინე

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ერთ-ერთი წმინდელი სინამდვილეა წმინდა მარინე უხრწნელი მკლავი, რომელიც ამჟამად ზუგდიდის ისტორიულ მუზეუმშია დაცული. მეზუუმში ეს უდიდესი სინამდვილე 1923-1926 წლებში გადაუტანათ ხობის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიიდან...

## მორენა მერკვილაძე

წმინდა მარინე დაიბადა პისიდიის ანტიოქიაში, წარმართი ქურუმების ოჯახში. დედით ადრეულ ასაკში დაობლდა, ამიტომ შვილზე ზრუნვა მამამისმა ძიძას მიანდო. წმინდა ქალწულის გამდეული ქრისტიანი იყო. მან მარინე მართლმადიდებლური სარწმუნოების ერთგულებით აღზარდა. როდესაც მამამისმა შეიტყო, რომ ნეტარი ქალწული ქრისტიანულ სჯულზე მოექცა, საკუთარი ასულისადმი სიძულვილით აღივსო და უარი განაცხადა მასზე.

როდესაც წმინდა მარინე წამოიზარდა, იმპერატორმა დიოკლეტიანემ (284-305) სასტიკი დევნა დაუწყო ქრისტიანებს, რაშიც თავისი ქვეშევრდომებიც ეხმარებოდნენ. მართლმორწმუნეთა დასასჯელად, ანტიოქიაში მიმავალი ეპარქი ოლიმპრი გზაში შემთხვევით შეხვდა წმინდა მარინეს, რომელიც მაშინ 15 წლის იყო. ეპარქი ძალზე მოიხიბლა ქალწულის მშვენიერებით და ვინაობა და წარმომავლობა გამოჰკითხა. მარინე თავმდაბლად პასუხობდა ოლიმპრის მიერ დასმულ ყველა კითხვას, არც ის დაუმალავს, რომ ქრისტეს სჯულს აღიარებდა და უფლისთვის აპირებდა ცხოვრების მიძღვნას. როდესაც ეპარქმა ამის შესახებ შეიტყო, თავის თანმხლებ მეომრებს მისი შეპყრობა და ქალაქისკენ თან გაყოლივა უბრძანა. იგი სიფრთხილით



ეპყრობოდა ნეტარ ქალწულს, რადგან ცდილობდა, ტყვილი სიტყვით დაეყოლიებინა რწმენის უარყოფაზე და ცოლად შეერთო, რაზეც წმინდა მარინეს განსასტიკი უარი მიიღო. ღვთის სიყვარულით აღსავსე მარინე ლოცვით შესთხოვდა უფალს ძალას, რათა უღმერთოთათვის წინააღმდეგობა გაენია.

ბოლოს, ეპარქი მუქარით შეეცადა მარინეს დაყოლიებას — მსხვერპლი შეეწირა კერპებისთვის. მაგრამ ქრისტეს მხევალი კვლავ მტკიცედ იცავდა ქრისტეს სჯულს და მზად იყო, თავი გაენიერა ჭეშმარიტი სარწმუნოებისათვის.

ოლიმპრის ბრძანებით, მარინე საპყრობილეში ჩასვეს, დილეგში გამომწყვდეული ქალწული შეუჩერებელი ლოცულობდა. უფლის შემწეობამაც არ დააყოვნა და წყალობის თვალთ გადამოხედა ნეტარს: ღამით წმინდანის თავზე მანათობელი ჯვარი გაბრწყინდა, რომელსაც თეთრი მტრედი დაადგა თავზე, ზეციდან კი გაისმა ხმა: „გიხაროდენ, მარინე, ქრისტეს გონიერო მტრედო! რამეთუ დათრგუნე მდომის სივერაგე; გიხაროდენ, რამეთუ ბრძენ ქალწულთა თანა ღირს იქმნები შესვლად ქორწილსა სიძისა შენისასა, უკვდავისა მეუფისა ზეცათასა!“ ამ სიტყვებმა გაამხნევა წმინდა მონამე და იგრძნო, რომ


წყლულებსგან იკურნებოდა. მან მადლობა შესწირა უფალს...

როდესაც მეორე დღეს ეპარქმა, წმინდა ქალწული სრულიად ჯანმრთელი იხილა, მომხდარი სასწაული კერპებს მიანერა და მარინეს კვლავ მათი თაყვანისცემა მოსთხოვა. ნეტარი მონამე კი, ისევ და ისევ, ჭეშმარიტ ღმერთს ადიდებდა. მაშინ, ოლიმპრის ბრძანებით, მარინე ისევ ანამეს: გაკოჭეს და წყლით სავსე უზარმაზარ კოდში ჩააგდეს. ქალწული მადლობას სწირავდა უფალს და შესთხოვდა, რომ მისთვის ციური სასუფეველი დაემკვიდრებინა. უცერად, წმინდა მონამე ღვთაებრივმა ნათელმა გააცისკროვნა, თოკები თავისით გაიხსნა და წყლიდან სრულიად შენეებული ამოვიდა. ამ სასწაულის მხილველმა მრავალმა ადამიანმა ირწმუნა და ხმამაღლა აღიარა ჭეშმარიტი ღმერთი. გააფთრებულმა ეპარქმა ბრძანა, რომ ქრისტეს რჯულის ყველა აღმსარებელი ამოეყლიტათ. 1500 ქრისტიანი გამოასალმეს სიცოცხლეს უსჯულოებმა, წმინდა მარინეს კი თავი მოჰკვეთეს...

წმინდა მარინეს უხრწნელი ნაწილები 1204 წლამდე — ჯვაროსნების მიერ კონსტანტინოპოლის აღებად, პანტეონტის მონასტერში იყო დაცული. თუმცა, არსებობს სხვა ვერსიაც, რომლის თანახმადაც, წმინდანის წმინდა ნაწილები 908 წლამდე ანტიოქიაში ესვენა, შემდეგ კი, იტალიაში გადააბრძანეს, ხოლო მისი უხრწნელი მკლავი ათონის წმინდა მთაზე მდებარე ვათოპედის მონასტერში გადასვენეს და დღემდე იქ ინახება. მეორე მკლავი კი, როგორც აღვნიშნეთ, საქართველოში მოხვდა — იგი ხობის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში იყო დაცული, შემდეგ — ზუგდიდის ისტორიულ მუზეუმში დაივანა. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის არაერთმა სინამდვილემ, კომუნისტების მმართველობის პერიოდში, უფრო მეტი უსაფრთხოების მიზნით, საქართველოს მუზეუმებში დაიდო ბინა.

ზუგდიდის ისტორიულ მუზეუმში დაცული, წმინდა მარინეს უხრწნელ მკლავს ორი თითი აკლია. იგი მუზეუმში დაცულ სხვა სინამდვილეებთან ერთად, მოთავსებულია ვერცხლით მოჭედდელ, პატარა ზომის სანაწილე ყუთში, რომელსაც მხედრული წარწერა ამშვენებს. წარწერა გაუკეთებიათ სამეგრელოს თავადის, ლევან დადიანის (1611-1657 წწ.) დაკვეთით.

წმინდა მარინეს უხრწნელი მკლავის გარდა, ზუგდიდის ისტორიულ მუზეუმში ინახება სხვა წმინდანთა წმინდა ნაწილებიც: წმინდა კვირიკეს ხელის მტევანი, წმინდა იოანე ნათლისმცემლისა და წმინდა გიორგის ძვლების ნაწილები, რომლებიც, როგორც აღვნიშნეთ, 1936 წლამდე, ხობის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში ყოფილა დავანებული. იმის შესახებ, თუ როგორ აღმოჩნდა ეს სინამდვილეები საქართველოში. ზუსტი, სარწმუნო ცნობები არ მოიპოვება.




წმინდა მარინეს უხრწნელი მკლავი



# დეპრესია და მძიმე აზრები

ხანდახან ადამიანები ვინცებთ ნუნუნს, რომ ცხოვრება დაუნდობელია, ცუდად ვგრძნობთ თავს და გუნება-განწყობილება გვიფუჭდება. ასეთ დროს, ჩნდება კითხვები: რა არის ჩვენი ცხოვრების მიზანი? რას წარმოადგენს სამყარო?... ხშირად კი, მოთმინების ძაფიც წყდება და — მორჩა! გვეჩვენება, რომ სიცოცხლე დამთავრდა... ვინ არ იცის, რომ ასეთ სულიერ მდგომარეობას დეპრესია ჰქვია?! ამ დროს, გონება სხვანაირი რეჟიმით იწყებს ცხოვრებას, სამყაროს სხვა კუთხით აღვიქვამთ და ყველა ილუზია ქრება: ხედავ ყველა შავბნელ „კუთხე-კუნჭულს“ და შესაძლოა, კარგმა ამინდმაც კი გაგალიზიანოს, რადგან გგონია — გარშემო ყველაფერი კარგადაა, ყველა ბედნიერია და მხოლოდ შენ ხარ ცხოვრებისგან დაჩაგრული... ასეთი მძიმე აზრები დეპრესიის თანამდევია და მისგან თავის დაღწევა მაშინაა შესაძლებელი, თუ წარმოშობის მიზეზს დავადგენთ.



## მარი ჯაშარიძე

ფსიქოლოგი მარინა რეხვიაშვილი დაგვეხმარება, გავარკვიოთ, თუ რა არის დეპრესია, როგორ მოვიშოროთ მძიმე აზრები და რა საფრთხე გვემუქრება, თუ დეპრესიული მდგომარეობა დიდხანს გაგრძელდა. ქალბატონი მარინა ჯგუფურ თერაპიას ატარებს ერთდროულად 4 დეპრესიულ პაციენტთან. საშუალება მომეცა, დავსწრებოდი ერთ-ერთ სეანსს და შემდეგ, პაციენტებს გავსაუბრებოდი. ისინი მეგონის გარშემო ისხდნენ და მარინას ელოდნენ. ერთმანეთს გულახდილად ესაუბრებოდნენ და გასული დღეების ამბებს ჰყვებოდნენ. ერთი ქალბატონი დანარჩენებთან საკუთარ რძალზე ჭორაობდა:

— მაგის გამოსწორებას ხომ ვერ ვეღირსე! მთელი დღე შინ ზის და ტელეფონზე ჭორაობის მეტს არაფერს აკეთებს. ბავშვებს სკოლაში გაუშვებს თუ არა, ჯერ თავის ქმარს ურევავს სამსახურში და რალაცას ეჩურჩულება (ალბათ, ჩემზე ეჭორავება), მერე, დედას დაურევავს და მთელი საათი ელაპარაკება. მე ამ დროს ვზივარ და ველოდები, როდის მორჩება ლაპარაკს, რომ საუბრე გამიმზადოს.

საუბარში პაციენტი მამაკაცი ჩაერთო:

— კი, მაგრამ შენ თვითონ რატომ არ იმზადებ საუბრეს? რძალს რატომ ელოდები?

— მე ჩემი ცხოვრების მანძილზე იმდენი ვიმუშავე და იმდენი გაჭირვება ვნახე, რომ ახლა უნდა დავისვენო. ჩემი ქმრის გარდაცვალებამ საერთოდ დამიკარგა ცხოვრების ხალისი. აღარაფრის გაკეთება არ მინდა და მარტო იმის სურვილი მაქვს, რომ ვილაც მემსახუროს... ჩემმა რძალმა არაფრის გაკეთება არ იცის. იქნებ, სპეციალურად აკეთებს ისე, რომ თუ ჩემთვის კვერცხს ან

კარტოფილს წვავს, აუცილებლად უნდა დანვას და დახრაკოს; თუ წვნიანს აკეთებს — ან მარილიანია, ან მთლად უგემური. მე სულ დიეტურ კერძებს მივირთმევ, რადგან კუჭი მანუხებს და ამიტომ ჩემთვის, ცალკე ამზადებს კერძს.

— კი, მაგრამ კვერცხს რომ ჭამ, ეგ დიეტურია?

— არ არის დიეტური, მაგრამ კვერცხი მიყვარს...

— ჰოდა, შენ დიეტაზე კი არ ყოფილხარ, რძლის წვალეა მოგნონს და ეგ არის...

— ოჰ, შენ რა იცი, დავით! ვანვალე, თორემ, ისიც იკლავს თავს! სულ დამწვარს მაჭმევს... ამას წინათ კი, გაზქურის ონკანი სპეციალურად დატოვა გახსნილი, რომ მე გავგულუღუღიყავი...

— ასე რატომ ამბობ? თუ ფიქრობ, რომ შენთვის განგებ ამზადებს უგემურ კერძებს, ადექი და შენ თვითონ მოიზადე, ჯან-ლონით სავსე ქალი ხარ, რატომ ჯიუტობ?! თანაც, მარინამ წინა მცადანებობაზე ხომ გითხრა, რომ ეგ მძიმე აზრებია და უნდა მოიშორო. გეჩვენება, თითქოს რძალი განგებ გექცევა ასე. ერთხელ თუ შემთხვევით მიენვა კარტოფილი, ეგ იმას არ ნიშნავს, რომ ბოროტად მოიქცა. გაისხენე შენი ახალგაზრდობა, არასოდეს დაგნვია კერძი?... გაზის ონკანს რაც შეეხება, ეს უკვე ცილისწამებას ჰგავს. რძალი არ გიყვარს და ათას რამეს აბრალებ...

ბატონი დავითი 50 წელს მიტანებულ იქნა, სიმპათიური მამაკაცია. ის უკვე 2 თვეა, ქალბატონი მარინას პაციენტი და თითქმის მთლიანად დააღწია თავი დეპრესიას. როგორც თვითონ ამბობს, ასეთ მდგომარეობამდე ქვეყანაში მომხდარმა რევოლუციურმა ცვლილებებმა მიიყვანა:

— შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს, საკმაოდ დიდი ორგანიზაციის ხელმძღვანელი გახლდით. ეს სახელმ-

ნიფო დანესებულეა. როგორც კი ხელისუფლება შეიცვალა, მაშინვე დავნერე განცხადება გადადგომაზე. იმიტომ კი არა, რომ მათთან მუშაობა არ მინდოდა — უბრალოდ, ვიფიქრე: როდესაც გაიგებენ, ამ ორგანიზაციას ამდენი ხნის განმავლობაში ვხელმძღვანელობდი, მიხვდებიან, რომ მისი მართვა არც ახლა გამიჭირდება და აუცილებლად დამიძახებენ-მეთქი; ასე ვთქვათ, არჩევანის საშუალება მივეცი და მათაც სხვა აირჩიეს... როდესაც გავიგე, რომ ჩემს ადგილზე გამოუცდელი და ამ საქმის უცოდინარი, ახალგაზრდა კაცი დანიშნეს, გამეცინა. ვფიქრობდი, ეს ყმანვილი თავს ვერ გაართმევდა ასეთ რთულ საქმეს და ისევ მე მიმიწვევდნენ, თუნდაც კონსულტანტად, მაგრამ ნურას უკაცრავად. უცხოეთიდან ვილაც გადამთელი ჩამოიყვანეს და ყოველთვიურად, 20 ათას დოლარს უხდიან, რომ მისი საშუალებით, ორგანიზაციის მართვა შეძლონ. არ ვიცი, რატომ ყრიან ამდენ ფულს, როცა არსებობენ საქართველოში ისეთი სპეციალისტები, ვინც ამ დარგს უხელმძღვანელებს და არცთუ ისე ურიგოდ. ამ შემთხვევაში, მხოლოდ ჩემს თავს არ ვგულისხმობ. ერთი სიტყვით, რომ მიგხვდი, რომ არავის ვჭირდებოდი, დავრჩი უმუშევარი და ფაქტობრივად, ყოველგვარი შემოსავლის გარეშეც. საშინელ დღეში ჩავვარდი... არ დავმალავ, რომ ქრთამიც ამიღია და ფული არაკანონიერი გზითაც მიშოვია, მაგრამ იმდენი არა, რომ დანაზოგი მქონოდა. თანაც, იმის შეგრძნება, რომ გამოუსადეგარი ხარ და არავის სჭირდები, საშინელება... ძალიან აგრესიული გახდი, სულ მეჩვენებოდა, რომ დღეს თუ ხვალ მოვკვდებოდი; თუკი ვინმეს წინაშე თუნდაც მცირე დანაშაული მიმიძლოდა, გამუდმებით იმ ადამიანზე ვფიქრობდი. უცოდველი ამქვეყნად არავინაა და არც მე ვარ გამონაკ-



ლისი. მეჩვენებოდა, რომ ვილაცის წყევ-  
ლამ მიწია. შევეცადა გამეხსენებინა, ვინ  
შეიძლებოდა ყოფილიყო და გამახსენ-  
და ერთი ქალბატონი, რომელსაც ახ-  
ალგაზრდობაში ვიცნობდი და ძალიან  
ვატკინე გული.

**— ალბათ, სასიყვარულო ამ-  
ბავს გულისხმობთ, ხომ?**

— დიახ. სულ რაღაც 2 თვის დაო-  
ჯახებული ვიყავი, როცა ეს ქალბატონი  
გავიცანი. 4 წელი გრძელდებოდა ჩვენი  
ურთიერთობა. ბოლოს კი გამომიცხა-  
და, რომ ორსულად იყო და ბავშვის  
გაჩენას აპირებდა. ამის წინააღმდეგი  
ვიყავი. მე და ჩემს მეუღლეს შვილი არ  
გვყავდა, მაგრამ მიუხედავად ამისა,  
ოჯახის დანგრევას არ ვაპირებდი. ნი-  
ნოს რომ შვილი გაეჩინა, მე ძალაუნებ-  
ურად, მისკენ გამიწვედა გული და ბუნე-  
ბრივია, ოჯახს ვერ შევინარჩუნებდი.  
მეორე მხრივ — ძალიან მინდოდა შვილი,  
მაგრამ თავს მოვერიე და ნინო ვაიძუ-  
ლე, რომ ბავშვი მოეშორებინა. იმაზე  
დიდი თანხა მივეცი, ვიდრე საჭირო  
იყო და ექიმთანაც მე თვითონ მივიყვ-  
ანე. ის ექიმთან ავიდა, მე კი მანქანაში  
ველოდი მის გამოჩენას და რომ დავი-  
ნახე, როგორი გაფითრებული მოდიო-  
და, გული შემეკუმშა, მაგრამ არაფერი  
შევიმჩნიე. შინ მივიყვანე და იმის შემ-  
დეგ, აღარც მინახავს... მაშინ სულაც  
არ ვფიქრობდი იმაზე, რომ შვილი  
არასოდეს მეყოლებოდა. ალბათ,  
სწორედ ამისთვის დავისაჯე და გვარის  
გამგრძელებელი არ მეღირსა. თუმცა,  
ექიმები ამტკიცებდნენ, რომ მეც და ჩემი  
მეუღლეც სრულიად ჯანმრთელები ვიყავ-  
ით... 10 წლის შემდეგ, ბავშვი ვიშვი-  
ლეთ. ძალიან შევიყვარე მერაბი, მაგრამ  
ისევ არ გამიმართლა: დღეს ის პატიმა-  
რია და რუსეთის ციხეში კიდევ 12 წელი  
უნდა იჯდეს. არც ვახსოვართ მე და  
დედამისი. ბევრი რომ აღარ გავაგრძე-  
ლო, ეს ყველაფერი გონებაში მაშინ გა-  
დავხარზე, როცა დეპრესიაში ჩავვარ-  
დი და ვიფიქრე, რომ სწორედ ეს ცოდავ  
იყო ყველაფრის თავიდათავი. გადავწ-  
ვიტე, ნინო მომეძებნა. 3-4 თვე დამ-

ჭირდა, ვიდრე მივაგნებდი მის ადგილ-  
სამყოფელს. გავიგე, რომ გათხოვილი  
იყო, სამი შვილიც ჰყავდა, მაგრამ უკან  
არ დამიხვეია, პირდაპირ სახლში მი-  
ვადექი. ბედად, მარტო იყო. რომ დამ-  
ინახა, თვალები გაუფართოვდა. ბევრი  
ვილულულე და ვემუდარე, მაპატიე-  
მეთქი. მაპატიე... რამდენიმე ხნის შემ-  
დეგ კი, სახლში ახალგაზრდა ბიჭი მენვია  
და მითხრა, რომ ის ჩემი და ნინოს  
შვილი იყო... გაოცებული ვუყურებდი,  
რადგან ვერ ამეხსნა, როგორ მოველინა  
ქვეყანას ეს ბავშვი. თურმე, როცა მე  
ექიმთან შესულ ნინოს მანქანაში ველოდი  
და მეგონა, რომ ნინო ჩემს ბრძანებას  
ასრულებდა, ის დერეფანში იჯდა და  
ტიროდა. გარკვეული დროის შემდეგ  
კი, გამოვიდა ისე, თითქოს ყველაფერი  
რიგზე იყო. ასე შეინარჩუნა ჩემი შვილი  
და ახლა, უკვე გაზრდილი და დავაუკა-  
ცებული, თვითონ მიყვებოდა, როგორ  
გადაარჩინა დედამ, მაშისგან განწირუ-  
ლი... მისი წასვლის შემდეგ, 2 დღე მზას  
არ ვიღებდი და თავის მოკვლის სურ-  
ვილი მანვალებდა. აბა, ვის ვჭირდები?!  
აღარ ვმუშაობ, ამიტომ ცოლისთვის  
უკვე გამოუსადეგარი ვარ; შვილიც არ  
მიმიღებს, რადგან ყველაფერი ისე მოუყ-  
ოლია დედამისს, როგორც სინამდვილე-  
ში მოხდა... დროდადრო, ნინოზე ვბრა-  
ზობდი, რადგან სხვებსაც გაუჩენიათ ასე  
შვილები, მაგრამ ატყუებენ, — მამა  
სახლვარგარეთაა, ან პილოტი იყო და  
თვითმფრინავი აუფეთქდა, ან რა ვიცი,  
კიდევ ათასგვარ შეთხზულ ამბავს უყვე-  
ბიან ხოლმე, ამათ კი სიმართლე უთხრა  
და ახლა შვილი, რა თქმა უნდა, არ  
მიმიღებს-მეთქი, — ვფიქრობდი... მა-  
გრამ რას ვერჩოდი ნინოს?! იმისათვის,  
რომ საკუთარი თავის ფასი გამეგო,  
ძმაცაც დავურეკე, ვიფიქრე — სადმე  
დავპატიჟებ, ჩემს ამბებს მოვუყვები,  
თანაც, მისგან რომ სიტბოსა და სიყ-  
ვარულს ვიგრძნობ, მივხვდები, რომ ჩემს  
სიცოცხლეს აზრი აქვს-მეთქი... დავრეკე.  
ყურმილი მისამსახურემ აიღო და  
მითხრა — დღეს შვილიშვილის ნათ-  
ლობა აქვთ და შინ არავინაა, ყველანი  
რესტორანში არი-  
ან წასულბიო... მა-  
შინ კი, უკვე საბ-  
ოლოოდ გადავწ-  
ვიტე, რომ თავი  
უნდა მომეკლა.  
აღმოჩნდა, რომ  
აღარც მეგობარს  
ვჭირდებოდი: ასე  
რომ არ ყოფილ-  
იყო, ნათლობაში  
ხომ დამპატიჟებ-  
და!.. შინ მარტო  
ყოფნისას, დრო  
ვიხელთე და ჭალის  
კაუჭზე ჩამოვავი-  
თოკი. სკამზე შევდ-  
ექი, რომ ყულფი  
გამეკეთებინა. მერე,  
უნდა ჩამოვ-

სულიყავი, გამოსამშვიდობებელი წერ-  
ილი დამეწერა და ამის შემდეგ  
დამემთავრებინა სიცოცხლე. მაგრამ  
ჩამოსვლისას, სკამი აყირავდა და მოვა-  
დინე ბრახვანი. ისე მეტკინა კუდუსუ-  
ნის ძვალი, რომ თვალთ დამიბნელდა  
და ვაი-ვაის ძახილით, ძლივს წამოვდე-  
ქი ფეხზე. ამის მერე, თავის მოკვლას  
გადავიფიქრე. ჩემმა ცოლმა სწორედ ის  
დროს მომიხსნო, როცა კაუჭიდან  
თოკს ვხსნიდი და კივილით შეძრა იქაუ-  
რობა... ის თოკი ისევ იქ კიდია, მე კი  
მარინასთან მოვედი და ახლა უკვე გარ-  
გად ვგრძნობ თავს. შვილთან კარგი  
ურთიერთობა მაქვს. გადავწყვიტეთ,  
რომ ის, თავისი ცოლ-შვილით, ჩემთან  
გადმოსულიყო საცხოვრებლად და მე  
და ჩემს მეუღლესაც გვიპატრონებს. —  
შენ მხოლოდ ის გევალება, რომ შვილ-  
იშვილები ასეირნო და მათთან ითამა-  
შოო, — მითხრა...

**მარინა რახვიაშვილი,  
ფსიქოლოგი:**

— დეპრესია წარმოადგენს ადამიანის  
რეაქციას რაიმე ღირებულის ან ძვირ-  
ფასი ადამიანის ან საკუთარ თავში  
რწმენის დაკარგვაზე. ეს გახლავთ ერთ-  
ერთი ყველაზე გავრცელებული დაავადება  
და სწორი მიდგომის შემთხვევაში, წარ-  
მატებით იკურნება. რა თქმა უნდა, ეს  
არ არის სასიამოვნო მდგომარეობა,  
მაგრამ გარკვეულწილად — სასარგე-  
ბლოა. ცნობილია, რომ დეპრესიული  
მდგომარეობა ერთ-ერთი ყველაზე  
პროდუქტიული პერიოდია შემოქმედი  
ადამიანებისთვის. ძალზე ბევრი უკვდავი  
ლექსი თუ ტილო ავტორს სწორედ  
დეპრესიულ მდგომარეობაში ყოფნის  
დროს აქვს შექმნილი... ეს მდგომარეო-  
ბა კიდევ იმით არის სასარგებლო, რომ  
როცა დეპრესია გაივლის, ადამიანს სრუ-  
ლყოფილებისკენ სწრაფვა უჩნდება.  
დეპრესიაში მყოფ ადამიანებს ყველაფერი  
მუქ ფერებში ეჩვენებათ და იწყებენ  
ფიქრს სამყაროს ამაოებაზე. უღრმავდ-  
ებიან ყოველ წვრილმანს, ყველაფერში  
მხოლოდ ცუდს ხედავენ და მძიმე აზრე-  
ბი ეძლევათ. მაგალითად, არსებობს კატ-  
ეგორია ადამიანების, რომლებსაც მა-  
ჯის საათის ტარების ეშინიათ: ისინი  
ფიქრობენ, რომ თუ საათს ატარებენ,  
დრო უფრო სწრაფად გავა და მალე  
დაბერდებიან. თუ ადამიანი დეპრესია-  
ში არ არის, ასე არასოდეს იფიქრებს.  
დეპრესიული ადამიანები განიცდიან  
ლეღვას ან სევდას. მიაჩნიათ, რომ მათზე  
უბედური ქვეყნად არავინაა. არაფერი  
ახარებთ და ფიქრობენ, რომ უსუსურე-  
ბი და უსარგებლონი არიან. მაგრამ მხო-  
ლოდ ამით როდი შემოიფარგლება ის  
სიმპტომები, რომლებიც დეპრესიას ახა-  
სიათებს. ეს დაავადება ხშირ შემთხვევა-  
ში, ფიზიკურადაც ვლინდება — კერ-  
ძოდ, იწვევს თავის ტკივილს, უძილო-  
ბას, თავბრუსხვევას, უსიამოვნო შეგ-  
რძნებას მუცლისა და მკერდის არეში.  
არსებობს „შენიღბული დეპრესია“,  
როდესაც ეს დაავადება „დამალულია“



არსებობს რამდენიმე სახის დეპრესია  
და ექიმი, დიაგნოზის დასმის დროს,  
სხვადასხვა გერმინს იყენებს



რომელიმე სომატური დაავადების ნიღბით. ასეთ შემთხვევაში, პაციენტი უსარგებლოდ მკურნალობს თერაპევტთან, უროლოგთან, ქირურგთან თუ გინეკოლოგთან, რადგან მას აქვს დეპრესიული მდგომარეობა და ფიზიკურად ეს დაავადება გამოვლინდება სხვადასხვა დარღვევის სახით, შენიღბულად.

**ამ დაავადებას ალბათ, ძალზე განსხვავებული გამოვლინებები აქვს, ინდივიდუალური თვისებების შესაბამისად...**

— არსებობს რამდენიმე სახის დეპრესია და ექიმი, დიაგნოზის დასმის დროს, სხვადასხვა ტერმინს იყენებს. დეპრესია შესაძლოა, იყოს ნევროზული და ენდოგენური, მონოპოლარული და ბიპოლარული, სიტუაციური და რეაქტიული. თითოეულ მათგანს სჭირდება თავისებური მიდგომა და მკურნალობის მეთოდი. როდესაც იგებთ ტერმინს — „ნევროზული დეპრესია“, — ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენი მდგომარეობა გამოწვეულია სხვადასხვა ცხოვრებისეულ სიტუაციაზე რეაქციით. რეაქტიული და სიტუაციური დეპრესიისგან განსხვავებით, ნევროზულ დეპრესიას გაცილებით ხანგრძლივი მკურნალობა სჭირდება. ენდოგენურ დეპრესიას იწვევს არა მხოლოდ პიროვნული თავისებურებები, არამედ მემკვიდრეობით აპარატში მოშდარი ცვლილებები — მაგალითად, ნივთიერებათა ცვლის პროცესის დარღვევა. ასეთ დროს, შესაძლოა, დეპრესია გამოვლინდეს უცაბედად, ყოველგვარი უარყოფითი, ცხოვრებისეული მოვლენის გარეშე. მის გამოვლინებას კი შესაძლოა, ბიძგი მისცეს ნელინადის დროის შეცვლა და უბრალო გაცივებაამაც კი. ბიპოლარული დეპრესია კი შესაძლოა, გუნება-განწყობილების დაქვეითების ნაცვლად, საკმაოდ ამაღლებული განწყობილებით მიმდინარეობდეს, რაც ძალზე საშიშია, რადგან ხასიათის ასეთ მკვეთრ გამოკეთებას უეჭვლად მოჰყვება მისი დაქვეითება, რასაც ავადმყოფი მტკივნეულად განიცდის. მონოპოლარული დეპრესიის დროს, არ შეინიშნება ხასიათის ასეთი მკვეთრი ცვლილება და ავადმყოფობა ერთ ემოციურ ფონზე მიმდინარეობს. დეპრესიით დასწეულთათვის ძალზე მნიშვნელოვანია ოჯახის წევრების დამოკიდებულება. ასეთ დროს, ავადმყოფს უნდა აგრძნობინოთ, რომ ის გიყვართ, გჭირდებათ და რომ თქვენს ცხოვრებას უიმისოდ აზრი არ ექნება.

— როგორი მეთოდით ხდება დეპრესიის განკურნება?

— დეპრესიისგან განკურნება ხდება ფსიქოფარმაკოლოგიის, ფსიქოთერაპიისა და სოციალური თერაპიის კომპი-

ნაციით. პირველი მეთოდი ითვალისწინებს მკურნალობის პროცესში მედიკამენტების, ანტიდეპრესანტების ჩართვას; მეორე — ექიმი-ფსიქოთერაპევტის მიერ ჩატარებულ საუბრებს. ასეთ დროს დიდი მნიშვნელობა აქვს დროულად ნათქვამ ფრაზას, გამამხნეველ რჩევას და ავადმყოფის ყურადღებით მოსმენას. როდესაც დეპრესიული ადამიანები ექიმს ესაუბრებიან, მას არა მარტო მკურნალად, არამედ მეგობრად, მრჩეველად და საყრდენად მიიჩნევენ. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს დაავადების წარმატებით მკურნალო-



ბისთვის. რაც შეეხება სოციალურ თერაპიას — ამ დროს, ექიმი უნდა დაეხმაროს პაციენტს სოციალური და ყოფითი პრობლემების გადაჭრაში... საუკეთესო შედეგს ვიღებთ მაშინ, როდესაც ავადმყოფს გვერდით ჰყავს მოსიყვარულე ადამიანები, რადგან თუ მას ყოველდღე კონფლიქტი აქვს ოჯახის წევრებთან, ექიმს გაუჭირდება ოპტიმისტურ ტალღაზე მისი მომართვა...

**— ხომ ვერ მოგვიყვანთ რამდენიმე მაგალითს თქვენი პრაქტიკიდან?**

— მყავდა ერთი პაციენტი, რომელიც შეპყრობილი იყო შურისძიების გრძნობით. მას ცოლმა უღალატა და ამის გამო, დეპრესიაში აღმოჩნდა. მაგრამ თუ ასეთსავე მდგომარეობაში მყოფი სხვა პაციენტები საკუთარ თავს ავენებენ, ის ცდილობდა, შური ეძია ცოლსა და მის საყვარელზე, თანაც — ძალზე „არატრადიციული“ მეთოდით: უნდოდა, რომ საყვარლის ცოლი მოეკლა, რადგან სწორედ მას ადანაშაულებდა, ამბობდა — მას რომ კარგი ცოლობა გაენია ქმრისთვის, ის ჩემს ცოლს აღარ დაუნყებდა დევნას... კიდევ ერთ შემთხვევას გავიხსენებ: ჩემი პაციენტი ამტკიცებდა, რომ შიზოფრენიკი იყო და მოითხოვდა, რომ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში დაეწვინათ. არადა, მას მხოლოდ დეპრესია ჰქონდა და მეტი არაფერი... დეპრესიაში მყოფ ადამიანებს ეჩვენებათ, რომ ცუდები არიან, რომ დედამინა უკუღმა ბრუნავს; მათ უყ-

ვართ წვიმიანი ამინდი, რადგან ის მათ განწყობას შეეფერება; უყვართ ზღვის ლელვა და მარტობა... ნებისმიერ საგანსა თუ მოვლენაში საკუთარი განწყობის დანახვა შეუძლიათ...

და, ბოლოს, გთავაზობთ მომცრო ტექსტს, რომელიც დაგეხმარებათ, დაადგინოთ, ხართ თუ არა დეპრესიული ადამიანი და გემუქრებათ თუ არა საფრთხე, რომ უახლოეს მომავალში, გამუდმებით ცუდ გუნებაზე იქნებით.

**მაშ ასე, თუ თქვენ განუხებთ:**

- განშირებული გულისცემა
- მადის დაქვეითება
- მოძრაობის შენელება
- სექსუალური ლტოლვის დაქვეითება
- მხედველობის შესუსტება
- ხშირი უხასიათობა
- თვითრწმენის უქონლობა
- საკუთარი დანაშაულის გადამეტებული გრძნობა
- წარსულში დაშვებული შეცდომების ხშირი გაანალიზება
- საკუთარ გარდაცვალებაზე ფიქრი
- უძილობა
- ენერჯის დაქვეითება
- საღამო ხანს გუნება-განწყობილების გამოკეთება

**• „ყველაფერი სულერთია“-ს განწყობილება**

- ყოყმანი
- მუდმივი დაძაბულობა
- სიკვდილის შიში
- გაღიზიანება
- ჩვეული და საყვარელი გასართობი აღარ განიჭებთ სიხარულს
- ჩვეული საქმე გაძაბავთ და გაღიზიანებთ...


თუ ამ 20 სიმპტომიდან მხოლოდ 2-3 პუნქტი მონიშნეთ, დეპრესია არ გემუქრებათ; თუ 7-8, მაშინ უახლოეს პერიოდში, ნებისმიერმა მარცხმა შესაძლოა, დეპრესია გამოიწვიოს; 14-15 პუნქტის მონიშვნა იმის მანიშნებელია, რომ თქვენ აუცილებლად გჭირდებათ ფსიქოლოგის ჩარევა; 15-ზე მეტი კი, „გისიგნალებთ“, რომ უკვე ფსიქიატრი გჭირდებათ...

**ნდობის ტექნოლოგიის ფსიქოლოგიური კონსულტაციები**

**822 009 005**  
**822-009-099**

ზარი ფახიანია, 18 წლიდან

დაკავშირება შესაძლებელია ტელეფონ-ბარათითაც



### ემა ტუნიავილი

#### დავით სულააკური

— თავდაპირველად, მამის შემოქმედებით მოღვაწეობა იმით დაიწყო, რომ თოჯინების თეატრი ჩამოაყალიბა ჯერ თელავში, შემდეგ — გურჯაანსა და რუსთავში. მასსოვს, ძალიან ძველი ავტომანქანა ჰყავდა, ომზე გადაღებულ ფილმებში ასეთი მანქანები ხშირად მინახავს. ძირითადად, მყარი მუყაოსგან ან ხის მასალისგან აშენებდნენ და „პოლტორატონკებს“ ეძახდნენ. ამ მანქანით მამას ქალაქიდან ქალაქში თავისი თეატრის დასი დაჰყავდა. მათთან ერთად, მე და დედაჩემიც დავდიოდით. დედა ფორტეპიანოზე უკრავდა და სპექტაკლს აკომპანიონებს უკეთებდა, მე კი მამა სპექტაკლში მასაჟებდა. ზოგჯერ რაღაც როლს მომცემდა და იმდენად პატარა ვიყავი, რომ მაყურებელს თოჯინაც ვგონებოდა. თოჯინების თეატრში მუშაობის შემდეგ, მამა სასწავლებლად მოსკოვში გაემგზავრა, სადაც ცნობილ მსახიობთან და რეჟისორთან, სერგეი ობრაცოვთან რამდენიმე წლის განმავლობაში სწავლობდა. იქიდან დაბრუნებულმა კი, საქართველოში პირველი თოჯინური ფილმი — „ნიკო და სიკო“ გადაიღო, სადაც მამა მეორე რეჟისორი იყო. მისი პირველი დამოუკიდებელი ნამუშევარი კი, გახლდათ თოჯინური ფილმი „ძილისგუდა“, ამას მოჰყვა: „ბომბორა“, „ბომბორა სწავლას იწყებს“, „გოგონა და შადრევანი“, რომელმაც ერევანში გამართულ ფესტივალზე პრომეთეს თასი მიიღო. კარლო სულააკური გახლდათ ერთადერთი რეჟისორი ყოფილი საბჭოთა კავშირის მასშტაბით, რომელმაც გადაიღო სრულმეტრაჟიანი თოჯინური ფილმი. ეს იყო „სალამურას თავგადასავალი“. მამასთან ერთად მუშაობდნენ ცნობილი მხატვრები: გივი კასრაძე, ედმონდ კალანდაძე, მურაზ მურვანიძე, მამია მალაზონია, აგრეთვე, ცნობილი კომპოზიტორები.

#### — სად და როგორ მზადდებოდა თოჯინები ფილმებისთვის?

— კინოკერანისთვის თოჯინის დამზადების სირთულე მდგომარეობდა იმაში, რომ ადამიანის სხეულის მსგავსად, ყოველი მისი სახსარი — ხელი იქნება ეს, ფეხი, თავი, კისერი, ყური თუ თვალიც კი — უნდა აგემორაგებინა. ასეთ თოჯინებს საქართველოში არავინ აშენებდა, ამიტომ მათი ხელოსნები, ცოდ-ქმარი ლუტინსკები, მამაჩემს მოსკოვიდან ჩამოჰყავდა. გენადი ლუტინსკი სპეციალური მასალის-

ცნობილი ქართველი რეჟისორის, ან გარდაცვლილი კარლო სულააკურის ოჯახში სტუმრობა, ბავშვობაში დაბრუნებას ჰგავს. ქართული მულტფილმების ზღაპრულ გმირებს, ცისფერი ეკრანების ნაცვლად, რეჟისორის სახლში დაუდევიათ ბინა, სადაც მათ სანახავად მისულ პატარებს ბატონი კარლოს შვილები — ქალბატონი ნანა და ბატონი დათო მასპინძლობენ. მულტფილმის გმირები 50-მდე თოჯინა, რის ვაი-ვაგლახით გადაურჩენია ავტორს და მომავალ თაობებს მუზეუმის სახით შემოუნახა. სამწუხაროდ, კარლო სულააკურის მიერ გადაღებული 30-ზე მეტი თოჯინური ფილმის უმეტესი ნაწილი, კინოსტუდიაში მომხდარმა ხანძარმა გაანადგურა. ამიტომ, ვილაცისთვის ამ მუზეუმის ნახვა შესაძლოა, მისი შემოქმედების გაცნობის ერთადერთი საშუალებაც კი იყოს...

## ყველგან მყრტიპრიკატოხები და მყზეყმის სტატყსმინიჭებყერი თოჯინები

გან აზნადებდა თოჯინებს. კაჟყუკით ფარავდა, მისი მეუღლე კი მათთვის სამოსს კურავდა. მულტფილმისთვის ერთი ასეთი თოჯინის დამზადება 300-500 მანეთი ჯდებოდა, რაც იმ დროს საკმაოდ სოლიდური თანხა იყო. ანაზღაურების მიხედვით რომ გემსჯე-ლა, გენადი ლუტინსკი ძალზე მდიდარი კაცი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მთელი მისი შემოსავალი დაღვევასა და დროს ტარებაში იხარჯებოდა. სხვათა შორის, როდესაც თბილისში პირველად გაიხსნა გამოსაფხიზლე-ბელი, პირველი იქ სწორედ ამ თოჯინების შემქმნელი, გენადი ლუტინსკი მოხვდა... მართალია, ლუტინსკების ოჯახთან, მათთან ხშირი ურთიერთობის გამო, მეგობრული დამოკიდებულება ჩამოგვიყალიბდა, მაგრამ გენადის სისუსტის გადამკვიდე, მამამ აქტიურად დაიწყო მისი შემცველების ძებნა. მალე, ორ რუს სამხედროს მიაგნო, რომლებიც საპორტის სასახლის მახლობლად მდებარე, საიდუმლო სამხედრო ქარხანაში, ზუსტი ხელსაწყობების დამზადებით იყვნენ დაკავებული. თუ რუსი სამხედროები შეძლებდნენ ლუტინსკის თოჯინების მსგავსის შექმნას, მამა მათთვის იმავე ანაზღაურების გადახდას კისრულობდა. პირველი, რაც სამხედრო ტექნიკოსებს უნდა გაეკეთებინათ, მთხრო-

ბელის თოჯინა იყო, რომელიც „სალამურ-ამი“ ზღაპრის ავტორმა, ბიძიჩემმა — არჩილ სულააკურმა თავად გაახმოვანა. სამხედროებმა თოჯინა ისეთი სიზუსტით გაიმეორეს, რომ მიკროსკოპითაც ვერ იპოვიდით განსხვავებას ლუტინსკისეულ თოჯინასა და მათ მიერ დამზადებულს შორის. ამ გადაღების დროს აღმოჩნდა, რომ სამხედროების მიერ შექმნილი თოჯინები ეკრანზე უსიცოცხლოები იყვნენ, ლუტინსკი კი მათ „ფოტოგენურობას“ ანიჭებდა...

#### — თოჯინური ფილმების გადაღება ალბათ, ძალზე შრომატევადი საქმე იყო...

— მამასთან ერთად, რამდენიმე თოჯინურ ფილმზე მეც ვიშუშავე. ძალიან უნდოდა, რომ მასავით რეჟისორი გავმხდარიყავი, მაგრამ იმის მიუხედავად, რომ რამდენიმე ქართულ ფილმში ვარ გადაღებული, ეს პროფესია არ მსიბლავდა. თოჯინური ფილმების გადაღება მართლაც, დიდი ხელოვნებაა. პირველ რიგში, უნდა შეგეძლოს თოჯინების ტარება, რაც მერწმუნეთ, ურთულესი შესასრულებელია. მამაჩემი დიდი დანაშაულები მუხლჩაუხრელად შრომობდა, მაგრამ ერთ დღეში მხოლოდ 5-6 მეტრი ფირის გადაღებას თუ ახერხებდნენ. ამას ისიც ემატებოდა, რომ წარმოუდგენელ პირობებში უხდებოდათ მუშაობა: იმ პავილიონის ქვეშ, სადაც გადაღებები მიმდინარეობდა, მეტრო გადიოდა და მატარებლის მოძრაობისგან შენობის ვიბრაცია ხდებოდა. არადა, თოჯინურ ფილმებს სპეციალური შტატივის დახმარებით იღებდნენ, რომელიც სრულიად უძრავად უნდა იდგეს... დროთა განმავლობაში, გადამღებმა ჯგუფმა მატარებლების მოძრაობის განრიგი შეისწავლა და ეპიზოდების გადაღებას ინტერვალების დროს ახერხებდა... მასსოვს, მამასთან ამერიკელები იყვნენ ჩამოსულნი სტუმრად და ეს საშუალო პირობები რომ ნახეს, გაოგნებულნი დარჩნენ. „სალამურას“ გადაღების დროს ერთი ასეთი მწარე კურიოზიც კი შეემთხვათ: 2 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა ინტენსიური გადაღებები, იმ დროს არსებობდა გეგმა, რომელშიც უნდა ჩატულიყავი და ა.შ. მხოლოდ ორი დღის შემდეგ შენიშნა ოპერატორმა, რომ ტყუილად უშუშავიათ ვინაიდან, მთელი

#### პირველ რიგში, უნდა შეგეძლოს თოჯინების ტარება, რაც მერწმუნეთ, ურთულესი შესასრულებელია (კარლო სულააკური მუშაობისას)





ამ ხნის განმავლობაში, კამერაში ფირი არ იყო. თუმცა, ასე სიმწიფე დადალებული „სალამურას“, წლების განმავლობაში თაროზე იდო.

რა მიზეზით?

როდესაც მამამ ამ ფილმზე მუშაობა დაასრულა, 8 ნაწილისგან (თითოეული, 10-ნუთიანი) შემდგარი „სალამურას თავგადასავალი“ საჩვენებლად მოსკოვში წავიღეთ. „ოსტანკინოს“ სპეციალურ კინოდაარბაზში თოჯინური ფილმი კა-გე-ბეს 8 თანამშრომელს უნდა ენახა. ყოველი მათგანი აღჭურვილი იყო სპეციალური პულტით, რომლითაც შეეძლო, ფილმი ნებისმიერ დროს გაეჩერებინა. იქვე ჰქონდათ მოწყობილი დაფა, შენიშვნებისა და მოკლე ჩანაწერებისათვის. როდესაც ჩვენება დაიწყო, პირველი, რაც კა-გე-ბეს თანამშრომლებს თვალში არ მოუვიდათ, ის მომენტი იყო, როდესაც მეფის პირველი ვეზირი, დანარჩენ ვეზირებს ჩუმად უსმენს. მაშინვე იკითხეს: ვის გულისხმობთ, ჩვენი?... შემდეგ, იმ ადგილას შეწყვიტეს ფილმის ჩვენება, სადაც კადრში მეფეს ძალზე ბევრი ჩინ-მედალი ჰქვია: როგორც ჩანს, ბრეჟნევის მიამსგავსეს — მასაც ხომ უყვარდა ყველა ჯილდოთი გულდამშვენებული გულმკერდით სიარული! კიდევ ერთი ეპიზოდი, რომელიც ცნებურას არ მოეწონა „სალამურაში“, ჯამბაზების ქვეყანა იყო, რომელიც თავისი გალანებით კრემლს მოგაგონებდათ, ხოლო ყველა კუთხე-კუნჭულს „ამშვენებდა“ წარწერა: „Бей, не жалеи!“ ყველაფერი კი „სალამურაში“ იმით მთავრდება, რომ მთელი ეს ციხე ინგრევა, ამოდის მზე და ერთგან კადრში ჩნდება წმინდა გიორგის ხატი. ფილმში ხატის გამოსახვნად, მამამ ცნობილ ხერხს მიმართა, რომელსაც 25-ე კადრის ეფექტს ეძახიან. ადამიანის თვალი 24 კადრს ერთიანად აღიქვამს, ამიტომ ხშირად ამერიკელები ამ ხერხს პროდუქციის ფარული რეკლამირებისთვის იყენებდნენ: ჩასვამდნენ 1 კადრს, რომელიც ქვეცნობირად აღიბეჭდებოდა ადამიანის მესხიერებაში. სწორედ ასეთი ხერხი გამოიყენა მამამ წმინდა გიორგის ხატის ჩასამელად, ოღონდ — არა 24, არამედ 16 კადრს შორის. ნახევრად მთვლეშაურე კა-გე-ბეს თანამშრომლებს შეუმჩნეველი არც ეს დარჩენიათ და ფილმის ჩვენება აკრძალეს... ამის გამო, მამა დეპრესიული ჩავარდა, გადაღების უფლებასაც აღარ აძლევდნენ და ერთი წლის მანძილზე, საერთოდ არ უმუშავია.

„სალამურას“ ბუდი მისმა სხვა ფილმზეც ხომ არ გაიზარა?

კიდევ ორი თოჯინური ფილმი შემოდო ცნებურამ თაროზე. ფილმის — „როცა ემზავი დირიჟორობს“ — შემთხვევაში, არგუმენტად მოიყვანეს ის, რომ საბჭოთა ოჯახებს არ შეიძლება, ვინმე უკარნახოს, როგორ მოიქცნენო. მეორე იყო „გალობა“: მიიჩნიეს, რომ ის თეოლოგიურ საფუძვლებზე იყო გადაღებული და მისი ჩვენება დაუშვებლად ჩათვალეს. სხვათა შორის, „სალამურას თავგადასავალი“ მხოლოდ გორბაჩოვის მმართველობის პერიოდში გამოჩნდა ეკრანებზე. ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ ეს ფილმი, მისი ნეგატივი თუ ყველა სანაწილი მასალა, დღეს რუსეთს ეკუთვნის და მასზე უფლება არ გაგვჩნია. არადა, თავისი შინაარსიდან გამომდინარე, „სალამურას თავგადასავალი“ დღესაც აქტუალურია.

ბატონი კარლოს ფილმების ასლები მაინც არ შემორჩა „ქართულ ფილმს“?

— გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში ვცხოვრობდი. როდესაც 2000 წელს, ნიუ-იორკიდან თბილისში დავბრუნდი, კინოსტუდიაში შევიარე. გავოგნდი: იქაურთა ნაფორნტალს ჰგავდა, მამას კაბინეტში ნახატებიც კი განადგურებული იყო!.. კარლო სულაკაურმა თოჯინური ფილმების რეკორდული რაოდენობა — 32 გადაიღო. მათი უმეტესობა კინოსტუდიაში მომხდარი ხანძრის დროს განადგურდა... სხვათა შორის, ცოტა ხნის წინ, ახლობელმა მამამო, რომ „სალამურას თავგადასავალი“ და „საზამთრო“ დისკებზე ჩანერილი იყიდება თბილისში, რაც საავტორო უფლების უხეში დარღვევაა.

მაშ, თოჯინები როგორ გადარჩა?

პირველ რიგში უნდა გითხრათ, რომ თოჯინური ფილმების გადაღებას სახელმწიფო აფინანსებდა, კერძოდ — კინოსტუდია „ქართული ფილმი“ და „ოსტანკინო“ (საბჭოთა კავშირის ცენტრალური ტელევიზია. — ავტ.) რა თქმა უნდა, მამაჩემს შეეძლო, რომ ერთ ფილმში გადაღებული თოჯინა მოგვიანებით, გადაესვაფერებინა და სხვა ფილმშიც გამოეყენებინა, მაგრამ გაურკვეველი მიზეზების გამო, ამის უფლებას არ აძლევდნენ. უფრო მეტიც — ყოველი ფილმის დასრულების შემდეგ, დგებოდა შესაბამისი კომისია, რომელიც მიდიოდა კინოსტუდიაში და ამტკრევედა ფილმში გადაღებულ ყველა თოჯინას. ამის შემდეგარე, მამა ჭკუიდან იშლებოდა — თოჯინები ხომ მისთვის საკუთარი შვილებივით იყვნენ!.. ამ კომისიის „დამსახურებაა“, რომ დღეს არ არსებობს — „ძილისგუდას“ ერთი თოჯინაც კი... შემდეგ, მამამ ასეთ ხერხს მიმართა: სტუდიაში მისულ კომისიას მაშინვე პურმარილს გაუშლიდა, ხოლო უკვე შეზარხოშებულ კომისიის წევრებს, თოჯინების ნაცვლად, დასამტკრევედ მათ კარკასებს (სამუშაო მასალას) აძლევდა, ასე გადაარჩინა „სალამურას თავგადასავლის“ ყველა გმირი, „ბომბორას“ და „გოგონა და შადრევანის“ თოჯინები. წლების მანძილზე ეს თოჯინები ყუთებში ჩალაგებული გვეწყო სახლში, ვინმეს რომ ეპოვა, ნამდვილ კრიმინალში დაგვდებდნენ ბრალს. მოგვიანებით, მამამ თოჯინები თაროებზე განათავსა და ბავშვებისთვის ფილმის საჩვენებელი პატარა დარბაზიც კი მოაწყო. შემდეგ, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ ამ კოლექციას მუზეუმის სტატუსი მიანიჭა... ბოლო თოჯინური ფილმი მამაჩემმა 1990 წელს გადაიღო, ეს გახლდათ „რწყინილი და ჭიანჭველა“. მაგრამ მოხდა იმ დროისათვის ჩვეულებრივი რამ — ბექდვის დროს, დენი გამოირთო და მთელი ფირი გააფუჭა...



# ზარიბეგ ბარიაშვილი მსოფლიო ჩემპიონი, რომელსაც ოქროს მედალი ორჯერ წაართვა



## გიორგი ლანჩავა

### ქართული ჭიდაობით დაწყებული სპორტული გზა

— ერთხელ, ქართულ ჭიდაობაში ტურნირის დავესწარი, რომელსაც საქართველოს სამხრეთ ნაკრების მთავარი მწვრთნელი, ოლეგ იაქე და მისი ამერიკელი სტუმარიც ადევნებდნენ თვალყურს. ტრადიციისამებრ, ნახერხმოყრილ საჭიდაო არენაზე ჯერ ბავშვებმა იასპარეზეს, შემდეგ — დიდებმა; მონაწილეები ერთმანეთს აბსოლუტურ ფალავნობასაც ეცილებოდნენ. შეჯიბრების დასრულების შემდეგ, ამერიკელმა, რომელიც თურმე, ანალოგიურ შეჯიბრებას საქართველოს სხვა კუთხეებშიც დასწრებია, თქვა: სულ მიკვირდა, ისეთ პატარა ქვეყანას, როგორც საქართველოა, საიდან ჰყავს ამდენი ძლიერი მოჭიდავე, მაგრამ ახლა ჩემთვის ყველაფერი გასაგებია, რადგან ჭიდაობის ძალიან დიდი ტრადიცია გაქვთ და უფრო მეტი ჩემპიონი უნდა გაგზარდეთ... აჭქალაში ვარ დაბადებულ-გაზრდილი და ჩემი სახლის ირგვლივ, რამდენიმე კილომეტრის არეალში, თითქმის ყოველკვირა ქართულ ჭიდაობაში შეჯიბრება ტარდებოდა, რომელიც ისეთ ინტერესს იწვევდა, რომ მის საყურებლად დედები ჩვილი ბავშვებითაც კი დადიოდნენ. პირველად ჭიდაობა რომ ვნახე, თავადაც გამიჩნდა არენაზე გამოსვლის სურვილი, რაც გავა-

ზარიბეგ ბარიაშვილი ცხრა წლის განმავლობაში, საბჭოთა კავშირის ნაკრებში თავის წონაში პირველი ნომერი გახლდათ და მსოფლიო მასშტაბით ერთ-ერთ ყველაზე ტექნიკურ მოჭიდავედაა მიჩნეული. ალბათ, ბედის ირონია რომ არა, იგი გაცილებით მეტჯერ გახდებოდა მსოფლიო ჩემპიონი და ოლიმპიურ მედალსაც გამოიპყრავდა ხელს. მაგრამ სპორტსმენთა ცხოვრებაში ხშირად, ბევრი რამ ისე არ ხდება, როგორც მათ სურთ. თუმცა, თავად ბატონო ზარიბეგი ბედს არ უჩივის. მსოფლიო ჩემპიონი, ექვსგზის საბჭოთა კავშირის და სამგზის ევროპის ჩემპიონატში გამარჯვებული, აგრეთვე მსოფლიო პირველობის სამგზის ვერცხლის მედალოსანი, ის ამჟამად, თბილისის მესამე ტაქსების პარკს ხელმძღვანელობს.

კეთე კიდევ. მე-10 კლასში რომ გადავდი, ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს დარბაზში ქართული ჭიდაობის სექციაში ჩავენერე, სადაც ერთი წელი ვივარჯიშე. 1957 წელს, საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჩავირიცხე და პირველსავე ფიზკულტურის გაკვეთილზე ჩვენმა პედაგოგმა ქალმა სტუდენტმა გვითხა — ჭიდაობაში ვარჯიში ვინმეს ხომ არ გინდათ? როდესაც ამის სურვილი გამოეთქვი, მან ეჭვის თვალთ შეომხედა, რადგან ძალზე გამხდარი ვიყავი, მაგრამ მაინც გამატანა წერილი გიორგი როსტიაშვილთან, რომელიც ინსტიტუტში თავისუფალ და კლასიკურ — ანუ ამჟამინდელ ბერძნულ-რომაულ ჭიდაობას კურირებდა. იგი მიცნობდა, რადგან უკვე მქონდა მოგებული ქართულ ჭიდაობაში თბილისის გარეუბნების სკოლების პირველობა და თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ჯგუფში ჩამრიცხა.

### სენსაცია მოსკოვში

— ორი წლის შემდეგ, სპორტსაზოგადოება „ბურვესტნიკის“ საკავშირო პირველობა მოვიგე 70 კილოგრამით წონით კატეგორიაში, ხოლო 1960 და 1961 წლებში, საბჭოთა კავშირის პირად ჩემპიონატში წარუმატებლად გამოვიდი. 1961 წელს საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში, ლენინგრადში ქვეყნის გუნდურ პირველობაზე ვიასპარეზე, სადაც მოკავშირე რესპუბლიკების გუნდები, ასევე, მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრებები გამოდიოდნენ. იმ პერიოდში, საქართველოში ჭიდაობას უკვე თავს ანებებდნენ ძველი თაობის სპორტსმენები და ჩვენი გუნდი სულ ახალგაზრდებით იყო დაკომპლექტებული. მართალია, ნაკრების მწვრთნელები გვეუბნებოდნენ, თქვენი იმედი გვაქვსო, მაგრამ მათ ჩვენი ნამდვილად არ სჯეროდათ, რადგან ასეთი დონის შეჯიბრებაში წარმატების მისაღწევად მაშინ, ასაკით ძალზე პატარები ვიყავით. თუმცა, ტურნირის პირველსავე შეხვედრებიდან გამიჩნდა, რომ ფავორიტები ვიყავით. საბოლოოდ ისე მოხდა, რომ საქართველოს ნაკრებმა მხოლოდ ერთ-

ერთი რესპუბლიკის სუსტ ნაკრებთან წააგო, ხოლო დანარჩენი შეხვედრები მოიგო და პირველი ადგილი დაიკავა, რაც სენსაციად მოინათლა. სხვათა შორის, მანამდე, ჩვენ გუნდს ასეთი წარმატებისთვის არასოდეს მიუღწევია. ლენინგრადში ყოფნისას, დიდ ყურადღებას გვაქცევდა გიორგი ეგნატაშვილი, რომელიც საკმაოდ დროის განმავლობაში, საკავშირო პროფკავშირებში სპორტის განყოფილებაში მუშაობდა და ქართველ სპორტსმენებს ყოველთვის ეხმარებოდა. საერთოდ, როგორც კი ჩვენთან ნიჭიერი მოჭიდავე გამოჩნდებოდა, ეგნატაშვილი ცდილობდა, იგი ქვეყნის ნაკრებში აეყვანათ, რათა სპორტსმენის მატერიალურ მდგომარეობა გაუმჯობესებულიყო...

### ზედიზედ ხუთჯერ მოგებული ჩემპიონობა

— თბილისში სპორტის სასახლე რომ გაიხსნა 1962 წელს, ჭიდაობაში დიდი საერთაშორისო ტურნირი ჩატარდა, რომელიც მოვიგე და უკვე ანგარიშგასაწიფი ფალავანი გახდი. იმავე წელს, ორჯონიკიძეში (დღევანდელ ვლადიკავკაზში) საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი გაიმართა. პირველი შეხვედრა მოვიგე, მაგრამ მეორე შეჯიბრება წამაგებინეს, თან — სუფთად, რადგან ტურნირის ორგანიზატორებს სურდათ, ჩემპიონატი ნაადრევად დამესრულებინა. ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ ჩემს წონაში ადგილობრივი იური გუსოვი გამოდიოდა და ცხადია, ორჯონიკიძელებს მისი გამარჯვება სურდათ. მაგრამ დანარჩენ ორთაბრძოლებში ყველა მეტოქე სუფთად დავამარცხე, მათ შორის, გუსოვიც და ფინალში ჭიდაობის უფლება მოვიპოვე. სხვათა შორის, გუსოვთან 1:6 ვაგებდი და არავის სჯეროდა, რომ შეხვედრას ჩემს სასარგებლოდ დავამთავრებდი. არადა, თავად წარვმართე ორთაბრძოლა ისე, რომ ფიზიკურად ძლიერი გუსოვი დამეღალა და მისთვის მხოლოდ ამის შემდეგ შემეცია. საბოლოოდ, ჩემმა ტაქტიკამ შედეგი გამოიღო, მაგრამ იმასაც ვიტყვი, რომ გუსოვმა ვაჟაკურად იჭიდავა, ხალიჩიდან არც



ერთხელ არ გაქცეულა, როდესაც შეეძლო, ჩემთან დაპირისპირება ფრედ დაუმთავრებინა და მაინც ჩემპიონი გამხდარიყო. ფინალში ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ არსებული წესების თანახმად, სუფთად დამარცხების შემთხვევაშიც, ჩემპიონი ვხდებოდი, მაგრამ ლენინგრადელ ტინკოვს ქულებით ვძლიე და ოქროს მედალი მოვიპოვე. ამის შემდეგ, 1966 წლის ჩათვლით, ზედიზედ ოთხჯერ გავხდი ქვეყნის ჩემპიონი, ხოლო მეექვსედ ეს ტიტული 1969 წელს მოვიგე, როდესაც უკვე 74 კილოგრამ წონით კატეგორიაში ვასპარეზობდი.

### გაბრიყვებული დეგდაგაუვი

— 1966 წელს, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ნოვოსიბირსკში ჩატარდა. შეჯიბრების დაწყებამდე მონაწილეთა სიას რომ გადავხედე, ვნახე, რომ მეტოქეებად სპორტის საერთაშორისო და დამსახურებული ოსტატები მყავდა, მხოლოდ 18 წლის ორჯონიკიძელი ყაზბეგ დეგდეგაუვი გახლდათ სპორტის ოსტატობის კანდიდატი. ტურნირამდე რომ ვინწინებოდი, დეგდეგაუვეს ჩემს დანახვაზე, სტანისლავ გავიევისა და ნუგზარ ჟურულისთვის უთქვამს — ნეტავ, პირველ წრეში მასთან შემხვედრაო!.. იმ დროს, უკვე ქვეყნის ოთხგზის ჩემპიონი ვიყავი, მაგრამ დეგდეგაუვი ასეთი დონის ასპარეზობაში პირველად გამოდიოდა და ეტყობა, არ მიცნობდა. გამომდინარე იქიდან, რომ იგი ფიზიკურად ძლიერი იყო, ხოლო მე მაინცდამაინც დაკუნთული არ გახლდით, იფიქრა — ამას ადვილად მოუფეგებო. თან გავიევეს და ჟურულს მისთვის უთქვამთ — ჩვენ მაგას ხალჩიანზე „ვკლავთ“ და შენ ერთ ნუთში დაამარცხებო. კენჭისყრის შედეგად, ერთმანეთს მართლაც, მე და ოსი მოჭიდავე შევხდით, ხოლო ჟურულს, გავიევიან მოუწია დაპირისპირებამ. სასტუმროდან საჭიდაო დარბაზისკენ რომ მივდიოდით, დეგდეგაუვიმა ჟურულსა და გავიევის სპორტული ჩანთები გამოართვა — მე ოლი ორთაბრძოლა მაქვს ჩასატარებელი, თქვენ კი, არ დაილალოთო... საჭიდაოდ რომ გავედით, ვხედავ, ჩემი მონინალმდეგ ისეთი გახარებულია, ლამის იცეკვოს. გამიკვირდა კიდევ — ნეტავ, რა უხარია-მეთქი? შეხვედრა დანიწყო თუ არა, დეგდეგაუვი გამოქანდა, ხელში აძიტაცა და ორივე ხალიჩის ფარგლებს გარეთ დავეცი. ჭიდაობის განახლების შემდეგ, ის კვლავ ჯიქურ ნამოვიდა ჩემკენ, მაგრამ მოულოდნელად წაიქცა, ისე, რომ ილიეთიც არ მიხმარია და ბეჭებზე დაეცა. მსაჯმა მაშინვე სუფთა გამარჯვება მომანიჭა. დეგდეგაუვი კი, ნამოხტა და თავში ხელს ირტყამდა — ეს ვისთან ნავაგეო?! შემდეგ, როდესაც ყაზბეგს უთხრეს, ვინც ვიყავი, მოვიდა და ბოდიში მომიხადა — ჟურულმა და გავიევიმა გამაბრევიესო.

### ორჯერ ჩამორთმეული ჩემპიონობა

— მსოფლიო ჩემპიონატზე პირველად,

1963 წელს გამოვედი სოფიაში, სადაც ფინალამდე ყველა ორთაბრძოლა მოვიგე და გადამწყვეტი შეხვედრა იაპონელ ხარიუჩისთან უნდა გამემართა. ფინალში 2:1 კი გავიმარჯვე, მაგრამ შერკინების დასრულებისას, მსაჯებმა ითათბირეს და გამარჯვება იაპონელს მიანიჭეს. ჩვენი ნაკრების მთავარ მწვრთნელს, დიაკინს პროტესტის დაწერა სურდა და ასეთ შემთხვევაში, ოქროს მედალს ნამდვილად მე მომცემდნენ, რადგან ვიდუოფირზე ნათლად გამოჩნდებოდა, თუ როგორ დავამარცხე იაპონელი. მაგრამ დელეგაციის ხელმძღვანელმა, კატულინმა, რომელიც საკავშირო სპორტკომიტეტში ჭიდაობას კურირებდა, მწვრთნელს ამის უფლება არ მისცა. საქმე ისაა, რომ ჩვენს გუნდს უკვე ოთხი ოქროს მედალი ჰქონდა მოპოვებული, ხოლო ჩემ გარდა, ალიევისა და ალბულს უნდა ექიდავით, რომლებიც ასევე პირველი ადგილის დაკავების რეალური კანდიდატები იყვნენ. აქედან გამომდინარე, კატულინმა განაცხადა — ამდენი ოქრო რომ ჩავიტანოთ, მომავალ წელს, ოლიმპიადაზე სპორტკომიტეტი ბევრ მედალს დაგვმავს და ეს ხელს არ გვაძლევსო. სხვათა შორის, შემდეგ, ხარიუჩის სადაც კი შევხდი, ყველგან დავამარცხე, იაპონიის ღია პირველობაზეც კი. 1965 წელს, მანჩესტერში მსოფლიო ჩემპიონატზე ოთხი ორთაბრძოლა მოვიგე და ერთი ფრედ დავამთავრე, რის გამოც, ექვსი საჯარიმო ქულა დამიგროვდა და მეორე ადგილზე ისე გავედი, რომ ოქროს მედალების მო-



გიორგი ბერიაშვილი (მარჯვნივ) და შოთა ლომიძე

მავალ მფლობელთან შეხვედრამ არც მომიწია. მაშინ პარალელურად, ევროპის ჩემპიონატი ტარდებოდა, რომელშიც გავიმარჯვე. მომდევნო წელს კი, კარლსრუეში ევროპის პირველობა კიდევ ერთხელ მოვიგე. 1967 წელს, დელიში მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გავედი, სადაც ირანელ მოვაჰედს დავუპირისპირდი. ოქროს მედალის მოსაპოვებლად, ფრეც მეოფნიდა და მართლაც, შერკინება სასურველი შედეგით დავამთავრე. მასმედიის საშუალებებმა გადასცეს, რომ მსოფლიო ჩემპიონი გავხდი და საქართველოში ეს ინფორმაცია რადიომატ გამოაცხადა. მაგრამ ირანელებმა ბულგარელი მოჭიდავე ვილჩევი მოისყიდეს და მან იაპონელ სატოსთან წინააღმდეგ ფრედ დას-

რულებული ორთაბრძოლა გააპროტესტა. მსაჯებმა ვილჩევის პროტესტი დააკმაყოფილეს და გამარჯვება ჩაუთვალეს, რის შედეგადაც, ბულგარელს ფინალში ჭიდაობის უფლება მისცეს. მან მოვაჰედთან ორთაბრძოლა დათმო და ჩემპიონი ირანელი გახდა მეტი გამარჯვების წყალობით, ხოლო მე მეორე ადგილზე გადავინაცვლე. შეიძლება, დელსდელით, ასეთი რამ დაუჯერებლად ჟღერს, მაგრამ მაშინ მოვლენები ზუსტად ამგვარად განვითარდა. ჩემი შემხედვარე, ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელი, არამ იალტირანი ატირდა კიდევ.

### არგენტინაში ზვიგენებს გადარჩენილი

— 1969 წელს, არგენტინის ქალაქ მარდელ-პლატაში ჩატარებულ მსოფლიო ჩემპიონატზე 74 კილოგრამ წონით კატეგორიაში ვასპარეზე და ოქროს მედალი ჩემთვის არავის ნაშურთმეფია. ფინალში ფინელი მათი პოიკალა 2 წუთსა 17 წამში დავამარცხე და საერთაშორისო დონეზე 9-წლიანი ასპარეზობის შემდეგ, მსოფლიო ჩემპიონი გავხდი. არგენტინაში ჩვენი ნაკრების სასტუმრო ოკეანის ნაპირთან ძალზე ახლოს მდებარეობდა. მარ-დელ-პლატაში ახალი ჩასტუმროდან ვილაც არგენტინელი გამოვარდა და შემოვლილი სახით რალაცას გვიყვიროდა. ცხადია, ვერ გავიგეთ მისი ჯრც ერთი სიტყვა და მეტიც — ლომიძემ გადმოგვილაპარაკა — ბილეთი რომ არ ავიღეთ და ისე ვზანაობთ, რაღაც „კაპიკების“ დაკარგვის გულისთვის, შეხედეთ, რა დღეშიაო... ცურვას რომ მოვრჩით, ვარჯიშზე წავიდით, იქიდან დაბრუნებულებმა კი ვნახეთ, რომ ნავსაყუდელის ბოძებზე ორი ზვიგენი იყო ჩამოკიდებული, რომელთაგან ერთი დაახლოებით 900 კგ, ხოლო მეორე — 700 კგ წონის იქნებოდა. მაშინ კი მივხდით, რატომ ჰქონდა პლასუსა და მის მიმდებარე ტერიტორიას რკინის ბადე შემოვლებული და რატომ გვიყვიროდა არგენტინელი გადარეულიც. თურმე, სადაც ჩვენ ვცურავდით, იქ ზვიგენების დასაჭერი, საგანგებოდ დამზადებული ანკესები იყო ჩამოშვებული... მარდელ-პლატაში მსოფლიო ჩემპიონის ტიტული შოთა ლომიძემაც მოიპოვა, რომელსაც ფინალის დამთმობისთვის, ამერიკელებმა 20.000 დოლარი შეთავაზეს... ოქროს მედალები რომ მოვიპოვეთ, მეორე დღეს, ქალაქში გავისეირნეთ, თან ჭიქების შექმნა

მსურდა, რადგან სასმელებისა და ჭიქების კოლექციას ვაგროვებდი. ერთ-ერთ მალაზიასში რომ შევედი, მისმა მეპატრონემ დავიძახა და გაზეთი გვანახა, სადაც ჩემთან ერთად, შოთას ფოტოები იყო დაბეჭდილი, თან გვეკითხებოდა „რუსო, რუსო?“ ვერაფრით ვერ გაგავებინეთ, თუ საიდან ვიყავით. ბოლოს, ლომიძემ სტალინი ასხენა და მეპატრონემ კავკასიის რუკა მოიტანა, რომელზეც თბილისი და გორი ვაჩვენეთ. არ ვიცი რატომ, მაგრამ მას სტალინის სახელის გაგონება ისე გაუხარდა, რომ ჭიქები გვაჩუქა. ჩვენ კი, სასტუმროში წავიდეთ და სანაცვლოდ კონიაკი მივუტანეთ.



რცხა და ცოტა ხნის შემდეგ, მოლდავეთის ნაკრებში მოხვდა. ლომიძემ საკავშირო სპარტაკიდან პირველად, სწორედ მოლდაველებთან ერთად იასპარეზა და კლასიკურ ჭიქობაში მესამე ადგილი დაიკავა. ამის შემდეგ, მისი პიროვნებით უკვე საქართველოშიც დაინტერესდნენ და ჩვენთან გააგრძელა კარიერა, ოღონდ — როგორც თავისუფალი სტილით მოჭიდავე... შოთა მსოფლიო ჩემპიონი მეორედ 1971 წელს გახდა. მიუხედავად ამისა, 1972-ში მიუნხენის ოლიმპიადაზე არ წაიყვანეს და სპორტს თავი დაანება. არა მგონია, რომ შოთას სკოლაში ხუთებზე ეს-

საც რევოლუციური ჰქონდა ჩამოკიდებული და მისთვის რაიმე გადაკრულად რომ გეთქვა, არც დაფიქრებოდა, ისე გესროდა... ოლიმპიადის მონაწილე ერთ-ერთ შუბის მტყორცნელს ავტობუსში პატარა ბიჭმა იარაღი დაადო და ჯიბეები ამოუჭრია: მას თურმე, სუენირი ნდომეზია და სპორტსმენს ვერაფერი რომ ვერ გააგებინა, ასეთ ხერხს მიმართა... საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი წყალში ხტომაში, იური პოლულიახი ერთ-ერთმა მექსიკელმა ოჯახში დაპატიჟა და როდესაც ის დათვრა, მასპინძლის ცოლს ცოტა საეჭვოდ შეხედა. მექსიკელმა არ დააყოვნა და პოლულიახი კიბზე დააგორა...

### ყვინთვა ტოკიოში და პისტოლეტი მექსიკაში

— ტოკიოს ოლიმპიადაზე 1964 წელს, პირველსავე შეხვედრაში, თურქ ათალაისთან უყურადღებობა გამოვიჩინე და ქულებით დავმარცხდი. დანარჩენი ორი შეხვედრა სუფთად მოვიგე, მაგრამ ნახევარფინალი ვილჩევთან ფრედ დავასრულე და საბოლოოდ, მე-6 ადგილზე გავედი. ტოკიოში ოლიმპიურ სოფელში საცურაო აუზი გვექონდა და ერთხელ, გურამ საღარაძემ როგორც მე, ასევე შოთა ლომიძეს შემოგვთავაზა — ყვინთვაში შევეჯიბროთო. მის წინადადებას ორივე დავთანხმდით და ყვინთვით 50 მეტრი გავცურე, შოთამ — 25, ხოლო გურამმა, ლომიძეზე რამდენიმე მეტრით ნაკლები. შეჯიბრება რომ დავასრულეთ, თანაგუნდელებს ვუთხარი — პირველი ადგილი ჩემია, დანარჩენი ადგილები კი თქვენ განიწილეთ-მეთქი. მაგრამ შოთამ მიპასუხა — გამარჯვებული მე ვარ, საღარაძე მეორეზე გავიდა, შენ კი წყალში თვალები გახელილი გქონდა და ამიტომ მესამეზე ხარო... 1964 წლის შემდეგ, კიდევ ორჯერ ვიყავი იაპონიაში და ამ ქვეყანაში ჩემზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება დატოვა. იქ ქუჩაში უსაქმოდ გაჩერებულ ადამიანს ვერ ნახავ და ხალხი კი არ დადის, არამედ დაცუნცულებს, რადგან ყველა სადღაც მიიჩქარის. იაპონიაში მამაკაცის კულტია და ქალს უფლება არა აქვს, ძლიერი სქესის წარმომადგენელს არ დაემორჩილოს. იქაურებს ჭამა-სმაც უყვართ და მათ ცნობილ ძიუდოსტ, ინაკომასთან ერთად, რომელიც თავის ქართველ კოლეგა ანზორ კიკნაძესთან მეგობრობდა, თბილისში რესტორანში მიქეიფია. მართალია, ის ანზორისავით 7 ბოთლ კონიანს ვერ სვამდა, მაგრამ საკმაოდ კარგად მოუღებინა. სხვათა შორის, კიკნაძე რომ გარდაიცვალა, ინაკომამ მისი ძეგლი იაპონიაში დაამზადებინა და საქართველოში ჩამოიტანა... 1968 წელს, მენიკოს ოლიმპიადაზე, სამი შეხვედრა მოვიგე, ორი ფრედ დავასრულე და მე-5 ადგილი დავიკავე. მექსიკამ იმით გამოცა, რომ მალაზიამ, პისტოლეტით დანყბნული, ტყვიამფრქვევით დამთავრებული, ყველა სახის ცეცხლსასროლი იარაღი იყიდებოდა. ქუჩაში ხშირად მხვდებოდა ადამიანი, რომელ-

წავლა, მაგრამ მას თანდაყოლილი ორგანიზატორული ნიჭი ჰქონდა. ერთი პერიოდი, ის დირექტორად მუშაობდა კასპის ღვინის ქარხანაში, რომლის ყველა ყოფილი ხელმძღვანელი ციხეში მოხვდა, რადგან რევოლუციური ანტიკომუნისტური კრიტიკის გამო. შოთა მსოფლიო ჩემპიონი მეორედ 1971 წელს გახდა. მიუხედავად ამისა, 1972-ში მიუნხენის ოლიმპიადაზე არ წაიყვანეს და სპორტს თავი დაანება. არა მგონია, რომ შოთას სკოლაში ხუთებზე ეს-

*P.S. სახელოვან ქართველ სპორტსმენთან ინტერვიუ, რომლებიც „გზის“ ფურცლებზე ქვეყნდება, უპირველესად, მათი ღვაწლის სათანადოდ დაფასებასა და მათ მიმართ ჩვენი მადლიერების გამოხატვას ისახავს მიზნად. ბუნებრივია, ნებისმიერი მათგანის მიერ გადმოცემული ამბის რეალობაში რაიმე ეჭვის შეტანას უფლებას თავს ვერ მივცემთ. მაგრამ ცხობილად, რომ იტყვიან, ყველაფერი ხდება... იანვარში, ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე გამოქვეყნდა ინტერვიუ პირველ ქართველ ოლიმპიურ ჩემპიონთან, თავისუფალი სტილით მოჭიდავე დავით ციმაკურიძესთან, რომელშიც ის თავისი ცნობილი კოლეგის, მსოფლიო და საბჭოთა კავშირის ჩემპიონის, ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორ ვლადიმერ რუბაშვილის ტრაგიკულად დაღუპვის ეპიზოდს აღწერდა. სამწუხაროდ, ციმაკურიძის მონათხრობმა ბატონი ვლადიმერის მუღლის, ქალბატონი ლეილას გულისწყრომა გამოიწვია. ის რედაქციაში დაგვიკავშირდა და მისი თქმით, მცდარი ინფორმაციის უარყოფა გვთხოვა. კერძოდ, ქალბატონმა ლეილამ გვითხრა: „სინამდვილეს არ შეეფერება ის ფაქტი, თითქოს ჩემმა მუღლემ, ვლადიმერ რუბაშვილმა ავტომანქანის გასაღები ვინმეს დაუკითხავად აიღო და ავტოავარია მოახდინა, რომელმაც სამი ადამიანი იმსხვერპლა. ეს იყო ჩვეულებრივი ტრაგიკული შემთხვევა, რომელშიც ორივე ავტომანქანაში მსხდომი ოთხი ადამიანი დაიღუპა. მე საკუთარი თვალით მაქვს ნახა მამინდელი ორხევის მილიციის დასკვნა, რომელშიც შავით თეთრზე ეწერა, რომ მომხდარში არც ერთი და არც მეორე მხარე დამნაშავე არ ყოფილა“.*

### ჭიდაობაში შემთხვევით მოხვედრილი ორგზის მსოფლიო ჩემპიონი

— შოთა ლომიძე ჭიდაობაში სრულიად შემთხვევით მოხვდა. ის 19 თუ 20 წლის გახლდათ, როცა რალაც ინციდენტის გამო, მილიციაში ჩივილს უპირებდნენ და ამისთვის თავი რომ აერიდებინა, ჯარში წავიდა. ლომიძე სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოსახდელად მოლდავეთში გაიწვიეს და ადგილზე ჩასულს, ჯარი მაინცდამაინც არ მოეწონა. მან გაიგო, რომ თუ რაიმე სპეციალობით იმუშავებდა, სამსახურის მოხდა უფრო გაუადვილებოდა, რადგან ჯარისკაცისთვის აუცილებელი ყველა ფორმალობის შესრულებას არ მოსთხოვდნენ. შოთას თავიდან უთქვამს, დალაქი ვარო, მაგრამ ვიღაც რომ „გაკორტნა“, მაკრატელი და სამართლებელი აღარ მისცეს... ამის შემდეგ სცადა, მენალედ და დურგლად ემუშავა, მაგრამ არც იქ გამოუვიდა რაიმე. ერთხელაც, ლომიძე სამხედრო ნაწილში მდებარე, ძალოსნობის დარბაზში შევიდა და მწვრთნელს უთხრა — თბილისში შტანგაზე ვვარჯიშობდიო. როცა ის შემომხედა, ღონის წყალობით, შტანგა კი ასწია, მაგრამ ეს არასწორად გააკეთა და მწვრთნელმა უთხრა — შტანგისტი არა ხარ, მაგრამ თუ ივარჯიშებ, სპორტის ამ სახეობაში კარგი შედეგი გექნებაო. თუმცა, გარკვეული ხნის შემდეგ, ლომიძეს შტანგაზე ვარჯიში აღარ მოუხდა და ბედი კლასიკურ ჭიდაობაში სცადა. მანამდე, მას არასოდეს უჭიდავია, მაგრამ პირველსავე ცდაზე, სადაც სამსახურს იხდიდა, იმ ოლქის ჩემპიონი დაამა-







# ანექდოტები

ჩევს: ადიდებულ მტკვარს თუ გადაცურავთ, გაქართველდებითო. მართლაც შეცურავენ სომხები მტკვარში. მიცურავენ, მიცურავენ და... ლოვამ გააღწია მეორე ნაპირზე. სეროჟას კი გაუჭირდა! როგორც იქნა, ძალები მოიკრიბა, ხელი გაუნოდა ლოვას და დაუძახა:

— ლოვიკვან, მიშველე ტო, ამაშიყვანე!  
ლოვა წიხლს ჩააზღვს:  
— წადი, შენი სომეხი...!



\*\*\*

გოგონა ზის პარკში. მიუჯდა ახალგაზრდა ბიჭი და დაუწყო შებმა.

— როგორ მიბედავთ, თქვენ მე ვინ გგონივართ?!

— რა იყო, არ მოგნონვარ? წამოდი ჩემთან, კარგ დროს გავატარებთ.

— ახლავე პატრულს გამოვუძახებ.

ბიჭი წავიდა. გოგონამ შევებით ამოისუნთქა:

— უჰ!.. კინალამ არ დამითანხმა.

\*\*\*

შეყვარებული კახელები:

— მარო გიყვარვარ?!

— კი, ძალიანა.

— როცა მოვევდები გულით მიტირებ?!

— კი.

— აბა, მაჩვენე როგორა?!

— ი!.. ჯერ მოკვდი და მერე...

\*\*\*

ქართველი მეტეოროლოგების ამინდის პროგნოზი ყოველთვის ზუსტია, უბრალოდ, თარიღები არ ემთხვევა ხოლმე.

\*\*\*

გურულმა ცოლი მოიყვანა და ეუბნება:

— აგრადინა დეიმახსოვრე, კუჭის წყლული მაქვს, ნაღვლის ბუშტის ანთება მაქვს, მენჯის ძვალი მაქვს ამოვარდნილი...

— კი მარა, არის რამე ისეთი რაც არ გაქვს? — ეკითხება ცოლი.

— აპა არა?! კბილები არ მაქვს!

\*\*\*

ქორწილიდან 25 წლის შემდეგ, მიხო ცოლს შეათვალაიერებს.

— მარო, შენა დამალობანას თამაში ხო იცი?

— რა თქმა უნდა, ჩემო კარგო.

— ჰოდა, მაშინა ისე დაიმაღლე, როგვლარასდროს გიპოვო.

\*\*\*

ბავშვი სახლში თავიდან ფეხებამდე გალუმპული ავა, დედა ეკითხება:

— რამ დაგასველა?

— მე და გოგია ძაღლობანას ვთამაშობდით.

— მერე?

— მე ხე ვიყავი...



\*\*\*

— რამდენიმე დღის წინ, ჩემს ქმარზე ვიკარგა გამოვცადე, ქიჭაში ჩავუვრდე და ისე აღეგზნო, რომ პირდაპირ მაგიდაზე მ...ა.

— ალბათ, თავი უხერხულად იგრძენი...

— კი, საშინლად... იმ რესტორანში აღარ დავედივართ.

\*\*\*

დადგენილია, რომ ქალის უკანალს გაც-

ილებით მეტი სიამოვნებით უყურებენ, ვიდრე კაცის სახეს.

\*\*\*

შვილი ნიანგი ეკითხება დედა ნიანგს:

— დედა, მამა სად მუშაობს?

— სად მუშაობს შვილო და საელჩოში...

— მერე რას აკეთებს?

— დიპლომატია, შვილო...

\*\*\*

— ჭიჭიკია, შენს ცოლს მოწვევის ნებას რთავ?

— აპა, რაი ვქნა, ცოტა ხნით მაინც ხომ უნდა იყოს გაჩუმებული?!

\*\*\*

— გუშინ იამზეს ვაკოცე.

— არადა, გუშინ მიმტყციცებდი წვეთი არ დამიღვიაო.

\*\*\*

ქალი ნამდვილი კალკულატორია: გვიმატებს პრობლემებს, გვაკლებს დროს, ამრავლებს დანახარჯებს და ყოფს ქონებას.

\*\*\*

სვანები ხმალობენ, მივა ქალი და მანდილს ჩაუვადებს... სანყალი ქალი...

\*\*\*

— გოგონი, ამ საღამოს რას აკეთებ?

— გააჩნია, რას მოითხოვ...

\*\*\*

სტატისტიკური მონაცემებით: არსებობს საჩუქრების 3 სახეობა: კარგი, ცუდი და წიგნი.

\*\*\*

ცოლი ნახევარსაათიანი ლაპარაკის შემდეგ ყურმილს კიდებს, ქმარი:

— ძვირფასო, ასე მალე რატომ მორჩი?

— სხვაგან მოვხვდი.

\*\*\*

ჭიჭიკიამ შვილი სცემა და მერე ეკითხება:

— მიხვითი, რატომ გპერტყე?!.

— (შვილი ზღუქუნით) აი, ხომ ხე-ეედავ, რაფერიიცი ხაააარ, ჯერ მცემ და მერე მეკითხები რეიზაოო.....

\*\*\*

ორ სომეხს, სეროჟას და ლოვას, ძალიან უნდა გაქართველებო. ვილაც ურ-



\*\*\*

— ძვირფასო, სად დავკიდო ეს სურათი?

— აი, ამ კედელზე. ჩაქუჩი და ლურსმნები ყუთშია, ბინტი და იოდი კი — ნამლების უჯრაში.

\*\*\*

— რაიმეს თუ აკეთებ სწრაფად?

— კი... სწრაფად ვიღლები.



# რამდენად მხიარული ადამიანი ბრძანდებით?

1. გიყვართ თუ არა ხალხმრავალი თავყროლობები?

ა) დიას — 8; ბ) ზოგჯერ — 5; გ) არა — 2.

2. წვეულებებსა და სტუმრად ყოფნის დროს, ჩრდილში ყოფნას ხომ არ ამჯობინებ?

ა) დიას — 2; ბ) გააჩნია, რამდენად მომწონს იქ თავშეყრილი საზოგადოება — 5; გ) არა, ყურადღების ცენტრში ყოფნა უფრო მხიბლავს — 8.

3. შეიძლება თუ არა თქვენზე ითქვას: სიცოცხლით აღსავსე და გონებადამხვილი ადამიანია?

ა) დიას — 7; ბ) დარწმუნებით ამის თქმა, არ შეიძლება — 5; გ) არა — 1.

4. გეცინებათ თუ არა უხამს ანეკდოტებზე?

ა) არა, კატეგორიულად არ მომწონს მსგავსი ანეკდოტები — 1; ბ) გააჩნია, ვინ და სად ჰყვება მსგავს ანეკდოტს — 4; გ) დიას, განსაკუთრებით მაშინ, როცა მსგავსი შინაარსის ანეკდოტებს თავადვე ყვები — 9.

5. გიყვარს თუ არა ანეკდოტების მოყოლა?

ა) დიას — 8; ბ) ზოგჯერ — 5; გ) არა, ყოველივე ამას, არასერიოზულ და არასოლიდურ ქმედებად მივიჩნევ — 1.

6. სიამოვნებით გეპატიჟებიან თუ არა სტუმრად თუ წვეულებებზე?

ა) დიას — 7; ბ) საერთო ჯამში, კი. ყოველ შემთხვევაში, არა მგონია, იმაზე ნაკლები სიამოვნებით გეპატიჟებოდნენ, ვიდრე ყველა სხვა დანარჩენ სტუმარს — 5; გ) არა — 2.

7. როცა სადმე ვიზიტისას ძალზე მოსაწყენ კომპანიაში გინევთ ყოფნა, როგორ იქცევით?

ა) როგორც კი ხელსაყრელი შესაძლებლობა მომეცემა, მაშინვე ვტოვებ იქაურობას, ოღონდ, საზოგადოებაში მიღებულ წესებსაც ვითვალისწინებ — 3; ბ) აქცენტი სასმელ-საჭმელზე გადამაქვს, სუ-

ფრას გემრიელად მოვუღებ ხოლმე და ველოდები, როდის გამოცოცხლდებიან გარშემო მყოფები — 5; გ) სიტუაციის გამოსაცოცხლებლად, ირგლივ მყოფი დოჟალაპიების მასხრად ავდებას მივყოფ ხოლმე ხელს — 9.

8. ხშირია შემთხვევა, როცა თქვენს ნათქვამზე იცინიან მაშინაც კი, როცა მსხვილგონიერი რამის თქმა გუნებაშიც არ გაგივლიათ?

ა) ხშირია — 9. ბ) ძალზე იშვიათია — 4; გ) ასე არასოდეს ხდება — 7.

9. განზრახულის სისრულეში მოყვანას ყოველთვის ახერხებ?

ა) თითქმის ყოველთვის — 7; ბ) თუკი ყოველივე ეს დიდ ძალისხმევას არ მოითხოვს — 4; გ) ვცდილობ, შევეგუო მოვლენების ბუნებრივ განვითარებას — 3.

10. შეიძლება თუ არა თქვენზე ითქვას: სიტყვისთვის ჯიბეში ხელს არ ჩაიყოფს?

ა) არა — 1; ბ) ზოგჯერ სწრაფი და გონებადამხვილური პასუხის გაცემას ვახერხებ — 5; გ) დიას — 9.

11. ყოველთვის სიმართლეს ამბობ?

ა) დიას — 1; ბ) დიას, თუკი ყოველივე ამას დაძაბულობა და სიტუაციის გართულება არ მოჰყვება — 4; გ) სიმართლის სათქმელად, მცირეოდენ ტყუილზეც კი არ ვიხევე უკან — 9.

12. თქვენს სახლშიც და სამუშაო ადგილზეც ყოველთვის იდეალური წესრიგი სუფევს?

ა) დიას — 1; ბ) მინიმალური წესრიგი აუცილებელია — 4; გ) არა, — „შემოქმედებითი არეულობის“ მომხრე ვარ — 8.

13. შეიძლება თუ არა თქვენზე ითქვას: ძალზე მოკრძალებული ადამიანია?

ა) დიას — 2; ბ) ზომიერად მოკრძალებული ვარ — 4; გ) არა, მიყვარს ყურადღების ცენტრში ყოფნა — 8.

14. არტისტული მონაცემებით ხომ არ გამოირჩევით?

ა) დიას — 9; ბ) მცირეოდენი დოზით კი — 4; გ) არა — 2.

15. ბევრი თავშესაქცევი ამბის, ხუმრობისა თუ ანეკდოტის მოყოლა შეგიძლიათ?

ა) დიას — 9; ბ) არცთუ ისე ბევრის — 6; გ) არა, საკმაოდ ცოტასი — 2.

16. წარმოიდგინეთ, რომ ზიხარო ავტომობილში, რომლის საჭესაც ნასვამი მძღოლი უზის და 180 კმ/სთ სიჩქარით მიაქროლებს მანქანას. რა რეაქცია გქვებათ?

ა) თავზარდაცემული ვიქნები — 4; ბ) სისწრაფე აღმაგზნებს — 4; გ) მართალია, ყოველივე ეს შემზარავს, მაგრამ სასონარკვეთილებისაგან ენად გავიკრიფები და გაუთავებლად ვიხუმრებ — 9.

17. მეტყველებისას, სწრაფად და ადვილად აყალიბებთ საკუთარ აზრებს?

ა) დიას — 7; ბ) ზოგჯერ — 4; გ) არა — 2.

18. მიგინწევს თუ არა ნაცნობ მეგობრები მხიარულ ადამიანად ანუ ისეთად, ვისაც სხვების გამოხარულებაზე სეულნივება?

ა) დიას — 8; ბ) შეიძლება ითქვას, რომ ამ ასპარეზზე საშუალო მონაცემებით გამოვიჩნევი — 5; გ) არა — 2.

19. თუკი ვინმეს გაცნობა გსურთ, ელოდებით თუ არა, რომ ამ ადამიანმა პირველმა გადმოგდას ნაბიჯი თქვენკენ?

ა) დიას — 3; ბ) ზოგჯერ ველოდები, ზოგჯერ კი თავადვე ვაქტიურობ — 6; გ) როგორც წესი, როცა ვინმეს გაცნობა მსურს, თავადვე ვიცნობ ხოლმე — 9.

20. გიყვართ თუ არა ბევრი ლაპარაკი?

ა) არა — 1; ბ) ზოგჯერ მიყვარს — 4; გ) დიას — 8.

## ტესტის შედეგები


37-76 ქულა: სერიოზული და წყნარი ადამიანი ხართ. ყურადღების ცენტრში ყოფნას არ ესწრაფებით და არც ხმაურთან, ხალხმრავალი თავყროლობები გაიტაცებთ. ადამიანებთან ურთიერთობისას გულწრფელი და კორექტული ბრძანდებით და შეძლებისდაგვარად ეტიკეტის დაცვასაც ცდილობთ. დახვეწილი იუმორის მქონე კარგი ანეკდოტები გიყვართ, მაგრამ საერთო ჯამში, უფრო სერიოზულ თემებზე საუბარს ამჯობინებთ. უაზრო ლაქლაქში გატარებულ საღამოებს, ფუჭად დაკარგული დროდ მიიჩნევთ.

77-124 ქულა: მხიარული და გულელი ადამიანი ხართ. ადვილად შედისართ კონტაქტში და თქვენს ხასიათის წყალობით, სხვებსაც უოლოდებათ თქვენთან ურთიერთობა. თქვენ ირგვლივ არსებულ რეალობას მეტისმეტად სერიოზულად არ აღიქვამთ. გიყვართ ხუმრობა და იუმორი. სხვები სიამოვნებით გიყვებიან ანეკდოტებს,

რადგან მშვენიერი მსმენელი ხართ და გულწრფელი სიცილითაც რეაგირებთ მონათხრობზე. მართალია, თავგადაკლულ ხუმარას ვერაფერს გინოდებთ, მაგრამ ზოგჯერ, ნამდვილად გამოირჩევით ირგვლივ მყოფების გამხიარულების უნარით.

125-166 ქულა: ძალზე მხიარული და გონებადამხვილი ადამიანი ხართ. გულელი ხასიათის წყალობით, საოცრად კეთილად განაწყობთ ადამიანებს თქვენ მიმართ. გიყვართ საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტილი და ზედმეტად მორცხვი ნაცნობების გამოწვევა, საუბარში აყოლიება და მათი გამოხარულება. ადვილად ახერხებთ ყურადღების ცენტრში მოქცევას და ყველაზე მოსაწყენ კომპანიის გამოხარულებაც კი ძალგით. არასოდეს გტოვებთ იუმორის გრძნობა, მათ შორის, რთულ სიტუაციებშიც და ამის წყალობით, ხშირად წარმატება გარანტირებული გაქვთ.

# ცნობილთა ცხოვრებიდან



\*\*\*

მარკ ტვენი მატარებლით მოგზაურობდა საფრანგეთში. მან ვაგონის გამცილებელს სთხოვა, გაეღვიძებინა ქალაქ დიჟონში, სადაც რამდენიმე დღით უნდა გაჩერებულიყო.

მაგრამ დილით, გაახილა თუ არა თვალები, აღმოაჩინა, რომ მატარებელი უკვე პარიზს უახლოვდებოდა. მწერალმა გამცილებელს დაუძახა და მკაცრად უსაყვედურა, რაზეც ამ უკანასკნელმა დარცხვენილად მიუგო:

— ძალიან ვწუხვარ, მისიე, მაგრამ დღეს აშკარად უიღბლო დღე მაქვს: აი, ერთი თქვენი თანამემამულეც დიჟონში ჩასვლისას, ძალზე გაბრაზებული მომეჩვენა...

\*\*\*

ახალბედა პოეტმა სთხოვა ვოლტ-

ერს, მისი ლექსების შესახებ აზრი გამოეთქვა. მეორე დღეს, როცა ის გამოჩენილ პოეტს ესტუმრა, ვოლტერი ბუხართან იჯდა. მას აშკარად ეტყობოდა უგუნებობა, რომელიც შესაძლოა, სწორედ ყმანვილის შემოქმედებამ მოჰგვარა და მოკლედ მოუჭრა სათქმელი:

— თქვენს ლექსებში მეტი ცეცხლი რომ იყოს, ხოლო ამ ცეცხლში (მან ბუხარზე მიუთითა) — ბევრი თქვენი ლექსი, — გაცილებით უკეთ გავთბებოდი.

\*\*\*

მუსიკის მოყვარულმა ერთმა არისტოკრატმა, რომელსაც საკუთარი ერუდიციის გამომუდავება უყვარდა, კომპოზიტორ ბრამსს სარკასტულად უთხრა:

— მავსტრო, ხომ არ გეჩვენებათ, რომ თქვენი პირველი სიმფონიის ფინალის თემა ძალზე ჰგავს ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონიის თემას?

ბრამსი არ დაბნეულა და უმაღ-

მიუგო:

— მართლაც, ჰგავს. მაგრამ ამაზე გაცილებით საოცარი ისაა, რომ ყველა ბრიყვი საკუთარ ვალდებულებად მიიჩნევს, მითხრას ამის შესახებ.

\*\*\*

თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე, ბრამსს არც ერთი ოპერა არ დაუწერია, მიუხედავად იმისა, რომ არაერთხელ უცდია. მუსიკათმცოდნეთა ვარაუდით, ამის მიზეზი, კომპოზიტორის კოლეგა და მოძულე, რიჰარდ ვაგნერი იყო, რომელიც ვერ იტანდა ვერც ბრამსს და ვერც მის შემოქმედებას; ბრამსიც, ოპერის სფეროში მყარად დამკვიდრებული ვაგნერის „ტერიტორიაზე“ არ გადადიოდა. ყოველივე აქედან გამომდინარე, როგორც კი ოპერას ახსენებდნენ ხოლმე, ბრამსი უმაღლესი ნამოიძახებდა:

— ჩემი თანდასწრებით, არც ერთი სიტყვა ოპერასა და ქორწინებაზე!

## იაპონური სენსაცია

## სუდოკუ

### ჩინა ნომრის სუდოკუს პასუხები

გთავაზობთ ციფრულ თავსატეხს სუდოკუს (იაპონურად „სუ“ ნიშნავს ციფრს, „დოკუ“ — ცალკე მდგომს). სუდოკუმ უკვე მოასწრო ევროპის კროსვორდომანების გულების დაპყრობა და ჩვენი ჟურნალის ფურცლებზეც გამოჩნდა. მის ამოსახსნელად ცარიელ უჯრებში უნდა ჩანეროთ ციფრები 1-დან 9-მდე ისე, რომ არც ერთ სვეტსა და არც ერთ სტრიქონში ერთნაირი ციფრი არ გამოერდეს. სწორად ამოხსნილ სუდოკუში აგრეთვე, არ მეორდება ციფრები ბლოკებში 3X3. ჩვენ გთავაზობთ მარტივ და საშუალო სუდოკუს. გისურვებთ წარმატებას!

4	8	7	5	1	6	2	3	9
9	1	2	3	7	8	4	6	5
6	3	5	2	9	4	7	1	8
7	9	1	8	2	3	6	5	4
2	4	8	9	6	5	3	7	1
5	6	3	1	4	7	8	9	2
1	7	9	6	8	2	5	4	3
8	5	4	7	3	1	9	2	6
3	2	6	4	5	9	1	8	7



7	6	4	1	9	2	5	8	3
2	3	1	5	8	7	6	9	4
9	8	5	3	4	6	2	1	7
8	2	3	9	7	5	1	4	6
1	4	9	6	2	8	3	7	5
5	7	6	4	3	1	9	2	8
4	9	8	2	5	3	7	6	1
3	1	2	7	6	4	8	5	9
6	5	7	8	1	9	4	3	2

*	მარტივი						
6			7	4	5	8	1
	1	5	3		9	6	2
	8	7	6			9	5
5	2	8	1	3			9
9			4	2	8		6
1	6			9	7	3	8
2	3	1			4	5	6
		9	2	6			4
7	4		8		3	2	


**	საშუალო							
	9		8	3	7			2
6		8	1		9		4	5
	3	1		4		9	7	8
9	8			6	4	5		3
1		5	3				2	
3	4		9			6	8	7
		3	6		2	7		
	5	6		8	3		9	1
4	2	9	7		5		3	6



# ფოტოკუჩიონები







# პრემიუმიანი აპარტამენტი სანტი ბუჩაქიშვილი

**TB STARS**

632/10



ლხმალელი

ბუჩაქიშვილი



**ინდივიდუალური გადახდის სისტემა**

**☎ 38-91-92 45-17-17**  
**877-77-70-77 899-35-90-00**

გურამიშვილის 78 (მეტრო "გურამიშვილთან")

**ბინები 57 მ<sup>2</sup> - დან  
თანამედროვე ლიფტი  
სუპერმარკეტი  
საავტომობილო პარკი  
აუზი  
სამედიცინო ცენტრი  
მიწისქვეშა ავტოსადგომი  
დაცვა  
კაფე - ბარი  
იზოლირებული,  
კეთილმოწყობილი  
ფართობი 5000 მ<sup>2</sup>  
მოპირკეთებული ქუჩა და  
მიმდებარე ტერიტორია  
თეთრი კარკასი**